მარიამ მკალავიშვილი
თამარ ხატიაშვილი
ელისაბედ ბუსხრიკიძე

მოქალაქეობა 11

მოსწავლის წიგნი





საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი

თავისუფლება

ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე მთელი ქვეყანა,
განათებული მთა-ბარი,
წილნაყარია ღმერთთანა.
თავისუფლება დღეს ჩვენი
მომავალს უმღერს დიდებას,
ცისკრის ვარსკვლავი ამოდის
და ორ ზღვას შუა ბრწყინდება,
დიდება თავისუფლებას,
თავისუფლებას დიდება.

ლექსი დავით მაღრაძის
მუსიკა ზაქარია ფალიაშვილის
ჰიმნად დაამუშავა იოსებ კეჭაყმაძემ

მარიამ მკალავიშვილი
თამარ ხატიაშვილი
ელისაბედ ბუსხრიკიძე

მოქალაქეობა

XI კლასი

მოსწავლის წიგნი

გრიფმინიჭებულია საქართველოს განათლებისა
და მეცნიერების სამინისტროს მიერ
2023 წელს

ა(ა)იპ „ეპიგრაფი“

ავტორები: მარიამ მკალავიშვილი, თამარ ხატიაშვილი, ელისაბედ ბუსხრიკიძე.

მოქალაქეობა, XI კლასი

მოსწავლის წიგნი

რედაქტორი: ხათუნა სიდამონიძე
კონსულტანტი: გიორგი კუჭავა
დიზაინერი: ნინო მკალავიშვილი
დაკაბადონება და ყდის დიზაინი: ლია არევაძე

პირველი გამოცემა

© გამომცემლობა ა(ა)იპ “ეპიგრაფი”, 2023

ყველა უფლება დაცულია

ISBN 978-9941-8-5615-0

გამომცემლობა ა(ა)იპ “ეპიგრაფი”

მისამართი: საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, ირ.ევდოშვილის ქ. 18, ბ. 168
ტელეფონი: (+995) 555 004 227
ელ. ფოსტა: geo.epigraphi@gmail.com
ვებ.გვერდი: www.epigraphi.ge

სარჩევი

სახელმძღვანელოში გამოყენებული ნიშნები: 4
შესავალი 5
თავი I. მეწარმეობა და ბიზნესი 6
სახელმწიფო და ბიზნესი ადამიანის ეკონომიკური უფლებების დაცვისთვის 7
კომპლექსური დავალება 1 8
§ 1. სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციები 11
§ 2. მეწარმეობის მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში 24
სამეწარმეო საქმიანობა 34
კომპლექსური დავალება 2 35
§ 3. მეწარმეობა ეკონომიკური სიძლიერისთვის 40
§ 4. როგორ იბადება ბიზნესიდეა? 54
§ 5. ბიზნესის ორგანიზება 66
§ 6. ფინანსური რესურსი ბიზნესისთვის 82
მეწარმეობა მდგრადი განვითარებისთვის 96
კომპლექსური დავალება 3 97
§ 7. თანამშრომლობა მდგრადი განვითარებისთვის 98
თავი II. პოლიტიკა და პოლიტიკური კულტურა 122
პოლიტიკა და საზოგადოება 123
კომპლექსური დავალება 4 124
§ 8. პოლიტიკა, როგორც მოწოდება და პროფესია 129
§ 9. პოლიტიკურ პროცესებში მოქალაქეთა ჩართულობა 152
პოლიტიკა და მდგრადი განვითარება 174
კომპლექსური დავალება 5 175
§ 10. პოლიტიკური იდეები და იდეოლოგიები, რომლებმაც გავლენა მოახდინეს კაცობრიობის განვითარებაზე 178
§ 11. პოლიტიკური რეჟიმები 195
§ 12. პოლიტიკური მოძრაობა – მდგრადი განვითარებისთვის 209
დანართები 220
ლექსიკონი 258
გამოყენებული ლიტერატურა 264

Don't Copy

სახელმძღვანელოში გამოყენებული ნიშნები:



დისკუსია



უპასუხე კითხვებს:



იმუშავეთ ჯგუფებში



იმუშავეთ წყვილებში



იმსჯელეთ



კითხვები დოკუმენტური მასალის შესახებ



დავალება („დაფიქრდი“, „აღწერე“, „შეადარე“, „გაეცანი“ და სხვ.)



წინარე ცოდნის გააქტიურება

Don't Copy

შესავალი

„ცივილიზაციის ისტორია რვა სიტყვით გამოითქმის: რაც უფრო მეტი იცი, მით უფრო მეტი შეგიძლია“.

ედმონ როსტანი (ფრანგი მწერალი)

„ჩემთვის ნამდვილი პოლიტიკა... უბრალოდ სხვა ადამიანებისთვის სამსახურის გაწევაა“. ვაცლავ ჰაველი (ჩეხოსლოვაკიის მეათე და უკანასკნელი პრეზიდენტი (1989-1992 წ.წ.)).

ჩვენო ძვირფასო ახალგაზრდებო, თქვენ უკვე ბევრი რამ შეისწავლეთ დემოკრატიული სახელმწიფოს, ადამიანის უფლებების, ადამიანის თავისუფალი განვითარების უფლების მნიშვნელობისა და სამართლებრივი კულტურის შესახებ. ამ ყველაფერთან ერთად ადამიანებს მშვიდობიანი, ჰარმონიული თანაცხოვრებისთვის სჭირდებათ კეთილდღეობა, ისეთი გარემო, სადაც ექნებათ საშუალება იშრომონ და შექმნან მატერიალური კეთილდღეობა როგორც საკუთარი თავისთვის, ასევე სხვა ადამიანებისთვის, საზოგადოებისთვის. მატერიალური კეთილდღეობის შესაქმნელად ადამიანს სჭირდება გარკვეული ცოდნის დაუფლება და სამეწარმეო უნარების განვითარება, ბიზნესს კი – პოლიტიკურად კარგად ორგანიზებული სახელმწიფო.

„ჩემი აზრით იდეალურია, როდესაც ადამიანს შეუძლია თქვას: „მე საკმაო ძალა მაქვს, რომ დავიცვა თავი, მე მინდა თვითონ გავწიო რისკი ცხოვრებაში, მინდა პასუხი ვაგო საკუთარ ბედზე. შენ მთავრობავ, იზრუნე იმაზე, რომ მე შემეძლოს ასე მოქცევა“, – ამბობდა ლუდვიგ ერჰარდი (გერმანიის ბუნდესკანცლერი 1963-1966 წლებში). სწორედ სახელმწიფომ, პოლიტიკოსებმა და მოქალაქეებმა ერთად უნდა შექმნან პოლიტიკურად ჯანსაღი გარემო თავისუფალი ეკონომიკის განვითარებისთვის. ამას კი მაღალი პოლიტიკური კულტურის მქონე მოქალაქეები თუ შეძლებენ.

სწორედ ეს სახელმძღვანელო დაგეხმარებათ დაეუფლოთ ბიზნესისთვის საჭირო ცოდნას. მსჯელობით, განხილვებით, პრაქტიკული სავარჯიშოების შესრულებით შეიძინოთ მეწარმისათვის საჭირო უნარები. დისკუსიებით, დილემების განხილვაში აქტიური ჩართულობით გაეცნოთ იმ ძირითად იდეოლოგიებს, რომლებზე დაყრდნობითაც იქმნება სახელმწიფოს როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკა, გაეცნოთ იმ პოლიტიკურ მოძრაობებს, რომლებიც ხელს უწყობს სახელმწიფოს და მსოფლიოს მდგრად განვითარებას.

თქვენ ჩვენი ქვეყნის მომავალი ხართ. სწორედ თქვენ უნდა განსაზღვროთ ქვეყანაში პოლიტიკა და განავითაროთ ეკონომიკა, თავად უნდა იყოთ მაღალი პოლიტიკური კულტურის ადამიანები, თქვენ თვითონ უნდა შექმნათ მშვიდობიანი, ჰარმონიული, ეკონომიკურად ძლიერი ისეთი სახელმწიფო, რომელში ცხოვრებასაც ესწრაფვის ყველა ადამიანი დედამიწაზე.

გისურვებთ წარმატებებს!

DRAFT COPY

თავი I

მეწარმეობა და ბიზნესი

Don't Copy

სახელმწიფო და ბიზნესი ადამიანის ეკონომიკური უფლებების დაცვისთვის



კომპლექსური დავალება 1

სახელმწიფო და ბიზნესი ადამიანის ეკონომიკური უფლებების დაცვისთვის

გაეცანით ქვემოთ წარმოდგენილ სტატიებს. გააანალიზეთ ქვეყნის ეკონომიკასა და ბიზნესს შორის კავშირი. იმსჯელეთ ძლიერი ეკონომიკის საჭიროებასა და მნიშვნელობაზე ადამიანის ეკონომიკური უფლებების დაცვასა და საზოგადოების განვითარებაში. თქვენი მოსაზრებები დაასაბუთეთ არგუმენტირებულად. მოამზადეთ პრეზენტაცია თემაზე: „სახელმწიფო და ბიზნესი ადამიანის ეკონომიკური უფლებების დაცვისთვის“.

ნაშრომში ხაზგასმით წარმოაჩინეთ:

- რამდენად მნიშვნელოვანი როლი აქვს ბიზნესს ქვეყნის ეკონომიკის გაძლიერებაში?
- როგორ უზრუნველყოფს სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციები ადამიანის ღირსების დაცვასა და ადამიანის უფლებების, როგორც უმთავრესი ღირებულების რეალიზებას?
- რამდენად მნიშვნელოვანია დემოკრატიის პრინციპების (თანასწორობა, კანონის უზენაესობა, გამჭვირვალობა, პასუხისმგებლობა, არაძალადობრივი მეთოდებით მოქმედება) დაცვა ადამიანის ეკონომიკური უფლებების რეალიზებისთვის?



რა ცოდნა-გამოცდილება დაგჭირდებათ იმისთვის, რომ ეს კომპლექსური დავალება შეასრულოთ?

(მოცემული სქემა გადაიტანეთ რვეულში და ჩაინიშნეთ მოსაზრებები)

რა ვიცი საკითხთან დაკავშირებით?	რისი შესწავლა დამჭირდება?	რა უნდა გავაკეთო მიზნის მისაღწევად?
არ ჩაწერო წიგნში!		

საკვანძო შეკითხვა:

როგორ გავაანალიზო სახელმწიფოს ეკონომიკურ ფუნქციებთან დაკავშირებული დილემები დემოკრატიის პრინციპების ჭრილში კონკრეტულ ცხოვრებისეულ მაგალითებზე დაყრდნობით?

Don't COPY

ქართული ჩრდილოვანი ეკონომიკა უახლოეს წარსულში

ყველასთვის ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირს ძალიან მკაცრი ეკონომიკური სისტემა ჰქონდა არაეფექტური დაგეგმარებით. ეს ბევრ პრობლემას ქმნიდა როგორც პროდუქციის წარმოებაში, ისე სამომხმარებლო ბაზარზე. საბჭოთა მომხმარებელი მუდმივად უკმაყოფილო იყო დაბალი ხარისხის პროდუქციისა და მომსახურების მიღებით, ხშირად უწევდა რიგში დგომა და ლოდინი. არც წარმოების თვალსაზრისით იყო სახარბიელო მდგომარეობა. მწარმოებლები ვალდებულნი იყვნენ შეექმნათ სახელმწიფოს მიერ გეგმით განსაზღვრული რაოდენობის პროდუქცია. ისინი მუდმივად იდგნენ წარმოებისათვის საჭირო რესურსების/ნედლეულის დაგვიანებით მიწოდების პრობლემის წინაშე. ამის შედეგად კი იწარმოებოდა მცირე ნაირსახეობის დაბალხარისხიანი პროდუქცია, რომელიც ვერ აკმაყოფილებდა ბაზრის მოთხოვნებს. ამ გარემოებებმა მოამზადა ნაყოფიერი ნიადაგი ჩრდილოვანი (არაფორმალური) ეკონომიკის განვითარებისთვის.



გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც სახელმწიფო სექტორის პარალელურად აწარმოებდნენ სამომხმარებლო ბაზარზე მოთხოვნად პროდუქციას და ქმნიდნენ „დეფიციტურ“ პროდუქტს/საქონელს, რაც კანონით აკრძალული იყო სახელმწიფოს მიერ. სხვა ადამიანები არაოფიციალური გზებით შოულობდნენ „დეფიციტურ“ საქონელს და შემდეგ სახელმწიფოს მიერ დაწესებულ ფასებზე უფრო მაღალ ფასად ყიდიდნენ.

დაგეგმილი ეკონომიკის პრობლემების მოგვარების არაფორმალური სტრატეგიები არსებობდა ყველა საბჭოთა რესპუბლიკაში, მათ შორის საქართველოშიც. თუმცა საქართველო განსაკუთრებული შემთხვევა იყო თავისი ჩრდილოვანი ეკონომიკის ძალიან მაღალი დონით. სხვადასხვა კვლევების თანახმად, ირკვევა, რომ საქართველოს ეკონომიკის არაფორმალური სექტორი ქვეყნის ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის 25%-ს შეადგენდა. დღეს თუ ასაკოვან ხალხს ჰკითხავთ საბჭოთა კავშირში ცხოვრებაზე, ასეთ პასუხს მოისმენთ: „კომუნისტების დროს ჩვენ (ქართველები) ბევრად უკეთ ვცხოვრობდით, ვიდრე სხვა რესპუბლიკების ხალხები!“ ჩნდება კითხვა: რა განაპირობებდა საქართველოს „ლიდერობას“ არაფორმალურ ეკონომიკურ სექტორში?

ქართველებს მათი ღირსების გრძნობისა და ნდობის გამო ჰქონდათ ზუსტად ის, რაც საჭირო იყო ჩრდილოვანი ეკონომიკის შესაძლებლობებით სარგებლობისთვის. მათ იცოდნენ, რომ გაჭირვების დროს შეეძლოთ დაყრდნობოდნენ მეგობრებსა და ოჯახს, ამიტომ მათთვის მარტივი იყო მეტი რისკის გაწევა. ეს ხსნის ასაკოვანი ქართველების დამოკიდებულებას „ძველი დროისადმი“, როდესაც გამბედაობის, ღირსების, არაოფიციალური კავშირებისა და სოლიდარობისადმი დამოკიდებულება საშუალებას აძლევდა ადამიანებს, უკეთ გამკლავებოდნენ გეგმიური ეკონომიკის პირობებში არსებულ პრობლემებს.

ქართული ჩრდილოვანი ეკონომიკა წარმოუდგენლად გაიზარდა 1990-იან წლებში. თითქმის ყველა ქართველი დაგიდასტურებთ, რომ იმ დროს ყველაფერი ძალიან ცუდად იყო. კორუფცია ყვაოდა, სახელმწიფო კი უძლური იყო, ჯეროვნად შეესრულებინა საკუთარი ფუნქციები. ამ სავალალო სიტუაციაში ადამიანები სარგებლობდნენ არაოფიციალური კავშირებით და ასე ცდილობდნენ ოჯახების გადარჩენას. გადარჩენისთვის ბრძოლაში კი ჩრდილოვანი ეკონომიკა კიდევ უფრო ასუსტებდა საზოგადოებას და სახელმწიფოს.

ჩრდილოვანი ეკონომიკა ტურიზმის სექტორში დღეს მნიშვნელოვანი გამოწვევაა

ერთ-ერთი პრობლემა, რომელზეც ტურიზმის ინდუსტრიამ საუბარი დაიწყო, უცხო ქვეყნის მოქალაქეების მხრიდან ტურისტულ ბიზნესში შემოსვლაა. ბიზნესის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეები ყოველგვარი რეგისტრაციის გარეშე ახორციელებენ საქმიანობას, არ იხდიან გადასახადებს, რაც ადგილობრივ ბიზნესს არაკონკურენტულ გარემოში აყენებს. სექტორის წარმომადგენლები ამ კუთხით შესაბამისი ნაბიჯების გადადგმისკენ მოუწოდებენ სახელმწიფოს.



„სახელმწიფომ უნდა მიაქციოს ყურადღება იმას, თუ ვინ იღებს ფულს ამ სერვისის გაწევაში ისე, რომ არ იხდის გადასახადს. სერვისის გაწევა საქართველოს ტერიტორიაზე ხდება, მისი იურისდიქციაა და მან უნდა დაბეგროს ეს ბიზნესი ან დაუბეგრავი დააჯარიმოს. ეს იქნებოდა ამ პრობლემის გადაწყვეტა“, - ამბობს საქართველოს სერტიფიცირებული გიდების ასოციაციის გამგეობის წევრი გიორგი დარციმელია. „რეგისტრაციის გარეშე ტურიზმის სფეროში საქმიანობა საქართველოს მოქალაქეების მხრიდანაც ხშირია“,– ამბობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის წამყვანი ეკონომისტი გიორგი პაპავა. მისი თქმით, ამ რეალობაში ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი ტურიზმის ინდუსტრიაში განსაკუთრებით მაღალია.

„ჩრდილოვანი ეკონომიკა მნიშვნელოვანი გამოწვევაა ტურიზმის სექტორში და სახელმწიფოს ევალება უფრო ქმედითი ნაბიჯები გადადგას მის აღმოსაფხვრელად. ეს პრობლემა მხოლოდ უცხო ქვეყნის მოქალაქეების მხრიდან არ იქმნება, ეს საკითხი ადგილობრივების შემთხვევაშიც დგას. პრობლემა მოსაგვარებელია, თუმცა რაიმე შეზღუდვების დაწესება უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის, რომ არ ჰქონდეთ მათ ტურისტული მომსახურების გაწევის უფლება, სრულიად გაუმართლებელი იქნება.“- აცხადებს გიორგი პაპავა.

სტატიის ავტორი: ანუკა ჯოხაძე
18 მაისი 2023 წ.

§ 1. სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციები

- როგორ ფიქრობთ, რა განაპირობებს ადამიანების კეთილდღეობას?
- რა როლი აქვს სახელმწიფოს ადამიანის ეკონომიკური უფლებების დაცვაში?



ნიკა

როგორც ჩემი ოჯახის წევრებისგან მსმენია, ჩემს დაბადებამდე რამდენიმე წლით ადრე, მაშინ, როდესაც საქართველომ 70 წლიან კომუნისტურ რეჟიმს დააღწია თავი, თითქმის ყველა ოჯახს გაუჭირდა თავის რჩენა. ხალხი უმუშევარი დარჩა, რადგან დაიკეტა სახელმწიფოს საწარმოები და დაწესებულებები. ყველა ცდილობდა, რაიმე ახალი საქმისთვის მოეკიდა ხელი. პაპა აფთიაქის გამგე იყო კომუნისტების დროსაც, ამიტომაც გადაუწყვეტია კერძო აფთიაქის გახსნა. იქირავა ქალაქის ცენტრში ერთი პატარა ფართი და მოაწყო იმ დროს არსებული მოთხოვნების შესაბამისად. საგადასახადო ინსპექციაშიც დაარეგისტრირა ეს აფთიაქი. თბილისში იყო თურმე საბითუმო ვაჭრობის რამდენიმე აფთიაქი, სადაც შედარებით დაბალ ფასად შეიძლებოდა მედიკამენტების შეძენა. პაპაც იქ ყიდულობდა მედიკამენტებს ოფიციალურად თანმხლები დოკუმენტებით. ჩვენს პატარა ქალაქში ორი თუ სამი ასეთი აფთიაქი ყოფილა სულ, ამიტომ კარგად მუშაობდა და ჩვენს ოჯახსაც ჰქონდა იმდენი შემოსავალი, თვიდან-თვემდე რომ ჰყოფნიდა. პაპა გადასახადებს იხდიდა იმ დროს არსებული საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. ბევრი სახის გადასახადი იყოო, ასე ამბობს პაპა, რაც აძნელებდა საბუღალტრო საქმესო. ასე გაგრძელდა თურმე დაახლოებით 6 წელი. 21-ე საუკუნის დასაწყისში თითქოს ყველაფერი უნდა დალაგებულიყო. ცვლილებები შევიდა საგადასახადო კოდექსში. მთლიანობაში გადასახადების ოდენობა არ შემცირდა, მაგრამ გადასახადების სახეობების რაოდენობა შემცირდა, ამიტომ უფრო მარტივი გახდა საბუღალტრო საქმისწარმოება. პაპას თქმით, საგადასახადო სისტემის გამარტივება ძალიან სასიკეთო იყო ახლადგახსნილი პატარა აფთიაქებისთვის. თითქოს ამას სიკეთე უნდა მოეტანა ამ პატარა აფთიაქების მეპატრონეებისთვის და მოქალაქეებისთვისაც, რადგან მედიკამენტების ფასები არ იზრდებოდა. მაგრამ თანდათან გართულდა თურმე მედიკამენტების შემოტანა აფთიაქში, რადგან დაიკეტა ის საბითუმო ფასებით მოვაჭრე აფთიაქები, სადაც ყიდულობდა პაპა. მიზეზი ის ყოფილა, რომ ერთმა პიროვნებამ იყიდა თურმე ეს ბითუმად მოვაჭრე აფთიაქები და ასწია მედიკამენტებზე ფასები. მერე გამოჩნდა ვიღაც, ვისაც ხელი მიუწვდებოდა უცხოეთიდან წამლების შემოტანაზე და მოკლედ ორმა თუ სამმა ადამიანმა

თუ კომპანიამ ჩაიგდო ხელში ეს სფერო. თვითონ დაიწყეს ქალაქებში საკუთარი აფთიაქების გახსნა. ფასებზე ერთმანეთთან შეთანხმდნენ, გააძვირეს. პატარა აფთიაქებს კი უკვე აღარ შეეძლოთ გაძვირებული მედიკამენტების ყიდვა, რადგან მათ კიდევ უფრო ძვირად უნდა გაეყიდათ, რომ მოგება ჰქონოდათ, მოქალაქეები კი ასეთ მაღალ ფასებში ყიდვას ვეღარ შეძლებდნენ. ამ ყველაფერმა პატარა აფთიაქების დახურვა გამოიწვია. უმუშევრები დარჩნენ ამ აფთიაქებში დასაქმებული ადამიანები, ისე როგორც პაპას აფთიაქში დასაქმებული ფარმაცევტი და დამლაგებელიც. მედიკამენტებზე კი დღესაც მონოპოლიაა და სხვა ქვეყნებთან შედარებით ძალიან ძვირია საქართველოშიო, ამბობს პაპა. არ ვიცი, სახელმწიფო რას აკეთებს. განა არ არის იმის ინტერესი, რომ მოსახლეობამ შეძლოს მედიკამენტების რეალურ ფასად ყიდვა? მით უმეტეს, რომ ჩვენს ქვეყანაში სხვა ქვეყნებთან შედარებით, ბევრად დაბალია პენსიაც და ხელფასებიც. მე მგონია, სახელმწიფო იმაზეც უნდა ფიქრობდეს, რომ იმ მოქალაქეებსაც ჰქონდეთ სამეწარმეო საქმიანობის საშუალება, ვისაც მცირე ფინანსები აქვს, ისე, როგორც პაპას.

დავალება 1.1.

იმსჯელეთ:

- რა პრობლემებს ხედავთ ნიკას აღწერილ სიტუაციაში? ადამიანის რომელი უფლებები ირღვევა? რა რეკომენდაციებს მისცემდით იმდროინდელ მთავრობას ადამიანის ეკონომიკური უფლებების დასაცავად?
- რამ განაპირობა 90-იან წლებში საქართველოში მოქალაქეთა კერძო სამეწარმეო საქმიანობაში ჩართვის აუცილებლობა?



90-იან წლებში – საბჭოთა კავშირის დაშლის პერიოდში საქართველოს სახელმწიფო უუნარო აღმოჩნდა გამკლავებოდა სხვადასხვა სახის პრობლემებს. არ იყო დაცული კერძო საკუთრება, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწებისა და საწარმოო საშუალებების (შენობა-ნაგებობების, მანქანა-დანადგარების და სხვ.) პრივატიზაცია ტარდებოდა მიკერძოებულად, მაღალი იყო კორუფციის მაჩვენებელი. მიკერძოებული პრივატიზაციის გამო ქვეყნის რესურსები მცირერიცხოვანი ადამიანების ხელში აღმოჩნდა და საბოლოოდ, ეს ყველაფერი გახდა დიდი ეკონომიკური კრიზისის მიზეზი. კრიზისმა გამოიწვია სხვადასხვა ეკონომიკური მაჩვენებლების გაუარესება – პირველ რიგში, დასაქმების და შესაბამისად მოსახლეობის შემოსავლების

კლება. დაეცა უძრავი ქონების ფასები. სახელმწიფო ვერ ფუნქციონირებდა გამართულად, არ არსებობდა სოციალური პროგრამები, მინიმალურ ზღვარს ქვევით იყო მოხუცებულთა პენსიების ოდენობა.

ფინანსურ-ეკონომიკური მიმართულების გამომცემლობამ (forbes) გამოაქვეყნა 1990-2015 წლების პერიოდში ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების ეკონომიკური ზრდის რეიტინგი. რეიტინგში საქართველო ბოლო ხუთეულის სათავეშია.

მსოფლიოში ნებისმიერ სახელმწიფოს სურს იყოს ძლიერი და ანგარიშგასაწევი ძალა, თუმცა ამას ქვეყნების მცირე რაოდენობა თუ ახერხებს. ძლიერ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებისათვის აუცილებელია მას ჰქონდეს ძლიერი ეკონომიკა. ძლიერი სახელმწიფო ეკონომიკურად ძლიერი მოსახლეობის გარანტია, ეკონომიკურად ძლიერი მოსახლეობა კი, თავის მხრივ, ძლიერი სახელმწიფოს შენების აუცილებელ ბერკეტს წარმოადგენს. ეს ერთიანი ჯაჭვი ქმნის ქვეყანაში მოქალაქეთა კეთილდღეობის უზრუნველყოფის საფუძვლებს.

ეკონომიკური განვითარება – ეკონომიკის სრულყოფა, მისი ახალ თვისებრიობაში გადასვლა. ეკონომიკის, განათლების, მეცნიერების, კულტურის, ცხოვრების დონისა და ცხოვრების ხარისხობრივი მაჩვენებლების დადებითი ცვლილებების გაფართოება.

კეთილდღეობის ტერმინის ხსენებისას, ხშირ შემთხვევაში, ადამიანები სიმდიდრეზე იწყებენ ფიქრს. სიმდიდრე არის როგორც მატერიალური – მდიდრული სახლები, იახტები, ძვირადღირებული ავტომობილები ..., ასევე არამატერიალური. არამატერიალური სიმდიდრეა, რასაც ხელით ვერ ვეხებით: ჯანმრთელობა, განათლება, საზოგადოების მხრიდან დაფასება და ა.შ.

სიმდიდრე ეკონომიკის ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია და სახელმწიფოს ეკონომიკის განვითარება როგორც ქვეყნის, ასევე საზოგადოების წევრთა სიმდიდრის ზრდისა და, შესაბამისად, კეთილდღეობის დონის ამაღლებისკენ უნდა იყოს მიმართული.


სახელმწიფოს ეკონომიკურ განვითარებას, საბოლოოდ, უნდა მოჰყვეს საზოგადოების კეთილდღეობის ამაღლება. ეს გამოიხატება როგორც ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის ზრდით, ასევე მოსახლეობის ფენებს შორის შემოსავლების თანდათან გათანაბრებით.

კეთილდღეობაზე ორიენტირებულია ის სახელმწიფო, რომელსაც აქვს ისეთი სამთავრობო პოლიტიკა, რომელიც საერთო სიმდიდრეს (ქვეყნის ბიუჯეტში თავმოყრილ ფინანსურ სახსრებს) ანაწილებს მოსახლეობის სხვადასხვა ფენაზე სხვადასხვა სახის უფასო საყოველთაო სოციალური პროგრამების შეთავაზებით. განვითარებული ქვეყნების ნაწილმა ასეთი პოლიტიკა აირჩია და დღემდე მისდევს, ხოლო განვითარებული ქვეყნების მეორე ნაწილი ცდილობს, რომ მთავრობის ჩართულობა ეკონომიკაში ნაკლები იყოს და სიმდიდრის დიდი ნაწილი მოქალაქეებმა თავიანთი შეხედულებებისამებრ განკარგონ.

გაეცანით 2021 წლის განმავლობაში საქართველოში წარმოებული ყველა საქონლისა და მომსახურების საბაზრო ღირებულების (მთლიანი შიდა პროდუქტის) სტრუქტურას დარგების მიხედვით.

Draft

მთლიანი შიდა პროდუქტის დარგობრივი სტრუქტურა 2021 წელი, %



დავალება 1.2.

იმსჯელეთ, ვინ ქმნის ცალკეული დარგის პროდუქტს, სახელმწიფო, კერძო ბიზნესორგანიზაციები თუ ორივე ერთად? თქვენი მსჯელობიდან გამომდინარე უპასუხეთ კითხვას: რა წილი აქვს კერძო ბიზნესს სახელმწიფოს ეკონომიკაში?

საზოგადოებაში საქონლისა და მომსახურების წარმოების, განაწილების, განთავსებისა და მოხმარების სქემა, სახელმწიფოს პოლიტიკური იდეოლოგიის გათვალისწინებით, ქმნის ეკონომიკურ სისტემას.

Don't copy

ცოტა რამ ისტორიიდან

ფაქტები და რიცხვები საბჭოთა ეკონომიკიდან


ავტორი: აკა ზარქუა

სოციალიზმის პირობებში, მაღაზიებში სურსათი რომ ყოფილიყო და მოსახლეობას ელექტრონერგია ჰქონოდა, აუცილებელი იყო უმკაცრესი სახელმწიფო კონტროლი. სსრკ-ში (საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში) წარუმატებელი აღმოჩნდა 70 წლის განმავლობაში განხორციელებული ე.წ გეგმიური ეკონომიკის ექსპერიმენტი. გეგმიური ეკონომიკის პირობებში საწარმოები სახელმწიფოს კუთვნილებაშია, შესაბამისად, ქვეყანაში წარმოებული პროდუქციის სრულ მოცულობასაც სახელმწიფო ქმნის. ეკონომიკის ამ სისტემაში კერძო საკუთრება არ არსებობს. საქონლის წარმოება მიმდინარეობს არა ამ საქონელზე მოთხოვნის არსებობის შესაბამისად, არამედ იმ გეგმის მიხედვით, რომელსაც სახელმწიფოს მოხელეები ადგენენ. სახელმწიფო განსაზღვრავს, თუ რა რაოდენობის ავტომობილი სჭირდება მოსახლეობას, რამდენი გრამი ხორცპროდუქტი უნდა მოიხმაროს ყოველდღიურად მოქალაქემ და ასე შემდეგ. გარკვეულ პერიოდში სსრკ-ში დაფიქსირებულმა ეკონომიკურმა ზრდამ და სამეცნიერო-ტექნოლოგიურმა პროგრესმა წარმოშვა აზრი, რომ ეკონომიკის ასეთი მოდელი კონკურენტუნარიანი იყო, თუმცა საბჭოთა ეკონომიკური რეალობა სინამდვილეში შორს იდგა წარმატებისგან.

დავალება 1.3.

იმსჯელეთ, რა გავლენას ახდენდა აკა ზარქუას სტატიაში აღწერილი ეკონომიკური სისტემა მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე?

ეკონომიკური სისტემის ტიპი განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ ვის ეკუთვნის სიმდიდრის (პროდუქტის ან მომსახურების) შესაქმნელად საჭირო ძირითადი რესურსები: მიწა, წარმოების საშუალებები (ინფრასტრუქტურა, მანქანა-დანადგარები, ტექნიკა და ა.შ.), როგორია საგადასახადო პოლიტიკა, რა მიზანს ემსახურება ქვეყნის ეკონომიკური განვითარება.



გეგმიური ეკონომიკა ეკონომიკური თანასწორობის მიღწევის მიზანზე ორიენტირებული სისტემაა, რომელშიც წარმოების საშუალებები (მიწა, ტექნიკური საშუალებები,

მანქანა-დანადგარები, შენობა-ნაგებობები და ა.შ.) სახელმწიფოს საკუთრებაშია. სადაც სახელმწიფო ინსტიტუტები განსაზღვრავენ, რა სახის პროდუქცია, რა ვადებში, რა ოდენობით უნდა იწარმოებოდეს და ნაწილდებოდეს ქვეყნის ტერიტორიაზე. პროდუქციისა და მომსახურების ფასები რეგულირებულია ცენტრალური სახელმწიფო ორგანოების მიერ.

გეგმიური ეკონომიკა სოციალისტური ქვეყნებისთვის დამახასიათებელი ეკონომიკური სისტემაა. ყველაზე ცნობილ სოციალისტურ სახელმწიფოში - საბჭოთა კავშირში, მისი არსებობის მანძილზე თითქმის ყოველთვის იკრძალებოდა კერძო საკუთრება და კერძო სამეწარმეო საქმიანობა. წარმოების საშუალებები მთავრობის ხელში იყო.

გეგმიური ეკონომიკა, როგორც სისტემა, აგებულია არა სიმდიდრის ზრდის, არამედ ეკონომიკური თანასწორობის იდეაზე. კომუნისტების და სოციალისტების აზრით, დედამიწაზე რესურსები არასამართლიანადაა გადანაწილებული (ზოგს ძალიან ბევრი აქვს, ზოგს – ბევრი, ზოგს – ცოტა და ზოგს ძალიან ცოტა) და სწორედ ამიტომ საჭიროა ცენტრალიზებული მმართველობა, რომელიც თავისი შეხედულებებისამებრ გადაანაწილებს რესურსებს მოქალაქეებზე.

სახელმწიფოს მიერ რეგულირებად, ცენტრალიზებულ დაგეგმარებაზე დამყარებულ ეკონომიკურ სისტემას, რომლის ტიპურ ნიმუშსაც კომუნისტური რეჟიმების ქვეყნების ეკონომიკა წარმოადგენდა, უპირისპირდება საბაზრო ეკონომიკა. **საბაზრო ეკონომიკა არის** ეკონომიკური სისტემა, რომელშიც სახელმწიფოს ჩარევა თავისუფალი ბიზნესის, მეწარმეობის განვითარებაში მინიმუმამდეა დაყვანილი. ამგვარ სისტემაში წარმოების მოცულობა სხვადასხვა სახის პროდუქციაზე და მომსახურებაზე, მათზე ფასების დადგენა და ა.შ. განპირობებულია სამომხმარებლო ბაზარზე არსებული მოთხოვნიდან გამომდინარე. ასეთი ეკონომიკური სისტემის დამცველებისთვის ეკონომიკურ თანასწორობაზე მაღლა თავისუფლება დგას. მათი აზრით, დაუშვებელია ძალადობრივი ფორმებით ადამიანების სიმდიდრის გათანაბრება. ამ ეკონომიკური სისტემის მომხრეები თვლიან, რომ რაც უფრო მეტი თავისუფლება მიეცემათ კერძო ბიზნესის წარმომადგენლებს, მით მეტად გაფართოვდება შიდა პროდუქტის წარმოება, შეიქმნება მეტი სიმდიდრე, რაც კეთილდღეობის დონის ამაღლების საფუძველია. საბაზრო ეკონომიკის მომხრეები სახელმწიფოს სწრაფ განვითარებას, დაბალ გადასახადებს, სახელმწიფო საკუთრების (საწარმოების, მიწების, შენობა-ნაგებობების და მისთ.) კერძო პირთა მფლობელობაში გადაცემას და, ზოგადად, თავისუფალი ბიზნესის, მეწარმეობის განვითარებაში სახელმწიფოს ჩარევის შეზღუდვას ემხრობიან.



ჯიმი კარტერი აშშ-ს 39-ე პრეზიდენტი

ბიზნესზე, მრეწველობასა და სხვა პროფესიულ საქმიანობაზე შეზღუდვების მოხსნაზე მიმართული თანამედროვე მოძრაობა, რომელსაც შეერთებულ შტატებში ორივე პარტია (დემოკრატები და რესპუბლიკელები) ერთმანეთისაგან განსხვავებული მიზეზების გამო უჭერდა მხარს, რეალურად ჯიმი კარტერის ადმინისტრაციის დროს (1977 – 1981 წ.წ.) დაიწყო. რესპუბლიკელები იმთავითვე მთავრობის ბიზნესში ჩარევის მიმართ მტრულად იყვნენ განწყობილნი და აქედან გამომდინარე, აღნიშნული შეზღუდვების მოხსნას უჭერდნენ მხარს. დემოკრატების მოტივატორს კი შეზღუდვების მოხსნის გამო გაზრდილი საბაზრო კონკურენციით გამოწვეული ფასების მოსალოდნელი დაწევა წარმოადგენდა.

დღეს დედამიწაზე არსებული ქვეყნების უმრავლესობის ეკონომიკა დაფუძნებულია კერძო საკუთრებაზე, სადაც წარმოების საშუალებების უდიდესი ნაწილი მოქალაქეების ხელშია და არა მთავრობის.

დავალება 1.4.

იმსჯელეთ: როგორ გესმით უინსტონ ჩერჩილის ეს ცნობილი სიტყვები?



„კაპიტალიზმს კეთილდღეობის უთანასწორო განაწილება ახასიათებს, ხოლო სოციალიზმს – სიღატაკის თანასწორი განაწილება“.

უინსტონ ჩერჩილი
ბრიტანელი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე
(1874-1965 წ.)

მიუხედავად საბაზრო ეკონომიკასა და გეგმიურ ეკონომიკას შორის პრინციპული განსხვავებისა, მათ, ამავდროულად, ერთი რამ აერთიანებს: ორივეს მიზანია თავისუფალი საზოგადოების პირობებში მოქალაქის ეკონომიკური და სოციალური პოტენციალის სრულად რეალიზებისათვის შესაძლებლობების შექმნა. სწორედ ამ საერთო მიზნის არსებობა ამცირებს ამ ორ სისტემას შორის პრინციპულ სხვაობას და თანდათანობით მათ ერთგვარი შერეული მოდელები ანაცვლებს. ასეთი შერეული მოდელის პირობებშია შესაძლებელი თანამედროვე სახელმწიფომ უზრუნველყოს საზოგადოების განვითარებისათვის აუცილებელი კანონის უზენაესობა, წარმომადგენლობითი დემოკრატია და საბაზრო ურთიერთობებში შეჯიბრობითობა.

შერეული ეკონომიკური სისტემის მოდელი მუდმივად განიცდის ცვლილებას გარემოებების ცვალებადობის შესაბამისად. შერეულ მოდელში თანაბრად უნდა აისახოს როგორც სახელმწიფოს ზომიერი ჩარევის, ისე თავისუფალი ეკონომიკის საუკეთესო გამოცდილება.

შერეული ეკონომიკური სისტემა გულისხმობს ეკონომიკური თავისუფლების მაღალ ხარისხს (კერძო წარმოების ჩათვლით) შერეულს ცენტრალიზებულ ეკონომიკურ დაგეგმვასთან და სამთავრობო რეგულირებასთან. ეს კი, სახელმწიფოებრივი და ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, შეიძლება ეხებოდეს ზოგიერთ საწარმოო საშუალებებში სახელმწიფოს წილობრივ მონაწილეობას, ანდა გარემოს დაცვასა და მოქალაქეთა სოციალურ კეთილდღეობას.

ამერიკის შეერთებული შტატები (აშშ) მრავალი ადამიანისთვის საოცნებო ქვეყანაა. ამას ორი მიზეზი აქვს: ამერიკის იდეალები და ძლიერი ეკონომიკა.

- ფართო საზოგადოებას ხიბლავს “ამერიკული ოცნების” კრედო - თავისუფლება, თანასწორობა, დემოკრატია.
- აშშ ასოცირდება კეთილდღეობის, თავისუფალი და წარმატებული ცხოვრების ახალ შესაძლებლობასთან.

DRAFT COPY

- ეკონომიკით ის მსოფლიოში პირველ ადგილზეა.
- ამერიკული დოლარი საერთაშორისო ტრანზაქციებში ყველაზე ფართოდ გამოყენებული ვალუტაა.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ბრიტანეთის იმპერიისგან დამოუკიდებლობა 1776 წელს მოიპოვა. ახლად ჩამოყალიბებულ სახელმწიფოს ეკონომიკურად ევროპის ქვეყნები უსწრებდნენ. უკვე მე-20 საუკუნის დასაწყისში აშშ-ს მსოფლიოში ყველაზე დიდი ეკონომიკა ჰქონდა. ქვეყნის ეკონომიკა ინდუსტრიულმა ზრდამ და ტექნიკურმა ინოვაციებმა გააძლიერა.



- აშშ-ს მსოფლიოში ყველაზე განვითარებული ეკონომიკა აქვს ტექნოლოგიური თვალსაზრისით, განსაკუთრებით ხელოვნური ინტელექტის, კომპიუტერების, ფარმაციის, სამედიცინო, კოსმოსური და სამხედრო აღჭურვილობის მიმართულებით. ყველასათვის ცნობილი მაიკროსოფტი, გუგლი, ეფლი, ამაზონი, ფეისბუკი, ნეტფლიქსი სწორედ ამერიკული კომპანიებია.
- აშშ მსოფლიოს პროდუქტის დაახლოებით 18%-ს აწარმოებს. წამყვანი ინდუსტრიებია საწვავი, ფოლადი, საკვები, ავტომანქანები, სამშენებლო დანადგარები, კოსმოსური ხომალდები, სასოფლო-სამეურნეო აღჭურვილობა, ტელეკომუნიკაციები და ელექტრონიკა.
- აშშ-ს ბიუჯეტის უდიდესი ნაწილი გადასახადებით ივსება. სახელმწიფო ბიუჯეტს ძირითადად სოციალურ, უსაფრთხოების, სამხედრო და ჯანდაცვის სფეროებზე ხარჯავს.
- **აშშ-ში შერეული ეკონომიკური მოდელია** – თავისუფალ ბაზართან ერთად ვხვდებით სახელმწიფოს დაწესებულ რეგულაციებსაც. რეგულაციები ძირითადად თავდაცვას, საპენსიო და სამედიცინო დახმარებას ეხება.



დავალება 1.5.

ქვემოთ მოცემულ ბმულებზე გაეცანით ინფორმაციას ქვეყნების ეკონომიკის შესახებ.

1. ჩინეთის ეკონომიკა
   https://www.youtube.com/watch?v=9TUf1K0I7C0



2. კანადის ეკონომიკა
   https://www.youtube.com/watch?v=Ur0159n58j0



3. ჩრდ. კორეის ეკონომიკა
https://www.youtube.com/watch?v=wxp3jqrlTRY

4. სამხრეთ კორეა
https://www.youtube.com/watch?v=0jYVjABxhoI

5. შვეიცარია
https://www.youtube.com/watch?v=G57hm99re0k

6. ესტონეთი
https://www.youtube.com/watch?v=fXuyfkCnKl0

7. ისრაელი
https://www.youtube.com/watch?v=P9N9_5QZhyY

სხვადასხვა ქვეყნების შესახებ დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მოიპოვოთ https://orjerori.ge/ ბმულზე.

მიღებული ინფორმაციებიდან გამომდინარე განსაზღვრეთ, თითოეულ ქვეყანას რომელი ეკონომიკური სისტემა აქვს?

ინფორმაციის გასაანალიზებლად რვეულში გადაიტანეთ ქვემოთ მოცემული ცხრილი და შეავსეთ.

ქვეყანა	ეკონომიკური სისტემის ტიპი	ქვეყნის ეკონომიკური მიღწევები	ჩემთვის ყველაზე ღირებული ინფორმაცია

არ წაწერო წიგნში!

სავარჯიშოს შესრულების შემდეგ შეაჯამეთ, რით იყო საინტერესო ეს აქტივობა. თქვენი მოსაზრებები და მოპოვებული ინფორმაცია გაუზიარეთ თანაკლასელებს.

დავალება 1.6.

იმუშავეთ ჯგუფებში:

შეუდარეთ ერთმანეთს ეკონომიკური სისტემის ტიპები. ჩამოაყალიბეთ თითოეული მათგანის ძლიერი და სუსტი მხარეები ადამიანის უფლებებთან და დემოკრატიის პრინ-

Don't Copy

ციპებთან მიმართებით. განმარტეთ, რატომ ფიქრობთ ასე? მოიყვანეთ ცხოვრებისეული მაგალითები.

ჯგუფის ნამუშევარი გაუზიარეთ კლასს.

სისტემების შედარებისთვის მოცემული ცხრილი გადაიტანეთ რვეულში და შეავსეთ:

გეგმიური ეკონომიკა			
ძლიერი მხარე		სუსტი მხარე	
ადამიანის რომელი უფლებებია დაცული და რამდენად?	დემოკრატიის რომელი პრინციპებია გათვალისწინებული?	ადამიანის რომელი უფლებებია უგულებელყოფილი?	დემოკრატიის რომელი პრინციპებია უგულებელყოფილი?
არ ჩაწერო წიგნში!			
საბაზრო ეკონომიკა			
ძლიერი მხარე		სუსტი მხარე	
ადამიანის რომელი უფლებებია დაცული და რამდენად?	დემოკრატიის რომელი პრინციპებია გათვალისწინებული?	ადამიანის რომელი უფლებებია უგულებელყოფილი?	დემოკრატიის რომელი პრინციპებია უგულებელყოფილი?
არ ჩაწერო წიგნში!			
შერეული სისტემა			
ძლიერი მხარე		სუსტი მხარე	
ადამიანის რომელი უფლებებია დაცული და რამდენად?	დემოკრატიის რომელი პრინციპებია გათვალისწინებული?	ადამიანის რომელი უფლებებია უგულებელყოფილი?	დემოკრატიის რომელი პრინციპებია უგულებელყოფილი?
არ ჩაწერო წიგნში!			

საქართველო დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ დადგა არჩევანის წინაშე, თუ რომელი ტიპის ეკონომიკური წესრიგი უნდა დამყარებულიყო ქვეყანაში. საქართველომ, მოსახლეობის უმრავლესობის გადაწყვეტილებით, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა აირჩია.

ნიკას მიერ გადმოცემულმა ამბავმა (გვ. 11) დაგვანახა რეალური სურათი, თუ რა ხელის შემშლელი ფაქტორები აფერხებდა 90-იან წლებში საქართველოში კერძო ბიზნესის განვითარებას. გეგმიური ეკონომიკური სისტემიდან საბაზრო ეკონომიკურ სისტემაზე გადასვლა ქვეყანას მძიმე პოლიტიკური ვითარების პირობებში უწევდა. არ არსებობდა საკანონმდებლო ბაზა, რომელიც მოახდენდა მოქალაქეთა ეკონომიკური უფლებების დეკლარირებას საკანონმდებლო დონეზე.

Don't copy

§ 2. მეწარმეობის მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში



- გაიხსენეთ, რა კონსტიტუციური გარანტიები არსებობს საქართველოში ზოგადი განათლების მიღებასთან დაკავშირებით?
- როგორ ფიქრობთ, საიდან ფინანსდება განათლების სისტემა?

საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შევსების მთავარ წყაროდ გადასახადებიდან შემოსული თანხებია მიჩნეული, რაც მთლიანი საბიუჯეტო სახსრების დაახლოებით 90 პროცენტია. ნებისმიერი სოციალური პროგრამა, რომელიც ხორციელდება მთავრობის მიერ, ფინანსდება საბიუჯეტო სახსრებიდან ე.ი. გადასახადების გადამხდელების მიერ. მაგალითად, საქართველოს მთავრობას დაგეგმილი აქვს, რომ 2023 წელს განათლებაში 2 318 672 700 ლარს დახარჯავს, რაც საქართველოს ეკონომიკის დაახლოებით 14 %-ია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გადასახადების გადამხდელი ნებისმიერი ადამიანი, არ აქვს მნიშვნელობა, შეხება აქვს თუ არა განათლების სფეროსთან, თავისი შემოსავლებიდან სახელმწიფოს ბიუჯეტში გადახდილი თანხებით ფარავს განათლების ხარჯებს. სწორედ აქედან მოდის სახელმწიფოს ანგარიშვალდებულება გადასახადის გადამხდელების მიმართ.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაცია. ცხრილი 1.

2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი			
დასახელება	2023 წლის გეგმა	მათ შორის	
		საბიუჯეტო სახსრები	დონორების დაფინანსება
შემოსავლები	**17,619,900.0**	**17,575,350.0**	**44,550.0**
გადასახადები	16,290,350.0	16,290,350.0	0.0
გრანტები	279,550.0	235,000.0	44,550.0
სხვა შემოსავლები	1,050,000.0	1,050,000.0	0.0



დავალება 2.1.

მიღებული ინფორმაციიდან გამომდინარე გამართეთ დისკუსია თემაზე: სახელმწიფოში უფასო რეალურად არაფერია.

საქართველოს მარტივი საგადასახადო სისტემა აქვს, ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური და მიმზიდველი – ასე აფასებენ საქართველოს საგადასახადო სისტემას საერთაშორისო ორგანიზაციები და ექსპერტები. საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული ექვსი გადასახადიდან ხუთი – (საშემოსავლო გადასახადი (20%), მოგების გადასახადი (15%), დამატებული ღირებულების გადასახადი (18%), აქციზი, იმპორტის გადასახადი წარმოადგენს საერთო-სახელმწიფოებრივ გადასახადს და სახელმწიფოს ერთიან სახაზინო ანგარიშზე ირიცხება. ქონების გადასახადი ადგილობრივ გადასახადს მიეკუთვნება და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შევსების წყაროა.



როდესაც ნებისმიერი დასაქმებული ხელფასს იღებს, მისი დამსაქმებელი ხელფასის 20%-ს საშემოსავლო გადასახადის სახით იხდის ცენტრალურ ბიუჯეტში ამ დასაქმებულის სახელით. მაგალითად, თუ ალექსის ხელფასი შეადგენს 500 ლარს, ამ 500 ლარის 20 % ანუ 100 ლარი დამსაქმებლის მიერ ირიცხება სახელმწიფოს ერთიან სახაზინო ანგარიშზე და მიმართულია სახელმწიფოს ბიუჯეტის შევსებაზე, ხოლო დარჩენილი 80 % ეძლევა ალექსის.

ელექტროენერგიის, წყლის და ბუნებრივი აირის მოწოდებისთვის, ასევე დასუფთავების სამსახურის მომსახურებისთვის კერძო კომპანიებისთვის გადახდილ გადასახადებს – კომუნალური გადასახადები ჰქვია და ის ირიცხება არა სახელმწიფოს ბიუჯეტში, არამედ ამ კერძო კომპანიების საბანკო ანგარიშზე, საიდანაც ეს კომპანიები უხდიან სახელმწიფოს მათთვის დაწესებულ გადასახადებს.

სახელმწიფო დაწესებულებებში მომსახურების მიღებისას, მაგალითად, პასპორტის აღებისას, ან სახელმწიფოსგან რაიმე სხვა დოკუმენტის მისაღებად, ჩვენ ვიხდით სხვადასხვა ტიპის მოსაკრებლებს. განსხვავებით გადასახადებისგან, ასეთი ტიპის მოსაკრებელი კონკრეტული მომსახურებისთვის გადაიხდება სახელმწიფოს ბიუჯეტში, როგორც პროდუქტის ყიდვისას ვიხდით მის საფასურს.

დავალება 2.2.

- რა სახის გადასახადებს იხდიან თქვენი ოჯახის წევრები?
- რომელი გადასახადები მიემართება სახელმწიფო ბიუჯეტში და რომელია კომუნალური გადასახადები?
- რომელი სახელმწიფო სერვისებით უბრუნდება თქვენს ოჯახს ბიუჯეტში გადახდილი თანხები?

DemoVersion

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაცია. **ცხრილი 2.**

2021 წელს საქართველოში დასაქმებულთა განაწილება საკუთრების ფორმების მიხედვით	
სულ დასაქმებული	**1 217 400**
სახელმწიფო სტრუქტურებში	301 500
არასახელმწიფო ორგანიზაციებში	916 000

როგორც სტატისტიკური მონაცემებიდან ჩანს, არასახელმწიფო ორგანიზაციებში, კერძო ბიზნესში, დასაქმებულთა რაოდენობა სამჯერ მეტია სახელმწიფო სტრუქტურებში დასაქმებულთა რაოდენობაზე. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ დასაქმებულთა მიერ სახელმწიფოს ბიუჯეტში გადახდილი საშემოსავლო გადასახადიდან დაახლოებით 75 % არასახელმწიფო ორგანიზაციებში (მათ შორის უდიდესი ნაწილი კერძო ბიზნესში) დასაქმებულ ადამიანთა მიერ არის გადახდილი.

საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების 2021 -2025 წლების სტრატეგია (ამონარიდი)

მცირე და საშუალო საწარმოები დასაქმების ზრდისა და სამუშაო ადგილების შექმნის პოტენციალით, ასევე, ეკონომიკის განვითარებასა და მის ზრდაში შეტანილი წვლილის გათვალისწინებით, ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის ხერხემლად შეიძლება იქნეს მიჩნეული. ძლიერი და კარგად განვითარებული მცირე და საშუალო მეწარმეობის სექტორი განსაკუთრებულ როლს ასრულებს ზოგადად ქვეყნის კეთილდღეობის დონის ამაღლებაში. იგი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ექსპორტის ზრდას, ინოვაციებსა და თანამედროვე სამეწარმეო კულტურის შექმნას. ამასთანავე, მცირე და საშუალო საწარმოებს მნიშვნელოვანი წვლილი შეუძლიათ შეიტანონ ახალი ტექნოლოგიების გაუმჯობესებასა და გამოყენებაში, თავიანთი ინოვაციური სტრუქტურების გამო.

საქართველოში, ისევე, როგორც მსოფლიოს უამრავ, მათ შორის, ევროკავშირის ქვეყნებში, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება განიხილება, როგორც ძირითადი საშუალება „დასაქმების“ მიზნების მისაღწევად. ევროკავშირში მოქმედი დაახლოებით 26 მილიონი მცირე და საშუალო საწარმო 109 მილიონ ადამიანს ასაქმებს და ევროპის მთლიანი ეროვნული პროდუქტის 2/3-ს ქმნის. საქართველოში მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა წილი 65 პროცენტია.

დავალება 2.3.

გაეცანით საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მოცემულ ინფორმაციას: ცხრილ 1-ს (გვ.24) და ცხრილ 2-ს (გვ.26).

იმსჯელეთ:

- რატომ არის სახელმწიფო დაინტერესებული ქვეყანაში საშუალო და მცირე ბიზნესის განვითარებით?
- რა სარგებლობა მოაქვს ბიზნესის განვითარებას საზოგადოებისთვის?

გადასახადები, განაკვეთის მიხედვით, შეიძლება იყოს ფიქსირებული ან პროგრესული. ფიქსირებული განაკვეთი გულისხმობს ერთსა და იმავე გადასახადის პროცენტულ ოდენობას, მიუხედავად მისი გადამხდელისა. მაგალითად, როდესაც ნებისმიერი შემოსავლის მქონე ადამიანი თანაბარ პროცენტს იხდის საშემოსავლო გადასახადის სახით, ეს ფიქსირებული გადასახადია. პროგრესული გადასახადები კი იზრდება გადამხდელის შემოსავლის მიხედვით – რაც მეტი შემოსავალი აქვს გადამხდელს, მით მეტ პროცენტს იხდის სახელმწიფო ბიუჯეტში.

ბილ გეითსი: მე უნდა გადავიხადო უფრო მეტი გადასახადი



ბილ გეითსი, კომპანია მაიკროსოფტის დამფუძნებელი

მაიკროსოფტის დამფუძნებელი, მილიარდერი ბილ გეითსი ამბობს, ...რომ მან მეტი უნდა გადაიხადოს. ყველა მდიდარ ადამიანს, და მათ შორის მას, აშშ-ს მთავრობამ უნდა მოსთხოვოს სახელმწიფოს ბიუჯეტში საკმაოდ სოლიდური თანხის შეტანა. „მე უნდა გადავიხადო უფრო მეტი გადასახადი“, – თქვა გეითსმა, რომლის ქონებაც 90 მილიარდ დოლარზე მეტია, (CNN) ფარედ ზაქარიასთან ინტერვიუში.

„მე გადავიხადე მეტი გადასახადი, 10 მილიარდ დოლარზე მეტი, ვიდრე ვინმე სხვამ, მაგრამ მთავრობამ უნდა მოსთხოვოს ჩემს პოზიციაზე მყოფ ადამიანებს, გადაიხადონ საკმაოდ დიდი გადასახადები“, – თქვა მან.

გეითსი მსოფლიოში მეორე უმდიდრესი ადამიანია ამაზონის მეპატრონის, ჯეფ ბეზოსის, შემდეგ. მან თავისი მოსაზრების გამოთქმაზე თავი არ შეიკავა, როდესაც საქმე ეხებოდა აშშ-ს რესპუბლიკური პარტიის მიერ წარდგენილ საგადასახადო კანონს, რომელიც ითვალისწინებდა კორპორაციებისთვის გადასახადების შემცირებას.

„ეს არ იყო პროგრესული საგადასახადო კანონპროექტი. ეს იყო რეგრესიული საგადასახადო კანონპროექტი“, – თქვა გეითსმა. მისი აზრით, გადასახადების შემცირებით მეტ სარგებელს ყველაზე მდიდრები ნახავენ, მიუხედავად რესპუბლიკელების დაჟინებული მტკიცებისა, რომ გადასახადების შემცირება დაეხმარება აშშ-ს დაბალ და საშუალო ფენას.

„ადამიანები, რომლებიც უფრო მდიდრები არიან, უფრო მეტ სარგებელს იღებენ, ვიდრე საშუალო კლასი ან ღარიბი, და ეს ეწინააღმდეგება იმ ზოგად ტენდენციას, რომლის მიღებაც ჩვენ გვსურს“, - განაცხადა მან.

ჟურნალისტის კითხვაზე, თუ როგორ გრძნობს თავს შეერთებულ შტატებში „უთანასწორობის ზრდასთან დაკავშირებით“, გეითსმა, რომელმაც თავისი პირადი ქონების 40 მილიარდ დოლარზე მეტი გასცა საქველმოქმედო მიზნებისთვის, თქვა: „ყველა განვითარებულმა დემოკრატიამ უნდა იფიქროს იმ მოსახლეობაზე, რომლებიც მძიმე პირობებში ცხოვრობენ“. „მოსახლეობის დაახლოებით მეექვსედი ჯერ კიდევ ცხოვრობს მძიმე პირობებში, რაც ჩემთვის ძალიან გულდასაწყვეტია. მთავრობის პოლიტიკა აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს ასეთ ადამიანებზე ზრუნვას. ჩემთვის გაუგებარია, რატომ არ ვაკეთებთ უკეთეს საქმეს ამ ხალხისთვის?“ - თქვა მან.



დავალება 2.4.

იმსჯელეთ:

- როგორ გესმით ბილ გეითსის პოზიცია: „მე უნდა გადავიხადო უფრო მეტი გადასახადი“?
- რა პასუხისმგებლობას ამჟღავნებს ბილ გეითსი როგორც დაბალი შემოსავლების მქონე, ასევე უმუშევარი ადამიანების მიმართ?

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით, 2021 წლის მონაცემებით საქართველოში დასაქმებულთა დაახლოებით 32 % თვითდასაქმებულია.

დევნილებს თვითდასაქმების ხელშეწყობის მიზნით ხელსაწყოები და ტექნიკა გადასცეს

დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დირექტორმა ბესარიონ სიმონიშვილმა 13 დევნილს, თვითდასაქმების ხელშეწყობის მიზნით, ხელსაწყოები და ტექნიკა გადასცა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოდან აცნობეს, პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებულმა დევნილებმა სახელობო იარაღები, რომლებიც მათ საქმიანობის წამოწყებასა თუ გაფართოებაში დაეხმარებათ, თავად შეარჩიეს.



ბ.სიმონიშვილი სახელობო იარაღებს გადასცემს პროფესიული სასწავლებლის კურსდამთავრებულს

მიმდინარე წელს პროექტის ფარგლებში ჯამში 50 დევნილი დაფინანსდა. პროექტში მონაწილეობის მსურველი იძულებით გადაადგილებული პირებისთვის განაცხადების მიღების მომდევნო ეტაპი უახლოეს მომავალში დაიწყება.

დავალება 2.5.

უპასუხეთ კითხვებს:

- თვითდასაქმების რა შესაძლებლობები არსებობს საქართველოში?
- რა ცოდნა, უნარები და რესურსი უნდა გააჩნდეს მოქალაქეს, რომ შეძლოს თვითდასაქმება?



ბელა

ჩემს პატარა სოფელში განებივრებული არ ვართ მაღაზიების სიმრავლით. პროდუქტის და ყოველდღიური საჭიროების ნივთების შესაძენად მშობლებს რაიონულ ცენტრში უწევთ წასვლა. რამოდენიმე წლის წინ ჩვენმა მეზობელმა ციალა დეიდამ დაიწყო პროდუქტების გასაყიდად ჩამოტანა. მის ოჯახს ძალიან უჭირდა, რადგან მამაკაცი არავინ ჰყავთ და მიწის სამუშაოებს ქალები გაჭირვებით აკეთებდნენ, ხოდა ამიტომ ციალა დეიდამ გადაწყვიტა თავის სარჩენად ვაჭრობა დაეწყო. თავიდან პროდუქტებს პირდაპირ სახლიდან ყიდიდა, რამოდენიმე თვეში ეზოში პატარა ოთახი, რომელსაც სათავსოდ იყენებდა, გაარემონტა და მაღაზია მოაწყო. შაბათობით მაღაზია დაკეტილია, რადგან ამ დღეს რაიონულ ცენტრში მიდის გასაყიდი პროდუქტების ჩამოსატანად და კვირის დანარჩენ დღეებში ყიდის. ყველა კმაყოფილია, მყიდველებიც და ციალა დეიდაც. მამა ამბობს, ვინმე მადლიანი თუ გამოჩნდება და ასწავლის ოფიციალურად, კანონის დაცვით, როგორ გახსნას მაღაზია და თან თუ პროდუქტების გარდა მოსახლეობისთვის საჭირო სხვადასხვა ნივთებსაც ჩამოიტანს გასაყიდადო, ჩვენთვისაც კარგი იქნება, რაიონის ცენტრში აღარ მოგვიწევს საყიდლებზე სიარული, ციალასაც მოემატება შემოსავალი და იქნებ მიწაც დაამუშავებინოს ვინმეს, გადახდის საშუალება რომ მიეცემაო. ციალა დეიდა ამაზე იცინის, ნეტავ რამენაირად თავი გავიტანოთ, მეტი არაფერი მინდაო, ასე ამბობს. არადა ყველას გაუხარდებოდა, ეს გაჭირვებული ოჯახი თუ ფეხზე წამოდგებოდა.

დავალება 2.6.

- მოიძეთ ინფორმაცია თქვენს წრეში, ნათესავებში, მეზობლებში თვითდასაქმებული ადამიანების შესახებ. როგორ აისახა მათი ოჯახების კეთილდღეობაზე ამ ადამიანების მიერ სამეწარმეო საქმიანობის დაწყება?
- რა მოტივაცია და შემდგომი პერსპექტივა გააჩნიათ თვითდასაქმებულ მოქალაქეებს?

ხშირად ხდება, რომ მაღაზიის ფლობას არ აღიქვამენ, როგორც ბიზნესს, არამედ მიიჩნევენ როგორც თვითდასაქმების და შემოსავლის მიღების შესაძლებლობას, რომელიც თავის გატანასთან უფრო ასოცირდება ჩვენს ქვეყანაში, ვიდრე ბიზნესთან. შესაბამისად, უფრო ფრთხილი და ინერტული მიდგომაც კი აქვთ, მის გაფართოება-განვითარებაზე ნაკლებად ზრუნავენ და ამ მხრივ არც გარემო-პირობები უწყობთ ხელს. არადა, ამ საქმიანობას უდიდესი პოტენციალი აქვს. რეალურად, დასაქმების კუთხით, ეს ყველაზე ფართო სეგმენტია და შემოსავლების თვალსაზრისითაც შეუძლია ქვეყნის ეკონომიკაში უმსხვილეს შემომტანად იქცეს.

დავალება 2.7.

იმსჯელეთ:

- რა საზოგადოებრივ სიკეთეებს ქმნის ქვეყანაში სამეწარმეო საქმიანობის განვითარება?

სოციალურმა საწარმომ „M.H.F Shoes“ 2022 წლის 30 სექტემბერს და 1 ოქტომბერს გამართულ სოციალურ საწარმოთა გამოფენა-გაყიდვაში მიიღო მონაწილეობა. „ასეთი შესაძლებლობები ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის. გამოფენა გვაძლევს საშუალებას ჩვეულებრივ მოქალაქეებს მივაწვდინოთ ხმა, რომ საქართველოშიც შეგვიძლია შევქმნათ ხარისხიანი, თანამედროვე პროდუქცია და ჩავანაცვლოთ იმპორტირებული ფეხსაცმელი.“ - ამბობს სოციალური საწარმოს წარმომადგენელი.






სოციალური საწარმოს წარმომადგენლები საგამოფენო სივრცეში

სოციალური საწარმოს დამფუძნებელია არასამთავრობო ორგანიზაცია „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დასაქმების კავშირი“, რომლის მისიაა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანების დასაქმების ხელშეწყობა და ღირსეული თანაცხოვრებისთვის ყველა აუცილებელი პირობის შექმნა.

სოციალურ საწარმოში დასაქმებული არიან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირები. საწარმოს პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი წარმოების გაფართოებას და შესაბამისად ახალი სამუშაო ადგილების შექმნას ხმარდება, რა უფრო მეტ შშმ პირს უქმნის დასაქმების პერსპექტივას.

სამეწარმეო საქმიანობა



კომპლექსური დავალება 2

სამეწარმეო კომპეტენციების შეფასება

გაეცანით ილია ჭავჭავაძის ნაშრომს „სოფლის მეურნეთა კავშირი“, რომელშიც აღწერილი და შეფასებულია თელავის თავად-აზნაურობის მიერ სოფლის ეკონომიკური განვითარების ინიციატივა, იდეა და ძალისხმევა. წარმოიდგინეთ თავი ბიზნესკონსულტანტად და სტატიაში აღწერილი ფაქტები და გარემოებები გაანალიზეთ სამეწარმეო კომპეტენციების ევროპული ჩარჩოს ქვემოთ მოცემული ცხრილის პუნქტების შესაბამისად. ბოლოს დაურთეთ თქვენეული ექსპერტული შეფასება და რეკომენდაციები, რომლებსაც მისცემდით თელავის თავადაზნაურებს და „სოფლის მეურნეთა კავშირს“, როგორ დაეხმარონ თავიანთ წევრებს იდეებისა და შესაძლებლობების, რესურსების განსაზღვრასა და სამეწარმეო ქმედებების დაგეგმვაში.

(ცხრილი გადაიტანეთ რვეულში და შეავსეთ).

სამეწარმეო კომპეტენციები	ილიას წერილის ანალიზის საფუძველზე ჩაინიშნეთ კონკრეტული ინფორმაცია კომპეტენციათა თითოეულ ჯგუფთან მიმართებაში, რომელი სამეწარმეო კომპეტენციების განვითარებისკენ არის მიმართული თელავის თავად-აზნაურობის, „სოფლის მეურნეთა კავშირის“ კონკრეტული მიზნები, ამოცანები და ქმედებები. მაგალითად, სიტუაციურ ანალიზს ეთმობა წერილის პირველი გვერდი, სადაც საუბარია იმაზე, რომ მართალია მშვიდობიანობაა, მაინც ჩვენს სიღარიბესა და უნიათობაზე ვჩივით. ირგვლივ გარემო შეიცვალა და ახალი საჭიროებები გაჩნდაო და ა.შ. ასე ამოიცანით სად არის საუბარი იდეებსა და შესაძლებლობებზე, ხედვაზე. შემდეგ რესურსების საჭიროებასა და მობილიზებაზე და ა.შ.
იდეები და შესაძლებლობები • შესაძლებლობების განსაზღვრა • კრეატიულობა • ხედვა • იდეების შეფასება • ეთიკური და მდგრადი აზროვნება	
რესურსები • მოტივაცია და შეუპოვრობა • თვითგაცნობიერება და თვითეფექტურობა • ფინანსური და ეკონომიკური წიგნიერება • სხვების მობილიზება • რესურსების მობილიზება	

არ რეპროდუცირება!

ქმედება • ინიციატივის აღება • ბუნდოვანების, გაუბედაობის და რისკის გადალახვა • დაგეგმვა და მართვა • სხვებთან ერთად მუშაობა • სწავლა გამოცდილების საფუძველზე	
შეფასება და რეკომენდაციები **1.** **2.** **3.**	

არ ჩაწერო წიგნში!

წერილში ხაზგასმით წარმოაჩინეთ:

- რამდენად შეუძლია ადამიანს გავლენა მოახდინოს ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ ცხოვრებაზე და, პირიქით, რამდენად უზრუნველყოფს ქვეყანა პიროვნების თავისუფალ განვითარებას?
- ვისთან თანამშრომლობით და რა გზებით შეუძლიათ მოქალაქეებს პირადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება და საზოგადოებრივი პრობლემების მოგვარება?
- რა ცოდნა, გამოცდილება, უნარები და დამოკიდებულები ეხმარება ადამიანს ასერტიულ ქცევაში, რაც გამორიცხავს სამოქალაქო მონაწილეობის ძალადობრივ ქმედებებს?



რა ცოდნა-გამოცდილება დაგჭირდებათ იმისთვის, რომ ეს კომპლექსური დავალება შეასრულოთ?

(მოცემული სქემა გადაიტანეთ რვეულში და ჩაინიშნეთ მოსაზრებები)

რა ვიცი საკითხთან დაკავშირებით?	რისი შესწავლა დამჭირდება?	რა უნდა გავაკეთო მიზნის მისაღწევად?
არ ჩაწერო წიგნში!		

საკვანძო შეკითხვა:

როგორ გავაანალიზო ნაშრომში სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარებისა და გაძლიერების პროცესში მოქალაქეების პირადი თუ საზოგადოებრივი ინტერესებისა და საჭიროებების დაკმაყოფილებისკენ მიმართული ინიციატივები.

Don't copy

ილია ჭავჭავაძე, ტფილისი, 4 ნოემბერი, 1895 წ.

სოფლის მეურნეთა კავშირი
(ადაპტირებული ვერსია)

„გუშინ თელავიდან მიღებულმა წერილმა ძალზედ სასიამოვნო ამბავი გვაუწყა. წერილიდან ჩანს, რომ იქაურ თავად-აზნაურობას ისეთი პრობლემის გადაჭრა განუზრახავს, რაც დღეს მეტად საჭირბოროტო საქმედ ითვლება ჩვენში. ...

დღეს ყველამ იცის, რომ წარმატების, გაძლიერების, შინ და გარეთ დამოუკიდებლობის თავი და ბოლო სიმდიდრეა, ერის ეკონომიკური ძლიერებაა. ისე ხელცარიელად დარჩენილი, როგორც დღეს ჩვენ ვართ, ერთ ნაბიჯსაც ვერ გადადგამს წინ, რაც არ უნდა დიადი აზრებითა და გრძნობებით ჰქონდეს სავსე გული. ჩვენ, მიწათმოქმედ ერს, ხელიდან გამოგვეცალა ეკონომიკური საფუძველი და სხვამ დაისაკუთრა. ჩვენი ნაამაგარისგან გამორჩენა და მოგება სხვებს რჩებათ, ჩვენ კი მხოლოდ დღიური მუშები ვართ მათი.


ილია ჭავჭავაძე (1837 - 1907 წ.წ.)

გარშემო ყველაფერი შეგვეცვალა. ამ ცვლილებამ მრავალგვარი ახალი საჭიროება გაგვიჩინა, ცხოვრება გაგვიძვირდა, გაგვიძნელდა. ამ უნუგეშო მდგომარეობის პარალელურად ვხედავთ, რომ მშვიდობიანობა ჩამოვარდა, მტერი აღარ გვიშლის ხელს მუშაობაში, აღარავინ გვაწიოკებს, ნაშრომ-ნაღვაწს არავინ გვიოხრებს, რკინიგზებისა და საზღვაო გზების წყალობით ჩვენს ნაამაგარს კარი ფართოდ გაეღო, ცოტად თუ ბევრად ბაზარი გაუდიდდა, მყიდველი მოემატა, აღარა ვართ მტრებისაგან და უგზოობისაგან იძულებულნი შინ კარჩაკეტილები ვისხდეთ. ამ ყველაფერს ვხედავთ და მაინც ვჩივით და ვტირით ჩვენს სიღარიბეს. ჩვენი ქვეყანა ჰავით, მდებარეობით, მიწით მდიდარია და ამ მდიდარ ქვეყანაში რადა ვართ ღარიბნი და ღატაკნი? ...

საწარმოებისა და ქარხნების ასამუშავებლად არც ქონება გვაქვს, არც ცოდნა და არც გამოცდილება. ამიტომ ამ საქმეებისკენ არც არავინ იხედება. ჩვენი ერთადერთი საქმიანობა, მიწათმოქმედებაა და ისიც მატებასა და გაძლიერებას მოკლებულია. აქამდე, მტერთაგან და უგზოობისაგან შინ ჩაკეტილი ქართველობა იძულებულ იყო ის პროდუქტი მოეყვანა თავისს მიწაზე, რასაც დღეს უფრო იაფად სხვაგან ვიყიდით, სხვა ქვეყნიდან მოვიტანთ. ეხლა სულ სხვაა. დღეს რა გვიშლის ხელს, ჩვენს მიწათმოქმედებას ის ნაყოფი გამოვაღებინოთ, რაც სხვა ქვეყანაში არ მოდის ბუნებრივ გარემოებათა გამო და იქიდან ის შემოვიტანოთ, რაც იქ ბევრი მოდის და უფრო იაფიც არის.

თელავის თავად-აზნაურობას ეს საჭიროება უგრძვნია და მიზნად მიწათმოქმედების განვითარება და გაძლიერება დაუსახავს. საქმიანობა იმ მიმართულებით

უნდა წარიმართოს, რომ მიწათმოქმედებას ჩვენში სხვა გზა და მიმართულება მისცენ, გაამრავალფეროვნონ მოსავლის კულტურა ჰავისა და მიწის შესაფერად, ყოველივე ახლად შემოსაღები საჭირნახულო შეუსაბამონ საშინაო და საგარეო ბაზრის მოთხოვნილებას, ძვირადღირებული პროდუქტის მოყვანით დააინტერესონ მიწათმოქმედი და იაფ ჭირნახულზე ხელი ააღებინონ, ან შეუმცირონ ხარჯი და გაუადვილონ მუშაობა. რასაკვირველია, ყოველივე ამას სურვილის გარდა, ცოდნა და მოხერხება უნდა, და როგორც ეტყობა, არც ეს აუცილებელი მხარე საქმისა დაუტოვებია უყურადღებოდ თელავის თავად-აზნაურობას: სხვა მისაღწევ მიზანთა შორის ცოდნისა და ხერხის გავრცელებაც გადაუწყვეტია.

მართალია, დიდი მიზანი დაუსახავს თელავის თავად-აზნაურობას, მაგრამ აქ საქმის სიდიდეს კაცი არ უნდა შეუშინდეს. რაც ერთი ადამიანისთვის დიდია და მძიმე, ის ადვილი საზიდია ბევრისათვის. ეხლანდელს დროში გაერთიანებული ძალა სასწაულებს ახდენს. პატარა საქმეების კეთებით შესაძლებელია დიდი საქმეც გამოვიდეს. აქ საჭიროა მოთმინება და ამაზედ კი ცოტა უკაცრავად გახლავს გულჩქარი ქართველი.

ფრიად სასიამოვნო და სანუგეშო ამბავია, რომ თელავის თავად-აზნაურობამ განიზრახა ქვეყნისთვის საჭირბოროტო ეკონომიკური საკითხების გადასაჭრელად ასპარეზზე გამოსვლა და ამისათვის გადაწყვიტა საზოგადოების შექმნა. წესდების პროექტი უკვე შეუდგენიათ, დაუბეჭდიათ და აპირებენ წარადგინონ, საცა ჯერ არს, დასამტკიცებლად. ეს პროექტი, ჩვენ მივიღეთ და ამით საშუალება მოგვეცა შევეხოთ ამ ახალი საქმის ზოგიერთ მხარეს.

პროექტის დედააზრი, ანუ დასაარსებელი „კავშირის“ მისაღწევი მიზანი, ცხადად არის გამოთქმული წესდების პირველ მუხლშივე და არის შემდეგი: სოფლის მეურნეობის ჭირნახულს მოუძებნონ იმისთანა მყიდველი, რომელიც ჭირნახულს საჭიროებს თავისთვის გამოსაყენებლად და არა გასასყიდად და ამ გზით მწარმოებელი მომხმარებელს შეახვედრონ პირდაპირ უშუაკაცოდ, კერძოდ, ისე რომ გამყიდველად იყოს თვით მოჭირნახულე და მყიდველად მომხმარებელი და ამათ შუა ვაჭარი არ ჩადგეს. ეხლანდელი მდგომარეობა ჩვენი ისეთია, რომ ვაჭარი აიძულებს მოჭირნახულეს რაც შეიძლება იაფად მიჰყიდოს თავისი ნაჭირნახულევი და მომხმარებელმა, რაც შეიძლება ძვირად იყიდოს. ერთიც ჰკარგავს, რომ იაფად ჰყიდის და მეორეც, რომ იაფად ნაყიდს ძვირად ჰყიდულობს, ორივენი ზარალში არიან და მოგებაშია მარტო ვაჭარი. ვაჭარი რომ აღებ-მიცემობას თავიდან მოაშორონ, მოჭირნახულე და მომხმარებელი პირდაპირ შეახვედრონ ერთმანეთს და ამ გზით ის დიდი ლუკმა მოგებისა, რომელიც ვაჭარსა რჩება, მოჭირნახულემ და მომხმარებელმა შუა გაიყონ, ესეც კი საკმარისია, რომ პირველს მეტი ერგოს თავის ნაჭირნახულევისაგან და მეორეს ნაკლები დაუჯდეს მისთვის საჭირო საგანი. ....

როგორ და რა გზით არის შესაძლო ეს საქმე მოხდეს?

რა თქმა უნდა, თითოეული ცალკე მოჭირნახულე და თითოეული ცალკე მომხმარებელი ვერ დაიწყებენ ერთმანეთის ძებნას. ამისათვის არც საშუალება აქვთ და არც მოცალეობა. აქ უნდა იმისთანა ადგილები გაჩნდეს, სადაც მოჭირნახულე თავის ჭირნახულს დააწყობს გასასყიდად და სადაც თითოეული მომხმარებელი იპოვის თავისთვის საჭირო საქონელს. ამის გათვალისწინებით დადგენილია გაიმ-

ართოს თვალსაჩინო ადგილებში მაღაზიები, დუქნები, სარდაფები, საწყობები, სადაც ყოველ მოჭირნახულეს, წევრსა თუ არა წევრს „კავშირისას“, შეუძლიან თავისი ჭირნახული მიიტანოს გასასყიდად. ამ დახმარებისათვის „კავშირი“ გასამრჯელოს იღებს იმდენს, რამდენსაც გადაწყვეტს საზოგადო კრება „კავშირისა“.

მეორე მიზანი „კახეთის მეურნეთა კავშირისა“ არის ის, რომ სოფლის კაცს შეძლებისდაგვარად პირდაპირ მწარმოებლისგან აყიდონონ ყველაფერი, რაც ოჯახში და საქმიანობაში სჭირდება, რადგანაც თუ სოფლის კაცს ჭირნახულის მოყვანა იაფი დაუჯდება, ამის გამო იაფადაც შეეძლება გაჰყიდოს და მიაწოდოს მომხმარებელს.

სოფლის კაცს თუ ხელს შეუწყობენ ღირებულ ფასად გაასაღოს თავისი ჭირნახული და ამით დიდ სამსახურს გაუწევენ, არა ნაკლები სამსახურია, რომ რაც შეიძლება იაფად მიაწოდონ ის, რაც მას სახმარად სჭირდება და არა აქვს. აქაც საფუძვლად დადებულია ის აზრი, რომ მომხმარებელი მოჭირნახულეს პირდაპირ შეახვედრონ და ვაჭარი დაითხოვონ შუამავლობისაგან. ... ამის აღსასრულებლად „კავშირს“ დაუდგენია იქონიოს საწყობები იარაღისა, თესლეულობისა და სხვა ყოველისა, რაც კი საჭიროა სოფლის მეურნისათვის.

„მეურნეთა კავშირის“ მესამე მიზანი არის სოფლის მეურნეობის განვითარება. ამ მხრივ არამც თუ კახეთი, მთელი საქართველო იმდენად არის უკან ჩამორჩენილი, რომ ლამის მიწაზედ ხელი ავიღოთ, რადგანაც ის ჭირნახული, რომელიც დღეს მოგვყავს და რომელზეც ამდენი შრომა და ხარჯი მიგვდის, მეტად გაიაფდა და თითქმის ზარალის მეტს არას იძლევა. ...

აქ ყველა მცდელობა სწორედ წყლის ნაყვა იქნება, ვიდრე ან არ ვისწავლით ერთისა და იმავე შრომით და ხარჯით ახლანდელზე ბევრად მეტი როგორ გამოვაღებინოთ მიწას, ან არ ვისწავლით სხვა უფრო ძვირფასი რამე მოსავალი მივიღოთ იმისთანა, რომლის საშუალებასაც უხვად გვაძლევს აქაური ჰავა და მიწა, და რომელსაც მყიდველი ყოველთვის ჰყავს საზღვარგარეთ, ოღონდ ამის შესახებ უნდა ვიცოდეთ, ამისი ცოდნა უნდა გვქონდეს. ამ ცოდნის მისაღებად და გასავრცელებლად „კავშირს“ მიზნად აქვს ბეჭდოს წიგნები, ბროშურები, აგრეთვე იქონიოს დროგამოშვებითი ჟურნალი ან გაზეთი, თავისი მოღვაწეობის შესაფერი. წიგნის ცოდნის გავრცელებას არა ჰკმარობს „კავშირი“. ...

„კავშირს“ განუზრახავს საქმე ისე მოაწყოს, რომ მსურველმა თავისი საკუთარი თვალით დაინახოს, რა უფრო სასარგებლოა კაცმა გამოაღებინოს მიწას, რა არის სასურველი მოსაყვანად, როგორ მოუაროს, როგორ შეუწყოს ხელი და აწარმოოს, რომ ყოველივე ეს აჩვენოს მსურველს და დააჯეროს, რომ ამა თუ იმ ჭირნახულისაგან უფრო მეტი შემოსავალი ექნება. „კავშირი“ კახეთში იქონიებს მიწებს, სადაც ყოველ ამის მაგალითს და საბუთს თვალით დაანახვებს, რომ სხვა გზითაც შემწეობა აღმოუჩინოს სოფლად მომქმედ მოჭირნახულეს. „კავშირი“ ხალხში გასავრცელებლად გაიჩენს საუკეთესო ხილს და ბოსტნეულს, იყოლიებს საუკეთესო ჯიშის პირუტყვს, რომ ამით პირუტყვის მოშენება გაუმჯობესდეს ჩვენში და კარგი ჯიშის პირუტყვი გამრავლდეს.

აი ეს სამი მიზანია მოხსენებული წესდების § 1-ში, რომელიც „კახეთის სოფლის მეურნეთა კავშირს“ მისაღწევად დაუნიშნავს.

§ 3. მეწარმეობა ეკონომიკური სიძლიერისთვის

- როგორ ფიქრობთ, რა მოტივაცია და ინტერესები უნდა გააჩნდეს ადამიანს, რომ კერძო სამეწარმეო საქმიანობას მიჰყოს ხელი?
- რა რესურსი და უნარები დასჭირდება ამისთვის?






ლაშა-გიორგი, მეწარმე

ობლობის პენსიით დაწყებული მეურნეობა და 16 წლის გურული ბიჭი დიდი მიზნებით

სტატიის ავტორი: ლალი ფაცია

ლაშა-გიორგი 16 წლის არის, თუმცა უკვე 4 წელია, სამეურნეო საქმიანობაში აქტიურადაა ჩართული. პერსპექტიული ახალგაზრდა ფერმერია: მარწყვს უვლის. ლაშა-გიორგის იცნობენ როგორც შრომისმოყვარე, მიზანდასახულ, მხიარულ ბიჭს. მარწყვის მოყვანის საქმეში ბევრი რჩევასაც სთხოვს. ეკოლოგიურად სუფთა, ბიომარწყვის სასათბურე მეურნეობა ობლობის პენსიით გააშენა. „დაბადებული არ ვიყავი, მამა რომ გარდამეცვალა. ვაგროვებდი ამ დანაზოგს და მერე იდეა გამიჩნდა: მარწყვის ბიზნესი წამომეწყო. თავიდან მარწყვის 300 ძირი შევიძინე. ახლა თითოეული ნერგი ჩემთვის თითქმის შვილივითაა. ბუნება ყოველთვის მიყვარდა, მაგრამ რაც ეს საქმე წამოვიწყე, მას მეტად დავუახლოვდი. ბუნება, გარემო, საოცარი რამაა.“ გვეუბნება ლაშა-გიორგი, რომელსაც ზოგი არც უჯერებს, რომ მარწყვი მისი მოყვანილია, თუმცა როგორც თავად ამბობს, შეუძლებელი არაფერია, მთავარია, გულით გინდოდეს და ყველაფერს მიაღწევ. ლაშა-გიორგი მე-11 კლასშია. მხიარული და მოუსვენარი ბიჭი, რომელიც სკოლაშიც კარგად სწავლობს, არაერთ სასკოლო პროექტშია ჩართული. სკოლაში მარწყვის სათბურიც აქვთ მოწყობილი და გამოცდილებას თანატოლებს უზიარებს.

გიორგი ბათუმში დაიბადა, სადაც დედასთან და დასთან ერთად ცხოვრობდა. 9 წლის წინ ფინანსური პრობლემების გამო ბავშვებს ზღვისპირა ქალაქიდან სოფელში ბებიასთან მოუწიათ საცხოვრებლად გადასვლა, დედა კი ემიგრაციაში წავიდა.



„მარწყვის გაშენების იდეა ბავშვობიდან მარწყვის გამორჩეული სიყვარულის გამო გამიჩნდა. ამ ყველაფერს სულ მარტო ვერ გავაკეთებდი, ამ საქმეში მთელი ოჯახი ჩაერთო. დეიდა და ბიძაჩემი ძალიან დამეხმარნენ. მათი დამსახურებაა, რომ ამ საქმეს თავი გავართვი. ნერგების საყიდლად ბიძაჩემი წამყვა.


მარწყვის სათბური

თავიდან პატარა ტერიტორია გვქონდა თავისუფალი და პირველი 300 ნერგი იქ დავრგეთ ღია გრუნტში. შემდეგ ბოსტნის ადგილიც მარწყვის გასაშენებლად გამოვიყენეთ.

პირველ ხანებში მარწყვის გაყიდვიდან მიღებული მოგებით ერთი სათბური გავმართეთ. შემდეგ ჩვენთან მოვიდა რეგიონის მაჟორიტარი დეპუტატი, მოეწონა ჩვენი მარწყვის მეურნეობა და 1000 ლარი გადმოგვცეს საჩუქრად, რითაც მეორე სათბურის გაკეთება შევძელით. ცოტა ხნის წინ განცხადება გვქონდა შეტანილი დაფინანსებაზე და დადებითი პასუხი მივიღეთ, მოკლედ, ერთ სათბურსაც დავდგამთ.

სათბურში ორი ჯიშის მარწყვი გვაქვს – „მონტერეი“ და „ალბიონი“. კარგი მოსავალი მოდის, კვირის განმავლობაში 40 კილოგრამს ვიღებთ, ისეთი ჯიშია, სულ ისხამს, ცხადია, ზამთარში მხოლოდ სათბური მუშაობს. მარწყვი რთული მოსავლელია, ყოველდღე რაღაც სჭირდება: ფოთოლი გაუხმება – უნდა შემოაცალო, ბალახი წამოვა და უნდა მოაცილო. დამპალი ნაყოფიც უნდა მოაცილო, ფოთოლი ან ნაყოფი თუ მოწყენილია, შეწამვლა და მორწყვა უნდა. ჩვენს მარწყვს ქიმიას არ ვაკარებთ, ბიომეურნეობა გვაქვს. სასუქს სხვადასხვა პროდუქტისგან თვითონ ვაყენებთ, რასაც „ჟიჟას“ ვეძახით.

ჩვენი მარწყვი ჯერჯერობით სოფლის ბაზარზე გაგვაქვს გასაყიდად. ძალიან დიდმა სიცხემ თუ დააჭირა, შეიძლება პროდუქტი გააფუჭოს, ამიტომ მაღაზიაშიც ვაბარებთ ასეთ შემთხვევაში.

ამ საქმემ მიმახვედრა, რომ ქუჩაში უქმად არ უნდა იარო, უსაქმურობით ვერაფერს მიაღწევ. ჯობია სახლში იმუშაო, მშობლებს, ბებიას მიეხმარო, ელემენტარული რამ მაინც გააკეთო. ამით, ჯერ ერთი, მათ გულს გაახარებ, მერე ვინმე რომ დაგინახავს, იტყვის – რა კარგი ბიჭიაო. ჩემთვის შექება სტიმულია, უფრო მეტის გაკეთება მინდა ხოლმე. ჩემი ნახელავი თუ სხვას მოსწონს, ცუდი რატომაა?! შრომა ყველას შეუძლია და უნდა იშრომოს.


ლაშა-გიორგი სათბურში

დედა წლებია ემიგრაციაშია. ახლა სამი თვით მეც ჩამოვედი მასთან სტამბოლში. მუშაობა ფაბრიკაში დავიწყე. თანხა უნდა დავაგროვო და დედა აქედან წავიყვანო. მას თავის სამშობლოში უნდა ყოფნა და ჩემ გვერდით მინდა რომ იყოს. დედაზე და დაზე ახლობელი ვინ მყავს?!

ერთ რამეს მივხვდი, ცხოვრებაში რაც უნდა გინდოდეს, მის გაკეთებას თუ გულით მოინდომებ, აუცილებლად შეძლებ. თავიდან ჯობია ელემენტარულიდან დაიწყო და საქმე მერე განავითარო. არ არის საჭირო პირდაპირ დიდი მასშტაბით წამოწყება. ბავშვობიდან სულ იმას ვამბობდი, რომ არ მინდოდა დედის კისერზე ვყოფილიყავი და ამისთვის ზრუნვა უკვე დიდი ხანია დავიწყე“- გვიყვება გიორგი.



დავალება 3.1.

- გამოკვეთეთ ლაშა-გიორგის ძლიერი მხარეები: ცოდნა, უნარი, პიროვნული მახასიათებლები.
- რა სარგებლობა მოაქვს საზოგადოებისთვის მის საქმიანობას?
- თქვენი აზრით, ლაშა-გიორგი არის მეწარმე? რატომ? პასუხი დაასაბუთეთ.
- რისი ცოდნა და რა უნარების ქონა სჭირდება კიდევ ლაშას თავისი საქმიანობის გავთარებლად?

საქმიანობას, რომელიც სათანადო ცოდნასა და უნარებს საჭიროებს საქონლისა და მომსახურების შესაქმნელად, მეწარმოება ჰქვია, ხოლო ადამიანს, რომელიც უშუალოდ ქმნის პროდუქციას, ან ეწევა მომასახურებას და ამას აკეთებს კარგად გააზრებული ანალიზის საფუძველზე - მეწარმე.

- ლაშა-გიორგის, როგორც მეწარმის, მახასიათებლების შესასწავლად გაეცანით და გააანალიზეთ ცხრილში მოცემული ინფორმაცია. ცალკე ფურცელზე შეგიძლიათ შეავსოთ თქვენი მიგნებებით.


კითხვა	პასუხი	პიროვნული მახასიათებელი/ცოდნა/უნარი	განვითარების პერსპექტივა
რამ განაპირობა ლაშა-გიორგის გადაწყვეტილება ამ საქმიანობის წამოწყების შესახებ?	ბავშვობიდან ფიქრობდა, რომ დედის „კისერზე" არ უნდა ეცხოვრა	მტკიცე ხასიათი	დიდი ბიზნესის დაგეგმვა და წარმართვა
რამ განაპირობა მარწყვის მოყვანის იდეა?	ბავშვობიდან უყვარდა მარწყვი, უყვარდა ბუნება	იდეის ჩამოყალიბების უნარი	ახალი იდეების მოძიება
რა სახის რესურსებზე დაყრდნობით დაიწყო მეურნეობა?	ობლობის პენსიით 300 ლარით, ბებიის მიწის ნაკვეთზე, ეხმარებოდნენ ბიძა და დეიდა	დაზოგვის უნარი, ბიზნესში დაბანდების უნარი, დამატებითი ფინანსების მოძების უნარი, ლიდერის თვისებები, ადამიანური რესურსის გამოყენების, გუნდური მუშაობის უნარი	წარმატებული საქმიანობისთვის მიიღო საჩუქარი 1000 ლარი და დადგა სათბური, მოიპოვა დამატებითი თანხა გრანტის სახით მესამე სათბურის ასაშენებლად

Don Copy

პროდუქციის რეალიზაციასთან დაკავშირებულ რა სახის რისკს ხედავს ლაშა-გიორგი?	მარწყვი სოფლის ბაზარზე გააქვს გასაყიდად. ძალიან დიდმა სიცხემ თუ დააჭირა, შეიძლება პროდუქტი გაუფუჭოს, ამიტომ მაღაზიაშიც აბარებს ასეთ შემთხვევაში.	რისკის გააზრებისა და პრევენციული ზომების მიღების უნარი	
რა სარგებლობა მოაქვს მის საქმიანობას საზოგადოებისთვის?	ქმნის ეკოლოგიურად სუფთა, ბაზარზე მოთხოვნად ბიოპროდუქტს, სკოლაში მეგობრებს უზიარებს გამოცდილებას	თვითდასაქმებით, დიდი შრომის შედეგად ისწავლა მარწყვის მოვლა, ამ ცოდნას უზიარებს მეგობრებს	თანდათან აფართოებს ბიზნესს, დგამს ახალ სათბურებს, რაც ზამთარშიც აძლევს მოსავლის მიღების საშუალებას. მოსახლეობას /ბაზარს ზამთარშიც აქვს მარწყვის შეძენის საშუალება
„ვინმე რომ დაგინახავს, იტყვის – რა კარგი ბიჭიაო. ჩემთვის შექება სტიმულია, უფრო მეტის გაკეთება მინდა ხოლმე. ჩემი ნახელავი თუ სხვას მოსწონს, ცუდი რატომაა?!“ ლაშა-გიორგის რომელ თვისებაზე მიუთითებს მისი ეს გამონათქვამი?	მოსწონს შექება და აღიარება	თავდაჯერებული, რომელიც მუდამ იმუშავებს თვითგანვითარებაზე, მაგალითის მიმცემი იქნება თანატოლებისთვის	ბიზნესში აზარტული იქნება, სურვილი ექნება, იყოს საუკეთესო ბიზნესმენი, კონკურსებში მიიღებს მონაწილეობას.
ტექსტის მიხედვით, როგორ შეაფასებდით თავისი ოჯახის წევრებისადმი მის დამოკიდებულებას?	დადებითად, სურს დედა დააბრუნოს სამშობლოში, ზრუნავს დედაზე, დაზე	მზრუნველი, გააჩნია ემპათიის გრძნობა დედის მიმართ. აქვს პასუხისმგებლობის თავის თავზე აღების უნარი	

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სამეწარმეო საქმიანობა არის მოგების მიღების მიზნით განხორციელებული მართლზომიერი, არაერთჯერადი, დამოუკიდებელი და ორგანიზებული საქმიანობა.

Don't Copy



სამეწარმეო საქმიანობის მიზანი – საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება და მის საფუძველზე მოგების სისტემატური და პროფესიონალური მიღება მოქმედი კანონმდებლობით დაშვებულია. ამის გათვალისწინებით, ეკონომიკის ნებისმიერ სფეროში წარმოებული მართლზომიერი, მოგების მიღებისაკენ მიმართული საქმიანობა, არის სამეწარმეო საქმიანობა.

მეწარმეობა (სამეწარმეო საქმიანობა) უშუალო კავშირშია ადამიანის – მეწარმის პიროვნებასთან, რომელიც მოგების მიღების მიზნით საკუთარი სახსრებისა და პირადი რისკის საფუძველზე ეწევა საქმიანობას. როდესაც მწარმოებელი არა მხოლოდ ქმნის პროდუქციას, არამედ მყიდველთან (მომხმარებელთან) ამყარებს ეკონომიკურ ურთიერთობას წარმოებული საქონლის ხელსაყრელად გაყიდვის/გაცვლის მიზნით, წარმოება ხდება ბიზნესი. საქმიანობა ბიზნესს წარმოადგენს მხოლოდ მაშინ, როდესაც ის მიზნად ისახავს მოგების, შემოსავლის მიღებას. თანამედროვე საზოგადოებაში ნებისმიერი ადამიანი ამა თუ იმ ფორმით დაკავშირებულია ბიზნესთან. ზოგი თავად ქმნის ბიზნესს, ზოგი კი მოიხმარს ბიზნესის მიერ წარმოებულ პროდუქციას.

ბიზნესმენი ინგლისური წარმოშობის სიტყვაა და პირდაპირი გაგებით „საქმიან ადამიანს“ ნიშნავს.

წარმატებული ბიზნესმენი ფიქრობს საქმიანობიდან არა მარტო თავისი სარგებლის – საერთო მოგებიდან თავისი წილის მიღებაზე, არამედ იმ პირების სარგებლობაზეც, რომ-

Don't Copy!

ლებიც მონაწილეობენ ამ ბიზნესურთიერთობაში – საქმის თანამონაწილეებზე (პარტნიორებზე), კონტრაგენტებზე და სხვ.

საკუთარი ბიზნესის ქონა ადამიანს აძლევს თავისი ამბიციის დაკმაყოფილებისა და შესაძლებლობების გამოვლენის საშუალებას. ბიზნესის ნულიდან დაწყება საკმაოდ სარისკო საქმეა, მაგრამ რისკების სწორი გაანალიზებით შესაძლებელია შესანიშნავი შედეგის მიღება. ხოლო ეს შედეგი დამოკიდებულია მთლიანად მეწარმის შრომისმოყვარეობასა და ცოდნაზე.

ცოტა რამ ისტორიიდან

1901 წელს სენაკში მცხოვრებმა აზნაურმა ვარლამ გოთუამ საქართველოში პირველი ავტომანქანა ჩამოიყვანა. მანქანა სავარაუდოდ „როლს როისის“ მარკის იყო, რომლითაც მგზავრობა 12 ადამიანს შეეძლო. მოძრაობდა დაახლოებით 25 კილომეტრი საათში სიჩქარით. დღესდღეობით მისი ზუსტი მაკეტი სენაკში რკინიგზის მიმდებარე ტერიტორიაზე დგას.

იგი პირველი სამარშუტო ტაქსი იყო საქართველოში, მას მგზავრები სენაკი-ზუგდიდის მიმართულებით გადაჰყავდა და მგზავრობა ერთი მანეთი და 20 კაპიკი ღირდა.



ვარლამ გოთუას „როლს როისი“



როგორ გესმით ჰენრი ფორდის ეს გამონათქვამები?

„თუ შეშას დამოუკიდებლად დაჩეხავ, ის ორჯერ უფრო მეტად გაგათბობს“.

„ენთუზიაზმით ყველაფერს შეგიძლიათ მიაღწიოთ. ენთუზიაზმი ეს თქვენი თვალების ბრწყინვალებაა, გამალებული სიარულია, ხელის მაგრად ჩამორთმევაა, თქვენი იდეების განსახორციელებლად ენერგიისა და ნების დაუძლეველი მოზღვავებაა. ენთუზიაზმი მთელი პროგრესის ქვაკუთხედია! მხოლოდ მასთან ერთადაა პროგრესი შესაძლებელი. მხოლოდ მასთან ერთადაა წარმატება შესაძლებელი. მის გარეშე თქვენ მხოლოდ შესაძლებლობები გაგაჩნიათ.“




ჰენრი ფორდი (1863 – 1947 წ.წ.) - ამერიკელი მილიარდერი ბიზნესმენი, საავტომობილო კომპანიის მფლობელი

დავალება 3.2.

შეარჩიეთ თქვენთვის განსაკუთრებული, მისაბაძი პიროვნება – მეწარმე.
უპასუხეთ კითხვებს მის შესახებ:

- რა შთაბეჭდილებას ახდენს თქვენზე ეს ადამიანი?
- რა არის მისი გამორჩეული მახასიათებლები?
- რომელი სირთულეების გადალახვა მოუწია და როგორ მოახერხა ეს?
- რომელი ძლიერი მხარეები გამოიყენა მან ამისათვის?
- გამოიყენა თუ არა თავისი ძლიერი მხარეები კონკრეტული საქმისთვის? რა იყო ეს?
- რისი სწავლა გსურთ მისგან?

წარმოადგინეთ თქვენი მისაბაძი მაგალითი კლასში.



გაიცანით გოგო, რომელიც წალკაში საოჯახო ბიზნესს მართავს

სტატიის ავტორი: გიორგი გიორგაშვილი

ერნა 21 წლისაა და წალკაში, სოფელ დაშბაშში საოჯახო ბიზნესს მართავს. კოტეჯი „დაშბაშის პანორამა“ მდინარე ხრამის ხეობაში, პატარა გორაკზე, მისივე სახლის ეზოში დგას. იქიდან ყველაფერი ჩანს, რაც ასე იზიდავს ტურისტებს. მათი რიცხვი კი იზრდება, განსაკუთრებით, ბოლო დროს, დაშბაშის კანიონზე 240-მეტრიანი შუშის ხიდის გახსნის შემდეგ.

კოტეჯი დაშბაშის კანიონის შუშის ხიდსაც ზემოდან დაჰყურებს. გარდა კანიონის ხედისა, ირგვლივ ბევრი რამ იქცევს ყურადღებას — თითქმის ეზოს მიჯნაზეა X საუკუნეში აშენებული მცირე ზომის ეკლესია. ეზოდან ერთ-ერთი ბილიკი ჩანჩქერთან ჩადის და ეს ყველაფერი ქმნის განცდას, რომ ეზო სახლითა და კოტეჯით სრულ ჰარმონიაშია დაშბაშის ღირსშესანიშნაობებთან.

„ჩვენ არ აგვირჩევია ეს ადგილი, ამ ადგილმა აგვირჩია. ბოლო წლებში თვითონ მოგვთხოვა, რაღაც განსაკუთრებული გაგვეკეთებინა აქ“, — ამბობს ერნა და განმარტავს, რომ კანიონის მიმართ ტურისტების გაზრდილ ინტერესთან ერთად, „ეს ყველაფერი თავისთავად მოხდა“.

„გვეკითხებოდნენ, ხომ არ იცით, სად შეიძლება, ვჭამოთ ან გავჩერდეთო. სწორედ აქედან გაჩნდა იდეა, გადაგვეწყვიტა პირველი ნაბიჯები.

2018 წელს პატარა მაღაზიით დავიწყეთ. ეს განსაკუთრებულად რთული პერიოდი იყო ჩემთვის, რადგან მაღაზიაშიც ვმუშაობდი და, პარალელურად, ეროვნული გამოცდებისთვის ვემზადებოდი.

წამოწყებამ გაამართლა. შემდეგ კაფე გავხსენით და ვხვდებოდით, რომ სასტუმროც უნდა გაგვეკეთებინა, თუმცა არა ტიპური სასტუმრო, არამედ, განსხ-

ვავებული, ისეთი, შესაბამისობაში რომ იქნებოდა ბუნებასთან და ამ ადგილთან. მივხვდით, ეს უნდა ყოფილიყო ხის კოტეჯი პანორამული ხედით“, – ამბობს ერნა.

ოჯახი ერნას იდეებს ყოველთვის მხარს უჭერდა, ჩანაფიქრიდან — რეალიზებამდე.

„ჩემს ყველა იდეაზე ამბობდნენ — კარგი, მოდი, ვცადოთ, ეს კი მოტივაციას მიასმაგებდა. განსაკუთრებით დედის მხარდაჭერა იყო მნიშვნელოვანი, არა მხოლოდ ემოციური თვალსაზრისით, არამედ იმიტომაც, რომ ძალიან სწორ და გამოსადეგ რჩევებს მაძლევდა“, – აღნიშნავს ერნა.

იდეების რეალიზებამდე, როგორც თვითონ ამბობს, „პატარ-პატარა ნაბიჯებმა“ მიიყვანა. ერთ-ერთი ასეთი ნაბიჯი იყო მეტი ინფორმაციის მოძიება საგრანტო პროექტზე „ეს წალკაა“, რომელსაც ევროკავშირი ახორციელებს. პროექტის ერთ-ერთი მიზანი სწორედ ქალთა ეკონომიკური გაძლიერებაა.

თავდაპირველად ამ პროექტის შესახებ წალკის ადგილობრივი განვითარების ჯგუფისგან შეიტყო: „მახსოვს, ადგილობრივი განვითარების ჯგუფის წარმომადგენლები სოფელ-სოფელ დადიოდნენ და ავრცელებდნენ ინფორმაციას. ჩემი იდეით სწორედ მათ მივმართე და ძალიან დიდი მხარდაჭერაც მივიღე — დამაკვალიანეს, რა იყო მნიშვნელოვანი პროექტის წერისას, რაზე უნდა გამეკეთებინა აქცენტი.

დიდი გამოწვევა იყო. არც ცოდნა მქონდა, არც — გამოცდილება. ამ ჯგუფის დახმარების პარალელურად, პროექტის წერისას უამრავ ინფორმაციას ვიძიებდი ინტერნეტიდანაც. ზოგჯერ ინტუიციას მივყვებოდი. სირთულეების გადალახვაში ჩემი ოპტიმისტური ხასიათიც მეხმარებოდა. ამის მიუხედავად, იყო მომენტები, როდესაც შემშინებია, რომ არ გამომივიდოდა, მაგრამ – არა! ასეთ პერიოდებს თვითრწმენა და ბევრი შრომა უნდა დაუპირისპირო“, – ამბობს ერნა.

გამოწვევების მიუხედავად, მიზნის მიღწევა მაინც შეძლო. მან საკუთარი იდეა ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი პროექტის „ადგილობრივი ლიდერები მდგრადი განვითარებისათვის წალკის მრავალეთნიკურ მუნიციპალიტეტში — ეს წალკაა“ საგრანტო კონკურსში წარადგინა და 30 000 ლარის ოდენობის დაფინანსება მოიპოვა.

ევროკავშირის ეს პროექტი სოფლის და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის ნაწილია. მისი მიზანია, წალკის მუნიციპალიტეტში ადგილობრივებისთვის შემოსავლის მრავალფეროვანი წყაროები შექმნას და მხარი დაუჭიროს საზოგადოებრივ და ბიზნეს ინიციატივებს.

„დაშბაშის პანორამა“

კოტეჯის მართვისას ოჯახის წევრებს როლები გადანაწილებული აქვთ. ერნა, მეტწილად, სტუმრებთან კომუნიკაციასა და სასტუმროს პოპულარიზებაზე ზრუნავს.

„ვმართავ გვერდებს Booking-ზე, Airbnb-სა და Facebook-ზე. ეს პლატფორმები მნიშვნელოვანია არა მხოლოდ სტუმრების მოსაზიდად, არამედ უკუკავშირის მისაღებადაც. უკუკავშირი პოზიტიურია. განსაკუთრებულად კი ის გვახარებს, როდესაც წერენ, ხედის გამო მოვედით, მაგრამ მასპინძლობის კულტურამ მოლოდინს გადააჭარბაო.

ვიზიტორებისთვის მხოლოდ კომფორტული პირობების შექმნა არაა საკმარისი. მასპინძლობაა მნიშვნელოვანი — დახვედრა, გულწრფელი ემოციური კავშირი

მათთან და გულღიაობა. მთავარია, მიიღო ისინი ისე, როგორც საკუთარ სახლში“, – ამბობს ერნა.

ხისგან აშენებული კოტეჯი მაქსიმუმ ოთხ ადამიანზეა გათვლილი. კოტეჯი თანამედროვე და მყუდროა. ავეჯის განლაგებასა და დიზაინზეც თავად ერნამ იზრუნა. „დაშბაშის პანორამას“ სტუმრებს შორის ბევრი უცხოელია, მათ შორის, ევროპის ქვეყნებიდანაც. ხელმისაწვდომი ფასისა და ხედის გამო, კოტეჯი ადგილობრივებშიც პოპულარულია.

სამომავლო მიზნები

მართალია, საქმიანობის ამ ეტაპზე ბევრი თანამშრომელი არ სჭირდებათ, მაგრამ კოტეჯსა და სამზარეულოში ორი ადამიანის დასაქმება მაინც შეძლეს. მომავალში კი მეტსაც დაასაქმებენ, რადგან ოჯახს ბიზნესის განვითარების გეგმა აქვს.

„მომავალს დიდი იმედებით ვუყურებთ. გვინდა განვავითაროთ სარესტორნო საქმიანობა და რამდენიმე კოტეჯიც შევმატოთ ამ ადგილს“, – აღნიშნავს ერნა.

ერნა პროფესიით იურისტია. უნივერსიტეტი თბილისში უკვე დაასრულა. პროფესიულ განვითარებას გეგმავს, მაგრამ მთავარ მიზნად ჯერ მაინც სასტუმროს ბიზნესის განვითარება აქვს დასახული.

„მინდა მივეხმარო ოჯახს და შევქმნა რაღაც მნიშვნელოვანი, რომელსაც დავუტოვებ მათ და შეძლებენ მართონ“, — გვეუბნება ერნა. სწავლის გაგრძელება გერმანიაში უნდა და ახალი კოტეჯების აშენების შემდეგ ეს მისი მომდევნო მიზანი იქნება.

იმ ახალგაზრდა ქალებს კი, რომლებიც ახლა ფიქრობენ საკუთარ საქმიანობაზე და არ იციან, როგორ დაიწყონ, ამ რჩევებს უტოვებს:

„შეცდომებიც დავუშვი და ამის გამო ბევრჯერ მისაყვედურია კიდეც საკუთარი თავისთვის, მაგრამ მერე მივხვდი, რომ ამან გამოცდილება მომცა, ეს უნდა გამევლო.

ასეთი გამოთქმაც არსებობს: იმისთვის, რომ რაღაც კარგად გამოგივიდეს, ჯერ ცუდად უნდა გააკეთოო. რამეს ცუდად რომ აკეთებ, ესეც გაკეთებაა, საერთოდ არაფრის კეთებას სჯობს. ასე რომ, არ შეგაშინოთ შეცდომებმა. გჯეროდეთ თქვენი შესაძლებლობების. უნდა დაისახოთ რეალისტური მიზნები, გადადგათ პატარ-პატარა ნაბიჯები და დიდი შრომით ყველაფერი აუცილებლად გამოგივათ.

ისიც გახსოვდეთ: როგორც არ უნდა გეხმარებოდნენ, თუ გინდა რამეს მიაღწიო, პირველ რიგში, შენ თავად უნდა იშრომო ძალიან ბევრი“.

დავალება 3.3.

გაეცანით ერნას სამეწარმეო საქმიანობას. დაამუშავეთ მისი მახასიათებლები ლაშა-გიორგის ზემოთ მოცემული ცხრილის მსგავსად. რვეულში გადაიტანეთ ცხრილი და შეავსეთ.

კითხვა	პასუხი	პიროვნული მახასიათებელი/ცოდნა/უნარი	განვითარების პერსპექტივა

არ ჩაწერო წიგნში!



უპასუხეთ კითხვებს:

- რა მსგავსებასა და რა განსხვავებას ხედავთ ლაშა-გიორგისა და ერნას სამეწარმეო საქმიანობაში?
- რა მოტივაცია ჰქონდა თითოეულ მათგანს ბიზნესსაქმიანობის დასაწყებად?



იმსჯელეთ:

- რა ცოდნა და უნარები სჭირდებათ მათ შემდგომში საქმიანობის წარმატებით წარმართვისთვის?
- როგორ დაუკავშირებდით ამერიკელი მილიარდერის, ჰენრი ფორდის, ზემოთ ხსენებულ სიტყვებს ჩვენი ამბების გმირების საქმიანობას?

ვთქვათ, თქვენ ხართ ბიზნესკონსულტანტი. ჩამოაყალიბეთ რეკომენდაციები, რომლებსაც მისცემდით ლაშა-გიორგის და ერნას სამეწარმეო საქმიანობის შემდგომი გაფართოებისთვის.

ბიზნესი ისეთი სახის საქმიანობაა, რომელიც ხორციელდება კერძო პირების, საწარმოების (ფირმების, კომპანიების) მიერ ბუნებრივი დოვლათის მოპოვების, გადამუშავების, საქონლის (მომსახურების) წარმოების, შეძენის და გაყიდვის ან სხვა საქონელზე გაცვლისათვის, რაც იწვევს დაინტერესებული პირების ან საწარმოების (ორგანიზაციების) ურთიერთსარგებლობას.

ადამიანების მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით ნებისმიერი საქმიანობა/პროდუქციის შექმნა არ მიიჩნევა ბიზნესად. მაგალითად: თექის პროდუქციის დამზადება ოჯახის წევრებისთვის. მაგრამ თუ ეს პროდუქცია მზადდება გასაყიდად, მაშინ ის უკვე შეიძლება ჩაითვალოს ბიზნესად. ე.ი. ბიზნესი არის კანონიერი გზით მოგების მიღების მიზნით განხორციელებული სამეწარმეო საქმიანობა.

მსოფლიოში ყველა ადამიანს სურს ფინანსური სტაბილურობა, მუდმივი შემოსავალი „ფინანსური სტაბილურობა მეწარმეობაშია!“ – ამბობს რობერტ კიიოსაკი, იაპონელი ბიზნესმენი, მწერალი.

ბიზნესის დასაწყებად საჭირო ინფორმაციის მისაღებად გაეცანით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ევროკავშირის (EU) და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით შექმნილ ვიდეორგოლს მითითებულ ბმულზე:

https://www.youtube.com/watch?v=ZlbjMO-n684

ან გაეცანით ინსტრუქციას: ,,როგორ დავიწყოთ ბიზნესი”. (იხ. დანართი 6. გვ 241)

Don't Copy

სამეწარმეო საქმიანობის/ბიზნესის სამართლებრივ ჩარჩოებში მოსაქცევად სახელმწიფოში შექმნილია შესაბამისი კანონმდებლობა.

საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ



მუხლი 1

1. ეს კანონი აწესრიგებს მეწარმის სამართლებრივ ფორმებს, მათი დაფუძნებისა და რეგისტრაციის პროცედურებს და მათ საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს.

მუხლი 2.

1. მეწარმედ მიიჩნევა ფიზიკური პირი ან იურიდიული პირი, რომელსაც აქვს საწარმო.

2. საწარმო არის სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების ორგანიზებული სისტემა. სამეწარმეო საქმიანობა არის მოგების მიღების მიზნით განხორციელებული მართლზომიერი, არაერთჯერადი, დამოუკიდებელი და ორგანიზებული საქმიანობა.

3. სამეწარმეო საქმიანობა შეიძლება განხორციელდეს ინდივიდუალური მეწარმის ან სამეწარმეო საზოგადოების ფორმით. სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება, კოოპერატივი სამეწარმეო საზოგადოებაა.

4. სამეწარმეო საზოგადოება არის იურიდიული პირი.

5. ინდივიდუალური მეწარმე არ არის იურიდიული პირი. იგი საქმიან ურთიერთობაში თავის უფლებებს ახორციელებს და მოვალეობებს ასრულებს, როგორც ფიზიკური პირი. ინდივიდუალური მეწარმე სამეწარმეო საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებებისთვის კრედიტორის წინაშე პასუხს აგებს პირადად, მთელი თავისი ქონებით, თუ ინდივიდუალურ მეწარმესა და კრედიტორს შორის შეთანხმებით (გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული ხელშეკრულების სტანდარტული პირობებისა) სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 3.

საქმიანობა, რომელიც სამეწარმეო საქმიანობად არ მიიჩნევა

1. სამეწარმეო საქმიანობად არ მიიჩნევა ფიზიკური პირების სასოფლო-სამეურნეო ან სატყეო-სამეურნეო საქმიანობა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მის განსახორციელებლად მუდმივად დასაქმებულია 5 პირი მაინც, რომელიც არ არის წარმოების მფლობელის ოჯახის წევრი. ასეთ შემთხვევაში საქმიანობის განხორციელებისთვის აუცილებელია მეწარმის სამართლებრივი ფორმის დაფუძნება.



იმსჯელეთ:

გაეცანით მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონიდან აქ წარმოდგენილ მუხლებს და იმსჯელეთ: ლაშა-გიორგის და ერნას სამეწარმეო საქმიანობების კანონის შესაბამისად, მეწარმის სამართლებრივი ფორმით დაფუძნების/რეგისტრაციის აუცილებლობის შესახებ.

საქართველოში ბიზნესის დარეგისტრირება მარტივ პროცედურებთანაა დაკავშირებული და ამისათვის მხოლოდ ერთი დღეა საჭირო. იმისათვის, რომ დაარეგისტრიროთ ბიზნესი, მნიშვნელოვანია განსაზღვროთ მეწარმე-სუბიექტის ფორმა, რომელიც სხვადასხვაგვარია და ერთმანეთისგან განსხვავდება თავისი შინაარსით, ვალდებულებებითა და პასუხისმგებლობებით.

მეწარმე სუბიექტის რეგისტრაცია სავალდებულოა და მას ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო;




მეწარმე სუბიექტის არსებობა დგინდება ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, რომლის მიღება შესაძლებელია სააგენტოს ვებ-გვერდიდანაც; ამონაწერს საჯარო რეესტრიდან, ისევე, როგორც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ვებ-გვერდიდან სხვა ნებისმიერ ელექტრონულად მიღებულ დოკუმენტს, აქვს სრული იურიდიული ძალა, მიუხედავად იმისა, რომ არ ახლავს უფლებამოსილი პირის ხელმოწერა და ბეჭედი.



ბიზნესის რეგისტრაციის შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ბმულს:
https://cutt.ly/49kgEkk

მეწარმის რეგისტრაცია მოიცავს როგორც სახელმწიფო რეგისტრაციას, ისე საგადასახადო რეგისტრაციას. მეწარმის რეგისტრაციას ახორციელებს მარეგისტრირებელი ორგანო – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, საიდანაც ინფორმაცია გადაეცემა შემოსავლების სამსახურს, რომელიც ავტომატურად არეგისტრირებს, როგორც გადასახადების გადამხდელ სუბიექტს.



ბოლო პერიოდში ბევრი ახალი საწარმო – ე.წ. სტარტაპი შეიქმნა, ზოგი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის გარეშე ფუნქციონირებს, ზოგიც შეზღუდული პასუხისმგებლობების საზოგადოებას (შპს) აფუძნებს ან ინდმეწარმის სტატუსით მოქმედებს. მეწარმის სტატუსის არჩევა საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე უნდა მოხდეს. გადაწყვეტილების მიღების დროს სასურველია სამომავლო გეგმების გათვალისწინებაც.

რეგისტრაციის მხრივ, შპს-ის და ინდმეწარმის რეგისტრაცია დიდ ძალისხმევას არ საჭიროებს და თითქმის მსგავსი პროცედურებია გასავლელი; ამ ორ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას შორის არსებობს როგორც განსხვავება ისევე მსგავსება.

DRAFT COPY

	ინდმეწარმე	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს)
განსხვავება	ფიზიკური პირი	იურიდიული პირი
	სამეწარმეო საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებებისთვის კრედიტორის წინაშე პასუხს აგებს პირადად, მთელი თავისი ქონებით, ანუ იმ შემთხვევაში, თუ მეწარმეს ბიზნესსაქმიანობიდან დაედება ვალი, მევალეს შეეძლება ინდმეწარმეს მოსთხოვოს პირადი ქონება ვალის დასაფარად.	დამფუძნებელი/მეწილე სამეწარმეო საზოგადოების ვალდებულებისთვის კრედიტორის წინაშე პასუხს არ აგებს. მევალეს შეეძლება ვალის დასაფარად მოითხოვოს მხოლოდ შპს-ის საკუთრებაში არსებული ქონება და არა დამფუძნებლის პირადი ქონება;
მსგავსება	ვალდებულია თანამშრომლების ან დაქირავებული პირებისთვის ყოველი გადახდილი ხელფასის/ჰონორარის შესაბამისი საშემოსავლო გადასახადი 20% თავად გადაიხადონ ბიუჯეტში.	ვალდებულია თანამშრომლების ან დაქირავებული პირებისთვის ყოველი გადახდილი ხელფასის/ჰონორარის შესაბამისი საშემოსავლო გადასახადი 20% თვითონ გადაიხადონ ბიუჯეტში.

სანდოობისა და კლიენტებთან /დამკვეთებთან კომუნიკაციის კუთხით, უმჯობესია შპს-ის დაფუძნება. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ საწარმოების უმრავლესობას ურჩევნია იურიდიულ პირთან თანამშრომლობა.

ინდივიდუალური მეწარმე არ არის იურიდიული პირი! ის ბიზნესურთიერთობაში გვევლინება, როგორც ფიზიკური პირი, თავისი სახელით და გვარით, რომელსაც აქვს ინდმეწარმის სტატუსი. ის თავის უფლებებს განახორციელებს და მოვალეობას ასრულებს ისე, როგორც ფიზიკური პირი. შპს-ს შესაძლოა, ნებისმიერი სახელი დაერქვას და ბიზნესსაქმიანობა განახორციელოს, როგორც ორგანიზაციამ, რომლის საქმიანობაც პირდაპირ არ დაუკავშირდება დამფუძნებელ ფიზიკურ პირს;

ბოლო პერიოდში ბევრი ინდმეწარმე სარგებლობს სხვადასხვა შეღავათით. საქართველოს კანონმდებლობამ დაადგინა სპეციალური შეღავათიანი დაბეგვრის რეჟიმები და სტატუსები (მიკრობიზნესი, მცირებიზნესი). ხოლო მცირებიზნესის სტატუსის მქონე პირი სარგებლობს დაბეგვრის შეღავათიანი რეჟიმით.

მიკრობიზნესის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს ფიზიკურ პირს, რომელიც დამოუკიდებლად ეწევა ეკონომიკურ საქმიანობას და ჯამური ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 30 ათას ლარს. მიკრობიზნესის სტატუსის მქონე პირი არ იბეგრება საშემოსავლო გადასახადით.

მცირე ბიზნესის სტატუსი შეიძლება მიენიჭოს მეწარმე ფიზიკურ პირს, რომლის ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული ერთობლივი შემოსავალი კალენდარული წლის განმავლობაში არ აღემატება 100 000 ლარს.

შეღავათიანი დაბეგვრის რეჟიმებისა და სამეწარმეო სტატუსების შესახებ ინფორმაციას შეგიძლიათ გაეცნოთ საქართველოს ბიზნესომბუდსმენის ვებგვერდის შემდეგ ბმულზე: https://cutt.ly/z9kfMRb



დავალება 3.4.

- რომელი სამართლებრივი ფორმით ურჩევდით თავისი ბიზნესის დარეგისტრირებას ლაშა-გიორგის? ერნას? რატომ?

DO NOT COPY

- თქვენს ოჯახში, უბანში, თემში, ქალაქში გამოიკვლიეთ, ვინ ეწევა სამეწარმეო საქმიანობას და რა ფორმით აქვთ დარეგისტრირებული თავისი ბიზნესი? რატომ აირჩია ეს ფორმა? რამდენად კმაყოფილია თავისი არჩევანით?

გამოკვლევის შედეგები გააცანით კლასს.



დავალება 3.5.

სამეწარმეო საქმეში დასახული მიზნების მისაღწევად აუცილებელია ადამიანმა გაიაზროს თავისი ძლიერი მხარეები და მათზე დაყრდნობით დაგეგმოს თავისი საქმიანობა. შრომის ეფექტურობის გაზრდას.

- როგორ ფიქრობთ, რატომ არის მნიშვნელოვანი ჩვენი ძლიერი მხარეების გამოვლენა და მასზე დაყრდნობით მოქმედება?

ქვემოთ მოცემული კითხვები დაგვეხმარება გამოვარკვიოთ ჩვენი ძლიერი და განსავითარებელი მხარეები.

(ცხრილი გადაიტანეთ რვეულში და შეავსეთ).

რა არის თქვენი ყველაზე ძლიერი მხარეები?	
თქვენი ძლიერი მხარეებიდან რომელს და როგორ იყენებთ ყველაზე ხშირად, ყოველდღიურ ცხოვრებაში?	
როგორ შეგიძლიათ გამოიყენოთ თქვენი სხვა ძლიერი მხარეები უფრო ხშირად (მაგ. სკოლაში, სახლში, მეგობრებთან ერთად)?	
რომელი ძლიერი მხარის უფრო მეტად განვითარებას ისურვებდით?	
რა მიზნებს ისახავთ უახლოეს წლებში (საგანმანათლებლო, პროფესიული და სხვა)?	
როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი თავი 5 წლის შემდეგ?	
რა სირთულეების გადალახვა შეიძლება მოგიწიოთ?	



დავალება 3.6.

დაგიწერიათ როდისმე წერილი საკუთარ თავისთვის? ცადე!

ამაღელვებელია წერილის ხელახლა წაკითხვა წლების შემდეგ. ეს მოგცემთ შესაძლებლობას, ნახოთ, როგორ შეიცვალეთ და რას მიაღწიეთ.

მისწერეთ წერილი საკუთარ თავს. ჩადეთ წერილი კონვერტში, რომელზედაც დააწერთ თქვენს სახელს და წერილის გახსნის თარიღს (მაგალითად, თქვენი 18 წლის დაბადების დღე). ჩადეთ წერილი ყუთში, სუვენირებთან და სიმბოლოებთან ერთად, რომლებიც გაძლევენ ძალას, მაგალითად, ფოტოები, სამოტივაციო გამონათქვამები, თქვენი ძლიერი მხარეების ჩამონათვალი, ის, რაც მოგაგონებთ თქვენს გმირებსა და იდეებს.

Don't Copy

§ 4. როგორ იბადება ბიზნესიდეა?

- გაიხსენეთ თბილისში მე-19 საუკუნის ხელოსნობისა და მეწარმეობის ისტორია. რომელი სამეწარმეო დარგები იყო განვითარებული?
- რა განაპირობებდა ამ კონკრეტული სამეწარმეო დარგების განვითარებას?



ზუბალაშვილების – მრეწველთა, სოვდაგართა, ქველმოქმედთა და მეცენატთა ცნობილი საგვარეულო შტო, რომელთა შესახებაც ცნობები საისტორიო საბუთებში XVII საუკუნის 80-იანი წლებიდან გვხვდება. გარდა იმისა, რომ დროული და რისკიანი სამრეწველო გადაწყვეტილებებით გამოირჩეოდნენ, ამასთანავე, ქვეყნისთვის გაწეული უანგარო სამსახურისთვის ძალიან დიდ როლს ასრულებდნენ ეროვნული ღირებულებების დაცვის კუთხითაც.

ზუბალაშვილების მიერ შექმნილმა მეწარმეთა ამხანაგობამ 1837 წელს თბილისში დააარსა შაქრის ქარხანა, რომელიც პირველი შაქრის ქარხანა იყო მთელს ამიერკავკასიაში. ქარხნის მაქსიმალურმა მწარმოებლურობამ 186 ათას მანეთს მიაღწია. ქარხანაში 50 დაქირავებული მუშა, 10-ზე მეტი ოსტატი და ზედამხედველი მუშაობდა. ქარხანამ 7-8 წელი იარსება. დაიხურა უმთავრესად რუსეთიდან შემოტანილი შაქრის კონკურენციის გამო.

1842 წელს იაკობ ზუბალაშვილმა თბილისში დიდი ქარვასლა ააშენა, რომელიც 10 სავაჭრო მაღაზიას, საწყობებს, ღვინის სარდაფებსა და 71 სასტუმრო ოთახს აერთიანებდა.

ძმები სამეწარმეო საქმიანობის გარდა დიდ ქველმოქმედებას ეწეოდნენ მთელი საქართველოს მასშტაბით. ქართველთა შორის წერა–კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ ძმები ზუბალაშვილების მამის, კონსტანტინე ზუბალაშვილის, სახელობის სტიპენდიის დანიშვნის წესი და პირობები შეიმუშავა და 1908–1914 წლებში, ჯამში 47 სტუდენტის სრული, 4 წლიანი კურსი დააფინანსა.

მეცენატი ძმების მხარდაჭერითა და ფინანსური შემოწირულობებით დააარსა ილია ჭავჭავაძემ წერა–კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და, ასევე, სათავადაზნაურო ბანკი.

მათ სახელს უკავშირდება თბილისში პირველი პედიატრიული საავადმყოფოს გახსნაც, რომელიც ძმებმა სრულად აღჭურვეს ევროპიდან ჩამოტანილი სამედიცინო ხელსაწყოებით.

ძმები ზუბალაშვილების სახელს უკავშირდება ამჟამინდელი მარჯანიშვილის თეატრი, თბილისის უნივერსიტეტი და კონსერვატორია. ამ ისტორიული შენობების აგებისთვის ზუბალაშვილებმა საკმაოდ დიდი თანხები გაიღეს. ისინი აქტიურად აფინანსებდნენ გაზეთ „ივერიასა“ და ჟურნალ „ჯეჯილს“.

ბოზარჯიანცის თამბაქოს საწარმო


ბოზარჯიანცების სახლი

თამბაქოს საწარმო ტფილისში (ვერის სასაფლაოს ბოლოში) ბოზარჯიანცებმა 1858 წელს გახსნეს, რომელიც მოგვიანებით სააქციო საზოგადოებად გადააქციეს და „ბოზარჯიანცი და შვილები“ დაარქვეს. საწარმოს რამდენიმე საფირმო მაღაზია ჰქონდა გახსნილი. ამ პერიოდში ბევრი წვრილი საწარმო იხურება პოლიტიკური, ეკონომიკური და ტექნოლოგიური მიზეზებით, როგორებიცაა: რუსეთ-თურქეთის ომი, ახალი სააქციზო სისტემა, მექანიზაციის პროცესი... კონკურენციაც დიდია. ბოზარჯიანცი კი მაინც ახერხებს დროთა განმავლობაში თავისი მანუფაქტურული ტიპის წარმოების მსხვილ სააქციო საზოგადოებად ჩამოყალიბებას.

მე-19 საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში საწარმო წლიურად 1200 ფუთ (19 656 კგ.) ადგილობრივ და 150 ფუთ (2 457 კგ.) შემოტანილ თამბაქოს გადაამუშავებს. საწარმოს აღჭურვილობაა: თამბაქოს საჭრელი 8 დაზგა, 25 დანა და ქაღალდის საჭრელი 1 მანქანა.

მუშახელი: 70 კაცი, მათგან 5 უცხოელი.

პროდუქცია: თუთუნი, პაპიროსი, სიგარა. მოგვიანებით სიგარა წარმოებიდან ამოიღეს.

გასაბჭოების შემდგომ ბოზარჯიანცის თამბაქოს საწარმოს მუშაობა არ შეუწყვეტია, აქ კომუნისტები ცნობილ სიგარეტს – „პრიმას“ აწარმოებდნენ.

ძმები ზუბალაშვილები და ბოზარჯიანცები მილიონერი მეწარმეები იყვნენ.

დავალება 4.1.

იმსჯელეთ:

- რამ განაპირობა მათი წარმატება?
- როგორ ფიქრობთ, რა კონკრეტული ცოდნა და უნარები ედო საფუძვლად მათი ბიზნესიდეების ჩამოყალიბებას?
- მოიძიეთ მეტი ინფორმაცია ამ მეწარმეების საზოგადოებრივი და სამეწარმეო საქმიანობის შესახებ. დაახასიათეთ მათი საქმიანობა საზოგადოებისთვის სარგებლიანობის თვალსაზრისით.

ძმები ზუბალაშვილების და ბოზარჯიანცების საწარმოები იმდროინდელი საზოგადოების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ემსახურებოდა, თუმცა შაქრის წარმოება და თამბაქოს პროდუქციის შექმნა დღესაც აქტუალური სამეწარმეო საქმიანობაა.

წარმატებული მეწარმე სამეწარმეო უნარებით დაჯილდოებული ადამიანია. სამეწარმეო უნარები მოიცავს შესაძლებლობების დანახვის, იდეების ჩამოყალიბების, რესურსების მართვის და იდეების პრაქტიკულად განხორციელების უნარებს.



შესაძლებლობების დანახვისა და ანალიზის უნარი ეხმარება მეწარმეს მრავალი იდეიდან და შესაძლებლობიდან საუკეთესოს შერჩევაში, შერჩეული იდეის გარემოზე გავლენისა და მისი შედეგების გააზრებაში.

რესურსების მობილიზებისა და მართვის უნარი – ეხმარება თავდაჯერებულობის განმტკიცებასა და შემდგომ განვითარებაში, საკუთარ სისუსტეებზე თვითრეფლექსიაში, ბიუჯეტის სწორად დაგეგმვასა და შეზღუდული რესურსების პირობებში ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფაში.

იდეის პრაქტიკულად განხორციელების უნარი – ეხმარება პრიორიტეტების განსაზღვრაში, საქმის მაღალ დონეზე ორგანიზებასა და წარმატებით შესრულებაში, გაურკვევლობის, ბუნდოვანების და მაღალი რისკის პირობებში სწორი გადაწყვეტილებების მიღებასა და კეთებით სწავლაში.

ხშირ შემთხვევებში მეწარმის პირად თვისებებთან, უნარებთან, ჰობისთან, ოცნებებთან და ა.შ. არის დაკავშირებული ბიზნესიდეის არჩევა.

ცარიელი ხელებით და დიდი მონდომებით დაწყებული ბიზნესი

სტატიის ავტორი ნინო გონგაძე

ტურიზმი, ღვინის წარმოება და ფოტოგრაფია – ერთი გოგოს სამი წარმატებული საქმე გახლავთ...

თამთა: ექვსი წლის წინ, როდესაც ტურიზმით დავინტერესდი, ყველა მეუბნებოდა, თუ სერიოზულად გინდა ამ საქმეს მოჰკიდო ხელი, აუცილებლად უნდა გქონდეს ოფისიო, მაგრამ მე ამის საჭიროებას ვერ ვხედავდი, რადგან სახლიდან ძალიან კარგად ვმუშაობდი. პანდემიამ კი, სამწუხაროდ, ჩემი თეორია პრაქტიკაში დაგვანახა. ექვსი წლის წინ საქართველოში ბიზნესგვერდები ძირითადად „ფეისბუქზე“ იყო წარმოდგენილი, „ინსტაგრამს“ კი უფრო სამოყვარულო დონეზე ვიყენებდი, თუმცა ვთვლიდი, რომ ამ პლატფორმას დიდი რესურსი ჰქონ-



და, შესაბამისად დავიწყე საინტერესო კონტენტის შექმნა და ე.წ „ჰაშთეგების“ გამოყენება. სასაათო სარტყელსაც კი ვითვალისწინებდი, რომ ჩემი პოსტი სწორ დროს სასურველ აუდიტორიამდე მიმეტანა. იმდენად კარგად ვიმუშავე, რომ ჩემი პირველი ტურისტები „ინსტაგრამით“ მოვიზიდე ყოველგვარი სხვა რეკლამის გარეშე. ტურები მხოლოდ საქართველოს მასშტაბით მაქვს, გიდის ფუნქციასაც მე ვითავსებ. ძალიან მიყვარს ჩემი ქვეყანა, მის კულტურასა და ტრადიციებზე საუბარი. უცხოელი სტუმრის აღფრთოვანებული თვალები და დადებითი ემოციები მაძლევს მეტ მოტივაციას და ენერგიას.

ძირითადად ვცდილობ, რომ ელიტური ტურები დავგეგმო. ანუ ისეთ კატეგორიასთან ვიმუშაო, რომლებიც ჩვენი ქვეყნის სახელს საზღვრებს გარეთ გაიტანენ, ესენი არიან: ფოტოგრაფები, ბლოგერები და ვიდეოგრაფები.

მცირე მეწარმეობა:

ღვინის წარმოება ჩემი იდეა იყო. ალბათ ყველა იცნობთ ამერიკელ ჯონ ვურდემანს, რომელიც რამდენიმე წლის წინ ჩამოვიდა საქართველოში და სიღნაღში ღვინის მარანი აქვს. სწორედ კახეთში შევხვდი შემთხვევით ჯონის, რომელიც რესტორან „აზარფეშასთვის“ მენეჯერს ეძებდა. გამომდინარე იქიდან, რომ უცხოელებთან მუშაობა ყოველთვის მაინტერესებდა, ეს შემოთავაზება მივიღე. სომელიეს კურსები არ გამივლია, ყველაფერი ჯონისთან შევისწავლე, თეორიულ ცოდნასთან ერთად პრაქტიკულიც მივიღე. ძალიან ახლოს მოვიდა ჩემთან ღვინის თემატიკა, რამაც დაბადა საკუთარი ღვინის წარმოების იდეა. რომ არა ჩემი ოჯახის წევრები, ამ საქმეს რეალობად ვერ ვაქცევდი.



ფოტოგრაფია:

ფოტოგრაფიისადმი ინტერესი ბავშვობიდან მქონდა. როცა სოფელში ბებოსთან ჩავდიოდი, განსაკუთრებულად მიყვარდა ძველი ალბომების თვალიერება. შემეძლო საათობით მეთვალიერებინა შავ-თეთრი პორტრეტები, არ მბეზრდებოდა.



როგორც მოყვარულმა ფოტოგრაფმა, ისე დავიწყე. თავისუფალ დროს ვიღებდი ტელეფონს, ან პლანშეტს და ვიწყებდი გარემოს ჩემებურად აღბეჭდვასა და გადმოცემას. თავიდან ფოტოებს არავის ვაჩვენებდი, ვფიქრობდი, რომ არ იყო ღირებული და ამას მხოლოდ ჩემი სიამოვნებისთვის ვაკეთებდი... ძირითადად ასაკოვან ადამიანებს და ბუნებას ვუღებდი ფოტოებს.

ბევრი კადრი მაქვს, რომელზეც მეუბნებიან, რომ იმსახურებს გამოფენას, მე კი ვფიქრობ, რომ საამისოდ კიდევ ბევრი მაქვს ჩემს თავზე სამუშაო. ორ კონკურსში მივიღე მონაწილეობა, სადაც მოყვარულ თუ პროფესიონალ ფოტოგრაფებთან ერთად გამოიფინა ჩემი ნამუშევრებიც. ახლა პორტრეტების გადაღებით ვარ დაკავებული. გადავწყვიტე, ვიმოგზაურო საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და საინტერესო ადამიანების პორტრეტები შევქმნა. ზოგადად ფოტოგრაფიაში კარგი კადრი თვითონ გადმოსცემს სათქმელს. მაგრამ ვფიქრობ, ორმაგად საინტერესო იქნება, თუ პორტრეტს აღწერასაც დავურთავ, რადგან ყველა პორტრეტის უკან საინტერესო ისტორია იმალება. სწორედ ამ პორტრეტების გამოფენა არის ნაწილი ჩემი სამომავლო გეგმებისა.

დავალება 4.2.

თამთა სამ, ერთმანეთისგან განსხვავებულ, საქმიანობას ეწევა, თუმცა ამ საქმიანობებს შორის შესაძლოა კავშირის აღმოჩენა, თქვენი აზრით, რა არის ეს კავშირი?

დაფიქრდით, რა არის თამთას წარმატების საფუძველი.

დაასრულეთ ფრაზა: წარმატება დამოკიდებულია ...

გაეცანით სამეწარმეო კომპეტენციების ჩარჩოს საკითხის თავფურცელზე (გვ. 34) ცხრილის გამოყენებით შეაფასეთ, რა კომპეტენციები აქვს თამთას და, თქვენი აზრით, რომლის განვითარება სჭირდება.

(ცხრილი გადაიტანეთ რვეულში და შეავსეთ).

კომპეტენცია	კომპეტენციების შეფასება		
	კარგი	საშუალო (საჭიროებს გაძლიერებას)	სუსტი (საჭიროებს შეძენას/მიღებას)

არ ჩაწერო წიგნში!

მეწარმის ამბიცია, მოახდინოს გავლენა გარემოზე და შეცვალოს სამყარო, ხშირად ინოვაციური იდეების წარმოშობის საფუძველია. ინოვაციას ხშირად მხოლოდ მაღალტექნოლოგიურ გამოგონებებს უწოდებენ, მაშინ, როცა ინოვაციაა ყველაფერი რაც:

- ცვლის მომხმარებლის ცხოვრების ხარისხს
- აუმჯობესებს საზოგადოების კეთილდღეობას
- ხელმისაწვდომს ხდის პროდუქტებს და სერვისებს
- იწვევს ეკონომიკურ ზრდას
- ეხმარება მეწარმეს/ბიზნესს, მოიპოვოს კონკურენტული უპირატესობა

ცოტა რამ ისტორიიდან

ქალებს არაერთი უმნიშვნელოვანესი ინოვაციური იდეა/გამოგონება უკავშირდება. უმეტესი მათგანი ბიზნესიდეად იქცა, რომლებმაც ადამიანების ცხოვრება შეცვალეს.



ჰედი ლამარი – ბრწყინვალე გონება, რომელსაც WiFi-ს, GPS-სა და Bluetooth-ს უნდა ვუმადლოდეთ

დღეს ინფორმაციის მისაღებად და გადასაცემად ვიყენებთ ინტერნეტს, გვაქვს კომპიუტერები და მობილური ტელეფონები. ის, რაც დღეს ჩვენთვის ყოველდღიურობის განუყოფელი ნაწილია, ოდესღაც საერთოდ არ არსებობდა. ტექნოლოგიურ პროგრესში არაერთი ადამიანის მნიშვნელოვანმა გამოგონებამ ითამაშა გადამწყვეტი როლი. მათ შორის ჰედი ლამარი ალბათ ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია რამდენიმე გავრცელებული სტერეოტიპის აბსურდულობის საჩვენებლად. იგი შავ-თეთრი კინოს ერთ-ერთი ყველაზე მომხიბლავი და ცნობილი ვარსკვლავი იყო. მას მსოფლიოს ულამაზესი ქალის წოდება ჰქონდა და ამავე დროს, იყო არაერთი გამოგონების ავტორი. ჰედი ლამარის ინფორმაციის უსადენოდ გადაცემის სისტემამ საფუძველი ჩაუყარა GPS-ის, Bluetooth-ისა და Wi-Fi ტექნოლოგიას.

„გამოგონებები ჩემთვის მარტივი რამაა. იდეებზე ფიქრი არ მიწევს, აზრები ბუნებრივად მომდის თავში“, – ამბობდა ლამარი.


ის, რაც ახალგაზრდა ჰედისთან „ბუნებრივად არ მივიდა“, საყოველთაო აღიარება და ის ფინანსური კომპენსაცია იყო, რომელსაც თავისი იდეებისთვის იმსახურებდა. მან კომპოზიტორ ჯორჯ ანთეილთან ერთად შექმნა მოწყობილობა, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს მოკავშირეებს შორის წარმოებულ რადიო-კომუნიკაციებს ნაცისტებისგან იცავდა. ჰედი ლამარს ერთი ცენტიც კი არ მიუღია იმ მრავალმილიარდიანი დოლარის ღირებულების ინდუსტრიიდან, რომელსაც მან გზა გაუკვალა. თუმცა, ამერიკის თავდაცვამ აღიარა მისი შეტანილი წვლილი ამ ტექნოლოგიის შექმნაში.



ჯოზეფინ კოკრეინი

ჯოზეფინ კოკრეინის ჭურჭლის სარეცხი მანქანა

ჯოზეფინ კოკრეინს საკუთარ ვილაში მდიდრული წვეულებების გამართვა უყვარდა. იგი ისეთ მოწყობილებაზე ოცნებობდა, რომელსაც ჭურჭლის გარეცხვა გაცილებით სწრაფად და აკურატულად შეეძლებოდა, ვიდრე ამას მისი მოსამსახურე აკეთებდა, ყოველი რეცხვისას თეფშების მსხვრევის თანხლებით. კოკრეინმა პირველი ჭურჭლის სარეცხი მანქანა წყლის ჭავლის გამოყენებით შექმნა: სპილენძის ავზში ძრავით ამოძრავებული ბორბალი ტრიალებდა. 45 წლის ჯოზეფინ კოკრეინი ქმრის გარდაცვალების შემდეგ დიდი ფინანსური პრობლემების წინაშე აღმოჩნდა. რთული ფინანსური მდგომარეობიდან გამოსასვლელად ჯოზეფინმა საკუთარი იდეა საქმედ აქცია და 1886 წელს ჭურჭლის სარეცხი მანქანა დააპატენტა. ინოვაციური ტექნიკა მან ჩიკაგოში გამართულ საერთაშორისო გამოფენაზე წარადგინა და საზოგადოება გააოცა. წარმატებამ გამომგონებელს გადააწყვეტინა, სარეცხი მანქანების სერიული წარმოება დაეწყო. მანქანა წყლის ჭავლით რეცხავდა ნებისმიერ ჭურჭელს. თითოეული მანქანის ღირებულება 150 დოლარს შეადგენდა, რაც თანამედროვე კურსით დაახლოებით 4500 დოლარს უდრის.



კოკრეინის გამოგონების პირველი მყიდველები რესტორნები და სასტუმროები გახდნენ.

დღეისათვის კი ჭურჭლის სარეცხი მანქანა მსოფლიოს არაერთი ოჯახის შეუცვლელი დამხმარეა.

მერი ანდერსონის ავტომობილის საქარე მინის გამწმენდი

1903 წლის ზამთრის ცივ დღეს, ნიუ-იორკში გამგზავრებისას, მერი ანდერსონმა ყურადღება მიაქცია, რომ მის მძღოლს მუდმივად ავტომობილის სარკმლის გაღება და საქარე მინიდან თოვლის ხელით გაწმენდა უწევდა. რა თქმა უნდა, ყოველი ასეთი წმენდის შემდეგ, მანქანის სალონში სულ უფრო და უფრო იყინებოდა.

ამ ფაქტმა ანდერსონს რეზინის ნიჩბის მსგავსი მოწყობილობის გამოგონებისკენ უბიძგა, რომლის მოძრაობაში მოყვანაც სალონის შიგნიდან იქნებოდა შესაძლებელი. იმავე წელს მან გამოგონების პატენტი მიიღო. თუმცა, ეს გამოგონება საავტომობილო კომპანიებს თვალში მაინცდამაინც არ მოუვიდათ: მათ ეგონათ, რომ საქარე მინის გამწმენდი მძღოლებს მანქანის მართვაზე კონცენტრირებაში შეუშლიდა ხელს.



შესაბამისად, თავისი გამოგონების სანაცვლოდ, რომელიც მოგვიანებით ავტომობილის განუყოფელ ნაწილად იქცა, ანდერსონს არანაირი სარგებელი არ მიუღია.



დავალება 4.3.

უპასუხეთ კითხვებს:

- რა მსგავსება და განსხვავებაა ამ სამი გამოგონების იდეის წარმოშობაში?
- რამ განაპირობა იდეების წარმოქმნა და შემდეგ უკვე ცხოვრებაში დანერგვა?

ამ გამომგონებელებმა გამიზნულად, ინტენსიური დაკვირების, გამოკვლევის და შესწავლის შედეგად დაადგინეს კონკრეტული საჭიროება და პრობლემის აღმოსაფხვრელად შექმნეს პროდუქტები, რომლებმაც საზოგადოების ფართო მასებს მოუტანა სარგებლობა. თითქმის ერთი საუკუნის წინ გამოგონებულ და შექმნილ პროდუქციას დღესაც აწარმოებენ და ყოველდღიურობაში იყენებენ ადამიანები.

გარემოზე დაკვირვება დიდი აღმოჩენების გაკეთების საშუალებას იძლევა. პრობლემებისა და საჭიროებების იდენტიფიცირება და მათ გადასაჭრელად პროდუქციის/მომსახურების შექმნამ სამომავლოდ შესაძლოა მთლიანად შეცვალოს ადამიანების ცხოვრება, მაგალითად:

- ფემინისტურმა მოძრაობამ განაპირობა ის, რომ განვითარდა საოჯახო ტექნიკა, შეიცვალა ქალის მოდა, განვითარდა სკოლამდელი აღზრდის სერვისები და ა.შ. – სტამბის განვითარებამ წიგნები ხელმისაწვდომი გახადა მასებისთვის, განვითარდა პრესა, განვითარდა ქაღალდის გადამამუშავებელი წარმოება, დაიწყო წიგნებით საერთაშორისო ვაჭრობა, გაიზარდა მოთხოვნა სათვალეებზე, შეიქმნა ბიბლიოთეკები, აღმოცენდა და განვითარდა ჰუმანიზმი, ადამიანებმა დაიწყეს ხელოვნების, ლიტერატურის, მათემატიკის, მუსიკის და სხვა მეცნიერებების მასობრივად შესწავლა.

ადამიანებს, რომლებსაც აქვთ უნარი გამოიგონონ/შექმნან ორიგინალური და ამავედროულად საჭირო და სასარგებლო პროდუქცია, კრეატიულ ადამიანებს უწოდებენ. წარმატებული მეწარმეები/ბიზნესმენები უმეტესწილად შემოქმედებითი ადამიანები არიან. კრეატიულობის შედეგად იქმნება ახალი, გამოსადეგი და კონკრეტულ კულტურასა თუ სიტუაციაში აღიარების ღირსი პროდუქტი. ასეთ პროდუქტს კი მოაქვს დიდი ფინანსური მოგება.



დავალება 4.4.

იმუშავეთ ჯერ ინდივიდუალურად და შემდეგ წყვილებში:

წარმოიდგინეთ, რომ არ არსებობს არანაირი ტექნიკური და ფინანსური შეზღუდვა. 5 წუთის მანძილზე მოიფიქრეთ 5 რამ, რაც ძალიან კარგი გამოგონება იქნებოდა. მაგ. საყელო, რომელსაც დაამაგრებ ძაღლს და გესმის მისი ენა. მნიშვნელოვანია არ შეიზღუდოთ რეალური და ადვილად განხორციელებადი იდეებით. შემდეგ შეარჩიეთ ერთი იდეა, რომელიც ყველაზე მეტ ფინანსურ მოგებას მოგიტანთ და გაუზიარეთ მეწყვილეს. დაუკავშირეთ თქვენი იდეები ერთმანეთს ისე, რომ მიიღოთ ახალი იდეა, რომელიც ინსპირირებული იქნება 2 იდეით (თქვენი და თქვენი მეწყვილის იდეებით). დაფიქრდით, როგორ შეიძლება ამ იდეის განხორციელება? თქვენი მოსაზრებები გაუზიარეთ კლასს.

DoriCopy

როგორ შეიქმნა სმარტფონი

როცა სტივ ჯობსი Iphone-ს ქმნიდა, მისი მიზანი არ იყო, შეექმნა უკეთესი ტელეფონი. მას სურდა შეექმნა ტელეფონის სრულიად ახალი ფუნქცია. ამიტომ იდეაზე მუშაობისას ჯობსის გუნდმა დასვა შემდეგი კითხვები: რა ნორმები და სტანდარტები არსებობს მობილურ ტელეფონებში? რატომ? როგორ შეიძლება ის რადიკალურად შეიცვალოს? რამ შეიძლება ჩანაცვლოს არსებული ფუნქციები? რა ახალი ფუნქცია შეიძლება დაემატოს ტელეფონს?



გავრცელებული მოსაზრება: ტელეფონს უნდა ჰქონდეს ღილაკები.

რატომ? – ღილაკები ინფორმაციის შეტანაში გვეხმარება...

რა შეიძლება შეიცვალოს? – რა მოხდება, ტელეფონს რომ საერთოდ არ ჰქონდეს ღილაკები, ან მხოლოდ ერთი ღილაკი ჰქონდეს?

კონცეფცია: ტელეფონს რომ ღილაკები არ ჰქონდეს, მაშინ მეტი ადგილი დარჩება ეკრანისთვის. თუ ღილაკები აღარ გვექნება, მოგვიწევს ეკრანის გამოყენება ინფორმაციის დასამუშავებლად და ტელეფონისთვის „ბრძანების მისაცემად“.

შემოქმედებით ადამიანს/ადამიანთა ჯგუფს ნიჭისა და სათანადო კომპეტენციების გარდა, აქვს კონკრეტული სფეროსთვის საჭირო უნარ-ჩვევები. შემოქმედებითი საქმიანობა მოითხოვს მუშაობის უნარ-ჩვევებს და პიროვნულ თვისებებს, მაგალითად, სიბეჯითეს და შრომისმოყვარეობას. მათ აქვთ შინაგანი მოტივაცია, ან მათში კონკრეტული საკითხი იწვევს დიდ ინტერესს. კრეატიულობის ამ კონკრეტულ ასპექტზე დიდ გავლენას ახდენს სოციალური გარემო, სტიმულის მიმცემი ცნობისმოყვარეობა, ფანტაზია და გამოწვევასთან შეჭიდების სურვილი.

დავალება 4.5.


კრეატიულობის დონის შეფასება:

რვეულში გადაიტანეთ ქვემოთ მოცემული ცხრილი გრაფიკული გამოსახულებებით. დავალების შესასრულებლად გაქვთ მხოლოდ **5** წუთი. თითოეულ უჯრაში ჩახატულ შტრიხზე უნდა შექმნათ ერთი მარტივი ნახატი, ისე, რომ თხუთმეტივე ნახატი იყოს

მკაფიო, ამოცნობადი და ერთმანეთისგან განსხვავებული. მაგ: მხოლოდ ერთი ადამიანის სახეა დასაშვები. თუ ადამიანის მეორე სახეც იქნება დახატული სხვა უჯრაში, ქულით არ შეფასდება. ყოველი ამოცნობადი ნახატი ფასდება ერთი ქულით.

დაითვალეთ დასრულებული, ორიგინალური, არაგანმეორებადი ნახატების რაოდენობა და შეაფასეთ თქვენი კრეატიულობა.

1 - 5 ქულა - დაბალი კრეატიულობა
6 - 10 ქულა - საშუალო კრეატიულობა
11 - 15 ქულა - მაღალი კრეატიულობა



ყველა ადამიანში იმალება ფარული ნიჭი, რომელიც მიძინებული ვულკანივითაა. მის გასაღვიძებლად საჭიროა მხოლოდ ერთი ნაპერწკალი. შეიძლება ეს ნაპერწკალი საკუთარ თავში, გარშემომყოფებში, მოვლენაში, ნივთში, ხმაში ან მუსიკაში იპოვოთ. სწორედ ეს ფარული ნიჭი, შრომისმოყვარეობა და დასახული მიზნის მიღწევის სურვილი აყალიბებს ბიზნესის დასაწყებად უმნიშვნელოვანეს – კარგ ბიზნესიდეას.

თუ ადამიანს უკვე აქვს იდეა და სურვილი ამ იდეის განხორციელების და ასევე აქვს ნებისყოფა, მაშინ არსებობს დიდი შანსი იმისა, რომ მიაღწიოს მნიშვნელოვან წარმატებებს მის მიერ არჩეულ სფეროში.

გაეცანით ამონარიდს ჰეფრი ფოქსის წიგნიდან „როგორ ვაკეთოთ დიდი ფული პატარა ბიზნესში“

ამონარიდი **ჰეფრი ფოქსის წიგნიდან**
„როგორ ვაკეთოთ დიდი ფული პატარა ბიზნესში“

„შესაძლებლობები პატარა ბიზნესისათვის ძალიან ბევრია:

1. ჩაიხედეთ სარკეში, რა შეგიძლიათ თქვენ? თქვენს ნიჭს შეუძლია სათავე დაუდოს ბიზნესს და დიდი ოდენობის ფული გაშოვნინოთ?
2. რა ხდება თქვენს ოჯახში? არსებობს ისეთი საოჯახო ბიზნესი, რომელიც შეიძლება თქვენი გახდეს? იქნებ ღირდეს წაიმუშაოთ ოჯახურ საწარმოში, რომ ძირფესვიანად შეისწავლოთ საქმე და დააარსოთ საკუთარი ბიზნესი?
3. შეათვალიერეთ კომპანია, რომელშიც თქვენ მუშაობთ. იქნებ ღირდეს დაკავდეთ იმით, რასაც თქვენი კომპანია არ აკეთებს? არსებობს ისეთი ბაზარი, რომელსაც შეიძლება თქვენი კომპანია მოემსახუროს და ჯერ კიდევ არავის მიერ არ არის ათვისებული?
4. შეისწავლეთ თქვენი კომპანიის მიერ უკუგდებული ან არარეალიზებული იდეები. ისინი ძალიან ხშირად პერსპექტიულია პატარა ბიზნესისთვის.

nCOPY



5. მიაწოდეთ საქონელი და მომსახურება განსაზღვრულ ეთნიკურ ჯგუფებს. გამოავლინეთ ჯგუფი, რომელიც სწრაფად იზრდება თქვენს ქვეყანაში და მიჰყიდეთ ამ ადამიანებს ის საქონელი და მომსახურება, რომელიც მათ სჭირდებათ. გაარკვიეთ, მაგალითად, რას მოიხმარენ ირანიდან გამოსულები და ამ საქონლიდან რისი შოვნაა შეუძლებელი. ისწავლეთ არაბული და იმუშავეთ არაბულ ენაზე მოლაპარაკე კლიენტებთან.
6. უყურეთ ტელეგადაცემებს სხვადასხვა უნარსა და ჩვევაზე – რემონტზე, მებაღეობაზე, ინტერიერების შექმნაზე. ეს საშუალებას მოგცემთ ინფორმირებულნი იყოთ თანამედროვე ტენდენციებისა და პოპულარული იდეების შესახებ. მაგალითად, არსებობს თუ არა ისეთი კომპანია, რომელიც აწვდის ბაღის ყვავილებისა და ბუჩქების გაშენების გეგმებს ინტერნეტის საშუალებით?
7. იყიდეთ კომპანია, რომელშიც მუშაობთ. ის შეიძლება შეიძინოთ კრედიტით აღებული ფულით. გასაყიდად გამოტანილ კომპანიებზე თქვენ შეიძლება გაგიყვანონ ადვოკატებმა, კრედიტმენეჯერებმა, პროფესიონალმა ბროკერებმა და გამოქვეყნებულმა განცხადებებმა. იყიდეთ ასეთი კომპანია. შეაფასეთ ეს ბიზნესი შემდეგი შეხედულებით: შეგიძლიათ თუ არა მსგავსი საქმის უკეთ ორგანიზება?
8. გაიხსენეთ, თუ რამ მიიქცია თქვენი ყურადღება რომელიმე მოგზაურობის დროს: არსებობს თუ არა ასეთი ბიზნესი იქ, სადაც თქვენ ცხოვრობთ? და თუ არის ამ ბიზნესით შექმნილი პროდუქტის/მომსახურების საჭიროება?
9. შეეცადეთ განახორციელოთ თქვენი რომელიმე დიდი ხნის ჩანაფიქრი, ის, რომლის შესახებაც წლობით უყვებოდით ადამიანებს. განახორციელეთ თქვენი სკოლისდროინდელი პროექტი, სადაც შეთავაზებული იყო ახალი ბიზნესის იდეა.



დავალება 4.6.

წარმოიდგინეთ, რომ თქვენ ხართ პერსპექტიული მეწარმე/ბიზნესმენი.

- დაიწყეთ ფიქრი ბიზნესიდეის შერჩევაზე.
- განსაზღვრეთ, რა სახის პროდუქტის/მომსახურების შეთავაზება შეგიძლიათ მომხმარებლისთვის და ვინ იქნება თქვენი პოტენციური მომხმარებელი;
- ჩამოაყალიბეთ ერთი ბიზნესიდეა. დაასაბუთეთ, რით არის ორიგინალური თქვენი ბიზნესიდეა, ვისთვის არის საჭირო და სასარგებლო თქვენი ბიზნესიდეის საფუძველზე შექმნილი პროდუქტი ან მომსახურება.
- შეაფასეთ, რა შესაძლებლობები გაქვთ ამ ბიზნესიდეის განსახორციელებლად.

დავალება 4.7.

ჯგუფური სამუშაო

აიღეთ ოთხი ფურცელი. პირველ ფურცელზე ჩამოწერეთ რაც შეიძლება მეტი პასუხი კითხვაზე: რა სურთ და სჭირდებათ ადამიანებს? (მაგალითად, სიყვარული, სპორტი, გართობა, კვება, დასვენება, აქტიური მოქალაქეობა და ა.შ.)

მეორე ფურცელზე ჩამოწერეთ იმდენი ტექნოლოგიური ინოვაცია ან არსებული ტექნოლოგია, რისი მოფიქრებაც შეგიძლიათ. მაგ. Google Translate, Google Maps და ა.შ.



მდგრადი განვითარების მიზნებიდან შეარჩიეთ თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევა და მესამე ფურცელზე ჩამოწერეთ ყველაფერი, რაც შერჩეული მდგრადი განვითარების მიზნის შესახებ იცით.

მეოთხე ფურცელზე ჩამოაყალიბეთ იდეა, რომელიც თქვენ მიერ დასახელებული რომელიმე ტექნოლოგიის გამოყენებით უზრუნველყოფს ადამიანის კონკრეტული საჭიროების დაკმაყოფილებას და უკავშირდება შერჩეული მდგრადი განვითარების მიზნის მიღწევას.

კლასში განიხილეთ ყველა იდეა. მდგრადი განვითარების რომელი მიზანი აღმოჩნდა კლასში ყველაზე აქტუალური? რა არის ამის მიზეზი? თქვენი ინოვაციური იდეები წარმოადგინეთ პოსტერის სახით და მოაწყვეთ გამოფენა.

იმსჯელეთ:

რამდენად მნიშვნელოვანია ბიზნესიდეების მდგრადი განვითარების მიზნებთან შესაბამისობის გათვალისწინება.

DOI

§ 5. ბიზნესის ორგანიზება



- რა რესურსები სჭირდება ადამიანს ყოველდღიურ ცხოვრებაში?
- სად და როგორ მოიძიებს ადამიანი ამ რესურსებს?



„თუ გინდა, იყო პროფესიონალი და განვითარდე, როგორც ბიზნესის მწარმოებელი და არა, როგორც შემსრულებელი და დაქირავებული მუშაკი, პირველ რიგში, ინვესტიცია საკუთარ თავში, თვითგანვითარებაში უნდა ჩადო. გამოიმუშავო უნარ-ჩვევები, და ჩამოიყალიბო ისეთი აზროვნება, რომელიც ბიზნესის წარმოებაში დაგეხმარება და ამას სკოლასა და უნივერსიტეტში ნამდვილად ვერ ისწავლი. ეს ინდივიდუალურად უნდა შეისწავლო იმ ადამიანების კვალდაკვალ, რომლებიც ამ მიმართულებით ვითარდებიან. ამის ინტერესი კი თავად უნდა გქონდეს.“

რობერტ კიოსაკი, იაპონელი ბიზნესმენი.



დავალება 5.1.

უპასუხეთ კითხვას:

როგორ ფიქრობთ, რა უნარების განვითარებას გულისხმობს ბიზნესმენი?

გაეცანით ქვემოთ მოცემულ ამბავს და **იმსჯელეთ**, როგორ პასუხობს ახალგაზრდა ფერმერი ქალის ისტორია იაპონელი ბიზნესმენის, რობერტ იოსაკის მოსაზრებას.


ვანელი ფერმერი ლედი

სტატიის ავტორი: ლალი ფაცია

ლედი ფერმერია. ის მშობლებთან ერთად ვანში ცხოვრობს და ამბობს, რომ მათი ოჯახი მეურნეობას სულ მისდევდა. „ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი მაქვს დამთავრებული – ქართული ფილოლოგია. შემდეგ ერთი სემესტრი მინესოტის უნივერსიტეტში (აშშ) ვსწავლობდი აგრარული მეცნიერების მიმართულებით. უცხოეთში მიღებული გამოცდილებით ოჯახის საქმიანობაში ჩართვა მსურს, რათა მეტად გავაფართოოთ ბიზნესი – გვეუბნება ლედი. „ბაბუა ფერმერი იყო, მესაქონლეობას, მეხილეობას მისდევდა. ჩემს ძმას წარმოება აქვს: ტყემალს, აჯიკას, ჩაის აწარმოებს. ამიტომ მსურდა ამ სფეროში უკეთ ჩახედვა და გამოცდილების მიღება. საერთოდ, მომწონს სიახლეებთან შეჭიდება. აშშ კარგად განვითარებული ქვეყანაა და იქ მიღებული გამოცდილებით ჩემს ოჯახს სამეურნეო საქმიანობაში უკეთ დავეხმარები.

მინესოტის უნივერსიტეტში ერთი სემესტრი გავიარე და ფერმაშიც ვიმუშავე. ჩემი მასპინძლები მისდევდნენ მეხილეობას, მებოსტნეობას, მეყვავილეობას –

დიდი მეურნეობა ჰქონდათ, თაფლსა და პურსაც აწარმოებდნენ. სათბურებში ულამაზესი ყვავილებიც ჰქონდათ, რომელთა გამოყვანის საქმეში მეც ვიყავი ჩართული: ვეხმარებოდი ქოთნების გაკეთებაში, გაყიდვაში, მარკეტინგში.





ბევრი რამ ვიცოდი და შრომაც უცხო არ ყოფილა, რადგან როცა თავისუფალი დრო მქონდა, ვანში ოჯახს ვეხმარებოდი. ჩვენ შორის განსხვავება უფრო ტექნოლოგიებშია.

ამერიკაში აგრარული სექტორი მაღალ საფეხურზეა. საქართველოში უმეტესად ხელით შრომა გვიწევს, იქ კი ყველაფერს დიდი ხანია მანქანა აკეთებს. მაღალი დონის დანადგარები აქვთ.

ვცდილობ, მეტი დრო გავატარო ოჯახთან, უკეთ ჩავიხედო ჩემი ძმის წარმოებაში და მარკეტინგულად ყველაფერი გავაკეთო, რათა უფრო მეტ ხალხს გავაცნო პროდუქცია. ჩაის, თხილს, ტყემალს, ავჯიკას ვაწარმოებთ და გვსურს ექსპორტზეც გავიტანოთ.

ჩვენთან დღეს 18 კაცია დასაქმებული. მეფუტკრეობის განვითარებასაც ვაპირებთ – 200 ოჯახი გვყავს, გვინდა თაფლიც გვქონდეს, ასევე სუნელები, ჯემები...

საქართველოში გვაქვს პერსპექტივა, რომ დარგი განვითარდეს. საჭიროა სამუშაო ადგილების შექმნა და ამ მიმართულებით საქართველოს სხვებისთვის გაცნობა. ჩემი საქმიანობის არცერთ ეტაპზე არ მიგრძვნია, რომ რამეს ვერ გავაკეთებდი. მძიმეც ყოფილა სამუშაო, მაგრამ უკან არ დამიხევია. მეწარმეობით დაინტერესებულ ყველა ადამიანს ვურჩევ, ძიება არ შეწყვიტონ და დასახულ მიზანს ბოლომდე მიჰყვნენ.“



დავალება 5.2.

იმსჯელეთ:

- რა სასიკეთო გავლენას მოახდენს საზოგადოებაზე ფერმერის მიზანი, აგრობიზნესის გაფართოება?
- საქართველოს აგრობიზნესის განვითარებისთვის რა საჭიროებებს ხედავს ის ამერიკის შეერთებულ შტატებთან შედარებისას?
- რა სარგებლობა მოაქვს განვითარებული ქვეყნების გამოცდილების გაზიარებას?

უკანასკნელ პერიოდში უამრავი ტექნოლოგიური ცვლილება განხორციელდა ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში. ბევრ მათგანს ლოკალური ხასიათი აქვს და აქტუალურია მხოლოდ კონკრეტული დარგისათვის.



აგროდრონით ქიმიკატების შესხურების პროცესი

21-ე საუკუნეში ტექნოლოგიური განვითარება და ხელოვნური ინტელექტი საშუალებას იძლევა, სასოფლო სამეურნეო პროდუქტის მოსავლის ხარისხი და მოცულობა არა ფერმერსა და მის გათვლებზე იყოს დამოკიდებული, არამედ ზუსტ გაანგარიშებასა და აზომვებზე. ეს კი ბოლო პერიოდში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან გლობალური კლიმატური ცვლილებების ფონზე ფერმერების გათვლები სულ უფრო და უფრო არაზუსტი ხდება. შედეგად ვიღებთ მცირე რაოდენობის, დაბალი ხარისხის მოსავალს. ტექნოლოგიური განვითარება და მიღწევები კი ფერმერს საშუალებას აძლევს, მოიყვანოს უხვი და ხარისხიანი მოსავალი ნაკლები დანახარჯით.

თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება სოფლის მეურნეობას ფინანსურად უფრო მომგებიანს ხდის და ხარისხიან პროდუქტზე საზოგადოების მოთხოვნასაც აკმაყოფილებს. მსოფლიოს უპილოტო მანქანების სისტემების ორგანიზაციის კვლევის თანახმად, სოფლის მეურნეობაში 2025 წლისთვის აგროდრონების ჯამური ეფექტურობა დაახლოებით 82 მილიარდი დოლარი იქნება. სოფლის მეურნეობაში თანამედროვე ტექნოლოგიები აქტიურად გამოიყენება ევროპისა და აზიის ქვეყნებში. ის ეტაპობრივად ინერგება საქართველოშიც. ამ პროცესში მნიშვნელოვანია სახელმწიფოს ინიციატივაც, რომლის ფარგლებშიც თანამედროვე ტექნოლოგიები ფერმერებისთვის შეღავათიანი აგროსესხით გახდა ხელმისაწვდომი. შეღავათიანი აგროსესხით ფერმერს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების უპილოტო საფრენი აპარატის ანუ აგროდრონის და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ობიექტისთვის მეტეოსადგურის შეძენა შეუძლია. აღნიშნულ აგროდრონს აქვს როგორც შესხურების, ასევე აგრონომიული დანიშნულებით სკანირების ფუნქცია. სახელმწიფო ფერმერს 48 თვის განმავლობაში დაუფინანსებს სესხს წლიური 11%-ის ოდენობით. სესხის თანხა კი 20,000 ლარიდან – 1,500,000 ლარამდეა.

აგროდრონების გამოყენება ეფექტურია ნათესების დაგეგმარებაში. მას უფრო ხშირად ძვირადღირებული ნერგების/ნათესების შემთხვევაში იყენებენ. მისი საშუალებით შესაძლებელია მარცვლეული კულტურების დათესვა და წამლით დამუშავება, აწარმოებს მონიტორინგს მცენარეთა ზრდის პროცესზე. ეს ამარტივებს ნათესების მოვლის პროცესს, ნაკლები დანახარჯებით მიიღება უფრო მეტი, მაღალი ხარისხის მოსავალი, არ ზიანდება გარემო – დრონს არ აქვს გამონაბოლქვი, მარტივად მუშავდება ფერდობებზე მდებარე ნაკვეთები, რაც ტრადიციული გზით ფაქტობრივად შეუძლებელია. აგროდრონი 24 საათის განმავლობაში მუშაობს, შესაბამისად არის მაღალი წარმადობის.

დავალება 5.3.

სრული ინფორმაციის მისაღებად გადადით ბმულზე და მოისმინეთ ინტერვიუ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილესთან.
https://www.youtube.com/watch?v=OcTN3w-phws

DRAFT COPY

უპასუხეთ კითხვებს:

- რა გავლენის მოხდენა შეუძლია მსგავს პროგრამებს მეწარმეობის განვითარებაზე?
- სახელმწიფო ახალი ტექნოლოგიების გამოყენების ხელმისაწვდომობისთვის აგრომეწარმეებს აძლევს შეღავათიან სესხს. როგორ ფიქრობთ, რატომ?
- შეღავათიანი სესხის გაცემისთვის რა მოტივაცია აქვს სახელმწიფოს?

პროექტი „ჭკვიანი სოფლის მეურნეობა“ აგროსექტორში დრონების დანერგვას ისახავს მიზნად. სტარტაპის „ჭკვიანი სოფლის მეურნეობა“ დამფუძნებელი ნიკოლოზ მესხი აცხადებს, რომ პროექტი ხელს შეუწყობს ფერმერების საქმიანობას და ინტენსიური სოფლის მეურნეობის განვითარებას საქართველოში. გადადით ბმულზე https://shorturl.at/fouB5 და შეიტყვეთ მეტი ამ პროექტის შესახებ.

დავალება 5.4.

განსაზღვრეთ, რა სახის ძირითადი საწარმოო რესურსები (შენობა-ნაგებობები, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, ტექნიკური საშუალებები, ტრანსპორტი და სხვა) გჭირდებათ თქვენი ბიზნესიდეის განსახორციელებლად.

დავალების შესასრულებლად რვეულში გადაიტანეთ ცხრილი და შეავსეთ. ცხრილში მიუთითეთ, რომელი საწარმოო რესურსი გაქვთ და რომლის შეძენა მოგიწევთ. მიუთითეთ შესაძენი საწარმოო რესურსის სავარაუდო ფასი. „გაქვთ“ და „შეიძენთ“ გრაფები მხოლოდ მონიშნეთ.

საწარმოო რესურსი	გაქვთ	შეიძენთ	ფასი

არ ჩაწერო წიგნში!

გააანალიზეთ თქვენი ბიზნესიდეა საწარმოო რესურსებთან დაკავშირებით.

არამხოლოდ აგრობიზნესის, არამედ ნებისმიერი საწარმოს ინოვაციური ტექნიკით აღჭურვა საკმაოდ დიდ ინვესტიციას – დიდ ფინანსურ რესურსს მოითხოვს. უახლესი ტექნოლოგიები ზრდის წარმოების ეფექტურობასა და შესაბამისად, მოგების ოდენობას, მაგრამ გარკვეულ რისკებთანაც არის დაკავშირებული. სოფლის მეურნეობა ამინდისა და სტიქიური მოვლენების მიმართ ერთ-ერთი ყველაზე მგრძნობიარე სექტორია. შესაბამისად, არასასურველი ამინდი და სხვადასხვა კლიმატური მოვლენა აზარალებს მეურნეობას და ამცირებს მის მიერ მისაღებ შემოსავალს. ამ ტიპის რისკების დამოუკიდებლად თავიდან არიდება ძალიან რთულია, ხანდახან შეუძლებელიც. სწორედ ამიტომ აგრარულ ბიზნესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება რისკების დაზღვევას. საქართველოში, სუბსიდირების მექა-

„თუ გსურს იყო წარმატებული ბიზნესმენი ან ინვესტორი, მენტალურად უნდა იყო მზად წაგებისთვისაც და მოგებისთვისაც, რადგან ორივე ერთად თამაშის ნაწილია.“

რობერტ კიოსაკი

ნიზმის არსებობის მიუხედავად, აგრარული სექტორის დასაზღვევად ქვეყანაში არსებული შეთავაზებები შეზღუდული სპექტრისაა. საქართველო მცირე მასშტაბის ქვეყანაა, სასოფლო კულტურების ფართო სპექტრით და განსხვავებული კლიმატური ზონებით. თითოეული რეგიონი, ზონა თუ კულტურა სპეციფიური რისკით ხასიათდება. აგროსექტორის განვითარებისთვის კი აუცილებელი პირობაა მეწარმეთათვის ზემოაღნიშნული კლიმატური თუ სხვა რისკის დაზღვევის შესაძლებლობის არსებობა. დღესდღეობით საქართველოში არსებული სისტემა ეფუძნება ცალკეული რისკების დაზღვევას – სეტყვის, ქარიშხლის, წყალდიდობის და ა.შ. ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო კულტურისთვის დაზღვევის სისტემა მოსახერხებელია. მაგ.: მანდარინისა და ყურძნისთვის საშემოდგომო ყინვებისაგან დაზღვევა. თუმცა, შეთავაზებები არ არის მორგებული მეურნეობის ბევრი დარგის საჭიროებაზე.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაცია

28 იანვარი 2023

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი და მინისტრის პირველი მოადგილე სადაზღვევო კომპანიებისა და ასოციაციის წარმომადგენლებს შეხვდნენ. მათ სახელმწიფო აგროდაზღვევის პროგრამის მნიშვნელობაზე და არსებულ შედეგებზე ისაუბრეს.

„მნიშვნელოვანია, სახელმწიფოსა და კერძო სექტორის მხრიდან ნაბიჯები გადაიდგას, რათა აგროდაზღვევის პროგრამა უფრო მეტად იყოს მორგებული როგორც ფერმერთა, ისე სადაზღვევო ინდუსტრიის ინტერესებზე. საჭიროებების გათვალისწინებით გარკვეული ცვლილებების განხორციელება პროგრამას მეტად მოქნილს გახდის, რაც, თავის მხრივ, გაზრდის პროგრამით მოსარგებლეთა რაოდენობას და ხელს შეუწყობს სტიქიური მოვლენებით გამოწვეული ზარალის მაქსიმალურად შემცირებას“, – აღნიშნა მინისტრმა.

შეხვედრას საქართველოში მოქმედი სადაზღვევო კომპანიების, სადაზღვევო ასოციაციებისა და საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

აღსანიშნავია, რომ, „აგროდაზღვევის პროგრამის“ ფარგლებში, 2014-2022 წლებში 64,563 ბენეფიციარზე სადაზღვევო კომპანიების მიერ გაცემულია 149,880 პოლისი. დაზღვეულ იქნა 1,180,236,992 ლარის ღირებულების სხვადასხვა კულტურა. დაზღვეულია 139,031.91 ჰა მიწის ფართობი. ჯამურმა სადაზღვევო პრემიამ შეადგინა 99,544,506 ლარი, ხოლო ხელშეკრულებით განსაზღვრული სოფლის განვითარების სააგენტოს თანადაფინანსებაა 66,101,164 ლარი. ანაზღაურებული ზარალის ოდენობა 67,700,161 ლარია.

მეწარმეთა გარკვეული ნაწილი არ სარგებლობს სადაზღვევო მომსახურებით. თუმცა ფერმერებს, რომლებსაც ღია ცის ქვეშ მოჰყავთ მოსავალი, ნამდვილად არ აქვთ არავითარი გარანტია იმისა, რომ ამინდი ხელს შეუწყობს მოსავლის მშვიდობიანად, სტიქიური მოვლენებისგან გამოწვეული ზარალის გარეშე აღებას.

2014 წლის 1 სექტემბრიდან ჩვენს ქვეყანაში სახელმწიფო აგროდაზღვევის პროგრამა ამოქმედდა, რომლის თანადაფინანსებაც სახელმწიფომ იტვირთა. აგრორისკების სუბსიდირება 70-დან 90%-ს, ზოგ შემთხვევაში კი – 95%-საც აღწევდა. თავიდანვე ითქვა, რომ დაზღვევა ისეთ სტიქიურ მოვლენებს შეეხება, როგორიცაა სეტყვა, ჭარბი ნალექი, ქარიშხალი და საშემოდგომო ყინვა. მიუხედავად იმისა, რომ ამ პროგრამით არაერთმა გლეხმა და ფერმერმა ისარგებლა, დაზღვევის მიმართ უნდობლობა მაინც შეინიშნება.

ფერმერი ნინა ამბობს, რომ მას მოსავალი არ დაუზღვევია. წყალდიდობის შედეგად სერიოზული ზარალი ნახა, მაგრამ მიაჩნია, რომ საქართველოში ფერმერი დაზღვევის იმედად ვერ იქნება. „ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე სათბურები გვაქვს. ძალიან დავზარალდით. ქარიშხალმა სათბურებს სახურავი გადახადა, მოსავალი კი მთლიანად დაიტბორა. ჩვენს სათბურებში ეკოლოგიურად სუფთა ბიოპროდუქტები მოგვყავს და არანაირ შხამქიმიკატს არ ვიყენებთ, ამიტომ მოსავალს მწერებიც გვიზიანებს. სტიქიის გამოც ძალიან დიდი ზიანი მოგვადგა, ჩვენს ზემოთ მდებარე სათბურები კი საერთოდ დაიტბორა. არ ვიცი, საკუთარი ძალებით თუ მოვახერხებთ ყველაფრის აღდგენას, ჯერჯერობით კი ძალიან გვიჭირს. წალეკილი სათბურები თუ არ აღვადგინეთ, მოსავალს ვერ მოვიყვანთ. ზოგიერთს უკანასკნელი სახსრებით გაკეთებული სათბური დაეტბორა“, – ამბობს ნინა (სტილი დაცულია).



მისივე თქმით, დაზღვევა აუცილებელია, მაგრამ ფერმერები მრავალი მიზეზის გამო იკავებენ თავს აგროდაზღვევის პროგრამაში მონაწილეობისაგან. „მე ვიცი ბევრი ფერმერი, რომლებსაც მოსავალი შარშანაც დაუზიანდა, წელსაც, მაგრამ კომპენსაცია ჯერაც არ მიუღია. თუ რომელიმე კომპანია დაგვპირდება, რომ ფორსმაჟორის დროს დანაკარგს სწრაფად აგვინაზღაურებს, მაშინ დავაზღვევთ, თუ არადა, ისედაც ჩვენი სახსრებით ვაკეთებთ ყველაფერს და დაზღვევის ხარჯის დამატება რაღა საჭიროა? თავდაპირველად მეც ვაპირებდი აგროდაზღვევაში მონაწილეობის მიღებას, მაგრამ მერე გადავიფიქრე: ლარის კურსის რყევა, ბანკის ვალი, გადასახადები – ეს ყველაფერი ნებისმიერ ფერმერს მძიმე ტვირთად აწევს. დაზღვევა როგორ არ მინდა, მაგრამ იმხელა დანახარჯები გვაქვს, რომ გვირჩევნია ისევ ბუნების იმედად ვიყოთ. თუ ჩვენთანაც ისეთი სიტუაცია იქნება, როგორიც საზღვარგარეთის ქვეყნებშია და ზარალს მეორე დღესვე ამინაზღაურებენ, მა-

შინ შეიძლება აგროდაზღვევაში მონაწილეობა მივიღო, რატომაც არა! ალბათ, დროთა განმავლობაში ყველაფერი დარეგულირდება და თუ უკეთეს პირობებს შემოგვთავაზებენ, თანახმა ვარ, პირველ რიგში, მე გავაკეთო დაზღვევა“, – აღნიშნა ფერმერმა (სტილი დაცულია).

დაზღვევის თანხა არ აუღია ოზურგეთელ ფერმერსაც, მაგრამ ამას საკუთარ თავს აბრალებს:

„ჩვენ ორი კულტურა დავაზღვიეთ – თხილი და ციტრუსი. ნოემბერში ჩვენი რაიონის ზოგიერთი სოფელი დაისეტყვა. სტიქიის გამო ჩვენი სოფლის მოსახლეობაც დაზარალდა. ციტრუსის მოსავლის დაახლოებით 20% განადგურდა. ნაწილმა კომპენსაცია მიიღო, ნაწილმა კი არც იცოდა, სად და ვისთან მისულიყო, ან ვისთვის მიემართა. ჩემმა მეზობლებმა რა ზიანიც მიიღეს, აუნაზღაურეს, მე კი საკუთარ თავს ვადანაშაულებ, რომ არ ვიაქტიურე. ბათუმში გვჭირდებოდა ჩასვლა და განცხადების შეტანა, თანაც, დროც შეზღუდული იყო და კომპენსაციის გარეშე დავრჩი. თუ ჩემ გვერდით მეზობელმა 300 ლარი მიიღო, მე რატომ არ მომცემდნენ?

აგროდაზღვევის ფულს ფართობის მიხედვით ვიხდით: ერთხელ მოდის აგენტი, დაათვალიერებს, გეტყვის, რამდენ კვადრატულ მეტრზე გაქვს თხილი, ან ციტრუსი გაშენებული და ყოველ ათას მეტრზე 6 ლარს გადაგახდევინებს. ეს დიდი თანხა ნამდვილად არ არის, რადგან გურიაში ერთ ჰექტარზე დიდი ნაკვეთი ძალიან ცოტას აქვს: მე, მაგალითად, მიწა განაწილებული მაქვს: 2 ათას კვადრატულ მეტრზე ციტრუსი მომყავს, 2 ათასზე – თხილი, დანარჩენზე კი სიმინდი, ბოსტნეული და ა.შ... ჩემ ირგვლივ ყველას ასეთი, მცირე ზომის ნაკვეთები აქვს,“ – ამბობს რეზო (სტილი დაცულია).



აგროდაზღვევაში არც თეთრიწყაროელი ფერმერი ამირანი მონაწილეობს, რადგან ეს პროგრამა გვალვისაგან მიყენებული ზარალის დაზღვევას არ ითვალისწინებს. „თეთრიწყაროს რაიონის სოფელ მოხისში, მანგლისთან ახლოს, ფერმა მაქვს. შარშან ჩვენც ძალიან დაგვაზარალა გვალვებმა, მაგრამ, სამწუხაროდ, გვალვაზე დაზღვევა არ არის. პროგრამაში არის პუნქტები, რომლებშიც წერია, რას აზღვევენ და რას – არა. ჩვენ მეცხოველეობას ვეწევით და ძირითად ზარალს გვალვა გვაყენებს. ქარიშხალი და წვიმა ნაკლებად გვაწუხებს, ამიტომ პროგრამაში მონაწილეობას არ ვიღებთ“, – განაცხადა ამირანმა (სტილი დაცულია).

რატომ არიდებენ თავს ჩვენი ფერმერები საკუთარი მოსავლის დაზღვევას? – ამ შეკითხვაზე ფერმერთა ასოციაციის თავმჯდომარემ გვითხრა:

„– შარშან 3 500-ზე მეტი ბენეფიციარი დააზღვიეს, თანაც, დაზღვევის პორტფოლიოში სახელმწიფო სუბსიდირების პროცენტული წილი უფრო მაღალი იყო, ვიდრე წელს. ბენეფიციარებს 1 მილიონ 800 ათასი ლარი აუნაზღაურდათ. ვისაც აუნაზღაურდა, რა თქმა უნდა, კმაყოფილია, მაგრამ ფერმერები აგრო-დაზღვევას თავს ერთი მიზეზის გამო არიდებენ: თანხა, რომელიც უნდა გა-დაიხადონ, მათთვის საკმაოდ მაღალია. როცა ეკითხები, იქნებ სეტყვა მოვიდეს და მთელი მოსავალი გაგინადგუროსო, გპასუხობენ – იქნებ, გამიმართლოსო... როგორც იტყვიან, ბედის ანაბარა რჩებიან.

– ბევრს აბრკოლებს ის, რომ მოსავლის 10 პროცენტზე მეტი თუ დაზიან-და, ზარალს მხოლოდ მაშინ აგინაზღაურებენ, წინააღმდეგ შემთხვევაში კი – არა. კიდევ ერთი მიზეზი: ამ პროგრამით ძირითადად ერთწლიან კულტურებს აზღვევენ, საქართველოში კი მეცხოველეობა ძალიან განვითარებულია და ფერ-მერების უმეტესობას მრავალწლიანი კულტურები მოჰყავს, თანაც პირუტყვის სუბსიდირებას მთავრობა არ ახდენს. ამიტომ გლეხი ფიქრობს: მე ეს კულ-ტურები მომყავს იმიტომ, რომ პირუტყვს ვაჭამო და თუ პირუტყვს არ დამიზ-ღვევ, მარტო მოსავალი რად მინდაო? ასევე არ აზღვევენ გვალვის შედეგად მიყენებულ ზარალსაც, ამიტომ კახეთის რეგიონში პროგრამაში მონაწილეობაზე ბევრმა თქვა უარი. ასე რომ, დაზღვევის ეს სისტემა არც ისე მოქნილია: რაც ჩვენთვის მნიშვნელოვანია, იმას არ გვიზღვევენ.“ (სტილი დაცულია).

ფერმერთა ასოციაციის თავმჯდომარის აზრით, ძალზე დიდი დაბრკოლებაა ინფორმაციის არარსებობაც.



დავალება 5.5.

ინტერნეტსივრცეში მოიძიეთ სადაზღვევო კომპანიების ვებგვერდები და მიიღეთ ინფორმაცია ბიზნესის დაზღვევის პირობების შესახებ. თქვენ უკვე ჩამოყალიბებული გაქვთ ბიზნესიდეა თქვენი საქმიანობის დასაწყებად. სადაზღვევო კომპანიებში გაარკვი-ეთ, აქვთ თუ არა თქვენი ბიზნესის დაზღვევის მომსახურება და რა პირობებს გთავა-ზობენ.



იმსჯელეთ:

- რამდენად ხელსაყრელია თქვენთვის შემოთავაზებული პირობები. თქვენი მოსაზ-რებები და გადაწყვეტილება, თქვენი ბიზნესის დაზღვევის შესახებ, გააცანით კლასს.
- თქვენი აზრით, კიდევ რა მიზეზით შეიძლება არ სურდეთ მეწარმეებს ბიზნესის დაზღვევა?

Don

ბიზნესმენთა ამოცანა ბიზნესის განვითარებაა. ამავდროულად, ბიზნესისა და სახელმწიფოს თანამშრომლობა ქვეყნის ეკონომიკური სიძლიერის საფუძველს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, ორივე მხარეს, სახელმწიფოს და ბიზნესს, აქვს ვალდებულება, ითანამშრომლონ საზოგადოების, მოქალაქეთა კეთილდღეობისათვის.

დავალება 5.6.

თქვენს წრეში მოიძიეთ მეწარმე ბიზნესმენები და აიღეთ ინტერვიუ, რა გამოწვევების წინაშე დგანან ისინი. რა დაბრკოლებებს აწყდებიან საქმიანობაში? ან მოიწვიეთ სკოლაში ადგილობრივი ბიზნესმენი ინტერვიუსთვის და გაიზიარეთ მისი გამოცდილება.

ოთხი გამოწვევა, რაზეც ბიზნესმა პრემიერთან ისაუბრა

ავტორი: ანუკა ჯოხაძე

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიზნესასოციაციის (BAG-ის) წევრი კომპანიების წარმომადგენლებს შეხვდა. ასოციაციის წარმომადგენლები ამბობენ, რომ საუბარი ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობაზე, ბიზნესგარემოზე და საინვესტიციო კლიმატზე იყო.

ბიზნესასოციაციის პრეზიდენტის განმარტებით, ბიზნესმა დღეს ოთხი ძირითადი გამოწვევა დაასახელა, რომლებზეც პრემიერთანაც იმსჯელეს.

მისი თქმით, პრობლემაა კვალიფიციური კადრების და სამუშაო ძალის ნაკლებობა, ლარის კურსი და ბიუროკრატიული ბარიერები.

„ბიზნესისთვის პრობლემაა კვალიფიციური მუშა ხელი და სამუშაო ძალა. ეს პრობლემა უნდა გადაწყდეს, ბიზნესმა და მთავრობამ ერთად უნდა მივხედოთ. ასევე, დღეს ჩვენთვის პრობლემა ლარის კურსია. ეს წლების განმავლობაში ნომერ პირველი პრობლემაა. ამ პრობლემას მიეხედა და დღეისათვის შიდა სავალუტო ბაზარზე ლარი მნიშვნელოვნად გამყარდა და აუცილებლად უნდა შენარჩუნდეს ეს ტენდენცია.

ბოლო პრობლემა, რომელზედაც ვისაუბრეთ, ესაა ბიუროკრატია. ამ მხრივ სიტუაცია სწორდება, მაგრამ არსებობს ადმინისტრაციული ბარიერები, რაზეც პრემიერთან კონკრეტულად ვისაუბრეთ,“- აცხადებს ბიზნესასოციაციის პრეზიდენტი.

დავალება 5.7.

შეადარეთ თქვენი ინტერვიუს შედეგად მიღებული ინფორმაცია ბიზნესასოციაციის მიერ დასახელებულ გამოწვევებს. როგორ ფიქრობთ, რა უნდა იყოს ბიზნესის ხელშესაწყობად გადადგმული ნაბიჯები?

ქვეყანაში ბიზნესგარემოს გაუმჯობესებისათვის გადაწყვეტილებების მიმღებები (პარლამენტი, მთავრობა, ადგილობრივ თვითმმართველობები) მუდმივ კომუნიკაციაში უნდა იყვნენ ბიზნესის წარმომადგენლებთან, იმ ორგანიზაციებთან, ვისაც აქვს ობიექტური ინფორმაცია ზოგადად ბიზნესის, და მეწარმეთა საჭიროებების შესახებ.

ლობირება არის ერთ-ერთი კანონიერი საშუალება, რომლითაც მოქალაქეთა ჯგუფები, არასამთავრობო ორგანიზაციები და კერძო კომპანიები ცდილობენ გავლენა იქონიონ მთავრობის და პარლამენტის ამა თუ იმ გადაწყვეტილებაზე. იგი წარმოადგენს საკანონმდებლო ორგანოებსა და სახელმწიფო უწყებათა ჩინოვნიკებზე ზეგავლენის სისტემას, რომლის მიზანია გარკვეული კანონპროექტის ან დადგენილების მხარდაჭერა, დამტკიცება ან შეცვლა.

2022 წლის 1 იანვრიდან საქართველოში „მეწარმეთა შესახებ“ ახალი კანონი ამოქმედდა.

ამ კანონის პროექტის შემუშავებაში აქტიურად იყო ჩართული ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ეკონომიკური მმართველობის პროგრამა და ინვესტორთა საბჭო.

Investors Council

ინვესტორთა საბჭო საჯარო-კერძო დიალოგის დამოუკიდებელი პლატფორმაა, რომლის თავმჯდომარე საქართველოს პრემიერ-მინისტრია. ინვესტორთა საბჭო, ბიზნესისა და საინვესტიციო კლიმატის ხელშეწყობის მიზნით, უზრუნველყოფს დიალოგს ბიზნესსაზოგადოებას, საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებს, დონორებსა და საქართველოს მთავრობას შორის.

ინვესტორთა საბჭოს წევრები არიან როგორც უცხოური, ასევე ადგილობრივი მსხვილი ბიზნესკომპანიები, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე ოპერირებენ.

ინვესტორთა საბჭო ფინანსდება გაერთიანებული სამეფოს კარგი მმართველობის ფონდის (GGF) მიერ, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მეშვეობით და საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით.

USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამა მუშაობს საქართველოში მიმდინარე სხვადასხვა მნიშვნელოვან ეკონომიკურ რეფორმებზე, აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს მთავრობასთან და უზრუნველყოფს ბიზნესგარემოს განვითარებისა და გაუმჯობესების პროცესებში კერძო სექტორის ჩართულობას.

USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამამ, ინვესტორთა საბჭოსთან ერთად 2022 წლის გაზაფხულზე დაიწყო „მეწარმეთა შესახებ“ ახალი კანონის აღსრულების მონიტორინგი იმის გასარკვევად, თუ რა გამოწვევები ახლავს კანონის პრაქტიკაში დანერგვას. მონიტორინგის პროცესში გამოიკვეთა გარკვეული ხარვეზები. ადგილობრივი კონსულტანტის ჩართულობით გაანალიზდა პრაქტიკა და შემუშავდა რეკომენდაციები.



თამარ ბუაძე და ნიკა ნანუაშვილი „ბიზნესპარტნიორის“ სტუდიაში

მონიტორინგის განმახორციელებლებმა ასამართლოსთან, საჯარო რეესტრთან და კერძო სექტორთან თანამშრომლობის შედეგად შეიმუშავეს რეკომენდაციები, რომლებიც საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის გაფართოებულ შეხვედრაზე 2023 წლის 10 აპრილს განიხილეს. ამ შეხვედრაზე ყველა მხარეს მიეცა თავისი მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა. შეხვედრაზე კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ „მეწარმეთა შესახებ“ ახალი კანონი ძალიან მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯია ევროინტეგრაციის გზაზე, თუმცა საჭიროებს მონიტორინგის პროცესში გამოკვეთილი ხარვეზების გამოსწორებას. საქართველოს ბიზნესასოციაციის იურიდიული დირექტორი ნიკა ნანუაშვილი „ბიზნესპარტნიორის“ სტუდიაში აღნიშნავს: „კარგი კანონია, მაგრამ არ არის იდეალური. არის ისეთი ხარვეზები, რაც ბიზნესისთვის საქმიანობის მხრივ ქმნის გარკვეულ პრობლემებს, მათი გამოსწორება აუცილებელია. ასეთი პრობლემაა, მაგალითად, კაპიტალის ეროვნულ ვალუტაში გამოხატვის ვალდებულება. ჩვენ თუ გვაქვს შეზღუდული შესაძლებლობების საზოგადოება (შპს) და ამ შპს-ს აქვს გარკვეული კაპიტალი (ფინანსები), ეს კაპიტალი დღეს მოქმედი კანონის შესაბამისად აუცილებლად გამოსახული უნდა იყოს ლარში. იმ დროს, როდესაც ჩვენი კომპანიები, ბიზნესი საჭიროებს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს, ეს შეიძლება გახდეს დამაბრკოლებელი გარემოება უცხოურ ვალუტაში ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით. ასევე იმ თვალსაზრისითაც, რომ რიგი კომპანიები ოპერაციებს საერთოდ არ ახორციელებენ ლარში. ისინი ექსპორტზე არიან ორიენტირებული და შემოსავალი უცხოურ ვალუტაში აქვთ.

საკანონმდებლო ნორმები ისე უნდა იყოს ფორმულირებული, რომ მეწარმე და სახელმწიფო უწყებები ერთნაირად კითხულობდნენ. კანონში არის მუხლები, რო-

მელსაც თავისებურად კითხულობს ბიზნესი და თავისებურად ისეთი სახელმწიფო უწყება, როგორიც არის, მაგალითად, სამეწარმეო რეესტრი, ამის შედეგად კი წარმოიქმნება სასამართლო დავები.“

საჯარო რეესტრის წარმომადგენლები და სასამართლოც ეთანხმებიან „მეწარმეთა შესახებ“ კანონში ცვლილებების განხორციელების აუცილებლობას. ნაწილი ცვლილებებისა შეიძლება იყოს საკანონმებლო გზით განსახორციელებელი, ნაწილი კი ცალკეულ სახელმწიფო უწყებების ნორმატიული აქტებით დაკონკრეტებული.

„ინვესტორთა საბჭოს ფარგლებში შექმნილია ჯგუფი, რომელიც მუშაობს საკანონმდებლო ცვლილებების მომზადებაზე. USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამის მიერ წარდგენილი რეკომენდაციები განიხილება ამ ჯგუფის მიერ და ცვლილებების პაკეტი, რომელზეც ეს ჯგუფი მუშაობს კიდევ უფრო დაზუსტდება. შემდეგი ნაბიჯი იქნება საკანონმდებლო ცვლილებების პროექტის პარლამენტში წარდგენა. ჩვენ უნდა გავაგრძელოთ შეხვედრები, მუშაობა პარლამენტთან, რომ საბოლოოდ მოხდეს ამ საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება,“- ამბობს USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამის ეკონომიკური რეფორმების კომპონენტის ხელმძღვანელი თამარ ბუაძე.

დავალება 5.8.

იმსჯელეთ:

რამდენად მნიშვნელოვანია მეწარმეობის განვითარებისთვის საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ბიზნესმენთა გაერთიანებების თანამშრომლობითი ჩართულობა სამეწარმეო საკითხებთან დაკავშირებული ინიციატივების ლობირების დროს?

ოფიციალური სტატისტიკით, საქართველოში მცხოვრებთა დაახლოებით მეხუთედი უმუშევარია. დაბალია დასაქმებულთა ანაზღაურება, რის გამოც მოსახლეობის დიდი ნაწილი ქვეყნიდან მიდის. ამ დროს კი ბიზნესი მუშახელის არარსებობას უჩივის. ამბობენ, რომ აქვთ ვაკანსიები და ვერ ავსებენ. ცხადია, ასეთ შემთხვევაში ანაზღაურების პრობლემაც დგება, როდესაც ანაზღაურება იმდენად დაბალია, რომ მოქალაქეებს არ უღირთ ასეთ სამუშაოებზე დასაქმება. თუმცა გაცილებით დიდი პრობლემაა, როდესაც კვალიფიკაციის უქონლობის გამო ვერ შოულობენ სამუშაოს და ვერც კვალიფიკაციის ამაღლებას ახერხებენ.

პირველი ნიშნები იმისა, რომ საქართველოში შრომის ბაზარი მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებდა, ბაქო-სუფსის ნავთობსადენის გაყვანის დროს გამოჩნდა, როდესაც სათანადო კვალიფიკაციის შემდუღებლების დეფიციტის გამო პაკისტანიდან ჩამოიყვანეს სპეციალისტები. საქართველოში ადამიანები სამუშაოს ვერ შოულობენ და სამუშაოს საძებნელად საზღვარგარეთ მიდიან. დიდი ხანია, საუბარია იმაზე, რომ საქართველოში იაფი მუშახელია. იაფი სამუშაო ძალა კი, როგორც წესი, დაბალხარისხიან და დაბალფასიან პროდუქციას აწარმოებს. შესაბამისად, თუ გვინდა უფრო ხარისხიანი პროდუქციის მასობრივი წარმოება, უნდა გვყავდეს კვალიფიციური მუშახელი. ამიტომ მთელი რესურსები მიმართული უნდა იყოს კვალიფიციური კადრების მომზადებაზე და მიზანი არ უნდა იყოს პროდუქციის გაიაფება ადამიანურ რესურსის ეკონომიის ხარჯზე. საჭიროა



ინვესტირება ცოდნაში, განათლებაში, უნარ-ჩვევების განვითარებაში, რითაც საქართველოში არსებული სამუშაო ძალა იქნება კონკურენტუნარიანი არა მარტო აქ, არამედ მსოფლიო ბაზარზე რთული პროდუქციის წარმოების პროცესში. ცხადია, ამით გაიზრდება პროდუქციის თვითღირებულება, მაგრამ ჯობს იყოს ისეთი სისტემა, როგორიც არის, ვთქვათ, იაპონიაში, ვიდრე, მაგალითად, ავღანეთშია. იაპონია ძვირი ქვეყანაა, მაგრამ იაპონელი სამუშაოს საძებნელად ქვეყნიდან არ გარბის. ამიტომ მთელი აქცენტი უნდა გაკეთდეს მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებაზე. ევროკავშირში პროფესიული განათლება სისტემატურია და ადამიანებს ღრმა სიბერემდე შეუძლიათ აითვისონ ახალი პროფესია, შეიცვალონ განათლების პროფილი. საქართველოში სწორედ ამის წახალისება უნდა ხდებოდეს. უწყვეტ განათლებაზეა დამოკიდებული ქვეყნის განვითარება. ე.ი. ერთდროულად ორი საკითხია გასათვალისწინებელი: კვალიფიციური კადრების აუცილებლად მომზადება და ისეთი მიმართულებებით მომზადება, რომ ისინი საქართველოშივე დასაქმდნენ. ისე არ უნდა მოხდეს, რომ ადგილზე არსებული ისედაც მწირი რესურსები დაიხარჯოს, მომზადდეს კადრები და მერე უცხოეთში გავიდნენ. კომპლექსური მიდგომაა საჭირო – მომზადებულ კადრს უნდა ჰქონდეს გარანტია, რომ მაღალანაზღაურებად სამუშაოს მაღალი ალბათობით აქვე ნახავს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მუდმივად იქნება დასაქმებისა და კვალიფიკაციის პრობლემა.

დავალება 5.9.

მოისმინეთ ინტერვიუ კადრების დეფიციტსა და კვალიფიკაციის პრობლემაზე ტურიზმის სფეროში https://www.youtube.com/watch?v=G4mS-n1Bx3U

იმსჯელეთ:

ვინ უნდა იზრუნოს მოქალაქეთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე: კომპანიამ, სახელმწიფომ თუ ორივემ ერთად? რატომ ფიქრობთ ასე? თქვენი მოსაზრება დაასაბუთეთ.

გაეცანით ბმულზე https://vet.emis.ge/#/ მოცემულ ინფორმაციას საქართველოში არსებული პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამების შესახებ და თქვენთვის საინტერესო პროფესიის შესახებ ინფორმაცია გაუზიარეთ ერთმანეთს.

ბიზნესის წარმატებისთვის უმნიშვნელოვანესია ადამიანური რესურსის, დაქირავებული სამუშაო ძალის კვალიფიკაცია. დიდი კომპანიების მესაკუთრეები ხშირ შემთხვევაში ბიზნესის სამართავად ქირაობენ მენეჯერებს. ყველა მეწარმე/ბიზნესმენი დაინტერესებულია მაღალკვალიფიციური/კრეატიული აზროვნების მქონე მენეჯერის/ბიზნესის მმართველის დაქირავებით, რადგან მის მუშაობაზე დიდწილად არის დამოკიდებული

Don't Copy

კომპანიის წარმატება. მენეჯერები კომპეტენტურობისა და პროფესიული ოსტატობის დონით ბევრად ჯობნიან ბიზნესმენებს. მათი ამოცანაა ბიზნესის მართვის ფუნქციების საუკეთესოდ შესრულება, კვალიფიციური მუშაკთა შერჩევა-დაქირავება, წარმოებისათვის საჭირო სხვა რესურსების მოძება, ბაზრის შესწავლა – მარკეტინგი.

როგორც ბიზნესი, დაქირავებული შრომაც წარმოადგენს ადამიანთა პროფესიულ საქმიანობას. დაქირავებული მუშაკების მიერ შემოსავლების მიღება გაწეული შრომის ანაზღაურების სახით ხორციელდება ბიზნესმენთან/მეწარმესთან შრომითი ხელშეკრულების (კონტრაქტის) საფუძველზე. შრომითი კონტრაქტი წარმოადგენს გარიგების დოკუმენტურ გაფორმებას მუშაკის დაქირავების შესახებ. დაქირავებული მუშაკები ასეთი გარიგებიდან იღებენ გაწეული შრომის საფასურს – ხელფასს/ჰონორარს. ასევე ხდება მათი პროფესიული ზრდა და წარმატებული საქმიანობის შემთხვევაში – დაწინაურება.



დავალება 5.10.

თქვენ შერჩეული გაქვთ ბიზნესიდეა. ჩამოწერეთ: რა ადამიანური რესურსები დაგჭირდებათ თქვენი ბიზნესის წამოწყებისთვის, რა კვალიფიკაცია უნდა ჰქონდეთ თქვენს თანამშრომლებს?

აქვე განსაზღვრეთ მათი შრომის ანაზღაურების სავარაუდო ოდენობა.

დავალების შესასრულებლად რვეულში გადაიტანეთ ცხრილი და შეავსეთ.

პოზიცია	ამ პოზიციაზე თანამშრომელთა რაოდენობა	კვალიფიკაცია	ანალოგიურ პოზიციაზე მუშაობის გამოცდილება	შრომის ანაზღაურების (ხელფასის ოდენობა)

ა რ ჩ ე წ ე რ ო წ ი გ ნ შ ი !

ბიზნესის წარმატებისთვის საჭიროა მარკეტინგული კვლევა – ბაზრის შესწავლა: განისაზღვროს, ვინ არიან პოტენციური მომხმარებლები, პოტენციური კონკურენტები, მოთხოვნის სავარაუდო მასშტაბები, საწარმოო ხარჯები წარმოებულ საქონლზე/გაწეულ მომსახურეობაზე, საჭიროა ინფორმაციი მოძიება მსგავსი საქონლის/მომსახურეობის საბაზრო ფასების შესახებ.



დავალება 5.11.

შეისწავლეთ მომხმარებელთა აზრი გამოკითხვის გზით:

პროდუქციის/მომსახურების შესახებ საზოგადოებრივი აზრის შესასწავლად შეგიძლიათ გამოიყენოთ სოციალური ქსელები. ამისათვის, პირველ რიგში, ჩამოაყალიბეთ კითხვები, რომლებსაც თქვენ თვითონ დაუსვამდით საკუთარ თავს იმის გასარკვევად, თუ რამდენად მოთხოვნადი იქნება თქვენი პროდუქცია სამომხმარებლო ბაზარზე. ამ კითხვებზე პასუხი პირდაპირ გიკარნახებთ, სჭირდება თუ არა მომხმარებელს თქვენი

Don Copy

პროდუქცია/მომსახურება, რა მოცულობის პროდუქცია უნდა აწარმოოთ, რა ფასად შეიძლება შესთავაზოთ მომხმარებელს თქვენი პროდუქცია, გაუწევთ თუ არა კონკურენციას უკვე არსებულ ანალოგიურ პროდუქტს/საქონელს და სხვ.

ამის შემდეგ უნდა შექმნათ ელექტრონული კითხვარი. გადადით ბმულზე: https://email.mes.gov.ge მონიშნეთ ღილაკი:



შემდეგი საფეხური თქვენი ელექტრონული ფოსტის მისამართის და პაროლის მითითებაა. ეს მოქმედება გადაგიყვანთ ახალ ფანჯარაში, რომელიც მოგცემთ კითხვარის შექმნის შესაძლებლობას.

კითხვარის ელექტრონული ფორმის შექმნის ინსტრუქციას გაეცნობით შემდეგ ბმულზე: https://www.youtube.com/watch?v=CJSMRooz4Mc

ელექტრონული კითხვარის ბმული შეგიძლიათ გაავრცელოთ იმ სოციალურ ქსელებში, რომლებსაც საზოგადოების ფართო მასები იყენებენ საკომუნიკაციოდ. არ დაგავიწყდეთ კითხვარის შევსების ვადის მითითება!

ელექტრონული კითხვარის ნიმუში შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ბმულზე:

https://cutt.ly/C9HWIFL

კითხვარის ნიმუში ასევე შეგიძლიათ იხილოთ დანართი 7-ში (გვ. 243).

მითითებულ ვადაში შემოსული ინფორმაცია დაამუშავეთ. ეს მოგცემთ საშუალებას, შეაფასოთ, რა რისკებთან არის დაკავშირებული თქვენი ბიზნესიდეის სამეწარმეო საქმიანობად გადაქცევა.

მომხმარებლისათვის შესათავაზებელი პროდუქცია/მომსახურება უნდა იყოს კონკურენტუნარიანი – მაღალი ხარისხის, აკმაყოფილებდეს საერთაშორისო სტანდარტებს და ბაზარზე გასატანი ფასი უნდა იყოს მომხმარებლისთვის მისაღები. ასეთ შემთხვევაში წარმატებაც არ დააყოვნებს.

საბაზრო კონკურენციის გამო მომხმარებლის ინტერესების დაცვა საბაზრო ეკონომიკის განუყოფელი ნაწილია. გამყიდველები ერთმანეთთან კონკურენციით ცდილობენ, გამოავლინონ და დააკმაყოფილონ მომხმარებელთა მოთხოვნილებანი – უზრუნველყონ ისინი ფართო ასორტიმენტისა და მაღალი ხარისხის იმ საქონლითა და მომსახურებით, რასაც ისინი უპირატესობას ანიჭებენ და იმ ფასად, რომლის გადახდაც მათ სურთ.

მომხმარებლებს არავინ აიძულებს, ფული ამა თუ იმ კონკრეტული საქონლის შესაძენად დახარჯონ. ასეთ გადაწყვეტილებებს თვითონ იღებენ. მომხმარებლებს აქვთ პროდუქციის მიმწოდებელი კომპანიის თავისუფლად არჩევის საშუალება, რაც მომხმარებლების ინტერესების დაცვის ერთ-ერთი გამოხატულებაა. ბაზრის მიერ მომხმარებელთა ინტერესების დაცვის ხარისხი მართალია სრულყოფილი არ არის, მაგრამ არსებობს მომხმარებელთა უფლებების დაცვის სხვადასხვა საშუალება, რომლებიც უზრუნველყოფენ მომხმარებელთა დაცვას არასაიმედო ან მავნე პროდუქციისაგან. ამავე დროს პირველ რიგში, ბაზარი თავად არის მომხმარებლის დაცვის უმნიშვნელოვანესი მარეგულირებელი. ეს იმიტომ, რომ საბაზრო კონკურენცია, ჩვეულებრივ, ისეთ გარემოს ქმნის, რომ მომხმარებელთა ყოველმხრივ დაკმაყოფილება თავად მწარმოებელთა ინტერესებშია. მომხმარებელთა დაცვა სამთავრობო დაწესებულებებსა და კერძო სექტორის ორგანიზაციებსაც ევალებათ.

Don't Copy

ახალგაზრდა ფერმერთა ასოციაციამ პროექტის „სურსათის უვნებლობის ხელშეწყობა საზოგადოებრივ კვების ობიექტებში მონიტორინგისა და ადვოკატირების გზით“ ფარგლებში ჩაატარა კვლევა. მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით მოამზადა კვლევის ანგარიში და რეკომენდაციების დოკუმენტი.

კვლევის მიზანი იყო გამოკვლევა და შეფასება იმისა, თუ რამდენად ეფექტურია სურსათის უვნებლობის მიმართულებით მოქმედი კანონი/რეგლამენტები და სურსათის ეროვნული სააგენტოს მუშაობის პროცესში არსებული გამოწვევები ბიზნესოპერატორების დარღვევებთან/შეუსაბამობებთან მიმართებაში.

რეკომენდაციების მიზანია, კვლევის შედეგებზე დაყრდნობით იდენტიფიცირებული პრობლემების (რომლებიც გამოიკვეთა შიდა ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონების ყველა მუნიციპალიტეტში) სახელმწიფო უწყებებამდე, ბიზნესოპერატორებსა და საზოგადოებამდე მიტანა, რათა ქმედითი ნაბიჯები გადაიდგას პრობლემების აღმოსაფხვრელად და გაიზარდოს საზოგადოების ინტერესი სურსათის უვნებლობის საკითხისადმი.

კვლევაში მონაწილეობა მიიღო ხუთასმა საზოგადოებრივი კვების ობიექტმა, რომლებიც საქმიანობას ეწევიან შიდა ქართლში ან სამცხე-ჯავახეთში.

კვლევის ანგარიშის ბმული:
https://bit.ly/3HfMbt0

რეკომენდაციების დოკუმენტის ბმული:
https://bit.ly/3WnkVgz

პროექტი ხორციელდება „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის“ (CSRDG) მხარდაჭერით, ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა: მდგრადი, ღია და ანგარიშვალდებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საქართველოს განვითარებისთვის“ ფარგლებში.

დავალება 5.12.

კვლევის შედეგები და კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შემუშავებული რეკომენდაციები იხილეთ ტექსტში მითითებულ ბმულებზე. იქ ნახავთ, რომ მონიტორინგის შედეგად აღმოჩენილია დარღვევები და მეწარმეებიც დაჯარიმდნენ.

- თქვენით აზრით, ასეთი ტიპის შემოწმება/მონიტორინგი ზიანს აყენებს ბიზნესს, თუ, პირიქით, ეხმარება მას? დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება.
- როგორ ფიქრობთ, რა განაპირობებს ასეთი დარღვევების არსებობას საწარმოებში?
- არის ეს დარღვევები დაკავშირებული საწარმოს (ადამიანურ ან სხვა) რესურსებთან?
- ვინ იცავს საქართველოში მომხმარებელთა უფლებებს?
- რატომ არის ჩართული პროდუქციის ხარისხის უზრუნველყოფაში „საქართველოს ახალგაზრდა ფერმერთა ასოციაცია“?

§ 6. ფინანსური რესურსი ბიზნესისთვის

- რა რესურსი გჭირდებათ თქვენთვის სასურველი მომსახურების/პროდუქციის შესაძენად?
- როგორ ფიქრობთ, რამდენად მნიშვნელოვანია ფულის ქონა იდეების რეალიზებისა და საჭიროებების დაკმაყოფილებისთვის?



ცოტა რამ ისტორიიდან

ფულის ევოლუცია — გზა ბარტერიდან ციფრული ფულის ეპოქამდე



ვაჭრობის ისტორია 40 000 წელზე მეტს ითვლის. არქეოლოგიური აღმოჩენები მოწმობს, რომ ზედა პალეოლითში მონადირეთა ჯგუფები კაჟის იარაღებსა და სხვა ინსტრუმენტებს ერთმანეთში ცვლიდნენ.

მონადირე ხორცს აწვდიდა ფერმერს მარცვლეულის სანაცვლოდ, მეთევზე მონადირეს ქვის ნაჯახში დეკორატიულ ნიჟარებს უცვლიდა და ა.შ. ადამიანები დღესაც ცვლიან ერთმანეთში საქონელს და ასეთ მიმოცვლას საქონელგაცვლა, ანუ ბარტერი ეწოდება.

მოგვიანებით, როდესაც ადამიანებმა ლითონის დამუშავება დაიწყეს, საქონელგაცვლა გაცილებით გამარტივდა. ითვლებოდა, რომ ისეთ ლითონებს, როგორებიცაა ოქრო, ვერცხლი, კალა, რკინა, მაღალი ღირებულება ჰქონდა. შესაბამისად, ფერმერს შეეძლო მსხვილფეხა საქონელი გარკვეული რაოდენობის ვერცხლზე გადაეცვალა და შემდეგ ამ ვერცხლის ერთი ნაწილი ხარჯების დასაფარად გამოეყენებინა, ხოლო მეორე ნაწილი – შეენახა. ამ გზით ძვირფასი და არაძვირფასი ლითონები იქცა ღირებულების საზომად, ასევე, საქონლისა და მომსახურების გაცვლისა (ბარტერის) და დაზოგვის საშუალებად.

მონეტების შემოღებამ ბევრი პრობლემა გადაჭრა, თუმცა მაინც დარჩა რამდენიმე სირთულე: როდესაც ადამიანებს ძვირადღირებული ნივთის შეძენა სურდათ, ამისთვის ბევრი მონეტა სჭირდებოდათ; ბევრი მონეტა კი მძიმე და გადასაადგილებლად რთული იყო.

პირველი რეგიონი, სადაც ნამდვილი მონეტების მოსაჭრელად და მათი სავალუტო ფუნქციით გამოსაყენებლად ინდუსტრიული დანადგარების გამოყენება დაიწყეს იყო ლიდია (ახლანდელი დასავლეთ თურქეთი). ფულის მოსაჭრელ საწარმოს, რომელსაც ლიდიაში იყენებდნენ, დღეს ზარაფხანას ვუწოდებთ.



ლიდიური მონეტები, დაახლოებით ძვ.წ 600 წელი. ფოტო: Romancoins.info

ჩინეთში ძვ.წ. 100 წელს ქაღალდი გამოიგონეს, ჩვ.წ. X საუკუნიდან კი აქტიურად დაიწყეს ქაღალდის ფულის გამოყენებაც.

შვედეთმა 1661 წელს პირველმა შემოიღო ევროპაში ქაღალდის ფული.

მე-17 საუკუნისთვის ევროპაში ბანკებმა თანდათან ქაღალდის ბანკნოტების მასობრივად გამოყენება დაიწყეს. მათი გადაცვლა კი ვერცხლისა თუ ოქროს მონეტებში ყოველთვის შეიძლებოდა. საინტერესოა ისიც, რომ თავიდან ქაღალდის ფულს ბანკები ან კერძო დაწესებულებები უშვებდნენ და არა — მთავრობები.

საქართველოში ფულის მოჭრა ძვ.წ. VI საუკუნეში დაიწყო. პირველი ქართული მონეტა კოლხური თეთრია, რომელიც კოლხეთის სამეფოში ვერცხლისაგან მოიჭრა. საქართველოში უძველესი დროიდან 1834 წლამდე ოქროს, ვერცხლისა და სპილენძის ქართული ფული იჭრებოდა.




კოლხური თეთრი

Do

დავალება 6.1.

იმსჯელეთ:

- ადამიანები დღესაც მიმართავენ ბარტერულ გარიგებებს. ასეთი გარიგების რა მაგალითები გახსენდებათ?
- რა უპირატესობები აქვს სამომხმარებლო ბაზარზე ფულის გამოყენებას ბარტერთან შედარებით? დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრებები.



დავალება 6.2.

უპასუხეთ კითხვას:

რა მიზნით იყენებ ფულს შენ? შენი ოჯახის წევრები?

როგორ ამოვიცნოთ ყალბი ბანკნოტები:

2016 წელს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა მიმოქცევაში განახლებული 20, 50 და 100 ლარის ნომინალის ბანკნოტები ჩაუშვა. 2017 წლიდან კი მიმოქცევაში განახლებული 5 ლარის ნომინალის ბანკნოტებიც გავიდა. 5 ლარის ნომინალზე ივანე ჯავახიშვილია გამოსახული, 20 ლარის ნომინალზე – ილია ჭავჭავაძე, 50 ლარის ნომინალზე – თამარ მეფე, ხოლო 100 ლარის ნომინალზე – შოთა რუსთაველი. ამასთან, იგეგმება განახლებული 10 ლარის ნომინალის ბანკნოტების მიმოქცევაში ჩაშვებაც. ახალი ბანკონოტები უფრო ფერადია, გაუმჯობესებული ხარისხის გამოსახულება და ქაღალდი აქვს და, რაც მთავარია, უფრო დაცულია. გაყალბებული ბანკნოტის ამოცნობა შესაძლებელია გამჭოლ შუქზე (მაგ., მზეზე) გახედვისას, სხვადასხვა კუთხით დახედვისას, ან შეხებისას; ასევე, სპეციალური ხელსაწყოებით.

გახედე ბანკნოტს გამჭოლ შუქზე და დაინახავ:

- ჭვირნიშანს ნომინალის შესაბამისი პორტრეტის (მაგ., 20– ლარიანისთვის – ილია ჭავჭავაძის), ნომინალის აღმნიშვნელი ციფრის (მაგ., 20) და ლარის სიმბოლოს (₾) გამოსახულებით.
- ბანკნოტის უკანა მხარეს ვერტიკალურ დამცავ წყვეტილ ხაზს, რომელიც გამჭოლ შუქზე გახედვისას ერთიანდება და რომელზეც ბანკნოტის ნომინალის აღმნიშვნელი წარწერაა გამოსახული – მაგ., „20 ლარი“

დააკვირდი ბანკნოტს სხვადასხვა კუთხით დახრისას და დაინახავ:

• ბანკნოტის წინა მხარეს ჰოლოგრამის გამოსახულების ცვალებად ეფექტს;

• ბანკნოტის წინა მხარეს ნომინალის აღმნიშვნელი რიცხვის (მაგ., 20) ფარულ გამოსახულებასა და ოპტიკურად ცვალებად საღებავს;

• ბანკნოტის უკანა მხარეს – ირისისებურ (გამჭვირვალე საღებავით შესრულებულ) ზოლსა და წყვეტილი დამცავი ძაფის ფერთა ცვალებადობას.



შეეხე ბანკნოტს და შეიგრძნობ:

• ბანკნოტის წინა მხარეს გამოსახულ გრაფიკულ დეტალებზე (მაგ., პორტრეტზე) დატანილ საღებავის ფენას, რომელიც რელიეფურია;

• ბანკნოტის წინა მხარეს, კიდეზე დატანილ მოკლე ჰორიზონტალურ ხაზებს, რომელებიც რელიეფურია და სუსტი მხედველობის მქონე ადამიანებს აძლევს ბანკნოტის ნომინალის აღქმის შესაძლებლობას.

დავალება 6.3.

უპასუხეთ კითხვას: ვისთვის იქნება ეს ინფორმაცია მნიშვნელოვანი? შენ როგორ გამოიყენებ მას?

თუ ადამიანის შემოსავალი ხარჯებს გადააჭარბებს, ამ დროს მას რჩება გარკვეული თანხა, რომელიც შეიძლება გადადოს გაუთვალისწინებელი ხარჯებისთვის, ან შექმნას დანაზოგი მიზნობრივად, გარკვეული საქმისთვის. დანაზოგის შენახვა სახლში, არცთუ ისე უსაფრთხოა, ამასთან, მას არც სარგებელი ერიცხება და მისი დახარჯვის ცდუნებაც უფრო მეტია. თანხის შენახვა შესაძლებელია ბანკში, საანაბრე ანგარიშზე. დანაზოგის განსათავსებლად ყველაზე მოსახერხებელი მოთხოვნამდე ანაბარია. ასეთი ტიპის ანაბრის შემთხვევაში ნებისმიერ დროს არის შესაძლებელია თანხის შეტანა ანგარიშზე ან თანხის გამოტანა. ის, საჭიროების შემთხვევაში, ადვილად ხელმისაწვდომი იქნება. ამასთან ბანკი ანაბარზე განთავსებული დანაზოგის ოდენობის შესაბამისად მეანაბრეს უხდის გარკვეულ თანხას – სარგებელს.

მეწარმეთა უმრავლესობა სწორედ ასეთი დანაზოგით იწყებს საქმიანობას. ყიდულობს თავისი ბიზნესისთვის საჭირო საწარმოო საშუალებებს: მიწას, შენობა-ნაგებობებს, მანქანა-დანადგარებს და სხვა. ბიზნესაქმიანობის დაწყებისათვის საჭირო თანხის ოდე-

ნობა დამოკიდებულია ბიზნესის სფეროზე და მის მასშტაბებზე. მომსახურების ბიზნესი მოითხოვს ნაკლებ ფინანსებს, გადამამუშავებელი მრეწველობა – უფრო მეტს. მეწარმისთვის პირადი დანაზოგი – საკუთარი ფინანსური წყარო, უმნიშვნელოვანესი ელემენტია, განსაკუთრებით, საქმიანობის დაწყების საწყის ეტაპზე. მას უნდა ჰქონდეს ფულადი რესურსები ან უნდა შეეძლოს ისეთი პარტნიორების მოზიდვა, რომელთაც აქვთ წარმოებისათვის საჭირო ფულადი სახსრები.

საბანკო სისტემა ბიზნესის მხარდაჭერას აქტიურ რეჟიმში განაგრძობს. სწორედ ამ მიზნით ბანკთან პარტნიორობით თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ კისისხევში, შატო „შუხმანი“ გაფართოვდა. პროექტის ჯამური ღირებულება 30 მილიონი ლარია. ბანკის ინვესტიცია კი 4 მილიონ ლარს შეადგენს.


შატო „შუხმანის“ ვენახი

„მოხარული ვართ, რომ საქართველოს ბანკთან უკვე 10 წელია, ვთანამშრომლობთ და მათი ფინანსური მხარდაჭერით 120 ჰა-ზე ვენახის, ხოლო 7 ჰა-ზე კი ღვინის სოფლის გაშენება შევძელით.“ – განაცხადა კომპანიის დამფუძნებელმა და გენერალურმა დირექტორმა.

„საქართველოს ბანკის ერთ-ერთი უცვლელი პრიორიტეტი ბიზნესის მხარდაჭერაა, განსაკუთრებით რეგიონებში. მოხარული ვართ, რომ კიდევ ერთ წარმატებულ კომპანიას ხელი შევუწყვეთ ბიზნესის კიდევ უფრო მეტად განვითარებასა და გაფართოებაში. შატო საქართველოს ბანკთან 2012 წლიდან პარტნიორობს და ამ პერიოდის განმავლობაში მოახერხა, როგორც მეღვინეობის და სასტუმროს გაფართოება, ასევე უნიკალური ვილების გაშენება. კომპანია ღვინის ექსპორტს 25-ზე მეტ ქვეყანაში ახორციელებს, რაც მათ წარმატებას კიდევ უფრო მეტად უსვამს ხაზს. ამ დროისთვის კომპანიამ შეძლო 300-მდე ადამიანის დასაქმება, რაც რეგიონის განვითარებისთვის ძალიან მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს“, – განაცხადა საქართველოს ბანკის მცირე ბიზნესის გაყიდვების დეპარტამენტის დირექტორმა.

ფინანსური ინვესტიცია მოგების ან სხვა ეკონომიკური ეფექტის მიღების მიზნით ფულის დაბანდებაა. ინვესტიციის მთავარი იდეაა, ინვესტორს დროთა განმავლობაში პერმანენტულად მოუტანოს სარგებელი. ის ასოცირდება შენაძენთან, რომელიც მომავალში გარკვეულ ფინანსურ ფასეულობას შექმნის. მაგალითად, ერთი კონკრეტული ქვეყნიდან კერძო პირს ან კომპანიას შეუძლია სხვა ქვეყანაში, საკუთარი ბიზნესინტერესებიდან გამომდინარე, ჩადოს ინვესტიცია. მაგალითად, ააშენოს ქარხანა. ეს პირდაპირი, უცხოური ინვესტიციაა. ინვესტიციით სარგებელს მხოლოდ ინვესტორი არ ნახულობს, როცა საუბარია პირდაპირ ინვესტიციაზე, ანუ კომპანია თუ მეორე სახელმწიფოში აშენებს ქარხანას, ის იხდის გადასახადებს, ასაქმებს მოსახლეობას. ამით ის ქვეყნის ეკონომიკის ზრდას უწყობს ხელს.

დავალება 6.4.

ზემოთ მოცემული კონკრეტული მაგალითიდან გამომდინარე **იმსჯელეთ:**

- რატომ არის დაინტერესებული მეწარმე თავის ბიზნესში ინვესტიციების შემოტანით?
- რა სარგებელს ნახულობს ბიზნესმენი, როდესაც ბანკი ახორციელებს ინვესტიციას მის ბიზნესში?
- ფინანსების მოზიდვის კიდევ რა ფორმების შესახებ გსმენიათ?

დაფინანსების საკუთარი წყაროებისა და ინვესტიციების გარდა მეწარმემ შეიძლება გამოიყენოს ნასესხები თანხები – აიღოს სესხი ანუ კრედიტი, მაგრამ ვიდრე სესხის აღებას გადაწყვეტს, მან უნდა გაითვალისწინოს, რომ ბიზნესწამოწყება – რისკიანი საქმეა და, შესაბამისად, მეწარმის ინტერესშია, მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილება კვლევის, პროფესიული რჩევისა და შესაძლო რისკის შედეგების გათვალისწინებით.

დავალება 6.5.

იმისთვის, რომ მინიმალური რისკით და წარმატების დიდი შანსით დაიწყოთ თქვენი ბიზნესი, გაითვალისწინეთ ბმულზე მოცემული რჩევები: https://shorturl.at/mrLV9 თქვენ კიდევ რას დაამატებდით ამ რჩევებს?

დღეს საქართველოში საბანკო სექტორი საკმაოდ არის განვითარებული და მათი სერვისები – ძალიან მრავალფეროვანია დაწყებული ხელფასით, დამთავრებული ანაბრებითა და იპოთეკური სესხებით. როგორც ინდივიდუალურად ფიზიკურ პირს, ისე ბიზნესორგანიზაციას შეუძლია ისარგებლოს მისთვის საჭირო სერვისებითა და მომსახურებით. თუმცა ბანკის შერჩევისთვის საჭიროა კარგად გარკვევა იმაში, თუ რა შემოთავაზება აქვს ამათუიმ კომერციულ ბანკს, რა სახის სერვისი და მომსახურეობაა მათთან და რამდენად კარგი პირობები აქვთ. აუცილებელია ერთსა და იმავე მომსახურეობაზე სხვადასხვა ბანკის პირობების შედარება და, შესაბამისად, სწორი გადაწყვეტილების მიღება.

ბანკები საშუალებას გვაძლევს გადავრიცხოთ ფული მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში ან ვისარგებლოთ ფულადი გზავნილებით. რამდენადაც საქართველოში ბანკებს შორის კონკურენცია არსებობს, ისინი ცდილობენ შეინარჩუნონ ძველი კლიენტები და მოიზიდონ ახლები. შესაბამისად ისინი სთავაზობენ სხვადასხვა ტიპის პროგრამებს, რათა მეტ პოტენციურ მომხმარებელს გაუჩნდეს მათთან ურთიერთობის სურვილი. კომერციული ბანკებისთვის ასევე მნიშვნელოვანია მაღალი გადახდისუნარიანი მომხმარებლის მოზიდვა, სწორედ ამიტომ მაღალშემოსავლიანი კლიენტებისთვის მათ აქვთ სპეციალურად შექმნილი პრემიუმ პროგრამები.

Do not copy

ბიზნესსესხი – კრედიტი განკუთვნილია მათთვის, ვისაც სურს საკუთარი ბიზნესის წამოწყება ან განვითარება. სესხის რამდენიმე სახეობა არსებობს, იმის მიხედვით, თუ კონკრეტულად რისთვის გჭირდებათ თანხა. ეს შეიძლება იყოს საინვესტიციო კაპიტალი, საჭირო თანხა დანადგარებისთვის და ა.შ. შესაბამისად, ბიზნესსესხის შერჩევისას ასევე საჭიროა სწორად განსაზღვროთ მისი მიზნობრიობა. სესხი ანუ კრედიტი შეიძლება იყოს ვადის მიხედვით: მოკლევადიანი, საშუალოვადიანი, გრძელვადიანი.

კრედიტი (ლათ. ვალი, სესხი) არის ფულის სესხად გაცემა დაბრუნებადობის, ვადიანობის, მიზნობრიობისა და სარგებლის გადახდის პირობით.

მოკლევადიანი კრედიტი გაიცემა ერთ წლამდე ვადით და გამოიყენება მიმდინარე საქმიანობისათვის, კერძოდ, ყოველდღიური ხარჯების დასაფარავად, ხელფასის გასაცემად და ა.შ. საშუალოვადიანი კრედიტი გაიცემა ერთიდან 3 წლამდე ვადით, ხოლო გრძელვადიანი – 3 წელზე მეტი ვადით. გრძელვადიანი კრედიტი გამოიყენება ძირითადი კაპიტალის, მანქანა-მოწყობილობების, შენობების და ა.შ. შესაძენად.

უზრუნველყოფის სახეების მიხედვით არსებობს ორი სახის სესხი: უზრუნველყოფილი და არაუზრუნველყოფილი. უზრუნველყოფილია კრედიტი, რომლის დაბრუნებაც გარანტირებულია დაგირავებული მატერიალური ფასეულობებით, ხოლო არაუზრუნველყოფილია კრედიტი, რომელიც გაცემულია მატერიალური უზრუნველყოფის გარეშე.

უზრუნველყოფილი კრედიტის სახეობებია: საიპოთეკო და სალომბარდო კრედიტი. იპოთეკური სესხი გაიცემა უძრავი ქონების გირაოთი, მაგალითად, მიწის ფართის ან სახლის იპოთეკით დატვირთვით, ხოლო სალომბარდო კრედიტი – მოძრავი ქონების გარანტიით: სამკაულის ან სხვა ძვირფასი საგნების დაგირავებით.

ცოტა რამ ისტორიიდან

ილია ჭავჭავაძის ბიზნესაზროვნება – პირველი ქართველი ბანკირი და უკანასკნელი ბანკი კერძო ინტერესების გარეშე

ილია ჭავჭავაძე იყო პირველი ქართველი ბანკირი, რომელმაც შექმნა საბანკო დაწესებულების მიერ კერძო ინტერესების უარყოფის პირველი და უკანასკნელი პრეცედენტი საქართველოში. უფრო კონკრეტულად კი, საფუძველი ჩაუყარა პირველი ქართული ბანკის საზოგადო ღირებულებებს და 32 წლის განმავლობაში მართა ბანკი, რომელიც მისთვის იყო „ის მოედანი, რომელზეც უნდა აღიზარდოს, ფეხი აიდგას, გაიწურთნოს, გაინავარდოს ჩვენმა თვითმოქმედებამ, ჩვენმა ზნეობრივმა ძალ-ღონემ. ვისაც ჩვენი ქვეყანა გულწრფელად უყვარს და ჩვენთვის კეთილი არ შურს, ის დიდის სიფრთხილით, დიდის მოსაზრებით უნდა ეკიდებოდეს ყოველს საგანს, ყოველს აზრს ბანკის შესახებ“.

პირველი ქართული ბანკის ისტორია კი ასე დაიწყო: გლეხების ყმობიდან განთავისუფლებისათვის უმაღლესმა ხელისუფლებამ მემამულეებს მისცა გარკვეული თანხა. სწორედ ამ თანხის ნაწილით ბანკის დაარსების იდეა წამოაყენა საზოგადო მოღვაწე დიმიტრი ყიფიანმა. მანვე შეიმუშავა ბანკის საგანგებო წესდების პროექტიც, რომელიც თბილისის გუბერნიის თავადაზნაურობის კრებამ 1867

წლის 6 მაისს ერთხმად მოიწონა, ხოლო 8 მაისის სხდომაზე შეირჩა ბანკის საბოლოო წესდების პროექტის შემმუშავებელი სარედაქციო კომიტეტი, გრიგოლ ორბელიანის, დიმიტრი ყიფიანის, ილია ჭავჭავაძისა და სხვათა შემადგენლობით. სწორედ ამ დღიდან იწყება ილია ჭავჭავაძის ბრძოლა პირველი ქართული ბანკის საზოგადო ინტერესებისთვის. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს იყო სოციალური მოვლენის – გლეხების გათავისუფლების საფუძველზე მიღებულ ფინანსებზე დაშენებული დაწესებულება, თუმცა დ. ყიფიანს აღნიშნული ბანკი წარმოედგინა ისეთ ორგანოდ, რომელიც თავადაზნაურობას სესხს მისცემდა დაბალი პროცენტით, ვალის გადაუხდელობის შემთხვევაში კი, ბანკი დამგირავებელს მამულს არ გაუყიდდა. მამული დროებით ბანკის საკუთრებაში გადავიდოდა და სესხის დაფარვის შემთხვევაში პატრონს დაუბრუნდებოდა. ბანკის წესდების შემმუშავებელი სარედაქციო კომიტეტის წევრი ა.ზუბალაშვილი დ. ყიფიანის წესდების პირველ პროექტზე აღნიშნავდა, რომ გამდიდრების წესი ყველა ბანკს აერთიანებს. ბანკში დაგირავებული მამულის გაუყიდველობის იდეას ის ჰუმანურად მიიჩნევდა, თუმცა, ამავე დროს ამბობდა, რომ პრაქტიკაში მისი განხორციელება შეუძლებელი იყო, რადგან ბანკი, რომელიც ამ პრინციპით იმუშავებდა, მალე გაკოტრდებოდა.



პირველი ქართული ბანკის დამფუძნებლები

ილია ჭავჭავაძეს ესმოდა კომერციულ და საზოგადოებრივ ბანკს შორის განსხვავება, რომელიც ბანკის მოგების განაწილებაში მდგომარეობდა, მისი სურვილი კი პირველი ქართული ბანკის სოციალური მიზნებისთვის გამოყენება იყო.

ილია ჭავჭავაძის მიერ სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკის მმართველობის განმავლობაში 2 მილიონამდე მანეთი გაიცა საზოგადოებრივი საჭიროებების მხარდასაჭერად, რადგან მის მიერ გათვალისწინებული წესდების მიხედვით, ბანკის მოგების 40%, (შემდგომში 35%), სწორედ განათლებისა თუ საზოგადოებრივი ღონისძიებების მხარდასაჭერად გამოიყოფოდა.

დავალება 6.7.

უპასუხეთ კითხვებს:

- რა იცით დღეს საქართველოში არსებული ბანკების შესახებ?
- ბანკის რა მომსახურებებს იყენებთ პირადად თქვენ და თქვენი ოჯახის წევრები?

ბანკი მაღალი სოციალური პასუხისმგებლობით უნდა ეკიდებოდეს საზოგადოებისა და ბიზნესის მომსახურებას, თანაბარი პასუხისმგებლობით ემსახურებოდეს საზოგადოების ყველა წევრს და ბიზნესორგანიზაციებს.

ბანკი ვალდებულია:

- საკრედიტო ოპერაციების განხორციელებისას კრედიტები გასცეს მხოლოდ მათზე, ვისაც რეალურად შეუძლია სესხის დაფარვა და არ უბიძგოს კლიენტებს გაუთვალისწინებელი ფინანსური კრიზისისკენ;
- მოემსახუროს და სესხები გასცეს მხოლოდ ისეთ კლიენტებზე, რომლებიც არ აყენებენ ზიანს ბუნებასა და სოციალურ გარემოს;
- განსაკუთრებული ყურადღებით უნდა უზრუნველყოს კლიენტების ინფორმირება საბანკო მომსახურების არსებული ტარიფების შესახებ – განსაკუთრებით, სესხებზე გადასახდელი და ანაბრებზე დარიცხული საპროცენტო განაკვეთების შესახებ;



ფულმა კაცობრიობის ცხოვრება ძალიან გაამარტივა, თუმცა აღსანიშნავია, რომ ისტორიის მანძილზე, ხშირად ყოფილა, როდესაც მთავრობებმა არასწორი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა გაატარეს და ამით ეკონომიკას და მოქალაქეების სიმდიდრეს სერიოზული პრობლემები შეექმნა. მთავრობის მიერ განხორციელებულ ფულად-საკრედიტო პოლიტიკას მონეტარული პოლიტიკა ეწოდება, რომელიც გულისხმობს ფულის მასის ზრდას ან შემცირებას. ფულის მასის ზრდას, რომელიც გამოიხატება ფასების საყოველთაო ზრდაში ინფლაცია ეწოდება. უახლეს ისტორიაში ინფლაციის დიდი გამოცდილება აქვს საქართველოს, მაგალითად, 1992-1994 წლებში დაახლოებით 5 000 %-იანი ინფლაცია იყო იმის გამო, რომ ქვეყანას არ ჰქონდა ეროვნული ფული და ცენტრალური ბანკი არაფრით დაბალანსებულ, დიდი რაოდენობით ფულის შემცვლელს, ე.წ. კუპონებს ბეჭდავდა და „ფულის“ მასას ზრდიდა. ამან კი საქართველოს ეკონომიკას ძალზედ დიდი დარტყმა მიაყენა.

ფული – ეს არის სიმდიდრის გამოხატულება და ფულად-საკრედიტო (იმავე მონეტარულ) პოლიტიკას დიდი გავლენა აქვს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაზე. ნებისმიერი ხელისუფლების ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს ფასების სტაბილურობა, რაც პირდაპირ კავშირშია ეროვნულ ბანკთან და მონეტარულ პოლიტიკასთან.

საქართველოს ეროვნული ბანკი ბანკთა ბანკია. ის ახორციელებს საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კომერციული ბანკების ლიცენზირებას – საქმიანობაზე ნებართვის გაცემა და მათზე კონტროლს.

Don't Copy

საქართველოს კონსტიტუცია

მუხლი 68. ეროვნული ბანკი

1. საქართველოს ეროვნული ბანკი წარმართავს ქვეყნის მონეტარულ პოლიტიკას ფასების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად და ხელს უწყობს ფინანსური სექტორის სტაბილურ ფუნქციონირებას. ეროვნული ბანკი არის ბანკთა ბანკი, მთავრობის ბანკირი და ფისკალური აგენტი.

5. ეროვნული ბანკის უფლებამოსილება, საქმიანობის წესი და დამოუკიდებლობის გარანტია განისაზღვრება ორგანული კანონით.



დავალება 6.8.

იმსჯელეთ:

- რამდენად ახდენას გავლენას მოქალაქეებზე და ბიზნესზე ინფლაცია, პროდუქტებზე ფასების ზრდა?
- რა რისკებს უქმნის ბიზნესს ინფლაცია?

თქვენი მოსაზრებები დაასაბუთეთ.


„წარმატება ცუდი მასწავლებელია. ჩვენ ყველაზე მეტად წარუმატებელობით ვსწავლობთ, ამდენად, არ უნდა გვეშინოდეს მარცხის. მარცხი წარმატების ნაწილია. წარმატების მიღწევა მარცხის გარეშე შეუძლებელია“.

რობერტ კიოსაკი,
იაპონელი ბიზნესმენი



როგორ გესმით იაპონელი ბიზნესმენის, რობერტ კიოსაკის, ეს გამონათქვამი?

სამეწარმეო საქმიანობას თან ახლავს გარკვეული რისკები. მეწარმეს უნდა ჰქონდეს რისკის განმაპირობებელი მიზეზების გარკვევის, შედეგების აღმოფხვრის ან შესუსტების უნარი.



Don't Copy

რისკის შემცირების მეთოდებია:

1) რისკის აღმოსაფხვრელად შესაძლებელია სარისკო საქმეზე ხელის აღება, მაგრამ ეს არ არის გამოსავალი. ასე შეიძლება საერთოდ საქმის გარეშე დარჩენა, ვინაიდან არ არსებობს საქმე მეტნაკლები რისკის გარეშე. თუმცა, სათანადო ზომების გატარებით შესაძლებელია ამ რისკის შემცირებაა. მაგალითად, ბიზნესმენს აქვს სასტუმრო საცურაო აუზით. არსებობს ალბათობა იმისა, რომ სასტუმროს სტუმარი ამ საცურაო აუზში დაიხრჩოს. ე. ი. არსებობს რისკი. ბიზნესმენს ამ რისკისაგან თავის არიდება შეუძლია, თუ დახურავს საცურაო აუზს, ხოლო თუკი შექმნის სამაშველო სამსახურს, ამით რისკის ხარისხს შეამცირებს.

2) რისკის ხარისხის შემცირება შეიძლება თვითდაზღვევითაც, თუ მოსალოდნელი დანაკარგები უმნიშვნელოა. მაგალითად, ბიზნესმენი ემსახურება ბაღებისა და გაზონების ავტომატურ რწყვას. ცხადია, არსებობს საშიშროება ზამთარში ყინვის გამო, ამ სარწყავი სისტემის მწყობრიდან გამოსვლისა. ბიზნესმენს ამ რისკის შემცირება შეუძლია ან სადაზღვევო პოლისის შეძენით, ან მის სანაცვლოდ მცირეოდენი რეზერვების შექმნით, რომლის მეშვეობით საჭირო შემთხვევაში შეაკეთებს მილებს;


3) ინვესტორი რისკებს ამცირებს ინვესტიციების სხვადასხვა საწარმოზე გადანაწილებით (დივერსიფიკაციით). ანუ ერთ საწარმოში კი არ ჩადებს მთელ თავის კაპიტალს, არამედ გადაანაწილებს რამდენიმეზე და თუ რომელიმე მათგანი გაკოტრდება, ბევრად ნაკლები ექნება ზარალი, ვიდრე ერთი საწარმოდან, მისი გაკოტრების შემთხვევაში.

4) რისკის შემცირება მისი გადანაწილებითაც არის შესაძლებელი. არსებობს აზრი, რომ ბიზნესში რაც მეტია მონაწილე, მით უფრო კლებულობს რისკი. ამიტომ გონიერი ბიზნესმენი რაც უფრო მაღალი რისკის საქმეს ჰკიდებს ხელს, მით მეტ პარტნიორს გააერთიანებს თავის ბიზნესში.

5) რისკის შემცირება შესაძლებელია დაზღვევის საშუალებით. მაგალითად, რესტორანში მიმტანს ხელიდან დაუვარდა თეფში, სტუმარს ცხელი კერძი გადაექცა და ხელი

დაეწვა. ასეთ შემთხვევაში დაზარალებული სტუმრის მკურნალობის ხარჯებს გაიღებს ის სადაზღვევო კომპანია, რომელშიც დაზღვეულია ეს რესტორანი;

6) თუ რისკის მართვის სხვა მეთოდების გამოყენება შეუძლებელია, მეწარმე თავის თავზე იღებს ზარალის ანაზღაურებას. ამას რისკის დაკავება ან დატოვება ჰქვია. რისკის დატოვება ხდება, თუ რისკი არ არის დაზღვევადი ან არ არსებობს შესაბამისი სადაზღვევო პროდუქტი. მაგალითად, დაზღვევით არ იფარება ომით, ტერაქტებით გამოწვეული ზარალი. ომი, ტერაქტები არადაზღვევადი რისკებია. ასეთ შემთხვევებში, ორგანიზაცია იძულებულია ასეთი არადაზღვევადი რისკები საკუთარ თავზე აიღოს. რისკის დატოვება ხდება იმ შემთხვევაშიც, როდესაც დაზღვევის ფასი მაღალია ან როდესაც ზარალის სიდიდე ადვილად პროგნოზირებადია და შესაძლებელია მისი საკუთარი რესურსებით დაფარვა.



ბიზნესორგანიზაციის (კომპანიის) ხელმძღვანელების (მენეჯერების) ვალია, საღად გააანალიზონ რისკის ყველა სფერო, მკაცრად შეაფასონ, ან ინტუიციით განსაზღვრონ რისკის დონე და ისე მიიღონ გადაწყვეტილება. ამ მიზნით მენეჯერი კომპანიას უნდა იხილავდეს, როგორც დამოუკიდებელ, მთლიან, ღია სისტემას, იცნობდეს მის შიდა ცვლადებს (მიზანი, სტრუქტურა, ამოცანები, ტექნოლოგია, ადამიანები), მათ თვისებებს და როლს და გარემოს ცვლილებების შესაბამისად მიმართულებას უცვლიდეს კომპანიას, რათა იგი შეეგუოს, მოერგოს გარემოს და ამით შეინარჩუნოს არსებობა. მაგალითად, თუ კომპანია არ შეხვდა მზად მის პროდუქციაზე მოთხოვნის ზრდას, ანუ ვერ მოახერხა გაზრდილი მოთხოვნის დაკმაყოფილება, მაშინ ამას მისი კონკურენტები გააკეთებენ, თვითონ კი გაიუარესებს ფინანსურ მდგომარეობას და შეიძლება გაკოტრდეს კიდეც, რომ აღარაფერი ითქვას იმიჯის დაცემაზე.

დავალება 6.9.

- თქვენი ბიზნესიდეის მიხედვით განსაზღვრეთ რისკები;
- განსაზღვრეთ თქვენი ბიზნესის რისკების შემცირებისათვის ადეკვატური მეთოდები და დაასაბუთეთ მათი ეფექტიანობა.

დავალება 6.10.

შეაფასეთ თქვენ მიერ დაგეგმილი ბიზნესი – სვოტანალიზი.

სვოტ (SWOT) (SWOT stands for Strengths, Weaknesses, Opportunities, and Threats, a SWOT analysis) ანალიზი არის სტრუქტურირებული დაგეგმვის მეთოდი ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების გასაანალიზებლად, იგი გამოი-

Don't Copy

ყენება იდეის, პროექტის ან ბიზნესის შეფასებისთვის. სვოტანალიზი შეიძლება განხორციელდეს პროდუქტისთვის ან საწარმოსთვის.

ამ მეთოდით შეგიძლიათ განსაზღვროთ, რა ცვლილებებია შესატანი ბიზნესიდეაში, განაგრძოთ მასზე მუშაობა ან შეცვალოთ ის. თქვენ ჩამოყალიბებული გაქვთ ბიზნესიდეა. შეაფასეთ ის. გადაიტანეთ ცხრილი რვეულში და შესაბამის გრაფებში ჩაწერეთ პასუხები აქ მოცემულ კითხვებზე. თქვენი შედეგები წარუდგინეთ თანაკლასელებს.

ძლიერი მხარეები:	**სუსტი მხარეები:**
ბიზნესის (ან პროექტის) მახასიათებლები, რომლებიც განაპირობებენ სხვებთან შედარებით მის უპირატესობას. გაიაზრეთ იდეის ძლიერი მხარეები. • რას მოიტანს იდეა ბაზარზე? • არის თუ არა ის ინოვაციური? • შეგვიძლია თუ არა ვაწარმოოთ ის დაბალ ფასად?	მახასიათებლები, რომლებიც გუნდს სხვებთან შედარებით არაუპირატეს მდგომარეობაში აყენებს: • მაღალია წარმოების ხარჯი? • არამოთხოვნადია პროდუქტი? • რამდენად საჭიროა საქონელზე/პროდუქციაზე/მომსახურებაზე მოთხოვნის შესწავლა, მომხმარებელთა სეგმენტის დადგენა, პროდუქციის რეკლამა და სხვა?
შესაძლებლობები: ელემენტები, რომლითაც პროექტმა შეიძლება მოიპოვოს უპირატესობები: • ახალი და განსხვავებული ბაზრები • სამიზნე ჯგუფები • ახალი გზების ძიება პროდუქტის წახალისების ან გავრცელებისათვის	**საფრთხეები:** გარეშე ფაქტორები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიონ პრობლემები ბიზნესში ან პროექტში: • შესაძლებელია, უკვე არის ვიღაც, ვინც აწარმოებს მსგავს პროდუქციას • სთავაზობს მას უფრო დაბალ ფასად • არსებობს გარკვეული კანონები და რეგულაციები, რომლებიც ართულებენ კონკრეტული პროდუქციის წარმოებას.

სვოტ-ანალიზით მეწარმე აფასებს თავის ბიზნესიდეას. ბიზნესის დასაწყებად შემდეგი ნაბიჯი ბიზნესგეგმის მომზადებაა, რომლის შედგენის ინსტრუქციას გაეცნობით შემდეგ ბმულზე:

https://www.youtube.com/watch?v=XgRH5xGOaYY

Don't Copy

მეწარმეობა მდგრადი განვითარებისთვის



კომპლექსური დავალება 3

თანამშრომლობა მდგრადი განვითარებისთვის

გაეცანით ბმულზე მოცემულ ბილ გეითსსა და სტივ ჯობსთან ინტერვიუს „წარმატების პრინციპები“ https://sepia.ge/jobsi-geitsis-warmatebis-principebi/ (ინტერვიუს ტექსტი შეგიძლიათ იხილოთ გვ. 245 დანართი 8.). ინტერვიუდან ჩაინიშნეთ მნიშვნელოვანი ასპექტები, რა განაპირობებს წარმატებას: კონკურენცია თუ თანამშრომლობა. მდგრადი განვითარების თვალსაზრისით რა სარგებლობა მოუტანა მსოფლიო საზოგადოებას ამ ორი კომპანიის (apple და Microsoft – ის) და ორი პიროვნების, სტივ ჯობსის და ბილ გეითსის, თანამშრომლობამ. თქვენი მოსაზრებებისა და მიგნებების გამოყენებით მოამზადეთ ბიზნესგეგმა თემის შესწავლის პროცესში თქვენ მიერ დამუშავებული ბიზნესიდეის განხორციელებისათვის.



ნაშრომში ხაზგასმით წარმოაჩინეთ:

- როგორ უკავშირდება სამეწარმეო საქმიანობა მდგრადი განვითარების მიზნებს (გარემოს დაცვა, ეკონომიკური განვითარება, სოციალური კეთილდღეობა, ძლიერი ინსტიტუციები) და მისი მიღწევის შესაძლებლობებს?
- რამდენად მნიშვნელოვანია საზოგადოებისათვის, ბიზნესისთვის და გარემოსათვის სამეწარმეო საქმიანობისას განხორციელებული კონკრეტული ქმედებების სამომავლო შედეგების გაცნობიერება?



რა ცოდნა-გამოცდილება დაგჭირდებათ იმისთვის, რომ ეს კომპლექსური დავალება შეასრულოთ?

(მოცემული სქემა გადაიტანეთ რვეულში და ჩაინიშნეთ მოსაზრებები)

რა ვიცი საკითხთან დაკავშირებით?	რისი შესწავლა დამჭირდება?	რა უნდა გავაკეთო მიზნის მისაღწევად?
არ ჩაწერო წიგნში!		

საკვანძო შეკითხვა:

როგორ ავსახო ჩემი იდეის განხორციელების ბიზნესგეგმაში მდგრადი განვითარების ხელშეწყობა?

§ 7. თანამშრომლობა მდგრადი განვითარებისთვის

- როგორ ფიქრობთ, რა პასუხისმგებლობები აქვს ბიზნესს საზოგადოების წინაშე?
- რა კავშირი აქვს ქვეყნის ეკონომიკას და ბიზნესს ბუნებრივ გარემოსთან და ეკოლოგიასთან?



„ვიბარებთ პლასტმასის ბოთლებს“ – საქმედ ქცეული სარეკლამო წარწერა

სტატიის ავტორი: მაია იველაშვილი
(სტილი დაცულია)



მეწარმე თემურ თაბუნიძე

საკუთარი საქმიანობის შედეგს ყველაზე მეტად მაშინ მიხვდა, როდესაც საბავშვო ბაღებში მინიონების ფორმის ურნები დადგა და პატარებს ასე თამაშ-თამაშით აუხსნა, რომ „ევროპელობა სისუფთავით იწყება“.

საქმეში ოჯახის წევრები და თანაქალაქელები ჩართო. მამა დანადგარების აწყობაში, ხოლო ახალციხელი ცოლ-ქმარი ნარჩენების შეგროვებაში ეხმარება.

ახალციხეში საყოფაცხოვრებო ნარჩენების ჩასაყრელად ურნები დისტანცირებულად დგას, მაგრამ ქალაქის ქუჩებში ნაგავი მაინც ყრია. მერიის მიერ განთავსებული ურნების გვერდით დახარისხებული ნარჩენებისთვის საკუთარი ხელით აწყობილი ურნები თემურ თაბუნიძემ ორი წლის წინ განათავსა, დღეს კი ფიქრობს, რომ წლების წინ დაწყებულმა საქმიანობამ შედეგი გამოიღო. მოსახლეობა ნარჩენებს ძირითადად თავად ახარისხებს და შესაბამის ურნაში ყრის.

ამბობს, რომ ერთდროულად სამ საქმეს აკეთებს – იცავს გარემოს, ასუფთავებს ქალაქს და სწორი მარკეტინგის შემთხვევაში ბიზნესსაც განავითარებს.

„ჯერ კიდევ სტუდენტი ვიყავი, სარეკლამო წარწერა რომ დავინახე თბილისში – „ვიბარებთ პლასტმასის ბოთლებს“, დავიწყე ფიქრი, მაგრამ მაშინ ზუსტად არ ვიცოდი, როგორ შეიძლებოდა საქმის წამოწყება, დაახლოებით ათი წლის შემდეგ იდეასთან ერთად შესაძლებლობაც გაჩნდა და საქმეც დავიწყე“, – იხსნებს თემური.

„რადგან ქსელი არ მაქვს ჯერ, მარტო ახალციხეში ნარჩენების ის რაოდენობა არ გროვდება, ხარჯს რომ გავწვდე. ქსელის გამართვის შემთხვევაში, ქარხანა აშენდება ახალციხეში, ადგილზე ავიყვანთ დამატებით თანამშრომლებს და თუ ყველაფერი გეგმის მიხედვით წავიდა, დაახლოებით 10-დან 30 ადამიანამდე დასაქმდება“.

მწირი ფინანსების გამო ინტერნეტში საჭირო დანადგარების შესახებ ინფორმაციას ეძებს, საჭირო დეტალებს ყიდულობს და მამასთან ერთად დანადგარებს თავად აწყობს.

„ქალაქს დასუფთავება აკლია, პლასტმასი ისეთი ნარჩენია, რომელიც არ იშლება და ასწლეულების მანძილზე რჩება მიწაში. ახლა ვაგროვებთ და მიგვაქვს თბილისში, მაგრამ გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ახალციხეში ასეთი ქარხნის გახსნის შემთხვევაში, რეგიონი მაქსიმალურად დასუფთავდება. ახალციხელ ცოლ-ქმართან ნარჩენების შეგროვებაზე ხელშეკრულება გააფორმა. ისინი ქალაქში შეგროვებულ ნარჩენებს ახარისხებენ, საჭიროების შემთხვევაში, პრესავენ ან აქუცმაცებენ“ და თბილისში გასაგზავნად ამზადებენ.



თემურ თაბუნიძის საწარმოს სივრცე

ნარჩენების გადამამუშავებელი 10-ზე მეტი საწარმო ამჟამად მხოლოდ თბილისში ფუნქციონირებს, თუმცა საწარმოები მხოლოდ ერთი მიმართულებით მუშაობენ. შესაბამისად, ახალციხიდან დახარისხებული ნარჩენებიდან პლასტმასის ბოთლები ერთ საწარმოში ხვდება, თუნუქის ქილები – მეორეში, შეგროვებული მაკულატურა – მესამეში.

თემურ თაბუნიძე ამბობს, რომ თავად სამცხე-ჯავახეთში მრავალპროფილურ საწარმოს გახსნის, სადაც დახარისხებულ ნარჩენების ერთ სივრცეში მიიტანს.

„ამ დროისათვის ჩვენი ძირითადი შემოსავალი ნარჩენების ჩაბარებით მიღებული თანხაა, რომელიც მოგებაზე ვერ გადის, მაგრამ სახელფასო, საწვავისა და კომუნალურ ხარჯებს ისტუმრებს. ქსელის გამართვის შემთხვევაში, საწარმო მოგებაზე ერთ წელში გავა. როდესაც ხედავ, რომ მთელი მსოფლიო ამ მიმართულებით მუშაობს, ახალი ველოსიპედის გამოგონება აღარ გჭირდება. რეგიონს მორგებული სტრატეგია გამოცდილებაზე დაყრდნობით უკვე მზად გვაქვს“ – ამბობს თემური.

„პლასტმასის გადამუშვებით შეიძლება მომზადდეს – ფოცხები, ჟოლოს კალათები, ხილის ყუთები, კვერცხის ჩასადებები, სარეცხის სარჭები, ნახევარტონიანი და უფრო მეტი სიდიდის „ცისტერნები“, „დუტის“ ქურთუკებისთვის ბამბა და შესაბამისად, საბნები, ლეიბები, ბალიშები. მაკულატურის გადამუშავებით ძირითადად მზადდება ტუალეტის ქაღალდები. შესაძლებლობა და რესურსი არის, რეგიონში გროვდება იმდენი ნარჩენი, რომ საწარმომ სხვადასხვა მიმართულებით იმუშაოს. რაოდენობის გაზრდისა და რეგიონზე მუშაობის შემთხვევაში ეს ყველაფერი საკმარისი იქნება ქსელის ასაწყობად“ – ამბობს თემურ თაბუნიძე.

დავალება 7.1.

დააკვირდით, როგორი დამოკიდებულება აქვს საყოფაცხოვრებო ნარჩენების მიმართ მოსახლეობასა და ბიზნესს თქვენს ქალაქში/თემში, როგორ ზრუნავენ ისინი გარემოზე.

თქვენი დაკვირვების შედეგები გაუზიარეთ კლასს.

მსოფლიოში ნარჩენების მართვის საკითხი განიხილება როგორც გლობალური გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური პრობლემა. ნარჩენების მართვის სისტემების არარსებობა უარყოფითად მოქმედებს გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე. ნარჩენების მართვის გამართული სისტემის შემთხვევაში კი, ქვეყანაში ჩნდება პოტენციური ბუნებრივი ნედლეული, ახალი ენერგიის წყარო, რასაც მოაქვს მნიშვნელოვანი სოციალური და ეკონომიკური სარგებელი, ამასთან, ზოგავს პირველად ნედლეულს (რომელთა უმრავლესობა ამოწურვადი და არაგანახლებადია), წაახალისებს ინოვაციურ იდეებს და ქმნის ახალ სამუშაო ადგილებს.

„2015 წელს მეგობრებმა მოვიფიქრეთ ინიციატივა „მწვანე საჩუქარი“, რომლის მთავარი მიზანი ჩვენს თემში ნარჩენების დახარისხების და გადამუშავების წახალისება იყო.

ჩვენ ვაგროვებდით მაკულატურას ორგანიზაციებიდან. შეგროვებულ მაკულატურას ვცვლიდით წიგნებში. საკმაო რაოდენობის წიგნები რომ გვიგროვდებოდა, საჩუქრად მიგვქონდა რეგიონში არსებულ სკოლის ბიბლიოთეკებში.




„მწვანე საჩუქარის“ დამფუძნებლები

2016 წლის ბოლოს ჩვენს ინიციატივას მეტი მხარდამჭერი გამოუჩნდა და გაჩნდა ინიციატივის გაფართოებისა და ორგანიზაციის დარეგისტრირების საჭიროება. 2017 წლის 15 თებერვალს დავაარსეთ ა(ა)იპ „მწვანე საჩუქარი“, რომლის საფუძველზეც, შემდგომში, პირველი გრანტის მიღების შემდეგ დავაარსეთ იგივე სახელწოდების სოციალური საწარმო. გრანტის ფარგლებში ვიყიდეთ ავტომანქანა, საბეჭდი დანადგარი, ყუთები მაკულატურის შესაგროვებლად და ა.შ. დღეისათვის ორგანიზაცია დაახლოებით 50 ორგანიზაციიდან აგროვებს მაკულატურას, შეგროვებული მაკულატურის გადამუშავებას ვახდენთ პარტნიორ გადამამუშავებელ ქარხანაში, შედეგად მიღებული მეორადი ქაღალდით კი ვაწარმოებთ ეკოდამზოგავ პროდუქტებს — შესაფუთ ქაღალდს, ჩანთებს, ფლიპჩარტებს, ბლოკნოტებს, კონვერტებს, საკანცელარიო ქაღალდს და სხვ.

შემუშავებული გვაქვს გეგმა და ხედვა, თუ როგორ შევქმნათ ისეთი ორგანიზაცია, რომელიც გაუფრთხილდება გარემოს და ამავდროულად შექმნის დამატებით, უფრო ხელშესახებ და ადვილად აღქმად სიკეთეს ჩვენი საზოგადოებისთვის. სამომავლოდ ვგეგმავთ მოწყვლადი ჯგუფების (სოციალურად დაუცველი ადამიანების, იძულებით გადაადგილებული პირების, მარტოხელა მშობლების, ყოფილი მსჯავრდებულების, სპეციალური საჭიროების მქონე პირების და ა.შ.) წარმომადგენლების დახმარებას პროფესიების დაუფლებასა და დასაქმებაში.“ - ამბობს საწარმოს დამფუძნებელი.

.

იყავი შემდეგი



2019 წელს გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ საბრძოლველად ქართულმა კომპანიამ „ჯინვენტორი“ გადაწყვიტა, მომხმარებლისთვის ეკომეგობრული კაბელი „ტენე“ შეეთავაზებინა.

„ტენე“ მწვანე კონცეფციის USB კაბელია, რომლის დასამზადებლად მეორადი პლასტმასის ბოთლების სახურავებს იყენებენ, შესაბამისად, მათი მიზანი გარემოს დაცვა და ენერგიის დაზოგვაა. თავდაპირველად „ტენესთვის“ პროდუქცია ჩინეთში იწარმოება, თუმცა კომპანიის წარმომადგენლებმა მასალების ეფექტურობის შესწავლის შემდეგ გადაწყვიტეს, ეს პროცესი საქართველოში გადმოეტანათ, რაშიც სესხის თანადაფინანსების პროგრამა დაეხმარა.

„თავდაპირველად USB კაბელებს ჩინეთში „ვბრენდავდით“ და ამერიკაში „ამაზონზე“ ვყიდდით, მომდევნო ეტაპზე გადავწყვიტეთ, ისინი საქართველოში ჩამოგვეტანა და ონლაინ გაგვეყიდა“ – სანდრო ლილუაშვილი, „ტენეს“ დამფუძნებელი

ასე გახდა „ტენე“ პირველი ქართული USB კაბელი და ამავდროულად, პირველი მწვანე USB კაბელი მსოფლიოში, რომელიც მეორადი პლასტმასას გამოყენებით იქმნება.

რამდენიმე წლის განმავლობაში „ტენეს“ კაბელები თბილისში მზადდებოდა. 2022 წლიდან კომპანიამ გადაწყვიტა, აგვისტოს ომით დაზარალებულთა მხარდასაჭერად ქარხანა წეროვანში გადაეტანა. წეროვნის ქარხანაში 30 ადამიანი დასაქმდა და გამოშვებული პროდუქციის რაოდენობაც გაიზარდა.

„ტენეს“ გუნდი მუდმივად ვითარდება და მომხმარებელს ახალ პროდუქტებს სთავაზობს. უკრაინის მხარდასაჭერად კომპანიამ ელექტროველოსიპედი შექმნა, რომელიც სატერფულების დატრიალებითა და ბიჯური ძრავის მეშვეობით ელექტრო ენერგიას გამოიმუშავებს. პლასტმასით დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლაში წვლილის შესატანად, „ჯინვენტორმა“ კამპანია დაიწყო – მომხმარებელი, რომელიც შეაგროვებს პლასტმასას ბოთლებს და მათთან ჩააბარებს, საჩუქრად, „ტენეს“ ეკომეგობრულ USB კაბელს მიიღებს.

დავალება 7.2.

უპასუხეთ კითხვებს:

- როგორ ფიქრობთ, რამდენად მომგებიანი ბიზნესია ასეთი საწარმოების შექმნა?
- გაიხსენეთ, რა არის მდგრადი განვითარება. მდგრადი განვითარების რომელი მიზნების მიღწევისკენ არის მიმართული ამ კომპანიის საქმიანობა?
- გიფიქრიათ თქვენ ასეთი ტიპის პროდუქციის შექმნაზე?

სამეწარმეო საქმიანობა ხშირ შემთხვევაში მჭიდრო კავშირშია ბუნებრივ გარემოსთან. ქვეყანაში არსებული ბუნებრივი რესურსების (წიაღისეული, სათბობი, ენერგია, ტყე

და ტყის რესურსები და ა.შ) მრავალფეროვნებასა და რაოდენობაზე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ბიზნესის განვითარება. ამასთან ერთად უმნიშვნელოვანესია, თავის მხრივ, სამეწარმეო/ეკონომიკური საქმიანობის გავლენა ბუნებრივ გარემოზე. საწარმოები, უმეტეს შემთხვევაში, განთავსებულია რესურსების მახლობლად, რადგან რესურსის საწარმოსგან სიშორე იწვევს დიდ დანახარჯს, და შესაბამისად, ზრდის პროდუქციის ფასს, რაც უარყოფითად მოქმედებს კომპანიის პროდუქციის კონკურენტუნარიანობაზე.

გარემოსთვის ზიანის მიყენების გამო სასამართლომ კომპანია RMG 5 000 ლარით დააჯარიმა

21 ივლისი, 2017,
მიშა მეფარიშვილი
(სტილი დაცულია)



გარემოს დაცვის სამინისტროს ცნობით, კომპანია „RMG Gold“, რომელიც ქვემო ქართლის ტერიტორიაზე ოქროს მოპოვების ლიცენზიას ფლობს, სასამართლომ გარემოსთვის მიყენებული ზიანის გამო 5 ათასი ლარით დააჯარიმა.

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მთავარი სახელმწიფო ინსპექტორის განმარტებით, ისინი ახლა ითვლიან ზიანს, რომელიც კომპანიამ ბუნებრივ გარემოს მიაყენა. სასამართლოს გადაწყვეტილებით, სამინისტრო კომპანიას „გონივრულ ვადას“ დაუდგენს დარღვევების გამოსასწორებლად და თუ კომპანია არ შეასრულებს დაკისრებულ ვალდებულებებს, მას ჯარიმა გაუსამმაგდება. შემდგომი დარღვევების არსებობის შემთხვევაში კი, სამინისტრო იმსჯელებს კომპანიისთვის საქმიანობის ნებართვის გაუქმებაზე.

გარემოს დაცვის სამინისტრომ აღნიშნული დარღვევები სტანდარტული ინსპექტირების შედეგად აღმოაჩინა. სამინისტრომ შეამოწმა, თუ რამდენად ასრულებდნენ RMG-ის საწარმოები გარემოზე ზემოქმედების ვალდებულებებს. შემოწმების შედეგად გამოვლინდა შემდეგი დარღვევები: საწარმოებში არ იყო უზრუნველყოფილი საწარმოო პროცესები იმდაგვარად, რომ არ დაბინძურებულიყო ნიადაგი და წყალი, ტექნოლოგიური პროცესიდან გამომდინარე, მათ უნდა ჰქონოდათ ჰერმეტული აირდამჭერი სისტემა. „ფაქტობრივად, ყველა ის პირობა, რომლებიც კომპანიას ჰქონდა დადგენილი, არ იყო შესრულებული“, — ამბობს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მთავარი სახელმწიფო ინსპექტორი.

დავალება 7.3.

უპასუხეთ კითხვებს:

- თქვენ რომ იყოთ გარემოს დაცვის სამინისტროს მაღალი თანამდებობის პირი, რა გზებს მიმართავდით იმისთვის, რომ ბიზნესმა არ დააზიანოს გარემო?
- წარმოიდგინეთ, რომ ხართ მეწარმე და კომპანია „RMG Gold“ დაინტერესებულია თქვენთან თანამშრომლობით. როგორ მოიქცეოდით, რა გადაწყვეტილებას მიიღებდით? დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება.

ეკოლოგიის საკითხი ისტორიულად ყოველთვის აქტუალური იყო. მეწარმეებს უმეტესწილად არ სურდათ პოზიციების დათმობა. სახელმწიფოს კი ყოველთვის ჰქონდა და დღესაც აქვს პასუხისმგებლობა გარემოსა და საზოგადოების ინტერესების დაცვაზე.



საწარმოს შენობა ძველ თბილისში

ცოტა რამ ისტორიიდან

რატომ აუკრძალეს თავად გიორგი ამატუნის საპნის მტკვრის პირას ხარშვა

მე-18 საუკუნის დასასრულსა და მე-19 საუკუნის დასაწყისში დედაქალაქის ბაზარზე ჩუღურეთის ქურებში გამომწვარი აგურის, კრამიტისა და თიხის ჭურჭლის გარდა გადიოდა საპონი, რომელიც ჩუღურეთის საპნის სახარშში მზადდებოდა. ჩუღურეთის საპნის სახარში XIX საუკუნის 30-იანი წლების ჩათვლით ერთადერთი იყო იმდროინდელ თბილისში. საპნის სახარში თავად ამატუნის კუთვნილება იყო და იჯარით ჰქონდა გაცემული თბილისელ აზნაურ გეო ლორის-მელიქოვზე და მოქალაქე დავით ტატოევზე.

საპონი ჩუღურეთის ქუჩებში გამომწვარ ას ცალ თიხის ქოთანში იხარშებოდა. ეს სახარში მდებარეობდა მტკვრის პირას, დიდხევის ახლოს, აქედან საპნის ნახარში მტკვარში იღვრებოდა და მდინარეს აბინძურებდა. ჩუღურეთი, თბილისის ჩრდილოეთით მდებარეობდა და საპნის სახარშიდან გამოტანილი მთელი უსუფთაობა და ნაგავი მდინარეს ქვევით, ქალაქის ცენტრში ჩაჰქონდა.

ქალაქის მომწყობმა კომისიამ ამატუნს მტკვრის პირას საპნის ხარშვა აუკრძალა და პატრონს წინადადება მისცა, საქმიანობა გადაეტანა ქალაქის სხვა, მოშორებულ ადგილას, კერძოდ, თბილისის მოქალაქის მიხეილ სარაჯიშვილის მიერ ქალაქგარეთ, ნავთლუღში მოწყობილ ქარხანაში. აღსანიშნავია, რომ სარაჯიშვილისავე ქარხანაში ქალაქის ცენტრიდან უნდა გადაეტანათ ტყავის გამოსაყვანი სახელოსნოები – სადაბაღოები.

საპნის სახარშის ნავთლუღში გადატანას წინ აღუდგნენ ამატუნი და მისი კომპანიონები- გეო ლორის-მელიქოვი და დავით ტატოევი, მაგრამ ადგილობრივმა ხელისუფლებამ თავისი გაიტანა და ამატუნი იძულებული შეიქმნა, დამორჩილებოდა, ოღონდ სახარში სად გადაიტანა, ჩვენთვის ცნობილი არ არის. შესაძლოა, იგი ისევ თავის კუთვნილ მამულში, სურბ-კარაპეტას ხევში მოაწყო. ასეთი ვარაუდის გამოთქმის უფლებას იძლევა აღნიშნულ ხევთან დღესაც არსებული ქუჩა, რომელსაც საპნის ქუჩა ჰქვია. თუმცა ეს მხოლოდ ვარაუდია – შეიძლება აქ უფრო გვიან მოეწყო საპნის სახარში.

თ.ბერიძის ნაშრომის მიხედვით



დავალება 7.4.

უპასუხეთ კითხვებს:

როგორც ხედავთ, ყველა დროში არსებობს გარემოს დაცვის პრობლემა. თქვენი აზრით, რა იწვევს მსგავს პრობლემებს და როგორ შეიძლება მისი მოგვარება?

გარემოს დაცვა სოციალური მნიშვნელობის პრობლემა და მაკროეკონომიკური რეგულირების მნიშვნელოვანი სფეროა. ადამიანის აუცილებელი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად მრავალი სახის პროდუქცია იწარმოება. ზოგიერთი მათგანის წარმოება გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მავნე გავლენას ახდენს. თუმცა, ყოველთვის არსებობს პრევენციული საშუალებები ასეთი ზიანის თავიდან ასაცილებლად.

დღეს, ცივილიზებულ სამყაროში, მოქმედი კომპანიები მთავრობის შესაბამის მარეგულირებელ კანონებს გვერდს არ უნდა უვლიდნენ. ისინი გარემოსათვის ხელშემწყობ სტრატეგიებს უნდა ანვითარებდნენ, რათა ისეთი მსოფლიო ეკონომიკა ჩამოყალიბდეს, რომელიც მხარს უჭერს გარემოს მდგრადობას. ასეთი კომპანიები პასუხობენ მომხმარებელთა მოთხოვნებს ეკოლოგიურად უსაფრთხო პროდუქტების წარმოებით. სახელმწიფო კი ხელს უწყობს ამ კომპანიებისა და აგრობიზნესის გაძლიერებას.



„2016 წელს, სოფლის განვითარების სააგენტოს დაფინანსებით დავიწყეთ მაღალტექნოლოგიური საწარმოს მშენებლობა, სადაც ხდება ხილის და ბოსტნეულის პირველადი გადამუშავება და ორგანული და არაორგანული წვენების ჩამოსხმა. ეს არის საქართველოში ერთადერთი საწარმო, რომელიც აწარმოებს ცივად დაწურულ, 100%-ით სუფთა ორგანულ წვენს. ბაღები გაშენებული გვაქვს 300 ჰექტარზე. ჩვენი ხილი და ბოსტნეული არ შეიცავს პესტიციდებს, ნიტრატებს, არის სრულიად სუფთა, ორგანული. საწარმოში ვამუშავებთ როგორც ჩვენს ბაღებში მოყვანილს, ასევე საქართველოს მასშტაბით ფერმერებისგან მიღებულ ორგანულ ხილს და ბოსტნეულს. 2018 წლიდან გადავამუშავეთ 5000 ტონა ხილი და ბოსტნეული. შედეგად მივიღეთ 2800 ტონა წვენი.

კომპანიას გავლილი აქვს „სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაციის“ (ISO-ს) სერტიფიცირება. ასევე გვაქვს ევროპის, ამერიკის, კორეის, იაპონიის სერტიფიკატები ორგანულ პროდუქციაზე. პროდუქცია გაგვაქვს 40-მდე ქვეყანაში. ერთი წლის წინ ქართულ ბაზარზეც დავიწყეთ პროდუქციის გაყიდვა.“ - ამბობს კომპანია „Georgia’s Natural“-ის მენეჯერი.

დავალება 7.5.

გაანალიზეთ კომპანიის საქმიანობა

- როგორ ფიქრობთ, რა უპირატესობა აქვთ ეკოლოგიურად სუფთა საკვები პროდუქციის მწარმოებელ კომპანიებს ბიზნესის წარმოებისა და მოგების თვალსაზრისით?

დაუკავშირეთ თქვენი მოსაზრებები მდგრადი განვითარების მიზნებს.



კომპანია „კავკასუს ორგანიკ ფრუტსის“ საწარმოს სამუშაო სივრცე

ხილის გადამამუშავებელი საწარმო მზის ენერგიაზე მომუშავე ხილის საშრობის აშენებას გეგმავს

მცხეთა-მთიანეთის რეგიონში, მცხეთის მუნიციპალიტეტში, „ერთიანი აგროპროექტის“ ფარგლებში, თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი ხილის გადამმუშავებელი საწარმო – შპს „კავკასუს ორგანიკ ფრუტსი“ აშენდა. კომპანიამ ისარგებლა სახელმწიფო ხელშეწყობის პროგრამებით, „შეღავათიანი აგროკრედიტით“ და „გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტით“. კომპანია წელიწადში 50 ტონაზე მეტ სხვადასხვა ხილის ჩირს აწარმოებს, რისთვისაც მხოლოდ ადგილობრივ ნედლეულს იყენებს. პროდუქცია ძირითადად საექსპორტოა და ევროკავშირის ქვეყნებში იყიდება, თუმცა იგეგმება ადგილობრივ ბაზარზე ოპერირებაც.

ხილის ჩირის მწარმოებელი „კავკაუსუს ორგანიკ ფრუტსი“, ნატახტარში მდებარე საწარმოში, მზის ენერგიაზე მომუშავე საშრობის აშენებას გეგმავს. კომპანიის სურსათის უვნებლობის მენეჯერმა არჩილ ბურჯანაძემ „საქმიანი დილის“ ეთერში განაცხადა, რომ განახლებადი ენერგიის გამოყენება საწარმოო პროცესში, მათ ბიზნესს უფრო რენტაბელურს გახდის. კომპანიის სურსათის უვნებლობის მენეჯერმა „საქმიანი დილის“ ეთერში განაცხადა, რომ განახლებადი ენერგიის გამოყენება საწარმოო პროცესში, მათ ბიზნესს უფრო რენტაბელურს გახდის. შპს „კავკასუს ორგანიკ ფრუტსში“ დასაქმებულია 50-მდე ადამიანი. საწარმოში დანერგილია საერთაშორისო სტანდარტი FSSC 22000.

დავალება 7.8.

იმსჯელეთ:

მდგრადი განვითარების რომელი მიზნებისკენ არის მიმართული მსგავსი ბიზნესი? რა გავლენა შეიძლება ქონდეს მცირე საწარმოებსა და მასში დასაქმებულ ადამიანებს გლობალურ შედეგებზე?

ბუნებრივ გარემოში ცენტრალური ადგილი უჭირავს ენერგეტიკულ რესურსებს. მათი რაციონალური გამოყენება ერთ-ერთი პირველი რიგის პრობლემაა როგორც ბიზნესის განვითარების, ისე სოციალური და ეკოლოგიური ასპექტების გათვალისწინების თვალსაზრისით. არსებობს მცდარი შეხედულება, რომ საქართველო ძალიან მდიდარია წყლის რესურსით, რომელიც მაქსიმალურად უნდა იქნას ათვისებული, ელექტროენერგიად გარდაქმნილი და ექსპორტზე გატანილიც. სინამდვილეში კი, არ არის დათვლილი საქართველოს მდინარეების ეკოლოგიური და სოციალური საფასური და დასკვნები მხოლოდ ტექნიკურ და ეკონომიკურ მონაცემებზე დაყრდნობით გამოაქვთ. ჰიდროელექტროსად-

გურების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის ჩანაცვლება განახლებადი ენერგიით და მეწარმეთა დაინტერესება და აქტიურობა ამ პროცესებში, მდგრადი განვითარების თვალსაზრისით, ძალიან მნიშვნელოვანია.

ქვეყნის ეკონომიკის მდგრადობის კიდევ ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს ეკონომიკურ პროცესებში ახალგაზრდობისა და ქალთა ჩართულობა წარმოადგენს.

მეწარმეობაში ახალგაზრდებისა და ქალთა როლის გაძლიერების მიზნით არაერთი ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაცია ახორციელებს სასწავლო/საგანმანათლებლო პროგრამებს.

USAID YES-Georgia ახალგაზრდების და ქალთა მეწარმეობის მხარდაჭერა

USAID
ამერიკელი ხალხისგან
USAID YES-GEORGIA PROGRAM

„ახალგაზრდა მეწარმეთა სკოლა“ USAID-ის პროგრამის „ახალგაზრდების და ქალთა მეწარმეობის მხარდაჭერა საქართველოში“ (USAID YES-Georgia) ფარგლებში აცხადებს მიღებას უფასო ტრენინგკურსებზე – მეწარმეობა ახალგაზრდებისთვის.

ტრენინგებში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:

** მეწარმეობის და ბიზნესის დაწყების მსურველ 16-დან 29 წლამდე ასაკის ქალებს.

** 16-დან 29 წლამდე ასაკის მეწარმე ქალებს.

** ტრენინგების პირველი ეტაპი ჩატარდება ონლაინ, ხოლო ტრენინგის მეორე ფაზაში მენტორინგის სესიები ჩატარდება პირისპირ შეხვედრების ფორმატში.

** ტრენინგებში მონაწილეობის მიღება შეუძლია საქართველოში მცხოვრებ ნებისმიერ ახალგაზრდა ქალს ნებისმიერი ქალაქიდან თუ რეგიონიდან.

ტრენინგები მოიცავს შემდეგ საკითხებს:

** მეწარმისთვის საჭირო უნარების განვითარება და ინსტრუმენტები;

** როგორ ვაქციოთ ბიზნესიდეა ბიზნესმოდელად;

** ბიზნესპროექტის წერა;

** ფინანსური დაგეგმარება;

** პრეზენტაცია, პიჩინგის ხელოვნება.

მეწარმეობა ახალგაზრდებისთვის – ტრენინგკურსი 2 დონეს მოიცავს.

სერტიფიკატები გადაეცემათ ორივე დონის კურსდამთავრებულებს.

მონაწილეები შეირჩევა აპლიკაციების საფუძველზე. შერჩეულ კანდიდატებს პროგრამის წარმომადგენლები თავად დაუკავშირდებიან.



დავალება 7.9.

იმსჯელეთ, რატომ არის მნიშვნელოვანი ახალგაზრდებისა და ქალთა სამეწარმეო უნარების განვითარების ხელშეწყობა? მდგრადი განვითარების რომელ მიზნებს და როგორ უკავშირდება ეს საკითხი?

მეწარმეობის უნარების გასავითარებლად ხშირად არის პროექტები თქვენი ასაკობრივი ჯგუფისათვის. **იყავით ყურადღებით!** ინფორმაციის მოპოვებისას გაავრცელეთ ის კლასში და სასკოლო საზოგადოებაში.

წლის საუკეთესო კომპანიები, ბიზნესმენები და ინვესტორები

საქართველოში ყოველწლიურად ტარდება ბიზნესრეიტინგი და ტრადიციულად, გალასაღამოზე წლის საუკეთესო კომპანიები და ბიზნესმენები გამოვლინდებიან. რჩეულთა შორის რჩეულს კი თავად ბიზნესმენები ირჩევენ, ხოლო წლის საუკეთესო ინვესტორს კომპეტენტური ჟიური გამოავლენს .

ბიზნესრეიტინგს წლებმა საერთაშორისო მასშტაბები შესძინა. ამ ხნის მანძილზე კიდევ უფრო მეტად გაფართოვდა ბიზნესარეალი და მონაწილეობის სურვილი, როგორც ქართულ, ასევე, უცხოურ სეგმენტში.

პროექტის მიზანია ეროვნულ ბიზნესში ყველაზე წარმატებული სფეროების განსაზღვრა, დიალოგის მხარდაჭერა ბიზნესს, ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის. ქართული ბიზნესის ახალი იმიჯის ჩამოყალიბება, ახალი პერსპექტიული კომპანიების წარმოჩენა და რაც მთავარია, ქართული ბიზნესის მიმართ მსოფლიო ბიზნესსაზოგადოების ყურადღების მიპყრობა. ბიზნესრეიტინგის წვლილს არა მხოლოდ საქმიანი, არამედ პოლიტიკური სამყაროც აღიარებს.

საუკეთესო კომპანიებისა და ბიზნესმენების გამოვლენაში დამოუკიდებელი ექსპერტები, ეკონომიკური პროფილის უწყებათა ხელმძღვანელები, ეკონომიკური პროფილის ჟურნალისტები, არასამთავრობო ორგანიზაციების, ფონდების, სოციოლოგიური კვლევების სამსახურები იღებენ მონაწილეობას.

ტრადიციულად, საკონკურსო ჯილდოებთან ერთად ყოველწლიურად წესდება სპეციალური ნომინაციები, რომლებიც, თავად ბიზნესმენისა და კომპანიის პოპულარიზაციას ემსახურება. ოცწლიანმა გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ ბიზნესრეიტინგის ღირებულება შეუფასებელია, ის ზრდის მომხმარებლის ნდობას, რეპუტაციას და აქცევს მას საერთაშორისო სავაჭრო ნიშნად.



კომპანიების შეფასების კრიტერიუმებია:

მეწარმეთა ინტერესების დაცვა, საზოგადოებრივი იმიჯი, ქველმოქმედება/მეცენატობა, სარეკლამო კამპანიის ეფექტურობა, ახალი სამუშაო ადგილები, საქმიანობის სტაბილურობა, სოციალური კორპორატიული პასუხისმგებლობა, კომპანიის ზრდა/წარმატებულობა, აღიარება საზღვარგარეთ, საზოგადოებასთან ურთიერთობა, ეფექტური მარკეტინგი, ფინანსური გამჭვირვალეობა, საინვესტიციო მიმზიდველობა, მსხვილი ექსპორტიორი, ინოვაციური პროექტები, გუნდის პროფესიონალიზმი, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა, მუდმივი პროგრესი და ახალი ტექნოლოგიები, ხარისხის გარანტი.

ბიზნესრეიტინგის ღონისძიების ფარგლებში დაჯილდოვდებიან საუკეთესო ინვესტორები. დაჯილდოების მიზანია, წარმოაჩინოს და პოპულარიზაცია გაუწიოს ინვესტორებს, საინვესტიციო პროექტებს, რომლებიც უკვე განხორციელდა, ან მიმდინარეა და ჯერ არ დასრულებულა.

ცერემონიალზე სხვადასხვა ნომინაციაზე გამოვლენილი ბიზნესმენები ტრადიციისამებრ სამკერდე „ოქროს ჯვრით“ დაჯილდოვდებიან, საუკეთესოთა შორის საუკეთესოს კი გადაეცემა გრან-პრი, ბიზნესის ეროვნული ჯილდო, ხელნაკეთი და ექსკლუზიური კომპოზიცია „ბოლნური ჯვარი“, რომელიც დამზადებული ძვირფასი ლითონებისგან: ოქრო (31,5 გრამი), ვერცხლი (12 გრამი), ბრილიანტი (1 ცალი), ლურჯი საფირონი (1ცალი), ფირუზი (4 ცალი), ცირკონი (2 ცალი), მწვანე ძოწი (2 ცალი).

წლების განმავლობაში ღონისძიების მხარდამჭერები არიან:
ქალაქ თბილისის მერია
ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო
გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
ფინანსთა სამინისტრო
რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატა
საერთაშორისო სავაჭრო პალატა
საპარტნიორო ფონდი

დავალება 7.10.

მოცემულ ბმულზე გაეცანით 2022 წლის სტარტაპების დაჯილდოების ცერემონიას. https://www.facebook.com/startuperi/videos/826525501777682

ყურადღებით დააკვირდით თითოეულ ნომინაციაში გამარჯვებული კომპანიის საქმიანობის მახასიათებლებს. რომელი კრიტერიუმების დაკმაყოფილებამ განაპირობა მათი გამარჯვება. შეუსაბამეთ თითოეული მათგანი მდგრადი განვითარების მიზნებს.

დავალების შესასრულებლად რვეულში გადაიტანეთ ცხრილი და შეავსეთ.

კომპანია	ნომინაცია	კრიტერიუმი	მდგრადი განვითარების მიზანი

არ ჩაწერო წიგნში!

უპასუხეთ კითხვას:

რას გაიზიარებდით ამ კომპანიების გამოცდილებიდან?


ცოტა რამ ისტორიიდან

ივანე კონსტანტინეს ძე მუხრანბატონმა, მსხვილმა ქართველმა მემამულემ, 1876 წელს საფრანგეთიდან გამოიწვია მეღვინეობის სპეციალისტები. დაიხმარა ცნობილი ქართველი მეღვინე ზაქარია ჯორჯაძე და მუხრანში ააგო დაახლოებით 1 მლნ. 200 ათ. ლიტრი ტევადობის ქარხანა, სადაც ღვინოს ევროპული წესით აყენებდა. 1882 წელს მუხრანბატონის ღვინომ მოსკოვის გამოფენაზე უმაღლესი ჯილდო – სახელმწიფო გერბი, ხოლო 1889 წელს პარიზში გამართულ Exposition Universelle Internationale ოქროს მედალი დაიმსახურა. თავად მუხრანბატონს კი საფრანგეთის მმართველობამ უმაღლესი ჯილდო „Officier du mérite agricole“ უბოძა.



ილია ჭავჭავაძე (მარცხნიდან მეორე) სტუმრად ივანე მუხრანბატონთან (ცენტრში)

როგორ აღწევს კომპანია Acer თავის ეკო-მიზნებს და რა სიახლეებს უმზადებს მომხმარებელს 2023 წლისთვის



სტატიის ავტორი არჩილ გელაშვილი

2023 წლის 3 იანვარს გამართულ გლობალურ პრესკონფერენციაზე კომპანია Acer-მა საზოგადოებას გააცნო ის ტექნოლოგიური მიღწევები, რომლითაც ბრენდი უკვე წლებია ოპერირებს და მსოფლიო ტექნოლოგიურ ბაზარზე გამორჩეულ ადგილს იკავებს.

კომპანიის წარმომადგენლებმა ისაუბრეს როგორც Acer-ის მიღწევებზე, ასევე თანამედროვე ტექნოლოგიური ტრენდებისა და პლანეტისათვის მდგრადი, ეკო-მეგობრული გარემოს შექმნისა და შენარჩუნების მნიშვნელობაზე, წარადგინეს ახალი პროდუქტები, რომლებიც მომხმარებლებისთვის მიმდინარე წელს გახდება ხელმისაწვდომი.

1976 წელს დაარსებული კომპანია დღეს ერთ-ერთი უმსხვილესი მოთამაშეა კომპიუტერული ტექნოლოგიების სფეროში. იგი 160-ზე მეტ ქვეყანაშია წარმოდგენილი და დარგის განვითარებასა და ადამიანის ცხოვრების წესის ცვლილებასთან ერთად თავის მთავარ მიზნად ადამიანებსა და ტექნოლოგიებს შორის არსებული ბარიერების რღვევას ისახავს. ამ მიზნის მისაღწევ სტრატეგიად კი Acer-მა მდგრა-



დი და ეკოლოგიურად სუფთა წარმოების გზა აირჩია.

2008 წელს Acer-მა დანერგა ინფორმაციის გამჭვირვალობის გლობალური სისტემა, რომლის მეშვეობითაც ხდებოდა ყველა მიმწოდებელი პარტნიორის საქმიანობის მონიტორინგი და გარე სამყაროზე მათი გავლენის შეფასება.

2012 წელს კომპანიამ მიზნად დაისახა ნახშირბადის გამოყოფის მინიმუმამდე შემცირება, რისთვისაც ენერგომოხმარების მკაცრი კონტროლი დააწესა წარმოებაში.

მდგრადი განვითარების შესახებ მომხმარებელთა ცნობიერების ამაღლების პარალელურად იზრდება მოთხოვნა ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტებსა და ბრენდებზე, რომლებიც თავიანთ წარმოებაში გადამუშავებულ ნედლეულს იყენებენ. სწორედ ამან განაპირობა, რომ ბოლო წლებში, Acer-ის ნაწარმი წარმოუდგენელი პოპულარობით სარგებლობს, რაც კომპანიას ეკო-მეგობრული საქმიანობის გაფართოებისკენ უბიძგებს. აღსანიშნავია, რომ ბრენდი აქტიურადაა ჩართული ენერგეტიკის სფეროშიც და ტაივანში უმსხვილეს მზის ელექტროსადგურს ფლობს, რომელიც 3,52 მილიონ კილოვატ სუფთა ელექტროენერგიას გამოიმუშავებს ყოველწლიურად. ამით კომპანიას საკუთარი წვლილი შეაქვს გრძელვადიანი მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში.

აღსანიშნავია, რომ კომპანიის ამგვარი დამოკიდებულება ეკოლოგიისა და მდგრადი განვითარების მიმართ, მისი ბიზნესწარმატების მთავარი განმაპირობებელიცაა.

3 იანვარს გამართულ პრესკონფერენციაზე კომპანიამ საზოგადოებას სიურპრიზები შესთავაზა. წარმოდგენილ მოწყობილობათა შორის ერთ-ერთი გამორჩეული ინოვაცია Acer-ის მიერ შემუშავებული eKinekt bike desk-ი გახლავთ, რომელიც აქტიური და ამავდროულად მდგრადი ცხოვრების წესის მხარდასაჭერად შეიქმნა და სამუშაო მაგიდისა და ველოტრენაჟორის კომბინაციას წარმოადგენს. ეს მოწყობილობა საშუალებას აძლევს მომხმარებლებს ერთდროულად იმუშაონ და ივარჯიშონ, ხოლო სპეციალური ტექნოლოგია პედლების ტრიალისაგან გამომუშავებულ ენერგეტიკულ რესურსს ლეპტოპებისა თუ მობილური ტელეფონების დასამუხტ ენერგიად გარდაქმნის. eKinekt bike desk-ს აქვს ორი რეჟიმი, მომხმარებლის მიზნების მიხედვით: შესაძლებელია მაგიდის კომფორტულ პოზიციაში დაყენება, რათა სამუშაოზე მოხდეს კონცენტრაცია, ან სპორტულ რეჟიმში გადართვა, რომელიც აქცენტს უფრო მეტად ვარჯიშზე ამახვილებს.

თითქმის 50 წლის წინ დაარსებული კომპანია Acer, რომელიც დღეს უკვე მსოფლიო ტექნოლოგიურ გიგანტთა შორის საპატიო ადგილს იკავებს, ინოვაციური მიდგომებითა და მდგრადი განვითარების მიზნებით, წლიდან წლამდე სულ უფრო საინტერესო და მიმზიდველ პროდუქციას სთავაზობს მომხმარებლებს.



Acer-ის ველოტრენაჟორი



დავალება 7.11.

- ზემოთმოცემული სტატიის შინაარსიდან გამომდინარე გააანალიზეთ კავშირი ბიზნესის განვითარებასა და მდგრადი განვითარების მიზნებს შორის.
- გაეცანით თქვენს გვერდით, სოფელსა თუ ქალაქში არსებული საწარმო/მეწარმე სუბიექტი, შეისწავლე მისი საქმიანობა გარემოსდაცვის თვალსაზრისით: როგორ და რამდენად არის გათვალისწინებული მათი სამეწარმეო საქმიანობისას მდგრადი განვითარების პრინციპები?
- რესურსების მოხმარებისას როგორ ხდება საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება და რამდენად არის მათ მიერ გაცნობიერებული ლოკალური ქმედებების სამომავლო შედეგები.
- მოამზადეთ რეკომენდაციები, რომლებიც დაეხმარება მათ საკუთარი საქმიანობის მდგრადი განვითარების პრინციპების შესაბამისად წარმართვაში.
- მოამზადეთ მეწარმეთათვის საინფორმაციო ბუკლეტი მდგრადი განვითარების ცნობიერების ამაღლების მიზნით.

მეწარმე ანუ ანტრეპრენერი ისაა, ვისაც შეუძლია ღამეები ათენოს, ზღვა ინფორმაცია შეკრიბოს, არ შეუშინდეს გამოწვევებს, დამარცხებას, ყველაფრის თავიდან დაწყებას. ის, ვისაც სურვილი აქვს იყოს იმაზე უკეთესი, ვიდრე ახლაა, ვინც ხედავს მომსახურებისა თუ პროდუქტის საჭიროებას და სწამს თავისი იდეის, ენდობა თავის გონებას, გააზრებული აქვს, რომ დამარცხება ბრძოლის ნაწილია, რომ მარტივი ამქვეყნად უმოქმედოდ ყოფნაა და რომ საკუთარი იდეების რეალიზებისთვის ბრძოლაში ბედნიერება შეიძლება იპოვო.

მე – სტარტაპერი

გახსოვდეთ! სამეწარმეო თვისებების შეძენა და უნარების განვითარება სურვილისა და დაუღალავი შრომის შედეგად შესაძლებელია!

იმის გასარკვევად, თუ ამ ეტაპზე რამდენად გაქვთ სამეწარმეო კომპეტენციები, შეამოწმეთ საკუთარი თავი. მიღებული შედეგების გათვალისწინებით დაგეგმეთ თქვენი, როგორც მეწარმის, განვითარების სტრატეგია. გაიაზრეთ, რა პირობები და საშუალებები არსებობს სახელმწიფოში ამისთვის!



დავალება 7.12.

გადაიტანეთ მოცემული ცხრილი რვეულში და უჯრაში მონიშნეთ ქულა. შეაჯამეთ შედეგები ქულების მიხედვით. მაქსიმალური ქულაა 60, მინიმალური – 36 .

სამეწარმეო კომპეტენციები	ქულები		
	5	4	3
შესაძლებლობების განსაზღვრა			
იდეის შეფასება			
კრეატიულობა			
მოტივაცია და შეუპოვრობა			
თვითგაცნობიერება			
ფინანსური და ეკონომიკური საკითხების ცოდნა			
დაგეგმვა და მართვა/ მენეჯერული თვისებები			
ინიციატივის აღება			
რისკების განსაზღვრა და მართვა			
ადამიანური რესურსების მობილიზება			
ლიდერობა			
გუნდური მუშაობა			



დავალება 7.13.

გადახედეთ თქვენი ბიზნესსაქმიანობის დასაგეგმად თქვენ მიერ შესრულებულ ყველა დავალებას, ბიზნესიდეის ჩამოყალიბებიდან დაწყებული საწარმოო რესურსების ჩათვლით და სვოტ-ანალიზით. გაითვალისწინეთ ქვემოთ მოცემული რჩევები, თქვენი თვითშეფასების შედეგები, თქვენი, როგორც მეწარმის შემდგომი განვითარების გეგმები, თქვენს ხელთ არსებული რესურსები და თქვენს შერჩეულ ბიზნესიდეაზე შექმენით ბიზნესგეგმა.

ბიზნესგეგმის შესადგენად ცხრილი გადაიტანეთ რვეულში და შეავსეთ.

Don't Copy

ბიზნესგეგმა (ფორმა)

მეწარმის სახელი, გვარი ----------

ბიზნესის სახელწოდება ----------

საკონტაქტო მონაცემები (მისამართი, ტელეფონი, ელ ფოსტა)

1. ბიზნესსაქმიანობის ზოგადი აღწერა

1.1. ბიზნესხედვა, მისია

1.2. პროდუქტის/მომსახურების აღწერა

1.3. ბაზრის (მომხმარებლის) აღწერა

2. მონაცემები მეწარმის/ბიზნესორგანიზაციის შესახებ

2.1. განათლება, გამოცდილება

2.2. მფლობელობის ფორმა

3. პროდუქტი/მომსახურება

3.1. პროდუქტის/მომსახურების დეტალური აღწერა

1.2. პროდუქტის წარმოების / მომსახურების გაწევის სამოქმედო გეგმა

4. ბაზრის შესწავლა

4.1. ბაზრის/მომხმარებლის კვლევა

Don't copy

4.2. ბაზრის საჭიროების დადგენა და მომხმარებლის განსაზღვრა

5. კონკურენტები, წარმოდგენილი ბიზნესის უპირატესობები

6. ბიზნესის მართვა და ადმინისტრირება

6.1. ბიზნესის ტიპი და მფლობელები

6.2. ადგილმდებარეობა და ძირითადი საწარმოო საშუალებები (შენობა-ნაგებობები, სატრანსპორტო საშუალებები, ტექნიკური აღჭურვილობა, ოფისის ავეჯი...)

6.3. ადამიანური რესურსები, მათი კვალიფიკაცია

6.4. შესყიდვები (საკომუნიკაციო საშუალებების, მომსახურების), მარკეტინგი

7. ფინანსები

7.1. საწყისი ფინანსების ოდენობა (ლარი)

მეწარმის საკუთარი ფინანსები _____	სესხი _____
სულ:	

7.2. შემოსავლები:

I წელი	II წელი
• _____	• _____
• _____	• _____

Don't Copy

7.3. ხარჯები	
I წელი	II წელი
საწარმოო ხარჯები————————————	საწარმოო ხარჯები————————————
ხელფასები ————————————	ხელფასები ————————————
საოფისე ხარჯები ————————————	საოფისე ხარჯები ————————————
ადმინისტრაციული ხარჯები ————————	ადმინისტრაციული ხარჯები ————————
მარკეტინგის, გაყიდვების ხარჯები ———————	მარკეტინგის, გაყიდვების ხარჯები ———————
სესხის დაფარვის ————————————	სესხის დაფარვის ————————————
სხვა ხარჯები ————————————	სხვა ხარჯები ————————————
სულ ხარჯი ————————————	სულ ხარჯი ————————————

7.4. წმინდა მოგება დაბეგვრის გარეშე (მთლიან შემოსავალს მინუს ხარჯები)	
I წელი	II წელი
————————————	————————————

Don't Copy

საქმიანობის დაწყებამდე გაითვალისწინეთ, რომ მეწარმეს უწევს რთული ეტაპების გადალახვა:

დაწყების პერიოდი – ბიზნესიდეის დაბადებიდან მის განხორციელებამდე განვლილი გზა: მომწოდებლების პოვნა, კადრების შერჩევა, გაყიდვების არხების დაგეგმარება, ფასების გამოთვლა და დადგენა, შეფუთვა, რეკლამირება, ბიზნესის მცირე და გრძელვადიანი სტრატეგიის გაწერა და საბოლოოდ – ბაზარზე გასვლა.

შენარჩუნების პერიოდი – ერთ-ერთი ყველაზე რთული, ანუ ბიზნესის შენარჩუნების პერიოდი. შესაძლოა თქვენ ძალიან წარმატებით შეხვიდეთ ბაზარზე, მომხმარებელმაც აიტაცოს თქვენი პროდუქტი ან მომსახურება, კომპანია სწრაფად გაიზარდოს, გაყიდვებიც იმდენი ან იმაზე მეტი იყოს, ვიდრე თქვენ გქონდათ დაგეგმილი. მოკლედ, ერთი სიტყვით, ყველაფერი მიდიოდეს იდეალურად, მაგრამ დადგება მომენტი, როდესაც ბიზნესი დაიწყებს ქვევით დაშვებას, იკლებს გაყიდვები, მოგება, ბრუნვა და ა.შ. ეს არის ბიზნესის სასიცოცხლო ციკლის (დაწყება, ზრდა, მოწიფულობა, კლება) ბოლო ეტაპი. ყველა ბიზნესს სხვადასხვა ვადიანი სასიცოცხლო ციკლი აქვს. შესაძლოა კლების ეტაპი 2 წელიწადში დადგეს, შესაძლოა 5-ში, მაგრამ თუ მუდმივად ფხიზლად არ იქნებით, და არაფერს მოიმოქმედებთ, ეს გარდაუვალია. ეს ყველაფერი ბიზნესის დაუწერელი კანონია, რასაც განაპირობებს კონკურენცია, მომხმარებლის გემოვნების ცვლილება, ტექნოლოგიური ცვლილებები და ა.შ. თუმცა, ეს ყველაფერი არ ნიშნავს იმას, რომ ყველა ბიზნესი განწირულია. რა თქმა უნდა, არსებობს ხერხები, თუ როგორ შევინარჩუნოთ ბიზნესი.

იმ ეკონომიკური სისტემის პირობებში, რაც დღეს მსოფლიოს უდიდეს ნაწილშია, ბაზრის განუყოფელი ნაწილი კონკურენციაა. საბაზრო კონკურენცია – ესაა პაექრობა ორ ან მეტ სუბიექტს შორის, რომლებიც დაკავებულები არიან ერთი და იმავე ან მსგავსი საქმიანობით. თითოეული ადამიანის მთავარი მოტივაცია ბაზარზე მოგების მიღება და მისი მაქსიმალურ დონემდე გაზრდაა.

გაითვალისწინეთ, რომ **კონკურენცია** პროგრესის და განვითარების ერთ-ერთი მთავარი მოტივატორია, რადგან ერთიდაიგივე ან მსგავსი საქმიანობით დაკავებულ მეწარმეებს აიძულებს მათი საქმიანობა მოარგონ მომხმარებლის კომფორტსა და ინტერესებს. წარმოიდგინეთ, რომ დედამიწაზე მობილური ტელეფონების მხოლოდ ერთი მწარმოე-



DRAFT COPY

ბელი ყოფილიყო. დღეს მობილური ტელეფონი არ იქნებოდა მასობრივი გამოყენების, რადგან მისი ფასი საკმაოდ მაღალი იქნებოდა იმიტომ, რომ მხოლოდ ერთი კომპანია თუ არის ბაზარზე და კონკურენტები არ ყავს, მას შეუძლია თავის პროდუქციას ისეთი ფასი დაადოს, რომ მომხმარებლების მხოლოდ ნაწილი დააკმაყოფილოს. მწარმოებელს ასევე ნაკლები სტიმული ექნებოდა პროდუქტის ხარისხის გაუმჯობესების, რადგან მას ისედაც გაეყიდებოდა დაბალი ხარისხის საქონელი.

თითოეული ადამიანის კომფორტი დღეს ტექნოლოგიურმა პროგრესმა განაპირობა. კონკურენცია აიძულებს მწარმოებლებს, რომ მათ მუდამ იზრუნონ საკუთარი პროდუქტის ხარისხზე, ინოვაციების დამკვიდრებასა და მომხმარებლის მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე.

გაითვალისწინეთ, რომ თქვენი საქმიანობის წარმატება, მომხმარებელთა მოთხოვნების დაკმაყოფილებაზეა დამოკიდებული. ყოველთვის გაითვალისწინეთ მომხმარებლის უფლებები და მათი პასუხისმგებლობებიც.

დღევანდელ სამყაროში თითქმის ყველა პროდუქტს გააჩნია შემცვლელი პროდუქტი, რომელიც მომხმარებელს მის ჩანაცვლებაში დაეხმარება. თუმცა, გარკვეულ სექტორებში ნაკლები კონკურენციაა. მაგალითად, განვიხილოთ ორი პროდუქტი: პური და საწვავი.

საქართველოში ყველგან მრავლად შევხვდებით თონეებს, რომლებიც სხვადასხვა ადამიანების მფლობელობაშია და აწარმოებენ დაახლოებით ერთი და იმავე ხარისხის პურს რომელთაც დაახლოებით ერთი ფასი აქვს, თუმცა სუპერმარკეტებში არსებობს პურის ფართო არჩევანიც, სხვადასხვა ხარისხის სხვადასხვა ფასად.

საწვავის ბიზნესში ყველა ქვეყანაში რამდენიმე მოთამაშეა, რადგან საწვავის მოპოვება, გადამუშავება და გაყიდვა საკმაოდ დიდ თანხებთანაა დაკავშირებული და ბაზარზე შესვლა არ არის მარტივი საქმე ყველასთვის. შესაბამისად, ისეთ პროდუქტებზე, რომლებზეც კონკურენცია ნაკლებია, ხშირად შედარებით მაღალი ფასები გვხვდება. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ეს ყველაფერი განვითარებას აფერხებს ან პრობლემას წარმოადგენს, რადგან შემცვლელი აქვს ყველაფერს, მათ შორის საწვავსაც. დღეს მზის ენერგია ყველაზე მზარდი წყაროა ენერგიისა.



გაიხსენეთ მონოპოლიის საკითხი. მონოპოლისტი – ეს არის ბიზნესსუბიექტი, რომელსაც კონკურენტი არ ყავს და რომლის პროდუქტს ან სერვისსაც შემცვლელი არ გააჩნია. თეორიულად შემცვლელი აქვს თითქმის ყველა პროდუქტს და შესაბამისად მონოპოლიაზე საუბარი ზედაპირულ მსჯელობას უფრო წააგავს, მაგრამ გავრცელებული განმარტებით რომ მივუდგეთ, ხშირად მონოპოლიას ეძახიან ისეთ კომპანიას, რომელსაც ბაზრის მნიშვნელოვანი ან 100%-იანი წილი უკავია. საქართველოში ამის მაგალითია „საქართველოს ლატარიის კომპანია“. მოცემული კომპანიის გარდა არავის აქვს უფლება დაკავდეს ისეთი საქმიანობით, როგორიცაა ლატარია. ეს კი მონოპოლიაა, რადგან ლატარიის ბაზარზე მას 100%-იანი წილი უკავია, იატაკქვეშა საქმიანობას თუ არ ჩავთვლით. ალბათ დააკვირდებოდით, როდესაც ვახსენეთ სიტყვები: „არავის აქვს უფლება დაკავდეს ისეთი საქმიანობით, როგორიცაა ლატარია“. ეს ნიშნავს, რომ მთავრობას ექსკლუზიური უფლება აქვს მიცემული კონკრეტული კომპანიისთვის და ყველა სხვა, ვინც მსგავსი საქმიანობით დაკავდება, პასუხს აგებს კანონის წინაშე. მონოპოლიების საკითხი ფართოდ საკვლევი თემაა, თუმცა აქვე უნდა დავძინოთ, რომ მათი უმეტესობა სწორედ მთავრობების დახმარებით იქმნება მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში.

დაიმახსოვრეთ! ნებისმიერი ტიპის გაცვლა – ეს არის საბაზრო ურთიერთობა ორ ან მეტ სუბიექტს შორის, ხოლო კონკურენცია დაბალი ფასების, მაღალი ხარისხის და პროგრესის ერთ-ერთი მთავარი მოტივატორია.

იმისათვის, რომ გქონდეთ წარმატებული ბიზნესი, **მუდმივად იფიქრეთ ბიზნესის გაფართოებაზე:** მუდმივად გაეცანით სხვადასხვა ბიზნესგამოცემას, წაიკითხეთ წარმატებული ბიზნესმენების რჩევები. დამამახსოვრეთ – „თუ არ იზრდებით, ესე იგი პატარავდებით“, იმოქმედეთ ამ პრინციპით. ბიზნესში არ არსებობს წერტილი, როდესაც შეიძლება თქვათ, რომ მიღწეული შედეგით კმაყოფილი ხართ და აღარ იზრუნოთ ზრდაზე.

არ ჩამორჩეთ ტექნოლოგიურ სიახლეებს: 21-ე საუკუნე ტექნოლოგიური ერაა. ყველაფერი ისე სწრაფად იცვლება, ხანდახან თვალის დევნებაც კი ჭირს. დღეს მხოლოდ სმარტფონით ახერხებენ ადამიანები ყველაფერს: კვებას, გართობას, კომუნიკაციას, ფინანსურ ოპერაციებს, შესყიდვებს და ა.შ. არც თუ დიდი ხნის წინ, ბანკებში უზრმაზარ რიგში მდგარი მომხმარებლები ერთმანეთს ედავებოდნენ რიგითობის დაცვაზე. დღეს ეს ყველაფერი რიგების აპარატმა მოაწესრიგა. ტექნოლოგიები ნელ-ნელა ცვლის მომხმარებლის ქცევას: მაღაზიებმა, ჟურნალებმა, ტელევიზიებმა ინტერნეტში გადაინაცვლეს. მსოფლიო მასშტაბით, ამ ყველაფერს ბევრი ბიზნესი ვერ გადაურჩა. სწორედ ამიტომ ბიზნესმენებმა მუდმივად უნდა ადევნონ თვალი და არ ჩამორჩნენ ტექნოლოგიურ სიახლეებს.

გააძლიერეთ მარკეტინგული კომუნიკაციები და ბრენდინგი: დღევანდელ კონკურენტულ გარემოში, სადაც თითქმის ყველა სფეროში უამრავი კომპანია ეპაექრება ერთმანეთს მომხმარებლის გულის მოსაგებად, უფრო და უფრო იზრდება მარკეტინგისა და ბრენდინგის მნიშვნელობა. კომპანიები, გარკვეული შედეგის მიღწევის შემდეგ წყვეტენ ან ამცირებენ მარკეტინგულ აქტივობებს და ბიუჯეტს, რაც ძალიან დიდი შეცდომაა. ბიზნესებს, იქნება ეს დიდი კომპანიები თუ სტარტაპები, მუდმივად უნდა ჰქონდეთ აქტიური კომუნიკაცია თავიანთ მომხმარებლებთან. ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია სწორი ბრენდინგი, რადგან მომხმარებელს კომპანიასთან და პროდუქციასთან ემოციური ბმა უნდა ჰქონდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ძალიან ადვილად ჩაგანაცვლებთ უფრო იაფი ან უფრო აქტიური ბრენდი. მნიშვნელოვანია, რომ კომპანიებმა პერიოდულად განაახლონ ბრენდის ვიზუალური მასალა, შეფუთვა და ა.შ.

Don't copy

თვალი ადევნეთ ბაზარსა და კონკურენტებს: თქვენ შეიძლება გარკვეულ ეტაპზე გქონდეთ კონკურენტული უპირატესობა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ყურადღება უნდა მოადუნოთ, რადგან კონკურენტებს არ სძინავთ. აუცილებლად უნდა გქონდეთ ინფორმაცია კონკურენტების ბიზნესსაქმიანობის შესახებ: რა სახის პროდუქცია აქვთ, რა მოცულობის წილს ფლობენ ბაზარზე, როგორ ვითარდებიან, რა დამოკიდებულება აქვთ მომხმარებლებს მათ მიმართ და სხვ. შემდეგ ეს ინფორმაცია უნდა დაამუშაოთ და გამოიყენოთ თქვენი ბიზნესის განვითარებისთვის.

აამაღლეთ თანამშრომლების მოტივაცია: თქვენი თანამშრომლები თქვენთან მუშაობის გარკვეულ ეტაპზე ნელ-ნელა დაკარგავენ მოტივაციას, რაც საბოლოო ჯამში კომპანიის მუშაობაზეც აისახება, ამიტომ იმისათვის, რომ ბიზნესი განვითარებაზე იყოს ორიენტირებული, აუცილებელია თანამშრომლების მოტივაციაზე ზრუნვა.

არ დაკარგოთ მეწარმის ენთუზიაზმი: ხშირად ბევრი წარმატებული და შემოქმედებითი ბიზნესი, განვითარების გარკვეულ ეტაპზე, ასე ვთქვათ, ჩვეულებრივი, სტანდარტული კომპანია ხდება. თითქოს ახალს აღარაფერს იგონებენ. რა თქმა უნდა, ინოვაციები რისკებთან არის დაკავშირებული და როდესაც მთელი შენი შრომა სასწორზე დევს, ძნელია გარისკო და ახალ, გიჟურ და ინოვაციურ იდეებს მისცე გასაქანი, მაგრამ წარმატებული ბიზნესი ხანდახან მოითხოვს გარკვეულწილად გარისკვას. ვფიქრობ, სტარტაპებმა არ უნდა დაკარგონ მეწარმისთვის დამახასიათებელი ენთუზიაზმი და მუდმივად რაიმე ახალი უნადა გამოიგონონ, შექმნან და გააოცონ მომხმარებლები.

გისურვებთ წარმატებებს!

Don't Copy

თავი II

პოლიტიკა და პოლიტიკური კულტურა

Don't copy

პოლიტიკა და საზოგადოება



კომპლექსური დავალება 4

პოლიტიკა და საზოგადოება

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია (ედპ) 1917 წლის ივნისში დაარსდა, თუმცა მისი იდეოლოგიური ფესვები სრულად იყო დაკავშირებული ილია ჭავჭავაძის პოლიტიკურ ხედვებთან. გაეცანით ეროვნულ დემოკრატიული პარტიის 1917 წლის ქვემოთ მოცემულ პროგრამას. სქემის გამოყენებით გააანალიზეთ პარტიის ხედვა და მიზნები. იმსჯელეთ, პროგრამის რომელ მუხლებს ეთანხმებით ან არ ეთანხმებით და რატომ? აღწერეთ სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მახასიათებლები/ღირებულებები და განაზოგადეთ სახელმწიფო პოლიტიკის საკითხი დღევანდელი გადმოსახედიდან.

პარტიის პროგრამის ანალიზი

(სქემა გადაიტანეთ რვეულში და შეავსეთ).

№	ედპ-ს პროგრამა	ვეთანხმები	არ ვეთანხმები	რატომ?
I	ეროვნული მიზნები			
II	პოლიტიკური მიზნები			
ა	საქართველოს პოლიტიკური ავტონომია			
ბ	მოქალაქეთა უფლებები			
გ	სამართალი			
დ	თვითმმართველობა			
ე	სწავლა-განათლება			
ვ	ეკლესია			
ზ	ფინანსები			
III	ეკონომიკური მიზნები			
ა	მიწა და მეურნეობა			
ბ	ვაჭრობა და მრეწველობა			
გ	შრომის უფლება			

გაიაზრეთ დოკუმენტი, როგორც ქვეყნის განვითარების პოლიტიკური გეგმა. შეაფასეთ როგორც საგარეო, ასევე შიდა პოლიტიკის თვალსაზრისით, დარგობრივი განვითარების პერსპექტივის ხედვით.	

Don't Copy
არ ჩაწერო წიგნში!
არ ჩაწერო წიგნში!

ჩამოაყალიბეთ თქვენი განზოგადებული შეფასება სახელმწიფო პოლიტიკის გავლენის შესახებ ქვეყანაში დემოკრატიული პროცესებისა და ადამიანის უფლებების დაცვის, პოლიტიკურ პროცესებში მოქალაქეთა მონაწილეობის თვალსაზრისით.	არ ჩაწერო წიგნში!

ნაშრომში ხაზგასმით წარმოაჩინეთ:

- როგორ გავლენას ახდენს სახელმწიფოს პოლიტიკა ქვეყანაში ადამიანის უფლებების დაცვასა და დემოკრატიის პრინციპების უზრუნველყოფაზე?
- რატომ არის მნიშვნელოვანი და როგორი ფორმითაა შესაძლებელი ადგილობრივ და საერთაშორისო პოლიტიკურ პროცესებში მოქალაქეთა მონაწილეობა?



რა ცოდნა-გამოცდილება დაგჭირდებათ იმისთვის, რომ ეს კომპლექსური დავალება შეასრულოთ?

(მოცემული სქემა გადაიტანეთ რვეულში და ჩაინიშნეთ მოსაზრებები)

რა ვიცი საკითხთან დაკავშირებით?	რისი შესწავლა დამჭირდება?	რა უნდა გავაკეთო მიზნის მისაღწევად?
არ ჩაწერო წიგნში!		

საკვანძო შეკითხვა:

როგორ გავაანალიზო სახელმწიფო პოლიტიკის როლი და გავლენა ქვეყნის დემოკრატიული განვითარების პროცესში?

Don't Copy

ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პროგრამა

1917 წელი

(ადაპტირებული ვერსია)

I. ეროვნული მიზნები

ერის ქონებრივი, სულიერი და ფიზიკური ძლიერების შესაქმნელად აუცილებელია პოლიტიკური თავისუფლება. ეროვნულ ძალთა ზრდა-განვითარება ერს აუცილებლად მიიყვანს პოლიტიკური უფლების მოპოვებამდე.

საქართველოს ეროვნული უფლებები

ქართველი ერი მრავალი საუკუნის განმავლობაში ეწეოდა თავისუფალ სახელმწიფოებრივ ცხოვრებას. ... საქართველოს პოლიტიკური უფლებები უნდა იქნეს აღდგენილი.

II. პოლიტიკური მიზნები

სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობის წესი და მოქალაქეთა უფლებრივი ურთიერთობა უნდა შეესაბამებოდეს ერის ეკონომიკურ და კულტურულ ვითარებას, ერის ბუნებას და ზნე-ჩვეულებას.

ა. საქართველოს პოლიტიკური ავტონომია

1. საქართველოს პოლიტიკური ავტონომია უნდა დამყარდეს დემოკრატიულ-რესპუბლიკურ საფუძველზე.
2. ავტონომიის კონსტიტუციას ქმნის თბილისში შეკრებილი საქართველოს ეროვნული კრება.
3. საქართველოს ეროვნული დამფუძნებელი კრების არჩევაში მონაწილეობას მიიღებს ყოველი სრულწლოვანი მოქალაქე განურჩევლად სქესისა, სარწმუნოებისა და ეროვნებისა, საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული პროპორციული ხმის მიცემით. ...

შენიშვნა: საქართველოს საზღვრებში დასახლებულ უცხო ეროვნებათა ეროვნულ-კულტურული უფლებები საქართველოს ავტონომიის ძირითადი კანონებით იქნება დაცული. ...

ბ. მოქალაქეთა უფლებები

1. საქართველოს ყველა მოქალაქე, უფლებრივად თანასწორია განურჩევლად სქესისა, ეროვნებისა, სარწმუნოებისა და ქონებრივი მდგომარეობისა. ...
2. ავტონომიური კონსტიტუცია ყოველ მოქალაქეს ანიჭებს ხელუხლებლობას პიროვნებისა და ბინა-სადგომის ხელუხლებლობის გარანტიებს, აგრეთვე სიტყვის, ბეჭდვის, კრებებში მონაწილეობის, კავშირის შექმნის, სინდისისა და მიმოსვლის თავისუფლებას.
3. ყველა ეს უფლება შეტანილი უნდა იქნეს ავტონომიის კონსტიტუციაში და დაცული სისხლის სამართლის წესით.

გ. სამართალი

1. არავინ არ უნდა დაისაჯოს სასამართლოს განაჩენის გარეშე.
2. მსაჯულებს ირჩევს ხალხი.
3. კანონი და სასამართლო ყველასათვის საერთოა.
4. სისხლის სამართლის საქმეებს არჩევს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო.

DO NOT COPY

5. ყოველ მოქალაქეს აქვს უფლება პასუხისგებაში მისცეს კანონის დამრღვევი, ვინც უნდა იყოს იგი.
6. მოსამართლეთა გადაყენება შეიძლება მხოლოდ სასამართლოს განაჩენით. ...


ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ძველი პროგრამა * * * 1917წ.
I. ეროვნული საგანი

დ. თვითმართველობა

ფართო ადგილობრივი თვითმართველობა: საქალაქო და სასოფლო.

ე. სწავლა-განათლება

1. პირველდაწყებითი სწავლა უფასო და სავალდებულოა.
2. ფართოდ გავრცელება ავტონომიის ხაზინის ხარჯით საზოგადო, სატექნიკო, სამეურნეო და ვაჭრობის სწავლა-განათლებისა.
3. თავისუფლება სასწავლებლების დაარსებისა და სკოლის გარეშე სწავლისა.
4. უნივერსიტეტისა და უმაღლეს სასწავლებლეთა ავტონომიური მართვა-გამგეობა.

ვ. ეკლესია

1. საქართველოს ეკლესია ავტოკეფალურია.
2. ეკლესია სახელმწიფოსაგან განცალკევებულია.
3. სარწმუნოებრივი მმართველობა ქართველ მაჰმადიანთა, ქართველ კათოლოკეთა, ქართველ გრიგორიანთა და ქართველ ისრაელთა დამოუკიდებელი და ავტონომიურია.

ზ. ფინანსები

1. შემოღება პროგრესულ-შემოსავლის კვალობაზე გადასახადისა ყოველგვარ შემოსავალსა და მემკვიდრეობაზე.

შენიშვნა: მცირე შემოსავალი გადასახადისაგან სრულიად თავისუფალია. ...

III. ეკონომიკური მიზნები

კერძო საკუთრების დამყარებამ გზა გაუხსნა ადამიანის შრომას, შემოქმედებას, თაოსნობას და ამით განმტკიცდა პროგრესი და ცივილიზაცია.

კერძო საკუთრება ღერძია ხალხთა ეკონომიკური და კულტურული ზრდა-განვითარებისა.

კერძო საკუთრების უფლება საზოგადოებრივი წყობილებისა და პიროვნების თავისუფლების საფუძველია. კერძო საკუთრება ხელშეუხებელია.

ა. საქართველოს ავტონომიურმა მმართველობამ უმამულო და მცირე მამულიან მკვიდრ მიწის მუშას უნდა შეუძინოს საკმაო მიწა. ...

ბ. ვაჭრობა და მრეწველობა

1. ავტონომიური მთავრობა უნდა ზრუნავდეს, რომ ხალხისათვის საჭირო ყოველი საქონელი ადგილობრივ მზადდებოდეს.
2. საქართველოს მთავრობა და კანონმდებლობა ხელს უნდა უწყობდეს ეროვნული მეურნეობის, მრეწველობისა და ვაჭრობის ზრდა-განვითარებას.
3. უნდა ცდილობდეს მიმოსვლის გაადვილებას და გაიაფებას რკინიგზების და

DontCopy

შარა-გზების გაყვანით, მდინარეების გაწმენდით, ნავსადგურების აგებით და ნაოსნობის განვითარებით.

4. უნდა ეხმარებოდეს ეროვნულ მეურნეობას სავაჭრო და სამრეწველო სესხით, საწყობების მოწყობით, ბირჟების, სავაჭრო პალატებისა და სხვა ასეთ დაწესებულებათა დაარსებით და ტექნიკური და სავაჭრო დარგების სწავლა-განათლების გავრცელებით.


გ. შრომის უფლება

1. ავტონომიური კანონმდებლობა სავსებით უნდა უზრუნველყოფდეს მშრომელთა სამართლიან უფლებებს.
2. მწარმოებლისა და ქალაქის თუ სოფლის მუშას შორის ეკონომიკურ ნიადაგზე ჩამოვარდნილი უთანხმოებას მშვიდობიან გზით გადასაწყვეტად უნდა დაარსდეს მწარმოებელთა და მუშათა არჩეული სამედიატორო სასამართლოები, რომელნიც დაექვემდებარებიან შრომის სამინისტროს.
3. თავისუფლება გაფიცვისა და კავშირისა.
4. მუშათა სავალდებულო დაზღვევა უბედური შემთხვევისა და შრომის უნარის დაკარგვისგან.
5. საქარხნო-სამრეწველო წარმოებებში სამუშაო დღის შემცირება. უახლოეს დროში 8 საათის სამუშაო დღის შემოღება.
6. ყველა წარმოებაში სანიტარული და ჰიგიენურ მოთხოვნილებათა დაცვა.
7. ფაბრიკა-ქარხნებში 16 წლამდე ასაკის ბავშვების მუშაობის აკრძალვა და საზოგადოდ მცირეწლოვანთათვის მუშაობის შემცირება.
8. მიწის მუშებს ავტონომიუმა მთავრობამ უნდა აღმოუჩინოს ქონებრივი და ტექნიკური დახმარება დასახლებისა და მეურნეობის მოწყობის საქმეში.
9. ქალთა და მცირეწლოვანთა მუშაობის სრულიად აკრძალვა, სადაც ეს მათი ჯანმრთელობისა და აგებულობისათვის მავნებელია.
10. სახელმწიფო ვალდებულია ყოველ მკვიდრს სამუშაო მოუპოვოს.
11. შრომის ინსპექცია, როგორც ქალაქის, ისე სოფლის მუშებისათვის.
12. შრომის დაცვის კანონების დარღვევა სისხლის სამართლის წესით უნდა ისჯებოდეს.

DonTCopy

§ 8. პოლიტიკა, როგორც მოწოდება და პროფესია

- გაიხსენეთ, რა არის სახელმწიფო და რა როლს თამაშობს ის საზოგადოების ცხოვრებაში?
- გაიხსენეთ სახელმწიფოს მახასიათებლები. როგორ და რა პრინციპებზე დაყრდნობით იმართება იგი?



ლიკა

ჩვენ სკოლაში ვისწავლეთ, რომ თანამედროვე სახელმწიფოების ერთ-ერთი მახასიათებელი მისი სუვერენიტეტია. საქართველო, მსგავსად სხვა სახელმწიფოებისა, სუვერენული სახელმწიფოა, რაც იმას ნიშნავს, რომ მას აქვს ექსკლუზიური უფლებამოსილება, ძალაუფლება მისსავე ტერიტორიაზე. იგი არის უზენაესი თავის საშინაო საქმეებში და დამოუკიდებელი საგარეო ურთიერთობებში. „საქართველო სუვერენული სახელმწიფოა“ ნიშნავს, რომ იგი საერთაშორისო ურთიერთობებში არ არის დაქვემდებარებული სხვა სახელმწიფოს ნებას და არ ემორჩილება სხვა რომელიმე სამართალწესრიგს, გარდა საერთაშორისო სამართლისა. ვიცით, რომ სახელმწიფოს მართავენ პოლიტიკოსები და პოლიტიკური პარტიები, მაგრამ ყოველთვის მაინტერესებდა, როგორ ხდებიან ადამიანები პოლიტიკოსები და საერთოდ რა არის პოლიტიკა. კარგი იქნება თუ გავერკვევი, იქნებ მეც მინდა გავხდე პოლიტიკოსი...

დავალება 8.1.

უპასუხეთ კითხვებს:

- თქვენ რას ფიქრობთ, რა არის პოლიტიკა?
- როგორ ხდებიან ადამიანები პოლიტიკოსები?

მოდით, შევასრულოთ ასეთი **დავალება:**

წარმოიდგინეთ, რომ გეძლევათ შანსი, ევროპის ფეხბურთის ჩემპიონატში მონაწილეობისთვის წარადგინოთ ფეხბურთელ გოგონათა გუნდი, რომელიც ჯერ არ არსებობს. ეს შანსი ძალიან გახარებთ, რადგან ის თქვენს ინტერესებშია. რას მოიმოქმედებდით? დასახეთ კონკრეტული მიზანი; ჩამოაყალიბეთ იდეა, როგორ შექმნათ ეს გუნდი; გაიაზრეთ, რა გარემოებებსა და ავტორიტეტებს უნდა გაუწიოთ ანგარიში, რომ მიაღწიოთ დასახულ მიზანს. ვის დაიხმართ ამ გუნდის შექმნაში, განსაზღვრეთ ის სეგმენტი, საიდანაც უნდა შეარჩიოთ გოგონები. გაიაზრეთ, რა უნდა შესთავაზოთ, როგორ უნდა

დააინტერესოთ პროფესიონალი ფეხბურთელები, რომ გადაწყვიტონ თქვენს გუნდში თამაში. შეადგინეთ დოკუმენტი, სადაც ასახავთ, რას სთავაზობთ პოტენციურ გუნდის წევრებს – ფეხბურთელებს პირადად მათი ინტერესების დასაკმაყოფილებლად, და რა სარგებლობას მოუტანს საერთაშორისო სარბიელზე გუნდის წარმატება სახელმწიფოსა და საზოგადოებას. დაგეგმეთ და განახორციელეთ აქტივობები მიზნის მისაღწევად. თქვენი ნაშრომი გაუზიარეთ კლასს.

„პოლიტიკა აერთიანებს ყველა იმ ძალისხმევას, რომლებიც მმართველობაში მონაწილეობას ან ხელისუფლების დანაწილებაზე გავლენის მოხდენას ემსახურება. აღნიშნული თანაბრად ვრცელდება როგორც სახელმწიფოთა შორის, ასევე, სახელმწიფოს შიგნით სხვადასხვა ჯგუფების ურთიერთობებზე.“

მაქს ვებერი,
გერმანელი ფილოსოფოსი





დავალება 8.2.

უპასუხეთ კითხვებს:

- როგორ გესმით მაქს ვებერის აქ მოცემული აზრი?

გაავლეთ პარალელი ფეხბურთის გუნდის შესაქმნელად თქვენს ძალისხმევასა და მაქს ვებერის მოსაზრებას შორის.

შეიძლება ითქვას, რომ თქვენ ჩამოაყალიბეთ და განახორციელეთ გარკვეული პოლიტიკა გუნდის შესაქმნელად. ე.ი. პოლიტიკა არის მიზნის მიღწევის გზა, მეთოდი, იმ ძალისხმევათა ერთობლიობა, რაც თქვენ დაგჭირდათ გუნდის შესაქმნელად და შესაბამისად, თქვენი მიზნის მისაღწევად. სახელმწიფოს დონეზე კი, პოლიტიკა არის საზოგადოების და სახელმწიფოს მართვის ხელოვნება, საზოგადოებრივი იდეების ერთობლიობა და მისგან გამომდინარე მიზანმიმართული საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია სახელმწიფოებს, ხალხებს, ერებს, სოციალურ ჯგუფებს შორის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ურთიერთობების ჩამოყალიბებასთან.

„პოლიტიკა სხვა არაფერია, თუ არა მისწრაფება ძალაუფლებაში მონაწილეობისაკენ, ან მის განაწილებაზე ზეგავლენის მოპოვებისაკენ. სულერთია, იქნება ეს ძალაუფლების გადანაწილება სხვადასხვა სახელმწიფოს შორის, თუ ერთი რომელიმე სახელმწიფოს შიგნით – ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფებს შორის“. პოლიტიკის ამგვარი გაგება არსობრივ შესატყვისობაშია ჩვეულებრივ სიტყვათა ხმარებასთან, როცა რომელიმე საკითხზე ამბობენ „პოლიტიკური“ საკითხიაო, მინისტრსა თუ მოხელეზე – „პოლიტიკური“ მოხელეაო, გადაწყვეტილებაზე – „პოლიტიკურადაა“ განპირობებულიო, იგულისხმება, რომ „პოლიტიკური“ საკითხის გადაჭრას, გადაწყვეტილების მიღებას თუ დასახელებული მოხელის მოღვაწეობის სფეროს დადგენას იგივე ინტერესები

განსაზღვრავს, რომლებიც „ძალაუფლებაში მონაწილეობას, მის გადანაწილებასა თუ შენარჩუნებას წარმართავს. ის, ვინც პოლიტიკაშია, ძალაუფლებისაკენ მიისწრაფვის, სულერთია, როგორ ესახება მას ეს ძალაუფლება – სხვა, იდეალურ ან მატერიალურ მიზანთა მიღწევის საშუალებად თუ ძალაუფლებად „მხოლოდ ძალაუფლების გულისთვის“, რათა დატკბეს პრესტიჟულობის იმ გრძნობით, რომელსაც იგი ადამიანს ანიჭებს.“

მაქს ვებერი


პოლიტიკა ბერძნული სიტყვების „polis“ (ქალაქი, სახელმწიფო) და „techné“ (მეცნიერება) ნაერთია და სახელმწიფოს მართვის ხელოვნებას/სახელმწიფოს მართვის მეცნიერებას ნიშნავს, თუმცა პოლიტიკის თანამედროვე გაგება არ გულისხმობს, რომ პოლიტიკას მხოლოდ „პოლიტიკის მეცნიერები“ უნდა ქმნიდნენ. პოლიტიკას უწოდებენ:

- ძალაუფლებისათვის ბრძოლას;
- მთავრობის გადაწყვეტილებებსა და ამ გადაწყვეტილებების შესრულებას – რესურსების გადანაწილების პროცესს;
- პოლიტიკურ პარტიებს შორის ურთიერთობას;
- ზოგადად, ადამიანთა იმგვარ ყოველდღიურ საქმიანობას, რომელიც საზოგადოების მოწყობას უკავშირდება.


დემოკრატიულ სახელმწიფოებში პოლიტიკას მოქალაქეები წარმართავენ და კონსტიტუციების დიდი ნაწილიც ძალაუფლების წყაროდ, ძირითადად, სწორედ ხალხს მიიჩნევს, რადგან პოლიტიკა საშუალებაა, რომლითაც ხალხი განსაზღვრავს, ვინ იქნება მთავრობაში. ამრიგად, პოლიტიკა მოქალაქის პრივილეგიაა და ამ გაგებით ჩვენი ცხოვრების მთავარი შინაარსია.

„პოლიტიკა ადამიანურ ურთიერთობათა ისეთი წყობაა, რომელიც დიდწილად მოიცავს კონტროლს, ძალაუფლებას, გავლენასა და ავტორიტეტს“.

ამერიკელი პოლიტოლოგი
რობერტ ალან დალი
(1915 – 2014 წ.)



პოლიტიკა ისეთი ტიპის ხელოვნებაა, რომელიც სხვადასხვა სახის, ფორმისა და მექანიზმების ერთმანეთთან შერევით ბევრად უფრო მრავალფეროვანი ხდება. ეს არის ადამიანებს შორის ურთიერთობის სისტემა, რომელიც წარმოიშობა საზოგადოებაში სახელმწიფო ხელისუფლების ძალისხმევასა და გამოყენებასთან დაკავშირებით. ზოგადად პოლიტიკა, როგორც მეცნიერება, შეისწავლის სახელმწიფო მიზნების მიღწევის ხერხებს.



სახელმწიფო ახორციელებს როგორც საშინაო, ასევე საგარეო პოლიტიკას. საშინაო პოლიტიკა განისაზღვრება იმ მიზნების შინაარსით, რომელსაც ისახავს მთავრობა და საზოგადოების მმართველი კლასები, და იმ საშუალებებით, რომლებითაც ეს მიზნები მიიღწევა.

საშინაო პოლიტიკის მიზანს შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა ხასიათი:

საშინაო პოლიტიკის მიზანი ხასიათის მიხედვით	
	დინასტიური ხასიათის (იცავს მმართველი ოჯახის ინტერესებს)
	არისტოკრატიული ხასიათის (იცავს დიდგვაროვან ოჯახთა უფლებებს და პრივილეგიებს)
	სამხედრო ხასიათის (წინა პლანზეა წამოწეული შეირაღებული ძალები)
	სახალხო ხასიათის (იცავს საზოგადოების ყველა ფენის ინტერესებს)

ყველა სახელმწიფო დასახული მიზნის მისაღწევად ატარებს შესაბამის პოლიტიკას. პოლიტიკურ პროცესებთან გვაქვს საქმე, როდესაც განიხილება ძალაუფლება პირდაპირი მნიშვნელობით და ამ ძალაუფლების კონტექსტში, მისგან გამომდინარე, ისეთი საკითხები, როგორიცაა: სახელმწიფო, მმართველობის ფორმები და სახეები, მოქალაქეთა უსაფრთხოების პრობლემა და ა.შ.

სახელმწიფოს შიგნით პოლიტიკა მთლიანად მიპყრობილია მშვიდობის, სამართლიანობისა და გადაწყვეტილებათა მართებულობის მიზნებზე. ამგვარად, პოლიტიკის მიზნებია არა უბრალოდ მშვიდობა და სამართლიანობა, არამედ მშვიდობა სამართლიანობის გზით. ეს ცნებები არ არის ტოლი მნიშვნელობისა და ფასეულობის, რამეთუ მშვიდობა – ესაა პოლიტიკის საბოლოო მიზანი და პოლიტიკაში არ შეიძლება იყოს მიზანი, რომლისთვისაც მშვიდობა მხოლოდ საშუალება იქნებოდა. სამართლიანობა კი, პირიქით, – ექვემდებარება მშვიდობას, ვინაიდან წარმოადგენს მისი მიღწევის საშუალებას ან შუალედურ მიზანს მისკენ მიმავალ გზაზე.

DRAFT

საშინაო პოლიტიკის ჩამოსაყალიბებლად საქართველოში კანონმდებლობით რეგულირდება პოლიტიკის დაგეგმვის შემდეგი დოკუმენტების შემუშავება:

ა) სამთავრობო პროგრამა; ბ) მთავრობის ყოველწლიური სამოქმედო გეგმა; გ) მთავრობის კანონშემოქმედებითი საქმიანობის გეგმა; დ) სექტორული სტრატეგიები; ე) სამოქმედო გეგმები; ვ) ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი; ზ) სახელმწიფო ბიუჯეტი.

2020 წელს შემუშავდა ქვეყნის მთავარი პოლიტიკის დოკუმენტი – საქართველოს სამთავრობო პროგრამა 2021 – 2024 „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“.

სამთავრობო პროგრამა 2021 – 2024
„ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“

(ამონარიდი)

ხედვა

საქართველოს სახელმწიფოს მშენებლობა ეფუძნება მთავარ დემოკრატიულ პრინციპებსა და ღირებულებებს – თავისუფლებას, თანასწორობას, კანონის უზენაესობასა და ადამიანის უფლებების დაცვას და ემსახურება თითოეული მოქალაქის კეთილდღეობას, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას დაა საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სივრცეში სრულფასოვან ინტეგრაციას.

2021 – 2024 წლებში საქართველოს მთავრობის ძალისხმევა მიმართული იქნება შემდეგ ოთხ საკვანძო მიმართულებაზე:

- **საგარეო პოლიტიკა, უსაფრთხოება, კონფლიქტის მოგვარება და ადამიანის უფლებები** – უსაფრთხოება ქვეყნის განვითარების საფუძველია. ქვეყნის ოკუპაციის, მზარდი საგარეო საფრთხეების პირობებში, მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, ქვეყნის სტრატეგიულ პარტნიორებთან თანამშრომლობის გაღრმავება, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია, ხოლო, მეორე მხრივ, საერთაშორისო სტანდარტებთან თავსებადი თავდაცვისუნარიანობის სისტემის, შიდა უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვის სტრუქტურების ეფექტიანი ფუნქციონირება. ამავე დროს, მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებების მაღალი სტანდარტის განუხრელი დაცვა. ამასთან, ევროკავშირთან სრულფასოვანი ინტეგრაციის გზაზე, მნიშვნელოვანი ასპექტი იქნება ეკონომიკური, სავაჭრო, სატრანსპორტო, საკომუნიკაციო, ენერგეტიკული ურთიერთკავშირების გაღრმავება ევროკავშირთან.
- **ეკონომიკური განვითარება** – მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა იქნება ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი. ამოსავალი იქნება ბიზნესის განვითარების ხელშეწყობა, რამაც, თავის მხრივ, უნდა უზრუნველყოს სამუშაო ადგილების შექმნა და უკიდურესი სიღარიბის დაძლევა. ამასთან, სახელმწიფო, მის ხელთ არსებული ეკონომიკური პოლიტიკის

ყველა ინსტრუმენტის გამოყენებით, ხელს შეუწყობს ეკონომიკური განვითარებისთვის დამატებითი სტიმულების შექმნას.

- **სოციალური პოლიტიკა და ადამიანური კაპიტალის განვითარება** – სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ადამიანური კაპიტალის, როგორც ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი ფაქტორის, გაძლიერებას, სოციალური უზრუნველყოფის ღირსეული სისტემის განვითარებას, ჯანდაცვის სისტემის შემდგომ განვითარებასა და ეფექტიან მართვას და, პანდემიის მიერ შექმნილი ბარიერების მიუხედავად, ხარისხიანი, ხელმისაწვდომი და ტექნოლოგიურ მიდგომებზე დაფუძნებული განათლების სისტემის უზრუნველყოფას.
- **სახელმწიფო მმართველობა** – ძლიერი სახელმწიფო ინსტიტუტები, კვალიფიციური და კეთილსინდისიერი მოხელეები ძლიერი სახელმწიფოს მშენებლობისთვის მნიშვნელოვანი რესურსია. კრიზისთან ბრძოლის ფარგლებში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფო მმართველობის ეფექტიანობასა და შედეგზე ორიენტირებულ მუშაობას, რომელიც ხილული და ხელშესახები უნდა იყოს თითოეული მოქალაქისთვის.

ამ დოკუმენტის შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკის მიმართულებებია:

- საგარეო პოლიტიკა, უსაფრთხოება, კონფლიქტის მოგვარება და ადამიანის უფლებები;
- ეკონომიკური განვითარება;
- სოციალური პოლიტიკა და ადამიანური კაპიტალის განვითარება;
- სახელმწიფო მმართველობა.

დავალება 8.3.

გაანალიზეთ ინფორმაცია და ჩამოაყალიბეთ თქვენი მოსაზრებები დოკუმენტთან დაკავშირებით. რას დაამატებდით სახელმწიფო პოლიტიკის ამ ოთხ მიმართულებას?



პოლიტიკის კავშირი საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველ დარგთან ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი კავშირი ეკონომიკასთან. ეკონომიკა და პოლიტიკა ურთიერთზემოქმედებენ ყოველგვარი შუალედური რგოლის გარეშე.

ეკონომიკური პრობლემებისადმი სწორი მიდგომის გარეშე, მაშასადამე, სწორი



პოლიტიკის შემუშავების გარეშე, ვერცერთი ხელისუფლება ვერ შეინარჩუნებს ძალაუფლებას და ვერ გადაჭრის მის წინაშე მდგომ ამოცანებს. ამრიგად, პოლიტიკა წარმოადგენს ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტის საშუალებას. პოლიტიკა არ უნდა ეყრდნობოდეს ცალკეულ პოლიტიკოსთა თვითნებურ მოქმედებას. რეფორმები სოციალური ჯგუფების რეალური ინტერესებისა და მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისკენ უნდა იყოს მიმართული.

თუ სახელმწიფოს ეკონომიკას განვიხილავთ ცალკეულ დარგებად, მაშინ შესაძლებელია საუბარი სახელმწიფოს ფინანსურ, საბაჟო, სატარიფო, სავაჭრო, სამრეწველო, ფისკალურ, სარკინიგზო პოლიტიკაზე.

საგარეო პოლიტიკა

საზოგადოებრივ ცხოვრებაში, საზოგადოებაში წესრიგი ნიშნავს სოციალური ცხოვრების იმგვარად აწყობას, რომ შესაძლებელი გახდეს დემოკრატიული ფასეულობებისა და მიზნების რეალიზება. საერთაშორისო წესრიგი სახელმწიფოთა შორის წესრიგია, რომლის საშუალებითაც მიიღწევა საერთაშორისო სისტემაში შემავალი სახელმწიფოების უპირველესი და ყველაზე ზოგადი მიზნები:

- თავად საერთაშორისო სისტემის ან საზოგადოების შენარჩუნება;
- მონაწილე სახელმწიფოების დამოუკიდებლობისა და სუვერენულობის შენარჩუნება;
- მშვიდობა და უსაფრთხოება;
- ძალადობის შეკავება, შეზღუდვა და ამავე დროს დადგენილი წესების თუ შეთანხმებების პატივისცემა.



წესრიგი არა მხოლოდ საერთაშორისო პოლიტიკის ვითარების მახასიათებელია, არამედ ფასეულობაცაა. ასეთივე ფასეულობას წარმოადგენს სამართლიანობა. საერთაშორისო პოლიტიკაში ეს ორი ფასეულობა დაკავშირებულია ერთმანეთთან და ურთიერთგანმსაზღვრელიც არის. საერთაშორისო წესრიგი და მსოფლიო წესრიგი ერთმანეთისგან განსხვავდება. საერთაშორისო წესრიგი სახელმწიფოთა შორის წესრიგია, ხოლო მსოფლიო წესრიგი მოიცავს აგრეთვე ქვეყნების შიგნით და მუნიციპალურ დონეზე წესრიგსაც.

დავალება 8.4.

იმსჯელეთ:

რატომაა, რომ ნებისმიერი სუვერენული სახელმწიფო ძალისხმევას არ იშურებს ქვეყნის შიგნით წესრიგის, მშვიდობის დასამყარებლად და შესანარჩუნებლად?

საქართველო - ნატოს ურთიერთობები

საქართველოს უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის მიზანია უსაფრთხო, დემოკრატიული და სტაბილური გარემოს შექმნა. აღნიშნულის მისაღწევად დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე საქართველოს საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის მთავარ პრიორიტეტად ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია განისაზღვრა. საქართველო ნატოს კოლექტიური თავდაცვის ერთადერთ ორგანიზაციად განიხილავს, რომელსაც გააჩნია შესაბამისი პოლიტიკური, სამხედრო და სხვა რესურსი, რათა უზრუნველყოს მისი წევრების უსაფრთხოება და შეინარჩუნოს მშვიდობა ევროატლანტიკურ სივრცეში.

ნატო-ში გაწევრიანების შემთხვევაში, საქართველოს უსაფრთხოების რისკის არსებობისას ჩვენს ქვეყანას 31 მოკავშირე ქვეყანა დაუდგება გვერდით.



ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია ნატო ჩრდილოეთ ამერიკის 2 და ევროპის 29 სახელმწიფოსგან შემდგარი ალიანსია, რომელიც 1949 წლის 4 აპრილს შეიქმნა. ნატო-ს ამოცანაა მისი წევრი ქვეყნების თავისუფლებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა, როგორც პოლიტიკური, ისე სამხედრო თვალსაზრისით. ალიანსის მიზანია მშვიდობის დამყარება და მისი წევრი ქვეყნების თავისუფლებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

ნატო მკაცრად იცავს და პატივს სცემს ისეთ ღირებულებებს, როგორიცაა წევრი ქვეყნების სუვერენიტეტი, ტერიტორიული მთლიანობა, დემოკრატია, ინდივიდუალური თავისუფლება, ადამიანის უფლებები და კანონის უზენაესობა.

ნატოს დამფუძნებელი ხელშეკრულების მეხუთე მუხლის შესაბამისად, ალიანსის უმთავრესი ამოცანაა წევრი ქვეყნების დაცვა აგრესიისგან. ალიანსის ერთ წევრზე თავდასხმა განიხილება ყველა წევრზე თავდასხმად.

ნატო-საქართველოს ურთიერთობას 1992 წელს ჩაეყარა საფუძველი, როდესაც საქართველო შეუერთდა ჩრდილოატლანტიკური თანამშრომლობის საბჭოს (NACC – North Atlantic Cooperation Council), რომელსაც 1997 წლიდან ეწოდა ევროატლანტიკური თანამშრომლობის საბჭო (EAPC - Euro-Atlantic Partnership Council). თანამშრომლობა გაფართოვდა 1994 წელს, ნატოს პარტნიორობა მშვიდობისათვის (PfP - Partnership for Peace) პროგრამასთან საქართველოს მიერთებით, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა ნატოსა და ინდივიდუალურ პარტნიორ ქვეყანას შორის თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის გაღრმავება.

ნატო-საქართველოს ურთიერთობის ისტორიაში აღსანიშნავია 2002 წელს პრაღაში გამართული ნატოს სამიტი, რომელზეც საქართველოს მეორე პრეზიდენტმა, ედუარდ შევარდნაძემ პირველად გაახმაურა საქართველოს ნატოში გაწევრიანების სურვილი.

2004 წელს საქართველო გახდა პირველი ქვეყანა, რომელმაც შეიმუშავა ნატოსთან ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა (IPAP – Individual Partnership Ac-



tion Plan). ეს გულისხმობდა დროში გაწერილ სამოქმედო გეგმას, რომლის ფარგლებში საქართველომ ალიანსის წინაშე კონკრეტული ვალდებულებები აიღო.

მოგვიანებით, 2008 წელს ბუქარესტის სამიტზე ნატოს ლიდერები შეთანხმდნენ, რომ საქართველო გახდება ალიანსის წევრი. ბუქარესტის სამიტის პოლიტიკური გადაწყვეტილება საქართველოსთან მიმართებაში შეიძლება შეფასდეს ერთ-ერთ ყველაზე პროგრესულ და მნიშვნელოვან გზავნილად ნატოში გაწევრიანების გზაზე მყოფი ქვეყნისთვის.

2015 წლის 27 აგვისტოს კრწანისის ეროვნული საწვრთნელი ცენტრის ტერიტორიაზე გაიხსნა ნატო-საქართველოს ერთობლივი წვრთნისა და შეფასების ცენტრი (JTEC). JTEC არის ნატო-საქართველოს მორიგი წარმატებული ერთობლივი პროექტი, რომელიც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობისა და საქართველოს თავდაცვითი ძალების ნატო-სთან თავსებადობის ამაღლებას, ასევე რეგიონალური და საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცებას.

წვრთნისა და შეფასების ცენტრით სარგებლობენ არამარტო საქართველოსა და ალიანსის წევრი ქვეყნები, არამედ ნატო-ს პარტნიორებიც.

მნიშვნელოვანი პროექტია თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლაც (Defence Institution Building School-DIB), რომელიც 2016 წელს დაფუძნდა. მის მთავარ ამოცანას უსაფრთხოების სექტორში კარგი მმართველობის მხარდაჭერა, თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებში ეროვნული შესაძლებლობების გაძლიერება და ნატო-ს შესაბამის სტრუქტურებთან, წევრ და პარტნიორ ქვეყნებთან თანამშრომლობის განვითარება წარმოადგენს.



ნატო-საქართველოს კომისიის სხდომა, 2009 წ.

2016 წელს ვარშავის სამიტზე მიიღეს უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებები.

სამიტზე გადაწყდა, რომ ნატო აქტიურად დაიწყებს შავი ზღვის უსაფრთხოების გაძლიერებას. საქართველო ჩართული იქნება ამ პროცესში და მიიღებს მონაწილეობას შავი ზღვის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ სტრატეგიულ დიალოგში.

ნატოს 2018 წლის ბრიუსელის სამიტი - არის პირველი შემთხვევა, როცა წევრი ქვეყნების სახელმწიფო მეთაურები უმაღლეს დონეზე შეიკრიბნენ კონკრეტულად საქართველოსთან დაკავშირებული საკითხების განსახილველად. მიღებულ იქნა ნატო-საქართველოს კომისიის დეკლარაცია, რაც ასევე უპრეცედენტო შემთხვევაა, ვინაიდან არის პირველი დეკლარაცია ნატო-საქართველოს ურთიერთობების ისტორიაში სახელმწიფო მეთაურთა დონეზე



ნატო-საქართველოს კომისიის სხდომა, 2016 წ.

DRAFT COPY

განვლილი წლების მანძილზე საქართველომ დაადასტურა, რომ ალიანსის ქმედითუნარიანი, ღირებული, საიმედო პარტნიორი და ასპირანტი ქვეყანაა. ფართოდაა აღიარებული ის პროგრესი, რომელსაც საქართველომ მიაღწია დემოკრატიული რეფორმების გატარების, თავდაცვითი ძალებისა და თავდაცვის ინსტიტუტების მოდერნიზაციის კუთხით, და ასევე, საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცებაში შეტანილი წვლილით.

სამშვიდობო მისიებში მონაწილეობით საქართველოს შეაქვს მნიშვნელოვანი წვლილი ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში და გლობალური უსაფრთხოების უზრუნველყოფაში.

სამხედრო მოსამსახურეები უნიკალურ სამხედრო გამოცდილებას იძენენ, შედეგად კი ვითარდება საქართველოს სამხედრო შესაძლებლობები. ამ გამოცდილებით საქართველოს ჰყავს მაღალ დონეზე მომზადებული და ნატოს სტანდარტებთან სრულად თავსებადი ჯარი. ეს კი, ქვეყნის განვითარების გზაზე ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს რესურსს წარმოადგენს.

ქართველი ჯარისკაცები სამაგალითოდ ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას და ღირსეულად წარმოადგენენ საქართველოს ნატოს წევრ და პარტნიორ ქვეყნებთან, რაც საქართველოს სანდო პარტნიორად წარმოაჩენს. სანდო პარტნიორის სტატუსით, საქართველოს საკითხი მუდმივად აქტუალურია საერთაშორისო დონეზე, რაც ხელს უწყობს ნატოს მხრიდან საქართველოსადმი მყარი მხარდაჭერის გაგრძელებას.

ნატოში გაწევრებისათვის სამშვიდობო მისიებში მონაწილეობა ერთ-ერთი მთავარი ხელშემწყობი ფაქტორია.

2004 წლიდან დღემდე, სხვადასხვა დონეზე ჩატარებული 107 როტაციის ფარგლებში (ISAF, RSM), ავღანეთში განხორციელებულ საერთაშორისო მისიებში მონაწილეობა 20 ათასზე მეტმა ქართველმა სამხედრო მოსამსახურემ მიიღო.




დავალება 8.5.

იმსჯელეთ:

- რა იცით ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის შესახებ?
- რა როლს ასრულებს საქართველო სამშვიდობო მისიებში მონაწილეობით ევროატლანტიკური უსაფრთხოების განმტკიცების საქმეში?
- უსაფრთხოების თვალსაზრისით რა პერსპექტივებს უჩენს საქართველოს ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში გაწევრიანება?

სახელგანთქმულ ფიზიკოსს ალბერტ აინშტაინს ერთხელ ჰკითხეს: „რატომაა, რომ ადამიანის გონებამ ატომის სტრუქტურის აღმოჩენა შეძლო, მაგრამ ვერ შევძელით ისეთი პოლიტიკური საშუალებების გამონახვა, რომლებიც იმავე ატომით საკუთარი თავის მოსპობისაგან გადაგვარჩენდა?“ ამაზე აინშტაინმა მიუგო: „ეს მარტივად აიხსნება, ჩემო ბატონო, რადგან პოლიტიკა ფიზიკაზე რთულია, ბევრად უფრო რთული.“



ალბერტ აინშტაინი, ფიზიკოსი

COPY

პატარა ქვეყნები ყოველთვის უმწეონი იყვნენ საერთაშორისო ასპარეზზე. არც სამხედრო და არც პოლიტიკური ძალა მათ არ გააჩნდათ. საერთაშორისო ურთიერთობებში ძალიან ნელა, მაგრამ მაინც შესამჩნევად იჩენს თავს სახელმწიფოთა „ქცევის“ ახალი ნორმები: ყოველი ერის თვითგამორკვევის უფლება; სახელმწიფოთა სუვერენული უფლებები საკუთარ ტერიტორიაზე; საერთაშორისო ორგანიზაციებში სახელმწიფოთა თანასწორუფლებიანობის ზრდა; საერთაშორისო სამართლის წინაშე სახელმწიფოთა თანასწორუფლებიანობა; სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებში ძალის გამოყენების დაგმობა. თითოეული ამ ნორმის დამკვიდრება დამოკიდებულია ქვეყნების ძალისხმევაზე. მაგალითად, გლობალურ დონეზე საერთაშორისო უსაფრთხოება ვერ მიიღწევა, თუ ქვეყნებმა არ იზრუნეს ლოკალურ და ეროვნულ დონეზე უსაფრთხოების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაზე საზოგადოების ჩართულობით.



დავალება 8.6.

იმსჯელეთ: რა საკითხები შეიძლება იყოს აქტუალური უსაფრთხოების მიმართულებით ლოკალურ, ეროვნულ და გლობალურ დონეზე.

(ცხრილი გადაიტანეთ რვეულში და შეავსეთ)

პიროვნების უსაფრთხოება	ლოკალური დონე	
სოციუმის უსაფრთხოება	ეროვნული დონე	
ეროვნული უსაფრთხოება	გლობალური დონე	

არ ჩაწერო წიგნში!

- მოაწყეთ დისკუსია კლასში, განიხილეთ თითოეული საკითხი ცალ-ცალკე. გაუზიარეთ ერთმანეთს თქვენი შეხედულებები.

სუვერენული სახელმწიფოები მსოფლიო პოლიტიკის ყველაზე მნიშვნელოვანი მონაწილეები არიან, მაგრამ მათ გარდა კიდევ არიან სხვა მონაწილეებიც – რეგიონული სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური კავშირები და ორგანიზაციები, საერთაშორისო ორგანიზაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები, ეკლესია, საერთაშორისო კორპორაციები და სხვ. მნიშვნელოვანია ყველა მონაწილის, როგორც სახელმწიფოების, ასევე ინდივიდების ჩართულობა როგორც გლობალური, ასევე ლოკალური გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ზოგადად სახელმწიფოთა ურთიერთობის ფორმატი შესაძლოა იყოს სხვადასხვაგვარი, მაგალითად, სახელმწიფოთაშორისი ან სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციას შორის. თავის მხრივ, მრავალფეროვანია თანამშრომლობის სახეებიც – პოლიტიკური, ეკონომიკური ან/და სამხედრო და ა.შ

საგარეო პოლიტიკა მოიცავს სახელმწიფოთაშორის ურთიერთობების საკითხებს, როგორებიცაა: ომი და მშვიდობა, სახელმწიფოთა კავშირები და შეთანხმებები, საერთაშორისო ვაჭრობა, გავლენის სფეროების განაწილება, ზღვების, კოლონიების ფლობა და სხვა.

DO NOT COPY

დავალება 8.7.

ამ ინფორმაციის საფუძველზე შეუსაბამეთ სახელმწიფოთა თანამშრომლობის სახეები და ურთიერთობების საკითხები ერთმანეთს. ცხრილი გადაიტანეთ რვეულში და შეავსეთ.

სახელმწიფოთა თანამშრომლობის სახეები	სახელმწიფოთა ურთიერთობის საკითხები
პოლიტიკური	
ეკონომიკური	
სამხედრო	

არ დაწერო წიგნში!

სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებს დიდი მნიშვნელობა აქვს მსოფლიო პოლიტიკაში. ეს ურთიერთობები შესაძლოა იყოს ორმხრივი ან მრავალმხრივი.

1987 წელს როლანდ რეიგანმა და მიხეილ გორბაჩოვმა თეთრ სახლში ხელი მოაწერეს ორმხრივ ხელშეკრულებას საშუალო და მოკლე სიშორის რაკეტების ლიკვიდაციის პაკეტს.

„საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებს შეუძლიათ ერთი ისეთი ჟესტი გააკეთონ, რომელიც მკაფიო იქნება და რადიკალურად შეუწყობდა ხელს თავისუფლებისა და მშვიდობის საქმეს. გენერალურო მდივანო გორბაჩოვ, თუ საბჭოთა კავშირისა და აღმოსავლეთ ევროპისთვის მშვიდობა, კეთილდღეობა და ლიბერალიზაცია გსურთ, ამ ჭიშკართან მოდით. ბატონო გორბაჩოვ, გახსენით ეს ჭიშკარი. ბატონო გორბაჩოვ, ბატონო გორბაჩოვ, დაანგრიეთ ეს კედელი!“

ეს სიტყვები აშშ-ის ყოფილმა პრეზიდენტმა, რონალდ რეიგანმა, 1987 წლის 12 ივნისს ბერლინში, ბრანდენბურგის ჭიშკრის წინ, წარმოთქვა.



როლანდ რეიგანი და მიხეილ გორბაჩოვი ხელს აწერენ ორმხრივ ხელშეკრულებას



როლანდ რეიგანი სიტყვით გამოდის ბერლინში, ბრანდერბურგის ჭიშკრის წინ

ეს გამოსვლა რეიგანის პრეზიდენტობის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ და მნიშვნელოვან სიტყვად იქცა. რეიგანმა მსოფლიოს თავისი ოთხი სიტყვა შესთავაზა – „Tear Down this Wall“ – ამით მან, ფაქტობრივად, ისტორია შექმნა.

დავალება 8.8.

იმსჯელეთ, რა ზეგავლენა მოახდინა ორი უძლიერესი სახელმწიფოს კონსტრუქციულმა ურთიერთობამ მსოფლიო პოლიტიკაზე. რომელ სახელმწიფოთაშორის კავშირს შეუქმნა საფუძველი ბერლინის კედლის დანგრევამ?



საქართველოს საგარეო პოლიტიკა ქვეყნის საგარეო პოლიტიკის კონცეპტუალური ჩარჩო დოკუმენტით არის განსაზღვრული და მისი განხორციელება საგარეო საქმეთა სამინისტროს პრეროგატივაა.

ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია. იგი ქართული საზოგადოების თავისუფალი და ურყევი არჩევანია, რომელიც საქართველოს მოსახლეობის მიერ განვითარების მთავარ ორიენტირად განიხილება.

აღმოსავლეთ პარტნიორობა (Eastern Partnership - EaP) წარმოადგენს ევროკავშირის აღმოსავლეთ მეზობელ ქვეყნებთან (აზერბაიჯანი, ბელარუსი, მოლდოვა, საქართველო, სომხეთი, უკრაინა) თანამშრომლობის ახალი ფორმატს, რომლის მიზანი ამ ექვსი ქვეყნის ევროკავშირთან დაახლოება, ურთიერთობების გაძლიერება და გაღრმავებაა.

ევროკომისიამ „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ შესახებ დოკუმენტი 2008 წლის 3 დეკემბერს გამოაქვეყნა, რომელიც 2009 წლის 19 მარტს ევროპული საბჭოს სხდომაზე დამტკიცდა. ამ ინიციატივის მთავრი მიზანი ევროპული სამეზობლო პოლიტიკის (ENP) განხორციელებაა, რაც ხელს უწყობს პარტნიორი ქვეყნების ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესის გაღრმავებას, საერთო ფასეულობების გავრცელებას, რეგიონში უსაფრთხოების გაძლიერებასა და ეკონომიკურ განვითარებას.



მრავალმხრივი თანამშრომლობა მოიცავს ოთხ თემატურ მიმართულებას:

I მიმართულება - დემოკრატია, კარგი მმართველობა და სტაბილურობა (Democracy, Good Governance and Stability);

II მიმართულება – ეკონომიკური ინტეგრაცია და ევროკავშირის პოლიტიკასთან შესაბამისობის უზრუნველყოფა (Economic Integration and Convergence with EU Policies);

III მიმართულება - ენერგოუსაფრთხოება (Energy Security);

IV მიმართულება – ხალხთა შორის კონტაქტები (Contacts between People).

ევროკავშირის „აღმოსავლეთ პარტნიორობის” ინიციატივის ფარგლებში 2009 წლის 17 ნოემბერს ქ. ბრიუსელში დაფუძნდა სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი (EaP Civil Society Forum - CSF), რომლის მიზანია ევროკავშირისა და პარტნიორი ქვეყნების არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის აქტიური თანამშრომლობის ხელშეწყობა.

„აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ფარგლებში ფუნქციონირებს „ევრონესტი“ (Euronest) -თანამშრომლობის საპარლამენტო ასამბლეა, რომელიც 2011 წლის 2-3 მაისს ბრიუსელში, ევროპარლამენტის წევრებისა და პარტნიორი ქვეყნების პარლამენტების თანამშრომლობის გაძლიერების მიზნით შეიქმნა. 2013 წლის 13-15 თებერვალს ქ. თბილისში გაიმართა „ევრონესტის“ საპარლამენტო ასამბლეის პოლიტიკურ საკითხთა, ადამიანის უფლებათა დაცვის და დემოკრატიის კომიტეტის სხდომა.

Don't copy



ევროკავშირი სოფლის მეურნეობის სექტორში ბიზნესის მხარდამჭერ ორგანიზაციებს 1 მლნ 300 ათასი ლარით აფინანსებს. პროექტის პრეზენტაცია საქართველოს ფერმერთა ასოციაციამ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლასთან (ISET), ექსპორტის განვითარების ასოციაციასთან (EDA), სამოქალაქო განვითარების სააგენტოსა (CIDA) და ასოციაცია „ათინათთან“ ერთად გამართა.

ევროკავშირი სოფლის მეურნეობის სექტორში ბიზნესის მხარდამჭერი ორგანიზაციების გაძლიერების პროექტს 1.3 მილიონზე მეტი ლარით (450.000 ევროზე მეტი) აფინანსებს. პროექტი, თავის მხრივ, ამ ორგანიზაციების წევრ მცირე და საშუალო საწარმოებს ხელს შეუწყობს, რომ დააკმაყოფილონ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული რეგულაციები და გაიუმჯობესონ საქმიანი ურთიერთობები როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ.

“დღეისათვის, საქართველოში აგროწარმოების განვითარებისთვის და DCFTA-ის შესაძლებლობების სრულად რეალიზებისთვის აუცილებელი ფაქტორებია: ზოგადი ცნობიერების ამაღლება ევროკავშირის ბაზრის შესახებ, ევროკავშირის მოთხოვნების ცოდნა პროდუქტების მიმართ, ბიზნესის სტრატეგიული დაგეგმვა და ა.შ. ჩატარებული გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა, რომ მეწარმეებს სურთ ამ თემებზე მეტი კონსულტაციებისა და ტრენინგების გავლის საშუალება ჰქონდეთ. შესაბამისად, ბიზნესის მხარდამჭერი ორგანიზაციების შესაძლებლობის ზრდა იქნება მათი მხარდაჭერისთვის ეფექტიანი გზა. ეს მათ ხელს შეუწყობს ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) სურსათის უვნებლობის რეგულაციების დაკმაყოფილებასა და პროდუქციის ევროკავშირში ექსპორტზე გატანასთან დაკავშირებული გამოწვევების დაძლევაში“, – განაცხადა საქართველოს ფერმერთა ასოციაციის თავმჯდომარემ ნინო ზამბახიძემ.

საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმება 2016 წლის ივლისში შევიდა ძალაში. მისი მიზანი საქართველოსა და ევროკავშირს შორის პოლიტიკური ასოცირება და ეკონომიკური ინტეგრაციაა. ევროკავშირსა და საქართველოს შორის მოქმედებს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცე, ხოლო 2017 წლის 28 მარტიდან საქართველოს მოქალაქეები სარგებლობენ შენგენის ზონაში უვიზოდ მიმოსვლის უფლებით. ევროკავშირი საქართველოს ყველაზე დიდი სავაჭრო პარტნიორია. სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაციით საქართველოს მთლიან ექსპორტში ყველაზე დიდი წილი ევროკავშირის ქვეყნებს აქვთ. ევროკავშირის ქვეყნების წილი 2020 წელს მთლიანი ექსპორტის 21,5 %-ს შეადგენდა. საქართველოს ექსპორტი ევროკავშირში მოიცავს სამრეწველო და სოფლის მეურნეობის პროდუქციას, განსაკუთრებით ბოსტნეულს, საკვებ პროდუქტებს, სასმელებს და სხვა.

ევროკავშირი ყოველწლიურად საქართველოსთვის, ტექნიკური და ფინანსური დახმარების სახით, 100 მლნ ევროზე მეტ თანხას გამოყოფს.

სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის (ENPARD) ფარგლებში სოფლად მცხოვრებმა 250,000-ზე მეტმა ადამიანმა ევროკა-

ვშირის პირდაპირი დახმარება მიიღო. ENPARD-ი ევროკავშირის ერთ-ერთი წამყვანი პროგრამაა საქართველოში, რომელიც სოფლის მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესებას ისახავს მიზნად. პროგრამა 2014 წლიდან ხორციელდება და საქართველოს ამ პროგრამის ფარგლებში 180 მილიონი ევროს დახმარება აქვს მიღებული.

ევროკავშირის დახმარებით, დღეს საქართველოში დარეგისტრირებულია 1 500-მდე კოოპერატივი (ფერმერთა ჯგუფი). 280-ზე მეტმა კოოპერატივმა ევროკავშირის პირდაპირი დაფინანსებითა და ტექნიკური დახმარებით ისარგებლა. ამ დახმარების საერთო ღირებულება 13 მილიონ ლარს შეადგენს. ევროკავშირის დაფინანსებისა და საგრანტო სქემის ფარგლებში, ENPARD-ის განმახორციელებელმა პარტნიორებმა კოოპერატივებს დახმარება გაუწიეს ტექნიკის შეძენის, ტრენინგებისა თუ გამოცდილების გაზიარების კუთხით. საქართველოს მასშტაბით დაახლოებით 8 000 ფერმერი გადამზადდა და გაიუმჯობესა ცოდნა ბიზნეს მენეჯმენტის კუთხით. ამასთან, დაახლოებით 1 000-მა კოოპერატივმა ჯამში 6 მილიონი ლარის ღირებულების გრანტი ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი სახელმწიფო პროგრამების შედეგად მიიღო.



დავით ბარდაველიძე
კომპანია Georgian Products-ის დამფუძნებელი

კომპანია Georgian Products-ის მიერ წარმოებული შინაური ცხოველების ავეჯი და აქსესუარები თითქმის ცხრა წელია, ევროპის ბაზარზე იყიდება. ქართულ პროდუქციაზე მოთხოვნა, როგორც ჩანს, მაღალია, ვინაიდან ყოველწლიურად კომპანიის გაყიდვები მზარდია. Georgian Products-მა, რომელსაც 650 ადამიანი ჰყავს დასაქმებული, საქართველოს ახალ ინდუსტრიაში უკვე $6 მლნ-მდე ინვესტიცია ჩადო.

„ჩვენი კომპანიის დაარსება ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებასთან (DCFTA) არის დაკავშირებული, რომელიც, როგორც იცით, ქართული პროდუქტის ევროპის ბაზარზე საბაჟო შეღავათებით მოხვედრის შესაძლებლობას იძლევა. 2014 წელს ამ შეთანხმების შესახებ ინფორმაცია ჩვენს პარტნიორ კომპანია „ZOO+”-ს მივაწოდეთ, რომელიც ევროპის ბაზრის 12%-ს მოიცავს. ამას მოჰყვა მათი მხრიდან ინიციატივა, რომ დაგვეწყო შინაური ცხოველების ავეჯის წარმოება, რაც ევროპაში ასე მასშტაბურად არ იწარმოება.

მალევე დავიწყეთ მასზე მუშაობა და 2015 წლის მარტში უკვე შევქმენით ახალი პროდუქტი. გვიხარია, რომ ჩვენ ეს შევძელით მიუხედავად იმისა, რომ ევროპის ბაზარი საკმაოდ პრეტენზიულია ხარისხის თვალსაზრისით.

ევროპის ბაზარი დიდია, იქ ძალიან საიმედო კლიენტი გვყავს. ჩვენი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, ევროპისთვის ძალიან კარგი საწარმოო ლოკაციაა საქართველო, ვინაიდან საქართველოდან მიწოდების სხვადასხვა ალტერნატიული გზა არსებობს – როგორც სახმელეთო, ასევე საზღვაო. ეს კი უნიკალურ მდგომარეობაში გვაყენებს კონკრეტულად ევროპასთან, სწორედ ამის გამოყენებას ვცდილობთ,“ - ამბობს კომპანია Georgian Products-ის დამფუძნებელი დავით ბარდაველიძე.

დავალება 8.9.

იმსჯელეთ: ევროპასთან დაახლოება რა პერსპექტივებს უქმნის საქართველოს როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური თვალსაზრისით?

საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტად რჩება საერთაშორისო ორგანიზაციებთან და მათ ფარგლებში არსებულ ინსტიტუტებთან აქტიური თანამშრომლობა, მათ შორის ქვეყნის შიგნით მიმდინარე დემოკრატიული რეფორმების წარმატების უზრუნველყოფის, რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების პროცესში საერთაშორისო ორგანიზაციათა როლის გაზრდის, ომით გაყოფილ საქართველოს მოსახლეობას შორის ნდობის აღდგენისა და ოკუპირებულ რეგიონებში უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის მექანიზმების შექმნის მიმართულებებით.



ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია ოძისში

ევროკავშირის შეუიარაღებელი სამოქალაქო სადამკვირვებლო მისია საქართველოში მუშაობს 2008 წლის ოქტომბრიდან, მას შემდეგ, რაც ევროკავშირის შუამავლობით ხელი მოეწერა შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, რომელმაც აგვისტოს ომი დაასრულა.

მისია მუშაობს უსაფრთხოებისა და ნდობის აღდგენისთვის.

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ინფორმაციით 2023 წლის 10 თებერვალს ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა ოძისში ვიზიტისას ხორვატიის დელეგაციას უმასპინძლა, რომელსაც ხორვატიის საგარეო საქმეთა მინისტრი ელჩ გორდან გრლიჩ-რადმანი ხელმძღვანელობს.

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელმა საგარეო საქმეთა მინისტრს და მის დელეგაციას უსაფრთხოების ვითარება და ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის გასწვრივ ბოლო დროს განვითარებული მოვლენები გააცნო. მან ხაზი გაუსვა ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის ორივე მხარეს მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობის წინაშე არსებულ სირთულეებს, განსაკუთრებით, ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის გადასწვრივ რეგულარული მოძრაობისთვის ოძისის გადაკვეთის პუნქტის გაჭიანურებულ დახურვასთან დაკავშირებით. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა განმარტეს, თუ როგორ ზღუდავს მიმდინარე „ბორდერ-



ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელის და საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის შეხვედრა

იზაციის“ აქტივობები კონფლიქტის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის გადაადგილების თავისუფლებას, მაგალითად, როდესაც საქმე ეხება სასოფლო-სამეურნეო მიწასა და წყალს, ასევე ხარისხიან ჯანდაცვას, განათლებას და დასაქმების შესაძლებლობებს.

ევროკავშირის სადამკვრივებლო მისია ეუთოსთან ერთად განაგრძობს ცხინვალში დაკავებულთა გათავისუფლებისკენ და სამხრეთ ოსეთთან ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის გასწვრივ არსებული გადაკვეთის პუნქტების ფუნქციონირების სრული განახლებისკენ მოწოდებას ინციდენტების პრევენციის და მათზე რეაგირების ფორმატში.



ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის თანამშრომელი

ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზზე ვიზიტის შემდეგ ხორვატიის საგარეო საქმეთა მინისტრმა და მისმა კოლეგებმა გამოხატეს მადლიერება მოწოდებული ინფორმაციისთვის და მადლობა გადაუხადეს ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის თანამშრომლებს საქართველოსა და უფრო ფართო რეგიონში სტაბილურობაში შეტანილი წვლილისთვის.

ევროკავშირის სადამკვრივებლო მისიაში ამჟამად ორი ხორვატი თანამშრომელი მუშაობს.

დავალება 8.10.

იმსჯელეთ: ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის როლზე სამშვიდობო პროცესებში. მოიძიეთ ინფორმაცია სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან საქართველოს თანამშრომლობის შესახებ.

სახელმწიფოში პოლიტიკას ქმნიან პოლიტიკურ პარტიებში გაერთიანებული პოლიტიკოსები. იმისდა მიხედვით, თუ რამდენად შეესაბამება ადამიანის ცოდნა და უნარები პოლიტიკოსის კომპეტენციებს, ის ყალიბდება ან ვერ ყალიბდება პოლიტიკოსად.

დავალება 8.11.

- გაიხსენეთ ისტორიიდან, ვინ მიგაჩნიათ თქვენ საუკეთესო პოლიტიკოსად?
- რა ღირებულებებით, კომპეტენციებით და პიროვნული მახასიათებლებით აფასებთ მას? დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება.

გაეცანით ქვემოთმოცემულ სტატიას და **იმსჯელეთ**:

- ვინ არის პოლიტიკოსი?
- რა მახასიათებლები და ღირებულებები უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომ პოლიტიკოსად ჩამოყალიბდეს?

Don't


მაქს ვებერი

ტაბულა, პოლიტიკა,
მირიან თოიძე, 2.07.2013 წ.

1919 წლის იანვარში მიუნხენის უნივერსიტეტის „თავისუფალ სტუდენტთა ასოციაციის“ წინაშე ლექციით წარდგა ეკონომისტი და სოციოლოგი მაქს ვებერი, რომელიც I მსოფლიო ომის შემდგომი გერმანიის ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ინტელექტუალად განიხილებოდა. ლექცია სახელწოდებით “Politik als beruf“ (პირობითად შეიძლება ითარგმნოს - „პოლიტიკა, როგორც მოწოდება“) თანამედროვე პოლიტიკისა და სოციოლოგიის ერთ-ერთ ფუნდამენტურ ტექსტად იქცა. სოციოლოგმა სტუდენტებს ძალაუფლების მექანიზმების, მისი ლეგიტიმურობის, ხელისუფლებისა და მოქალაქის ურთიერთდამოკიდებულების ფართო მიმოხილვა შესთავაზა. ხსენებულ ლექციაში ვებერის მსჯელობა სამი ძირითადი მიმართულებით ვითარდება: თანამედროვე სახელმწიფო, მისი არსი და დანიშნულება; პოლიტიკოსის მორალური თვისებები და მისი საზოგადოებრივი ფუნქცია; ეთიკის მრავალმხრივი საკითხები პოლიტიკასთან მიმართებაში.

თვით ლექციის მიზანი (რომლის სახელწოდებაში არსებულ სიტყვა beruf -ს ორმაგი დატვირთვა აქვს: „პროფესია“ და ასევე „მოწოდება“), ემსახურება არა მხოლოდ მსმენელისთვის პოლიტიკური ანბანის განმარტებას, არამედ პოლიტიკური კულტურის ამაღლებასაც.

ვებერი ამბობს, რომ მან, ვინც ისწრაფის პოლიტიკისკენ, უპირველეს ყოვლისა, უნდა გაითვალისწინოს „ეთიკური საკითხების პარადოქსები“ და გაითვითცნობიეროს თავისი პირადი პასუხისმგებლობა ამ საკითხების კონტექსტში.

ამავე დროს, ვებერის აზრით, პოლიტიკა რომ პროფესიად ვაქციოთ, ამისთვის ორი გზა არსებობს: ან ვიცხოვროთ „პოლიტიკისთვის“, ანდა ვიცხოვროთ „პოლიტიკის ხარჯზე“. ადამიანი, რომელიც ცხოვრობს პოლიტიკისთვის, ეძებს არა პირად კეთილდღეობას, არამედ გამუდმებით ემსახურება „საქმეს“ და ესაა მისი „ცხოვრების არსი“. შეგრძნება, რომ ისტორიული პროცესის ნერვი ხელში უჭირავს, ამაღლებს პროფესიონალ პოლიტიკოსს „ყოველდღიურობის ფუსფუსის ზღვარს ზემოთ.“ სამაგიეროდ, პოლიტიკის ხარჯზე მცხოვრები პიროვნება - ამ პროფესიას მუდმივი შემოსავლის წყაროდ აქცევს. ძალაუფლება როგორც ასეთი, მისთვის ნაკლებად მნიშვნელოვანია, ის უპრობლემოდ აღიარებს ზემდგომის პირველობას. ვებერის აზრით, ჩინოვნიკის საქმე ბრძანების იმგვარად შესრულებაა, თითქოს ის სრულიად ემთხვეოდეს მის შეხედულებებს. მსგავსი ეთიკური დისციპლინის გარეშე სახელმწიფო აპარატი დაიმსხვრევა. სამაგიეროდ, პოლიტიკური წინამძღოლის მოვალეობაა პირადი პასუხისმგებლობა საქმისადმი, რომელსაც ის ვერც აიცილებს და ვერც ვერავის გადააბარებს. საბოლოოდ ვებერი მიდის დასკვნამდე, რომ სწორედ პოლიტიკოსის ამბიციებით შეპყრობილი „სახელმწიფო მსახურნი“ (ე.ი. ჩინოვნიკები) გამოდიან ხოლმე უნიათო პოლიტიკოსები, რადგან მათი პირადი მონაცემები შეუსაბამოა პოლიტიკური ლიდერის სტატუსთან.

რაც შეეხება პოლიტიკოსთა პრაქტიკულ საქმიანობას, ვებერის ანალიზით არსებობს ორი ფუნდამენტურად განსხვავებული მიდგომა, რომლებსაც ფილოსოფოსი „მრწამსის ეთიკას“ (Gesinnungsethik) და „პასუხისმგებლობის ეთიკას“ (Verantwortungsethik) უწოდებს.

„მრწამსის ეთიკის“ პრინციპებით მოქმედ პოლიტიკოსს მიაჩნია, რომ მის მიერ განხორციელებული ქმედება აპრიორი „სამართლიანია“ და თუ ამ საქმიანობას უარყოფითი შედეგი მოჰყვა, ეს გარემოებათა, ან სულაც კაცობრიობის არასრულყოფილების ბრალია.

„პასუხისმგებლობის ეთიკით“ მოქმედი პოლიტიკოსი კი სწორედ ამ არასრულყოფილების გათვალისწინებით ავლენს ინიციატივას. შესაბამისად, პოლიტიკოსს არ აქვს უფლება თქვას, რომ ის იმთავითვე არ მოელოდა უარყოფით შედეგს.

საგულისხმოა, რომ ვებერი თავის ნაშრომში სცდება პოლიტიკოსის ქცევის კოდექსს „საშინაო“ არენაზე, როდესაც „აბსოლუტური ეთიკისა“ და ეროვნული ინტერესების შეუსაბამობის საკითხს საერთაშორისო ურთიერთობების ჭრილში განიხილავს. იმდროინდელ გერმანიაში არსებული ვითარება სწორედ მსგავს დილემას წარმოშობდა: პირველ მსოფლიო ომში გერმანიის მარცხის კვალობაზე საზოგადოების ნაწილი მოითხოვდა იმ დოკუმენტაციის გასაჯაროებას, რომელიც გამოამჟღავნებდა ხელისუფლების ბრალეულობას მსოფლიო ომის დაწყებაში. 1918 წლის ნოემბერში სოციალისტმა დეპუტატმა, კურტ აიზნერმა გამოაქვეყნა გერმანული მხარის მაკომპრომენტირებელ დოკუმენტთა კრებული. მაქს ვებერი კატეგორიულად გმობდა მსგავს ქმედებას, რადგან მიაჩნდა რომ ბრალეულობის აღიარების ნებისმიერი მცდელობა დამღუპველი იქნებოდა გერმანიის ეროვნული ინტერესებისთვის.

ვებერი თავის ლექციაში ამბობს: „აბსოლუტური ეთიკის“ პოსტულატი მოითხოვს სწორედ საკუთარი ქვეყნის დამგმობი დოკუმენტაციის გამოქვეყნებას და ამ, ცალმხრივი გამოქვეყნების კვალობაზე ბრალის აღიარებას „მოსალოდნელ შედეგებზე დაფიქრების გარეშე.“ თუმცა, ამ შემთხვევაში, - „პოლიტიკოსი აღმოაჩენს, რომ სიმართლე კი არ გამოაშკარავდება, არამედ საიმედოდ შეიბურება ურთიერთბრალდებებისა და ვნებათაღელვის ფონზე.“ შესაბამისად (და რადგან „აბსოლუტური ეთიკა არაფერს ამბობს შედეგის ავკარგიანობაზე“), მსგავი ქმედება დაღს დაასვამს ერის ცხოვრებას ათეული წლების განმავლობაში.

დავალება 8.12.

იმსჯელეთ, თქვენ რომელ გზას აირჩევდით, იცხოვრებდით „პოლიტიკისთვის“, თუ იცხოვრებდით „პოლიტიკის ხარჯზე“? თქვენი პასუხი დაასაბუთეთ.

იმსჯელეთ დილემაზე:

რამდენად სავალდებულოა პოლიტიკოსის მიერ „აბსოლუტური ეთიკის“ ნორმების დაცვა, თუ მისი ამ ქმედებით გამოწვეული შედეგები ეწინააღმდეგება ეროვნულ ინტერესებს?



ბენაზირ ბჰუტო (1953-2007 წ.წ.)
პაკისტანელი პოლიტიკოსი

ბენაზირ ბჰუტო დაიბადა 1953 წელს პაკისტანის ქალაქ კარაჩიში. ბენაზირის მამას, ზულფიკარ ალი ბჰუტოს, ევროპული განათლება ჰქონდა მიღებული და თავისი ქალიშვილი ისლამური წესების მიხედვით არ აღუზრდია. ბენაზირ ბჰუტო იგონებდა:

„მამაჩემი მორწმუნე მუსლიმი იყო. როცა დედამ 12 წლის ასაკში თავსაბურავი მომახვია, მამამ უთხრა მას: „დაე, ის გაიზარდოს და თვითონ გადაწყვიტოს, გამოაჩინოს სახე თუ დაიფაროს – ისლამი აძლევს ქალს უფლებას, განკარგოს საკუთარი ცხოვრება თავისი შეხედულებისამებრ.“ ამის შემდეგ მე არ მიტარებია ჩადრი.“

ბენაზირ ბჰუტომ საშუალო განათლება პაკისტანში მიიღო. თავისუფლად ფლობდა ინგლისურსა და ურდუს. 1969-1973 წლებში სწავლობდა ჰარვარდის უნივერსიტეტის (აშშ) კოლეჯში და მიიღო ბაკალავრის დიპლომი სახელმწიფო მართვაში. მოგვიანებით ბჰუტო ამ წლებს ასე იხსენებდა: „ ეს იყო ჩემი ცხოვრების ოთხი უბედნიერესი წელი, როდესაც პირველად შევიგრძენი „დემოკრატიის სურნელი“.“

1973-1977 წწ. ბენაზირი სწავლობდა პოლიტოლოგიას, ფილოსოფიასა და ეკონომიკას ოქსფორდის უნივერსიტეტის ლედი მარგარეტ ჰოლის კოლეჯში. სწავლის პერიოდში გამოირჩეოდა ორატორული მონაცემებით. იგი აირჩიეს პრესტიჟული სადისკუსიო კლუბის „ოქსფორდის კავშირის“ ჯერ კომიტეტის მუდმივ წევრად, ხოლო შემდეგ პრეზიდენტად.

1977 წელს ბენაზირ ბჰუტო დაბრუნდა პაკისტანში. ამ დროს მამამისი ქვეყნის პრემიერ-მინისტრია, რომელმაც ბენაზირი თავის თანაშემწედ დანიშნა. 1979 წელს, სამხედრო გადატრიალების შემდეგ, ბენაზირ ბჰუტოს მამას ბრალი დასდეს თავისი პოლიტიკური ოპონენტის შეკვეთილ მკვლელობაში, რისთვისაც სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს. მამის დაპატიმრებამ ბენაზირი აიძულა ჩაბმულიყო პოლიტიკურ ცხოვრებაში. იგი თავის მემუარებში წერს: „მე არ ამირჩევია ეს ცხოვრება, ეს მან ამირჩია მე.“

ბენაზირი სათავეში ჩაუდგა მამის მიერ დაარსებულ პაკისტანის სახალხო პარტიას.

1988 წლის 16 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნებში სახალხო პარტიის გამარჯვების შემდეგ ბენაზირ ბჰუტომ პირველად დაიკავა პრემიერ-მინისტრის თანამდებობა, რასაც გარკვეულწილად ხელი შეუწყო მისი მამის პოპულარობამ. ახალმა კაბინეტმა გარკვეულ წარმატებებს მიაღწია სოციალური და პოლიტიკური რეფორმების პროგრამის განხორციელებაში, დაარეგულირა ურთიერთობა ყოფილ მოწინააღმდეგესთან – ინდოეთთან.

1993 წლის არჩევნებში ბენაზირ ბჰუტომ გამარჯვებას მიაღწია კორუფციასა და სიღარიბესთან ბრძოლის ლოზუნგით. პრემიერ-მინისტრობის მეორე ვადაში ბჰუტომ ქვეყანაში მასშტაბური რეფორმები გაატარა: მოიზიდა თანხები

სოციალური პროგრამების განხორციელებისთვის, უწიგნურობის დონე ქვეყანაში შეამცირა 1,3-ჯერ, დაძლეულ იქნა ბავშვთა სნეულებები, უზრუნველყოფილ იქნა სოფლების ელექტროფიკაცია და სასმელი წყლით მომარაგება, შემოღებულ იქნა უფასო ჯანდაცვა და განათლება, გაიზარდა ამ სფეროების საბიუჯეტო დაფინანსება, გაიზარდა უცხოური ინვესტიციები. ბენაზირ ბჰუტოს რეფორმებმა მაღალი შეფასება დაიმსახურა არა მარტო პაკისტანში, სადაც ის ფანატიკური თაყვანისცემის ობიექტი გახდა, არამედ საზღვარგარეთაც.

1996 წელს ბჰუტო შევიდა გინესის წიგნში, როგორც წლის ყველაზე პოპულარული საერთაშორისო პოლიტიკოსი. მან ოქსფორდის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდება, საპატიო ლეგიონის ფრანგული ორდენი და მრავალი სხვა ჯილდო მიიღო.

ბჰუტო აგრძელებდა ატომური იარაღის შექმნის პროგრამის დაფინანსებას. ავღანური მოძრაობა თალიბანის დახმარებით დიდი დარტყმა მიაყენა ნარკოტიკებით ვაჭრობას.



ბენაზირ ბჰუტო ვაშინგტონში, 1989 წ.

ზემოთაღნიშნული წარმატებების მიუხედავად, კორუფციამ ქვეყანაში დიდ მასშტაბებს მიაღწია. იზრდებოდა მუსლიმი ფუნდამენტალისტების გავლენა და ეცემოდა ბჰუტოს პოპულარობა.

1997 წლის საპარლამენტო არჩევნებში პაკისტანის სახალხო პარტია დამარცხდა. ბენაზირ ბჰუტო დაადანაშაულეს კორუფციაში, გაყინეს მისი ანგარიშები ბრიტანეთისა და შვეიცარიის ბანკებში. მას ბრალი დასდეს ფინანსურ მაქინაციებში და შეკვეთილ მკვლელობებში, რის გამოც იძულებული გახდა დაეტოვებინა ქვეყანა.

2007 წლის იანვარში, დუბაიში გაიმართა ბენაზირ ბჰუტოსა და პაკისტანის პრეზიდენტის პერვეზ მუშარაფის შეხვედრა, რის შემდეგაც 2007 წლის 18 ოქტომბერს ბჰუტო რვაწლიანი იძულებითი გადასახლებიდან სამშობლოში დაბრუნდა. კორტეჟის მსვლელობის დროს, მისმა მოწინააღმდეგეებმა ტერაქტი მოაწყვეს, რის შედეგადაც 130 ადამიანი დაიღუპა და დაახლოებით 500 – დაიჭრა. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ბენაზირ ბჰუტო აქტიურად ჩაერთო პოლიტიკურ ბრძოლაში. 2007 წლის 3 ნოემბერს ქვეყნის პრეზიდენტმა გამოაცხადა საგანგებო მდგომარეობა. ბჰუტომ პრეზიდენტ პერვეზ მუშარაფს უწოდა „შემაფერხებელი დემოკრატიის გზაზე“ და ხაზი გაუსვა, რომ მისი გადადომა აუცილებელი იყო „პაკისტანის გადასარჩენად“.

2007 წლის 27 დეკემბერს ქალაქ რავალპინდში, ბენაზირ ბჰუტო გახდა ტერორისტული აქტის მსხვერპლი, სადაც ის თავისი მომხრეების წინაშე მიტინგზე გამოდიოდა. ამ მკვლელობამ საზოგადოება შეძრა. ბევრი ქვეყნის ლიდერმა მუშარაფის რეჟიმის წინააღმდეგ განცხადება გააკეთა და პაკისტანელ ხალხს გულწრფელად მიუსამძიმრა.



ზურაბ ჟვანია (1963- 2005 წ.წ.)
პოლიტიკოსი, საზოგადო მოღვაწე

„ ...დემოკრატიული და ევროპული არჩევანი საქართველოსთვის სინამდვილეში

არის ერთადერთი შესაძლებელი და ერთადერთი მისაღები არჩევანი. ევროპის ოჯახი

არის ის ერთადერთი ოჯახი, სადაც ჩვენ თავს ვგრძნობთ საკუთარ ნავსაყუდელში და არ ვგრძნობთ თავს გაუცხოვებულად და მუდმივად, ასე ვთქვათ, უბედურების

მოლოდინში. ... თუ ავიღებთ ჩვენი ისტორიის თითოეულ ფურცელს, თითოეულ ეპიზოდს, ეს იქნება იმის საბუთი, იმის დემონსტრირება, რომ ქართული მენტალიტეტი ყოველთვის ახდენდა საკუთარი თავის იდენტიფიკაციას საერთო ევროპულ სამყაროსთან“. – ზურაბ ჟვანია.

ზურაბ ჟვანია პროფესიით ბიოლოგი იყო. 1985 წელს უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდების ჯგუფთან ერთად, ცნობილი მეცნიერების მხარდაჭერით ჩამოაყალიბა ეკოლოგიური ასოციაცია, რომლის ბაზაზეც 1988 წელს შეიქმნა ორგანიზაცია “საქართველოს მწვანეები”. ორგანიზაციის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარედ ზურაბ ჟვანია აირჩიეს. „საქართველოს მწვანეები“ აქტიურად მოღვაწეობდნენ საქართველოს გარემოს დაცვის აქტივობებში, მონაწილეობდნენ ხუდონჰესის მშენებლობის კონსერვაციის საკითხის განხილვებში.

1992-1993 წლებში ზურაბ ჟვანია „ევროპელ მწვანეთა“ პირველი თანათავმჯდომარეა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან. 1992 წელს ის, როგორც “საქართველოს მწვანეთა პარტიის“ საარჩევნო პარტიული სიის პირველი ნომერი, პარლამენტის წევრი ხდება. ის 1992-2004 წლებში ზურაბ ჟვანია სამი მოწვევის პარლამენტის წევრია.

1993-1997 წლებში ის ამავდროულად არის პოლიტიკური პარტია „საქართველოს მოქალაქეთა კავშირის“ გენერალური მდივანი.

1995-2001 წლებში ზურაბ ჟვანია პარლამენტის თავმჯდომარეა. მისი თავმჯდომარეობის პერიოდში საქართველოს პარლამენტმა პოსტ-საბჭოურ სივრცეში პირველმა შექმნა სრულიად ახალი საკანონმდებლო სისტემა, დაფუძნებული დემოკრატიის, ადამიანის უფლებათა დაცვის და საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საქართველოს ინტეგრაციას საერთაშორისო საზოგადოებაში. მას უდიდესი წვლილი მიუძღვის ჩვენს ქვეყანაში დამოუკიდებელი, ძლიერი და გავლენიანი სამოქალაქო საზოგადოების, თავისუფალი მასმედიის ჩამოყალიბებაში.

2003-2004 წლებში ზურაბ ჟვანიას ეკავა საქართველოს სახელმწიფო მინისტრის, 2004 წლიდან გარდაცვალებამდე (2005 წ.-მდე) კი საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანამდებობა.

2019 წელს, სტრასბურგში, ევროპის საბჭოს სასახლის წინ გაიხსნა ზურაბ ჟვანიას ვარსკვლავი. ვარსკვლავზე, მის სახელთან და გვართან ერთად, პოლიტიკოსის ერთ-ერთი ყველზე ცნობილი ფრაზაა დატანილი: „მე ვარ ქართველი და მაშასადამე, ვარ ევროპელი“. ეს ფრაზა ზურაბ ჟვანიამ 1999 წელს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზე წარმოთქვა, მას შემდეგ, რაც ასამბლეამ ერთსულოვნად დაუჭირა მხარი საქართველოს ევროსაბჭოში გაწევრიანებას.

დავალება 8.13.

იმსჯელეთ:


- ბენაზირ ბჰუტოსა და ზურაბ ჟვანიასთვის პოლიტიკა მოწოდება იყო თუ პროფესია?
- როგორ ფიქრობთ, რა არის პოლიტიკოსის წარმატების წინაპირობა?

„რადგან ყოველი მეცნიერებისა და ხელოვნების მიზანი არის სიკეთე, მაშინ მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი სფეროს მიზანი იგივე იქნება. ასეთი სფერო კი არის პოლიტიკა. პოლიტიკაში – სიკეთე სამართლიანობაა, ხოლო სამართლიანობა სასარგებლოა მთელი საზოგადოებისათვის“.




არისტოტელე (ძვ.წ. 384 – 322)

„პოლიტიკა ესა არის ადამიანის მიერ ადამიანთა მართვის სფერო, რომლის საფუძველი ერთდროულად არის როგორც სამეფო ცოდნა, ისე ხელოვნება, რომ პოლიტიკა თავისი ბუნებით რაციონალური და ინტუიციური ელემენტების ერთობლიობაა.“



პლატონი (ძვ.წ. 427 – 347)



დავალება 8.14.

- გაეცანით აქ წარმოდგენილ მოსაზრებებს პოლიტიკის შესახებ და **იმსჯელეთ:**
- რა არის პოლიტიკა? როგორ განმარტავთ მას? თქვენი განმარტება წარუდგინეთ კლასს, შეარჩიეთ კლასში საუკეთესო ვერსია.
- მისწერეთ წერილი ლიკას, რომელშიც აუხსნით პოლიტიკის არსსა და მნიშვნელობას. ასევე, მოუყვებით დემოკრატიის ძირითად პრინციპებთან პოლიტიკის კავშირზე.

Don

§ 9. პოლიტიკურ პროცესებში მოქალაქეთა ჩართულობა

- გაიხსენეთ, სად და რომელი გადაწყვეტილების მიღების პროცესში მიგიღიათ მონაწილეობა?
- რა გზით არის შესაძლებელი მოქალაქეთა ჩართულობა ქვეყნის მართვაში?





სვიატლანა ციხანოუსკაია
ბელარუსის ოპოზიციის ლიდერი

პოლიტიკა უნდა ემსახუროს ადამიანს, საზოგადოებას და მთელ კაცობრიობას. ამის გამოხატულებაა ჰუმანიზმის პრინციპი. ის ითვალისწინებს ადამიანთან, როგორც უმაღლესი ღირებულების მქონე სუბიექტთან, დამოკიდებულებას, თითოეული პიროვნების ღირსებების დაცვას, სიცოცხლის უფლების, თავისუფალი განვითარების, საკუთარი შესაძლებლობისა და ბედნიერებისაკენ სწრაფვის პატივისცემას. ასევე ჰუმანიზმი ითვალისწინებს ადამიანის ყველა არსებითი უფლების აღიარებას, განიხილავს საზოგადოების მოღვაწეობის კრიტერიუმებს, როგორც ადამიანის კეთილდღეობისათვის მოღვაწეობას, ეს უნივერსალური პლანეტარული პრინციპია. ის არ ყოფს ადამიანებს ეროვნული, კლასობრივი და რელიგიური პრინციპით. ჰუმანიზმი პოლიტიკაში გამოიხატება პოლიტიკის ორგანიზაციის ფორმებში, მიზნებსა და შინაარსში, პოლიტიკური მოღვაწეობის საშუალებებში. თანამედროვე პირობებში პოლიტიკის ყველაზე ჰუმანური ორგანიზაციის ფორმას წარმოადგენს დემოკრატიული პოლიტიკური სისტემა, რომელიც ემყარება ყველა მოქალაქის თავისუფლებისა და თანასწორობის, ხელისუფლების მოსახლეობის მიერ გაკონტროლების აღიარებას, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებისადმი პატივისცემას. ყველაზე ჰუმანურია ის პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს პიროვნების მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისა და თავისუფალი განვითარების ყველაზე საუკეთესო პირობებს. ჰუმანიზმი ვლინდება პოლიტიკის საშუალებებში, პოლიტიკური დაპირისპირების ყველაზე მკაცრი, ბარბაროსული ფორმების აღკვეთაში, ისეთების, როგორიცაა: ომი, მასობრივი განადგურების საშუალებები და სხვა.

„მე პოლიტიკოსი არ ვარ, მაგრამ ეს ჩემი ბედია, ჩემი მისიაა და გაჩერების უფლება არ მაქვს“. – ეს სიტყვები სვიატლანა ციხანოუსკაიას, ბელარუსის ოპოზიციიის ლიდერს ეკუთვნის. მასთან ერთად ქვეყანაში ცვლილებებისთვის კიდევ ორი ქალი იბრძვის. მარიამ უგრეხელიძე გიამბობთ ბელარუსი ქალების პოლიტიკურ ბრძოლაზე.

დავალება 9.1.

იმსჯელეთ,

- დემოკრატიის რომელი პრინციპების და ადამიანის რომელი უფლების დაცვისთვის იბრძვიან ბელარუსის ლიდერი ქალები?
- როგორ იყენებს სვიატლანა თავის პოლიტიკურ უფლებებს?

კაცობრიობის ისტორიაში პოლიტიკის ცნება სახელმწიფოს ჩამოყალიბებასთანაა დაკავშირებული. პოლიტიკის გააზრებაში უმთავრესია ცალკეული, სხვადასხვა ბუნებისა თუ მიდრეკილების მქონე ინდივიდებისგან ერთიანი და ჰარმონიულად მოქმედი სახელმწიფოს შექმნა. ამიტომ შესაძლებელია პოლიტიკოსისა და ფეიქრის საქმიანობის ერთმანეთთან შედარება: როგორც ფეიქარი სხვადასხვა ფერის, სიდიდისა თუ სიმტკიცის ძაფებისაგან ქსოვს ერთიან ხალიჩას, ისე პოლიტიკოსიც სხვადასხვანაირი ადამიანებისაგან ქმნის ერთიან საზოგადოებას – სახელმწიფოს. სახელმწიფოს ჭრილში საზოგადოებრივი ცხოვრება წარმოჩინდება, როგორც ეკონომიკური, პოლიტიკური და იდეოლოგიური სფეროების ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგანპირობებული მთლიანობა. ხოლო საზოგადოებაში ინდივიდთა შორის პოლიტიკური ურთიერთობა, ეს არის სახელმწიფო ხელისუფლებით განპირობებული ურთიერთობა. სახელმწიფოს მეშვეობით ყალიბდება სოციალური ჯგუფებისა და ზოგადად ადამიანების დამოკიდებულება. მაგალითად, საკუთრებასთან, ბიზნესთან, ასევე დამოკიდებულება სხვა სახელმწიფოებთან, განსხვავებულ კულტურებთან და ა.შ.

პოლიტიკა და პოლიტიკური ურთიერთობები წარმოუდგენელია ძალაუფლების გააზრების გარეშე. ადამიანების ქცევის დიდი ნაწილი პოლიტიკურია, რადგან ადამიანთა შორის ურთიერთობები ხშირად ძალაუფლებრივია. ამიტომაც, პოლიტიკისგან განზე დგომა, მისთვის თავის არიდება, თითქმის შეუძლებელია.



მაჰათმა განდი, კაცი, რომელმაც სამყარო შეცვალა

...როცა ინდოელი ახალმოსახლეებით დატვირთული ორი გემი, რომელთაგან ერთ-ერთში თავად განდი იჯდა ოჯახთან ერთად, სამხრეთაფრიკულ პორტ დურბანს მიადგა, მგზავრებს ისეთი შეგრძნება დაეუფლათ, თითქოს თეთრკანიან მოსახლეობას უკლებლივ ყველა ახალჩამოსული ფერადკანიანის ზღვაში გადაყრა სურდა. ხელისუფლებამ ინდოელებს უკან დაბრუნება მოსთხოვა. ეს უკანასკნელნი განდის გარშემო გაერთიანდნენ. 23 დღე გრძელდებოდა დაპირისპირება, სანამ „თეთრები“ არ გატყდნენ. განდი გემიდან მხოლოდ მაშინ ჩავიდა, როცა მგზავრები და განდის ოჯახის წევრები სამშვიდობოს გავიდნენ. პრაქტიკულად იმწამსვე მას გარს შემოერტყა თეთრკანიანი

მოსახლეობა და მხეცურად სცემეს. სიკვდილს ის მხოლოდ პოლიციის რაზმის ჩარევამ გადაარჩინა.

საქმე გახმაურდა. ლონდონი განდის ცემაში დამნაშავეების დასჯას მოითხოვდა. მთავრობის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა განდი თავისთან მიიწვია და უთხრა, რომ დამნაშავეებს დასჯიდა, თუკი განდი მათ ამოიცნობდა. „მე ვთვლი, რომ ჩემზე თავდამსხმელები კი არა, მათი ხელმძღვანელები უნდა დაისაჯონ, და, მაპატიეთ, პირველ ყოვლისა, პირადად თქვენ!“ (მთავრობის ეს წევრი თავად იყო რასისტული მიტინგების ორგანიზატორი) – გაისმა განდის ზრდილობიანი, მაგრამ მტკიცე პასუხი.

განდის პრინციპულმა პოზიციამ, როდესაც მან არ მოითხოვა მასზე თავდასხმის მონაწილეთა გასამართლება, ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა. განდი და მისი ბრძოლა ინდოელების უფლებების დასაცავად ახლა უკვე ბევრი თეთრკანიანის პატივისცემას და გაგებას იწვევდა.

დავალება 9.2.

იმსჯელეთ:

- რაზე მიუთითებს, მაჰათმა განდიზე ფიზიკური თავდასხმის ფაქტი? როგორ პოლიტიკას ატარებდა სამხრეთ აფრიკის ქვეყანა ფერადკანიანების მიმართ?
- როგორ შეაფასებდით სახელმწიფო მოხელის მხრიდან რასისტული მიტინგების ორგანიზების ფაქტს?

მაჰათმა განდის მოღვაწეობას შეგიძლიათ გაეცნოთ შემდეგ ბმულზე:

https://www.youtube.com/watch?v=HJ63Qt26PpU

სახელმწიფოს შიგნით პოლიტიკური ურთიერთობების სუბიექტებს გააჩნიათ ძალაუფლება, ესენი არიან სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, ხელისუფლებაში მყოფი პოლიტიკური პარტიები. პოლიტიკის სუბიექტის ფუნქციას შეიძლება, აგრეთვე, ასრულებდნენ ხელისუფლების ორგანოებში დასაქმებული კონკრეტული პირები, სახელმწიფო მოხელეები. პოლიტიკის სუბიექტს წარმოადგენს ასევე ადამიანის პოლიტიკური უფლებების განმახორციელებელი აქტიური მოქალაქეები, რომლებიც წარმომადგენლობითი ხელისუფლების ორგანოს შექმნით არაპირდაპირ, ან უშუალო პოლიტიკურ პროცესებში ჩართულობით იღებენ მონაწილეობას ქვეყნის მართვაში. პოლიტიკური ურთიერთობის ობიექტი კი საზოგადოება, სოციალური კლასებია. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ პოლიტიკური პროცესები სახელმწიფოში იყოს: გამჭვირვალე, მოწესრიგებული, კოორდინირებული, და ა.შ.

პოლიტიკა, როგორც რთული და ყოვლისმომცველი საზოგადოებრივი მოვლენა, მოიცავს მთელ რიგ ურთიერთდაკავშირებულ მოვლენებსა და პროცესებს, რომელთაგან უმთავრესია:

- მსხვილი სოციალური ჯგუფებისა და შესაბამისი ხელისუფლებრივი ორგანიზაციების მმართველობითი მოღვაწეობა ამ ჯგუფების ან მთელი საზოგადოების ინტერესების შესაბამისად. ამ შემთხვევაში პოლიტიკა გაგებულია, როგორც შესაძლებლობის ხელოვნება;
- სოციალურ ჯგუფებს შორის ის პოლიტიკური ურთიერთობები, რომლებიც პოლიტიკური ხელისუფლების მოპოვებას, შენარჩუნებასა და გამოყენებას უკავშირდება;
- პოლიტიკური ინტერესებისა და მისი ფუნქციონირების ნორმები, რომელთა მეშვეობით ხორციელდება პოლიტიკური მიზნები, ინტერესები და ხელისუფლება;
- პოლიტიკური ცნობიერება და პოლიტიკური კულტურა, რომელთა საფუძველზე ხორციელდება პოლიტიკური მოღვაწეობა;
- სოციალური ჯგუფების ინტერესების რეგულირება და შეთანხმება, კონფლიქტის მოგვარება და საზოგადოების მთლიანობის უზრუნველყოფა;
- სახელმწიფოს მართვის საქმეებში მონაწილეობა, სხვადასხვა პოლიტიკური ძალების ხელისუფლებაზე გავლენა, მომავალი პოლიტიკური განვითარების გეგმების რეალიზაციისათვის პრაქტიკული მოღვაწეობა;
- პოლიტიკა, როგორც მეცნიერება და ხელოვნება, რადგანაც პოლიტიკა დაკავშირებულია იდეებთან, ცოდნასთან და ემყარება მათ.

ამერიკის შეერთებული შტატების დამფუძნებლებს სწამდათ, რომ სახელმწიფოს ძირითადი დანიშნულებაა ადამიანების უფლებების დაცვა და საყოველთაო კეთილდღეობის ხელშეწყობა. საყოველთაო კეთილდღეობის საფუძველია მოქალაქეობრივი მოწოდება, რომ საზოგადო ინტერესები დააყენოს პირად ან ვიწრო ჯგუფურ (კლანურ, ინსტიტუციურ, უწყებრივ და ა.შ.) ინტერესებზე მაღლა. სწორედ ასეთი ინდივიდები უნდა დააყენოს მოსახლეობამ ქვეყნის სათავეში არჩევნებისა თუ სხვა რაიმე გზით.

ინდივიდმა არა მარტო უნდა გაიზიაროს საზოგადოებაში მიღებული წესები, არამედ უნდა იღვაწოს კიდეც საზოგადოების განვითარებისთვის, საკუთარი წვლილი შეიტანოს მის გაუმჯობესებაში, რათა მორალურად მართალი იყოს იმ თანამოძმეების წინაშე, ვინც ქმნის და მსახურებს საზოგადო სიკეთეს. ასე გახდება ინდივიდი ჭეშმარიტი მოქალაქე, საზოგადოების სრულუფლებიანი წევრი, რომელიც დამსახურებულად და დაუყვედრებლად ისარგებლებს თანამოქალაქეთა მიერ შექმნილი მატერიალური თუ სულიერი დოვლათით.


მოქალაქეთა ერთ-ერთი ძირითადი უფლებაა ქვეყნის მართვაში მონაწილეობის უფლება.

დავალება 9.3.

იმსჯელეთ:

- როგორ შეიძლება მიიღოს მონაწილეობა მოქალაქემ ქვეყნის მართვაში?
- როგორ შეუძლია მოქალაქეს ხელი შეუწყოს ადამიანის უფლებების დაცვასა და საყოველთაო კეთილდღეობას?

Don't Copy



ჰენრი დევიდ თუროუ

„კანონს ადამიანი უფრო სამართლიანი ჯერ არასდროს გაუხდია; პირიქით, მისდამი მორჩილებით ყველაზე თვალსაჩინო ადამიანებიც კი ყოველდღიურად უსამართლობას ამრავლებენ. კანონის გადამეტებული მორჩილების ბუნებრივი შედეგი კი ისაა, რომ ჯარისკაცები, და მათზე მდგომი სამხედრო პირები, რიხიანად მიაბიჯებენ საომრად, საკუთარი ნების წინააღმდეგ, საღ აზრზე და სინდისზე გადაბიჯებით. იმათ ხომ არც იციან, რომ დაწყევლილ საქმეში მონაწილეობენ, იმათ ხომ ყველას მშვიდობა უნდათ. მხოლოდ ერთეულები – გმირები, პატრიოტები, წმინდანები, ფართო გაგების რეფორმატორები არის ის ხალხი, რომელიც სახელმწიფოს თავიანთ სინდისს ამსახურებენ. გონიერი ადამიანი მხოლოდ თავისი თვისებებით შეიძლება იყოს სასარგებლო, საზარბაზნე ხორცად, უსულო ნივთივით მისი გამოყენება [არ შეიძლება].“


ცნობილმა ამერიკელმა ფილოსოფოსმა ჰენრი დევიდ თუროუმ (1827-1862 წ.წ) ციხეში წასვლა არჩია მონობისა და ამერიკა-მექსიკის ომის მხარდასაჭერად გადასახადების გადახდას. კანონის დაუმორჩილებლობასთან დაკავშირებულ საკითხებზე საკუთარი შეხედულებები თუროუმ აღწერა თავის ცნობილ ესსეში „სამოქალაქო დაუმორჩილებლობის შესახებ“. მისი მთავარი დებულება იყო „დაუმორჩილებლობა თავისუფლების ნამდვილი საფუძველია“.

დავალება 9.4.

იმსჯელეთ: დევიდ თუროუს საქციელზე ხელისუფლებასა და ომთან მიმართებაში.

რა პასუხისმგებლობა გამოამჟღავნა ფილოსოფოსმა კანონის დარღვევისათვის ციხეში ნებაყოფლობით წასვლით?

თუ კანონები ან ხელისუფლების მოქმედებანი ეწინააღმდეგება მოქალაქის შეხედულებებსა და მრწამსს იმის თაობაზე, თუ რა არის მართებული და რა – არა, მოქალაქე დგება რთული არჩევანის წინაშე, უნდა დაემორჩილოს თუ არა კანონებს და მთავრობის გადაწყვეტილებებს.



დავალება 9.5.

გაიხსენეთ საქართველოში 2023 წლის მარტში მიმდინარე საპროტესტო აქციები, რომლის მიზეზი გახდა საქართველოს პარ-

ლამენტის მიერ უცხოელი აგენტების შესახებ კანონის მხარდაჭერა. შემოთავაზებული კანონპროექტის თანახმად არასამთავრობო ორგანიზაციები და დამოუკიდებელი მედია, რომლებიც იღებენ თავიანთი დაფინანსების 20%-ზე მეტს საზღვარგარეთიდან, ცხადდებოდნენ უცხოური გავლენის აგენტებად. ამ მოვლენების კონტექსტში იმსჯელეთ ტომას ჯეფერსონის სიტყვებზე: „როცა უსამართლობა ხდება კანონი, დაუმორჩილებლობა ხდება მოვალეობა.“

ზოგიერთი მიიჩნევს, რომ რაკი არ არსებობს სრულყოფილი ხელისუფლება, ამიტომ მორჩილებასაც თავისი საზღვარი აქვს – თუ კანონი ან გადაწყვეტილება არ ვარგა, მაშინ მოქალაქე არაა ვალდებული დაემორჩილოს მას. ზოგიერთი ირჩევს აჯანყებასა და რევოლუციას, ზოგი ეძებს პროტესტის ნაკლებად ძალადობრივ ფორმებს.

კანონებისადმი დაუმორჩილებლობა და ამის შედეგებისგან თავის აურიდებლობა, – რაც თვალსაჩინოს ხდის კანონის ან პოლიტიკის უსამართლობას, სამოქალაქო (მშვიდობიანი) დაუმორჩილებლობაა და ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის ერთ-ერთი ფორმას წარმოადგენს. ციხეში ნებაყოფლობით წასვლით, დევიდ თოროუმ, ყველაზე ნათლად წარმოაჩინა კანონისადმი პატივისცემა.

1950 და 1960 წლებში მარტინ ლუთერ კინგი-უმცროსი და სხვები ციხეში აღმოჩნდნენ რასობრივი სეგრეგაციის წინააღმდეგ პროტესტის გამო. დაპატიმრებული მარტინ ლუთერ კინგი-უმცროსი თავის ცნობილ წერილში – „წერილი ბირმინჰემის ციხიდან“ აცხადებდა: „ინდივიდი, ვინც არღვევს მისი სინდისის კარნახის მიხედვით უსამართლო კანონს, და ნებაყოფლობით იხდის სასჯელს ციხეში, რათა გამოიწვიოს საზოგადოების სინდისის ქეჯნა კანონის უსამართლობის თაობაზე, რეალურად გამოხატავს კანონის მიმართ უმაღლეს პატივისცემას.“

პროტესტის არაძალადობრივი გამოხატვის სხვადასხვა ფორმები არსებობს, მაგალითად, დემონსტრაციებში მონაწილეობის მიღება, ბოიკოტებში მონაწილეობა, პეტიციების შედგენა ან ხელმოწერა, ოფიციალური პირებისთვის საჯარო (ღია) წერილების მიწერა პრესის საშუალებით.

პროტესტის არაძალადობრივი ფორმებით გამოხატვის მკაფიო მაგალითები შეგიძლიათ იხილოთ ფილმში - „დიქტატორის ჩამოგდება“.

გადადით ბმულზე: https://shorturl.at/lqCQY



დავალება 9.6.

შეარჩიეთ რომელიმე სამი მონაწილეობის ფორმა და დაასაბუთეთ მათი მიზანშეწონილობა ადამიანის უფლებების დაცვისთვისა და ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისათვის.

კითხვები – პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობა.

- როგორ იცავს სახელმწიფო მოქალაქის უფლებას მონაწილეობა მიიღოს ქვეყნის მართვაში?
- როგორ უკავშირდება ხელისუფლების მიზნებს მოქალაქის მონაწილეობა ქვეყნის მართვაში?


Don't Copy

- ვალდებულია თუ არა მოქალაქე იზრუნოს საზოგადოების განვითარებაზე და გაუმჯობესებაზე? რატომ? როგორ?

ოქსფორდის უნივერსიტეტის მიწვეულმა მკვლევარმა და პროფესორმა ბექა კობახიძემ და უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის განყოფილების უფროსმა ჯილიან ევისონმა ქართველი ხალხის საუკუნოვან პეტიციას მიაგნეს.

ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც საქართველოს მასშტაბით ხალხმა უფლებებზე დაიწყო ლაპარაკი – ასე ეხმიანება ქართველების მიერ რუსეთის წინააღმდეგ 1907 წელს დაწერილ პეტიციას BBC.

გამოცემა წერს, რომ 1907 წელს შექმნილი პეტიცია, რუსეთის მხრიდან 1783 წლის გიორგიევსკის ტრაქტატის დარღვევასა და ანექსიას ეხება და მას ხელს 3000 კაცი და ქალი აწერს.



გამოცემის ცნობით, პეტიცია 1907 წელს ჰააგის საერთაშორისო კონფერენციაზე წარადგინეს. პეტიციის ავტორი ქართველი ნაციონალისტი ვარლამ ჩერქეზიშვილი იყო, რომელიც 1870 წელს ციმბირის გადასახლებიდან გაიქცა და ლონდონში დასახლდა.

დავალება 9.7.

შეაფასეთ ვარლამ ჩერქეზიშვილის ქმედება. რას ნიშნავს ის როგორც ინდივიდუალური, ისე სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით.

ყველა ქვეყანაში არსებობს შეხედულებებითა და ინტერესებით ერთმანეთისგან განსხვავებულ ადამიანთა ჯგუფები. მათ, როგორც წესი, ინტერესთა ჯგუფებს უწოდებენ. ასეთი ჯგუფებია: პროფკავშირები, ახალგაზრდული ორგანიზაციები, მეწარმეთა გაერთიანებები, მწერალთა და კომპოზიტორთა კავშირები და სხვა. ამ ჯგუფთაგან არცერთი არ აცხადებს პრეტენზიას ქვეყნის საკანონმდებლო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში წარმომადგენლობაზე, რადგან ისინი დარეგისტრირებული არიან როგორც არაპოლიტიკური ორგანიზაციები და, აქედან გამომდინარე, არსებული კანონების შესაბამისად, უფლება აქვთ მხოლოდ არაპოლიტიკური მეთოდებით დაიცვან თავიანთი ინტერესები.

იმ მოქალაქეთა გაერთიანებას, რომელთაც აქვთ ერთიანი ხედვა საზოგადოებისა და სახელმწიფო მოწყობის შესახებ და კანონმდებლობის მიხედვით რეგისტრირებულია, როგორც პოლიტიკური ორგანიზაცია, პოლიტიკური პარტია ეწოდება. პოლიტიკური პარტია მიზნად ისახავს ხელისუფლებაში მოსვლას, ქვეყნის მთავრობასა და პარლამენტში ადგ-

ილების მოპოვებას, რათა გაატაროს იმ მოქალაქეთა ჯგუფების ინტერესების დამცველი პოლიტიკა, რომელთაც ის წარმოადგენს.

თანამედროვე სახელმწიფო და პოლიტიკური პროცესი შეუძლებელია წარმოვიდგინოთ პოლიტიკური პარტიების გარეშე. პოლიტიკური პარტიები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში. ისინი წარმოადგენენ გარკვეული კლასებისა და სოციალური ფენების ინტერესებისა და მიზნების გამომხატველ ორგანიზაციებსა და აქტიურ მონაწილეობას იღებენ პოლიტიკური ხელისუფლების ფუნქციონირებაში, რამდენადაც მათზე ახდენენ პირდაპირ და უშუალო ზეგავლენას.

შესაძლებელია თანამედროვე სახელმწიფომ იარსებოს პოლიტიკური პარტიის გარეშე?


ცოტა რამ ისტორიიდან

პოლიტიკური პარტიების იდეა, ჯერ კიდევ ანტიკურ საბერძნეთსა და რომის რესპუბლიკაში ყალიბდებოდა. ანტიკური დემოკრატიის პირობებში, სამოქალაქო თანასწორობაზე დაფუძნებულ ქალაქ-სახელმწიფოებს ხალხი მართავდა უშუალო დემოკრატიის მეშვეობით (ხალხის მიერ ხელისუფლების ორგანოების უშუალოდ არჩევა, სახალხო კრების მეშვეობით მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება და ა.შ.).

შუა საუკუნეების დასასრულს ევროპის კონტინენტზე გამოჩდა ევროპული რენესანსი, რომელმაც საფუძველი შეუქმნა განმანათლებლური (განმანათლებლობა – XVIII საუკუნის ევროპაში მოღვაწეთა სწრაფვა, შუქი მოეჰფინათ ყველასა და ყველაფრისთვის, ხელისუფლებისა და პრივილეგირებული კლასების შევიწროვებისგან ადამიანის გათავისუფლების მიზნით) იდეოლოგიების განვითარებას.

განმანათლებლური სწავლებისა და ბურჟუაზიული რევოლუციის შემდეგ პოლიტიკური ჯგუფების დაპირისპირების არეალს წარმოადგენს იდეოლოგიათა ჭიდილი. განმანათლებელთა საქმიანობის ყველაზე წარმატებული შედეგი იყო აშშ-ს შექმნა და საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუცია, რომელთა მონაპოვარია პოლიტიკური პარტიების თანამედროვე სახეების ფორმირება, იდეოლოგიური კლასიფიცირება და მოქალაქეთა თანასწორობაზე და არჩევანის თავისუფლებაზე დაფუძნებული ნება, გაწევრიანდნენ ან შექმნან პოლიტიკური პარტიები ხელისუფლებაში მოსვლის მიზნით. კლასიკური ტიპის პოლიტიკური პარტიების წარმოშობა ინგლისთან არის დაკავშირებული, სადაც XIX საუკუნის დასაწყისისთვის ჩამოყალიბდა სტაბილური პოლიტიკური დაჯგუფებები, რომლებიც ძირითადი ნიშან-თვისებებით პარტიის კლასიკურ განსაზღვრებას დაუახლოვდნენ. სწორედ ასეთი იყო ვიგებისა და ტორების პარტიები XIX საუკუნის ინგლისში.

ამ ტიპის პარტიების კანდიდატები ამომრჩეველთა ხმების სანაცვლოდ იღებდნენ სხვადასხვა საზოგადოებრივი სიკეთის გაცემის ვალდებულებას, როგორიცაა სახელმწიფო ან კერძო სექტორში დასაქმება, ადგილობრივი ინფრასტრუქტურის, ეკონომიკური გარემოსა და პირობების გაუმჯობესება და სხვა.



ამერიკის შეერთებული შტატების შექმნა

ისტორიული წყაროებით დადასტურებულია, რომ საქართველოში ადრეულ შუა საუკუნეებში არსებობდა იმ ეპოქისთვის დამახასიათებელი პოლიტიკური დაჯგუფებები: V საუკუნეში მეფე გუბაზის მკვლელობის შემდეგ ერის თავკაცები შეიკრიბნენ ერთ-ერთ ხეობაში და იმსჯელეს ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ ორიენტაციაზე. ერთ დაჯგუფებას სათავეში ედგა აიეტი, რომელიც იყო ბიზანტიური ორიენტაციის, ხოლო მეორე დაჯგუფებას ხელმძღვანელობდა სპარსული ორიენტაციის ფარტაძი. მაშინ დასავლურმა ორიენტაციამ გაიმარჯვა. XII საუკუნეში, საქართველოს ოქროს ხანის პერიოდში, თამარის გამეფებისას მეფის მეჭურჭლეთუხუცესმა ყუთლუ-ასლანმა მოითხოვა მაღალი ფეოდალური არისტოკრატიით დაკომპლექტებული სათათბიროს, ე.წ. „კარავის“ შექმნა, სადაც იმსჯელებდნენ მეფის გადაწყვეტილებების მართებულობაზე. ეს იყო შუა საუკუნეებისათვის დამახასიათებელი კლასიკური პოლიტიკური პარტია.

პოლიტიკური პარტია ქვეყნის პოლიტიკური საზოგადოების ძირითად შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს და მისი მიზანი მმართველობის სადავეების ხელში ჩაგდება და ამ გზით საკუთარი პოლიტიკური ზრახვების განხორციელებაა. სწორედ ეს პრინციპი განასხვავებს პოლიტიკურ პარტიებს სამოქალაქო საზოგადოებისგან, რომელიც ქვეყნის მოქალაქეთა სოციალურად აქტიური ჯგუფების ან ინდივიდების ერთობლიობაა, რომელთაც ასევე სურთ საკუთარი იდეალებისა თუ ღირებულებების გავრცელება, თუმცა ამ მიზნით ხელისუფლებაში მოსვლას არ ესწრაფვიან.

ჯერ კიდევ მრავალი საუკუნის წინ ბერძენი ფილოსოფოსი **არისტოტელე წერდა:** „დემოკრატიულ სახელმწიფოში თავისუფლება და თანასწორობა მთელი სისავსით იქნება მიღწეული მაშინ, როდესაც მართვაში ერთნაირად მიიღებს მონაწილეობას ყველა ადამიანი უკანასკნელის ჩათვლით“.

დავალება 9.8.

უპასუხეთ კითხვებს:

- თქვენ როგორ გესმით ეს გამონათქვამი?
- ეთანხმებით ამ მოსაზრებას?

საზოგადოების ისეთი პრობლემები, როგორიც არის ქვეყანაში ეკონომიკური დონის ამაღლება, სოციალური სფეროს, ჯანმრთელობის, განათლებისა სხვა დარგების განვითარება, სხვადასხვანაირად შეიძლება გადაიჭრას. იმისდა მიხედვით, თუ როგორი ორიენტაციისა ესა თუ ის პარტია, ის ამ პრობლემების გადაჭრის სხვადასხვა გზას და ფორმებს გვთავაზობს. მაგალითად, მემარცხენე (სოციალისტური) ორიენტაციის პარტიები ეკონომიკის განვითარებაში სახელმწიფოს როლს დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, მემარჯვენე ორიენტაციის პარტიები კი, პირიქით, – მინიმუმამდე ამცირებენ სახელმწიფო მონაწილეობას ეკონომიკურ ურთიერთობებში და ამით კერძო მეწარმეობის განვითარებას უზრუნველყოფენ.



დამოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია ორი ან უფრო მეტი პოლიტიკური პარტიის არსებობა ქვეყანაში. ამ შემთხვევაში ყოველ მოქალაქეს ეძლევა საშუალება გაეცნოს სხვადასხვა პარტიის პროგრამას და გააკეთოს არჩევანი იმ პარტიის სასარგებლოდ, რომლის პროგრამაც, მისი აზრით, უზრუნველყოფს ქვეყნის განვითარებას. პოლიტიკური პარტიის პროგრამა, როგორც წესი, ორი ნაწილისგან შედგება. მათგან ერთი ეხება: მოქალაქისა და სახელმწიფოს ურთიერთობას, სახელმწიფო და კერძო საკუთრებას, სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკაში ჩარევის ხარისხს. მეორე ნაწილი წარმოადგენს პარტიის პოლიტიკურ ხედვას ჯანმრთელობას დაცვის, განათლების, გარემოს დაცვის, სოციალურად დაუცველი ფენების სოციალურ საკითხებს, უმუშევრობის და სხვა სფეროებში განსახორციელებელ ღონისძიებებს.

ორპარტიული სისტემის თვალსაჩინო მაგალითია ამერიკის შეერთებული შტატები. რესპუბლიკურ და დემოკრატიულ პარტიებს სპეციფიკური, ორგანიზებული სტრუქტურა და ნიშნები აქვთ. მათ არ აქვთ მუდმივი პოლიტიკური პროგრამა, თუმცა ყავთ მაღალკვალიფიციური სპეციალისტებით დაკომპლექტებული მუდმივმოქმედი აპარატი. ეს ორი პარტია მონაცვლეობით მოდის აშშ-ს ხელისუფლებაში.

უკვე საუკუნეზე მეტია, რაც ამერიკულ პოლიტიკაში დემოკრატები და რესპუბლიკელები თეთრ სახლსა და კონგრესს ერთმანეთის მონაცვლეობით იკავებენ. ორივე პარტიის ისტორია 1700-იანი წლებიდან იღებს სათავეს, ხოლო 1800-იანების შუა პერიოდიდან ისინი საბოლოო სახით ჩამოყალიბდნენ. დადასტურებული ფაქტია, რომ აშშ-ის კონსტიტუციის შექმნის დროს მიმდინარე დებატების პროცესში მასზე მომუშავე ჯგუფი აზრთა სხვადასხვაობის გამო გაიყო ორ ნაწილად, ასე შეიქმნა ორი ფრაქცია: ერთნი, რომლებიც მხარს უჭერდნენ კონსტიტუციის წარმოდგენილ ტექსტს, „ფედერალისტებად“ იწოდებოდნენ, ოპონენტები – „ანტიფედერალისტებად“ მოიხსენიებოდნენ. მოგვიანებით

DO NOT COPY

სწორედ „ანტიფედერალისტებისგან“ შეიქმნა რესპუბლიკური პარტია (Republicans, Grand old Party, GOP). 1828 წელს რესპუბლიკური პარტია ორად გაიყო, რომლის ერთი ნაწილი დემოკრატიულ ფრთად გადაიქცა. თავდაპირველად, როგორც ჩვენთვის ცნობილია, რესპუბლიკურმა პარტიამ არსებობაც კი შეწყვიტა, თუმცა მოგვიანებით 1850 წლის დასაწყისში მონობის წინააღმდეგ გაერთიანებულ ძალებთან ერთად ყალიბდება ახალ პარტიად და იბრუნებს სახელს, რომლითაც წინათ იყო ცნობილი. იგი ფუძნდება 1854 წლის 22 თებერვალს უისკონსინის შტატის ქ. რიპონში. რესპუბლიკური პარტიის პლატფორმა ეფუძნება ამერიკულ კონსერვატიზმს და უკავია მემარჯვენე პოზიცია, განსხვავებით მემარცხენე დემოკრატიული პარტიისგან. რესპუბლიკური პარტიის არაოფიციალური სიმბოლო არის – სპილო, „პარტიის ფერი“ კი – წითელი.

რესპუბლიკელთა ეროვნული კომიტეტის წევრ შონ სპაისერის თქმით, „რესპუბლიკური პარტია შეზღუდული მთავრობის მომხრეა, დაბალი გადასახადები და თავისუფალი ბიზნესი კონსერვატორთა მთავარი დღის წესრიგია“. რესპუბლიკელები მდიდარ, განათლებულ და კონსერვატიულ ამომრჩეველზე არიან ორიენტირებულნი, ისინი საუბრობენ ოჯახურ ფასეულობებზე, ინდივიდუალიზმზე, ქვეყნის უსაფრთხო თავდაცვისუნარიანობაზე, სახელმწიფოს მინიმალურ ჩარევაზე ეკონომიკაში, მომხრენი არიან თავისუფალი ბიზნესის, ისინი ეწინააღმდეგებიან სოციალურ პროგრამაზე გადასვლას და სხვა ქვეყნებისთვის ფინანსური დახმარების აღმოჩენას. რესპუბლიკური პარტიიდან ამერიკის შეერთებული შტატების ცნობილი პრეზიდენტები იყვნენ: აბრაამ ლინკოლნი, თეოდორ რუზველტი, რიჩარდ ნიქსონი, რონალდ რეიგანი, ჯორჯ ბუში, ჯორჯ ბუში (უმცროსი), დონალდ ტრამპი.

ამერიკის შეერთებული შტატების მეორე მთავარ პოლიტიკურ პარტიას დემოკრატიული პარტია წარმოადგენს. მისი ისტორია ტომას ჯეფერსონის და ჯეიმს მედისონის სახელებს უკავშირდება. მისი არსებობა 1792 წლიდან იწყება და ამ დრომდე ითვლება ერთ-ერთ ძლიერ პარტიად ქვეყანაში. დემოკრატები ე.წ „სოციალური არბიტრის“ როლს აკისრებენ მთავრობას, რომელიც სოციალურ სამართლიანობასა და დასაქმებას უზრუნველყოფს. ის მხარს უჭერს სოციალური პროგრამების განხორციელებას ქვეყნის შიგნით, რათა შემდგომ შეძლონ სხვა ქვეყნების დახმარება. ამ პარტიის წარმომადგენლებიდან ყველაზე ცნობილი პრეზიდენტები იყვნენ: ვუდრო უილსონი, ჰარი ტრუმენი, ფრანკლინ დელანო რუზველტი, ჯონ კენედი, ბილ კლინტონი და ბარაკ ობამა. აშშ-ის ამჟამინდელი პრეზიდენტიც – ჯოზეფ რობინეტ „ჯო“ ბაიდენი დემოკრატიული პარტიიდან არის. აშშ-ს ეს ორი, ერთმანეთისაგან განსხვავებული პრიორიტეტების მქონე პარტია, ურთიერთოპონირებით აღწევს ქვეყანაში ჯანსაღი პოლიტიკის გატარებას, რაც უშუალოდ ქვეყნის სიძლიერეზე აისახება.



დავალება 9.9.

მოიძიეთ დამატებითი ინფორმაცია ამერიკის შეერთებული შტატების მთავარ პოლიტიკურ პარტიებზე. იფიქრეთ მათ მსგავსებასა და განსხვავებებზე და თქვენი მოსაზრებები გაუზიარეთ თანაკლასელებს.

პოლიტიკური პარტიის წევრობა მოქალაქის პოლიტიკური უფლებაა, ხოლო პარტიის ფუნქციონირებაში მონაწილეობის მიღება, პოლიტიკური მონაწილეობა.

DO NOT COPY

პოლიტიკური უფლებები სათავეს ბურჟუაზიული რევოლუციიდან იღებს, და ხშირ შემთხვევაში სწორედ რევოლუციებისა და სამოქალაქო ომების ფონზე ყალიბდებოდა. მაგალითისთვის, საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის (Révolution française 1789 – 1799) მონაპოვარია ძველი მონარქიული რეჟიმის დამხობა და „თავისუფლების, თანასწორობის და ძმობის“ გამოცხადება ახალი ეპოქის იდეად. ამ პერიოდში საფრანგეთში რესპუბლიკანიზმმა შეცვალა აბსოლუტური მონაქია, ხოლო ქვეყნის ეკლესია იძულებული გახდა რადიკალური ცვლილებები გაეტარებინა.

საფრანგეთის რევოლუცია გარდამტეხი პერიოდია საფრანგეთის, ევროპისა და დასავლეთის ცივილიზაციის ისტორიაში, რადგან ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა შექმნის საფუძვლად იქცა. აშშ-ში კი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა და მოგვიანებით სამოქალაქო ომი აშშ-ს კონსტიტუციით დაგვირგვინდა. პოლიტიკური უფლებების რეალიზაცია საშუალებას აძლევს მოქალაქეს მონაწილეობა მიიღოს საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებასა და ხელისუფლების განხორციელებაში უშუალოდ ან წარმომადგენლობითი ორგანოს მეშვეობით, ამ უფლებებით მოქალაქეებს ეძლევათ საშუალება, ზემოქმედება მოახდინონ ხელისუფლების განხორციელებაზე.

საქართველოში პოლიტიკურ პროცესებში მოქალაქეთა მონაწილეობა კონსტიტუციით არის გარანტირებული.

საქართველოს კონსტიტუცია



მუხლი 23. პოლიტიკური პარტიების თავისუფლება

1. საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ ორგანული კანონის შესაბამისად შექმნან პოლიტიკური პარტია და მონაწილეობა მიიღონ მის საქმიანობაში.

2. პირს, რომელიც ჩაირიცხება თავდაცვის ძალების ან სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვაზე პასუხისმგებელი ორგანოს შემადგენლობაში, განწესდება მოსამართლედ, უწყდება პოლიტიკური პარტიის წევრობა.

3. დაუშვებელია ისეთი პოლიტიკური პარტიის შექმნა და საქმიანობა, რომლის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა ან რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, ეთნიკურ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს. დაუშვებელია პოლიტიკური პარტიის შექმნა ტერიტორიული ნიშნით.

4. პოლიტიკური პარტიის აკრძალვა შეიძლება მხოლოდ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ორგანული კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.

მუხლი 24. საარჩევნო უფლება

1. საქართველოს ყოველ მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან აქვს რეფერენდუმში, სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის უფლება. უზრუნველყოფილია ამომრჩევლის ნების თავისუფალი გამოვლენა.

2. არჩევნებსა და რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება არა აქვს მოქალაქეს, რომელიც სასამართლოს განაჩენით განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის იმყოფება სასჯელის აღსრულების დაწესებულებაში ან სასამართლოს გადაწყვეტილებით ცნობილია მხარდაჭერის მიმღებად და მოთავსებულია შესაბამის სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებაში.

მუხლი 25. საჯარო თანამდებობის დაკავების უფლება

1. საქართველოს ყოველ მოქალაქეს აქვს უფლება დაიკავოს ნებისმიერი საჯარო თანამდებობა, თუ იგი აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. საჯარო სამსახურის პირობები განისაზღვრება კანონით.

2. საქართველოს პრეზიდენტის, პრემიერ-მინისტრის ან პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობა არ შეიძლება ეკავოს საქართველოს მოქალაქეს, რომელიც იმავდროულად სხვა სახელმწიფოს მოქალაქეა.



დავალება 9.10.

უპასუხეთ კითხვებს:

- როგორ ფიქრობთ, რამდენად მნიშვნელოვანია სახელმწიფოში პოლიტიკური პარტიის შექმნის თავისუფლების გარანტიების უზრუნველყოფა კონსტიტუციით?
- რას აძლევს საზოგადოებას დემოკრატიული თვალსაზრისით პოლიტიკური პარტიის შექმნის თავისუფლება?
- რატომ იღებენ არჩევნებში მონაწილეობას 18 წლის ასაკიდან, როდესაც ადამიანს პასპორტს აძლევენ 16 წლის ასაკში?

პოლიტიკური პარტიების უმთავრესი მიზანი ხელისუფლებაში მოსვლა და ქვეყნის მართვაა პარტიის მიერ გაცხადებული წინასაარჩევნო პროგრამის მიხედვით. ამდენად, პარტიები ცდილობენ თავიანთი იდეალებით და პროგრამებით მიიზიდონ სხვადასხვა სოციალური ძალა, იდეოლოგიური ზეგავლენა მოახდინონ მასების განწყობაზე, ჩამოუყალიბონ იმგვარი პოლიტიკური შეგნება, რომ მათი მხარდაჭერით მოახერხონ არჩევნებში გამარჯვება და სახელმწიფო ხელისუფლების მოპოვება. პოლიტიკური პარტია საშუალებას აძლევს ადამიანებს, ისარგებლონ პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებებით და მისი მეშვეობით მონაწილეობა მიიღონ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

დავალება 9.11.

გაეცანით მუხლებს საქართველოს ორგანული კანონიდან მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ (გვ. 257 იხ. დანართი 9).

- გამოკვეთე სამი ყველაზე მნიშვნელოვანი რამ, რაც საქართველოს კონსტიტუციისა და მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონის გაცნობის შემდეგ შეიტყვე.
- ჩამოაყალიბე ორი შეკითხვა, რომლებიც ამ ინფორმაციის გაცნობის შემდეგ გაგიჩნდა.
- დაასახელე ორი რამ, რასაც ფიქრობ, რომ მომავალში აუცილებლად გაითვალისწინებ.

2021 წლის 26 სექტემბერს გერმანიის ბუნდესტაგის (პარლამენტის) მე-20 არჩევნები გაიმართა. არჩევნების შედეგების მიხედვით ბუნდესტაგში შვიდი პოლიტიკური პარტია შევიდა. იმის გამო, რომ ვერცერთმა პოლიტიკურმა პარტიამ ვერ მოიპოვა მთავრობის დასაკომპლექტებლად საჭირო მანდატების რაოდენობა, კოალიციური მთავრობა „სოციალ-დემოკრატებმა“, „მწვანეებმა“ და „თავისუფალმა დემოკრატებმა“ დააკომპლექტეს და მინისტრების პორტფოლიოები გადაინაწილეს.

კოალიციურ მთავრობაში შესული პარტიების საარჩევნო შედეგები ასეთია:

პარტია	მიღებული საპარლამენტო მანდატების რაოდენობა
სოციალ-დემოკრატიული პარტია	206
კავშირი 90 / მწვანეები	118
თავისუფალი დემოკრატიული პარტია	83

გერმანიის მთავრობას „სოციალ-დემოკრატების“ ლიდერი ოლაფ შოლცი ხელმძღვანელობს.

„მწვანეებმა“ კი მოიპოვეს გერმანიის სახელით მომდევნო ევროკომისრის წარდგენის უფლება.

გერმანიის ახალი კოალიციური მთავრობა მზად არის, უკრაინას, მოლდოვასა და საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების გზაზე მხარი დაუჭიროს.

„ევროკავშირთან და მის წევრ სახელმწიფოებთან ერთად ვიმუშავებთ „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ შემდგომი განვითარებისთვის. ისეთმა სახელმწიფოებმა, როგორებიც არის უკრაინა, მოლდოვა და საქართველო, რომლებიც ევროკავშირის წევრობისკენ ისწრაფვიან, დაახლოების შესაძლებლობა უნდა მიიღონ შემდგომი რეფორმების გზით კანონის უზენაესობისა და საბაზრო ეკონომიკის სფეროებში“, – ნათქვამია შეთანხმებაში.



გერმანიის ბუნდესტაგის შენობა

Print Copy

დავალება 9.12.


იმსჯელეთ, როგორ შეიძლება ითანამშრომლონ ერთმანეთთან განსხვავებული იდეოლოგიის მქონე პარტიებმა? რა ძირითადი ღირებულებები უნდა დაედოს საფუძვლად მათ თანამშრომლობას? როგორ ფიქრობთ, რამდენად სასარგებლოა ქვეყნისთვის, საზოგადოებისთვის კოალიციური მთავრობის არსებობა?

თანამედროვე დემოკრატიულ ქვეყნებში სააარჩევნო ბრძოლა, ჩვეულებრივ, პოლიტიკურ პარტიათა შორის შეჯიბრის სახეს იღებს. პარტია, რომელიც თავისი შინაარსით საზოგადოების ნაწილია, მაგრამ არ წარმოადგენს მთელ საზოგადოებას, პოლიტიკურ საზოგადოებაში ურთიერთქმედების განსაკუთრებულ, განსხვავებულ თამაშის წესებს ქმნის. აქ მოწინააღმდეგესთან კომპრომისი, ალიანსი, კოალიციების შექმნა და დაშლა ჩვეულებრივი პროცესია. პარტიის წევრები ხშირად ერთიანდებიან რაიმე კონკრეტული მიზნის ირგვლივ.

არჩევნები დემოკრატიული მმართველობის ცენტრალური მექანიზმია, რომლის მეშვეობით პოლიტიკოსები ანგარიშვალდებულნი ხდებიან მოსახლეობის წინაშე. არჩევნების ინსტიტუტს ხშირად დემოკრატიის საზომად თვლიან. დემოკრატიულ სახელმწიფოში არჩევნები უზრუნველყოფს როგორც მოქალაქეთა პოლიტიკურ თანასწორობას და თანაბარ შესაძლებლობას, რომ არჩეულ იქნენ სახელმწიფო თანამდებობაზე, ასევე მათი საარჩევნო ხმის თანაბარუფლებიანობას.

„ადამიანები ქმნიან მთავრობებს, რომლებიც თავიანთ ძალაუფლებას იძენენ იმათი თანხმობით, ვისაც ისინი მართავენ“

თომას ჯეფერსონი
ამერიკის შეერთებული შტატების მესამე პრეზიდენტი



დავალება 9.13.

უპასუხეთ კითხვებს:

- როგორ გესმით თომას ჯეფერსონის სიტყვები?
- როგორ ფიქრობთ, დემოკრატიულ საზოგადოებაში ძალაუფლება მხოლოდ პოლიტიკოსების ხელშია?

დემოკრატიულ სახელმწიფოში არჩევნების ჩატარება ორი მიზეზით არის მნიშვნელოვანი. ჯერ ერთი, მნიშვნელოვანია ის, თუ ვინ აირჩევა სახელმწიფოს მეთაურის პოსტზე ან რომელი პოლიტიკური პარტია დააკომპლექტებს პარლამენტში უმრავლესობას, რადგან მათზეა დამოკიდებული, თუ ვინ უხელმძღვანელებს აღმასრულებელ ხელისუფლებას. ამდენად ამ არჩევანით ისაზღვრება სახელმწიფოს როგორც შიდა, ეკონომიკური, ასევე საგარეო პოლიტიკა, რომელსაც გაატარებს ეს მთავრობა. მეორე, ირჩევენ ხელისუფლების საკანონმდებლო და წარმომადგენლობითი ორგანოების წევრებს, რომლებიც განსაზღვრავენ სახელმწიფოში სამართლებრივ გარემოს, საგადასახადო სისტე-

DO NOT COPY

მას და აკონტროლებენ მთავრობას მოქალაქეთა სახელით. სახელმწიფოს უმაღლესი თანამდებობის პირების რეგულარული არჩევნები წარმოადგენს ღია და კონკურენტულ პროცესს, რომელიც წარმომადგენლობითი დემოკრატიის დროს მოსახლეობის მიერ კონტოლის გაწევის უმნიშვნელოვანესი ელემენტია.



არჩევნები გვიჩვენებს, რომ პოლიტიკური ძალაუფლება ამომრჩევლებისგან მოდის და მისი თანხმობით ხორციელდება. არჩევნების შემდეგ თანამდებობაზე არჩეული პირები სწორედ ამომრჩევლებს – იმ მოქალაქეებს აბარებენ ანგარიშს თავიანთი ქმედებების შესახებ, რომლებსაც მართავენ. საბოლოოდ კი მხოლოდ ძალაუფლების დაკარგვის ალბათობა იძლევა იმის გარანტიას, რომ არჩევნებში გამარჯვებულები გაამართლებენ მოსახლეობის ნდობას, დაიცავენ მოქალაქეთა ინტერესებს და გაატარებენ იმ პოლიტიკას, რომელიც ქვეყანაში არსებული მდგომარეობითაა ნაკარნახევი.

მთავარი მოთხოვნა, რასაც თავისუფალ და სამართლიან არჩევნებს უყენებენ დემოკრატიულ ქვეყნებში, ისაა, რომ არჩევნების პროცესს არ უნდა აკონტროლებდეს ხელისუფლებაში მყოფი პარტია ან პარტიები, არ უნდა ჰქონდეთ მათ გაუმართლებელი უპირატესობები.

დავალება 9.14.

უპასუხეთ კითხვებს:

- რა მნიშვნელობა აქვს ქვეყნის პოლიტიკურ პროცესებში მოქალაქეთა მონაწილეობას?
- რატომ არის აუცილებელი მოქალაქეების მიერ თავიანთი სამოქალაქო პოზიციის აქტიურად გამოხატვა?
- რა სირთულეები ახლავს მოქალაქეთა ჩართულობას ქვეყნის მართვაში?

არჩევნებში მოქალაქეთა მონაწილეობა

საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულია მოქალაქის პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის სხვადასხვა უფლება:

- აქტიური საარჩევნო უფლება – მოქალაქის უფლება, ხმის მიცემის მეშვეობით მონაწილეობა მიიღოს საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობით ორგანოში ხალხის წარმომადგენელთა ასარჩევად და საჯარო ხელისუფლების თანამდებობის დასაკავებლად ჩატარებულ საყოველთაო არჩევნებსა და რეფერენდუმში;
- პასიური საარჩევნო უფლება – მოქალაქის უფლება, კენჭი იყაროს საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლობით ორგანოში ასარჩევად და საჯარო ხელისუფლების თანამდებობის დასაკავებლად;
- საარჩევნო კამპანიის წარმართვა;
- მონაწილეობა პოლიტიკურ დებატებში;
- თანხის გაღება რომელიმე პარტიის ან კანდიდატის სასარგებლოდ.

Don't Copy

საქართველოში მოქმედი პოლიტიკური პარტიების შემომწირველთა ვინაობის შესახებ ინფორმაცია საჯაროა და განთავსებულია ბმულზე: https://shorturl.at/ckrQ3

მოქალაქის საარჩევნო უფლებების განხორციელებას არეგულირებს საქართველოს ორგანული კანონი – საქართველოს საარჩევნო კოდექსი.

დემოკრატიულ საზოგადოებაში თითოეული მოქალაქის კონსტიტუციური უფლებაა, მონაწილეობდეს თავისი ქვეყნის, ქალაქისა თუ სოფლის მართვაში და სხვა მოქალაქეებთან ერთად განსაზღვრავდეს ქვეყნის პოლიტიკას. დემოკრატიულ სახელმწიფოში თანამდებობები არჩევნების შედეგად ნაწილდება, იმ არჩევნების შედეგად, რომელშიც საარჩევნო ასაკის ყველა მოქალაქეს თანაბარი უფლება აქვს, აირჩიოს (აქტიური საარჩევნო უფლება) ან არჩეულ იქნას (პასიური საარჩევნო უფლება). ქვეყნის წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნებში მონაწილეობის უფლება მოქალაქის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უფლებაა დემოკრატიულ საზოგადოებაში, რომლის მოსაპოვებლად თაობები იბრძოდნენ. ხმის მიცემა – ეს არის მოქალაქის მინიმალური მონაწილეობა დემოკრატიული საზოგადოების ცხოვრებაში. რაც უფრო მცირე რაოდენობის ამომრჩეველი იღებს მონაწილეობას არჩევნებში, მით უფრო მეტად განისაზღვრება სახელმწიფო პოლიტიკა მოქალაქეთა მცირე ჯგუფების ვიწრო ინტერესებით.

პოლიტიკურ პროცესებში, მათ შორის არჩევნებში, ეთნიკური უმცირესობების მონაწილეობა მეტად მნიშვნელოვანი საკითხია. სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს მათი, როგორც სოციალურ-ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური უფლებების დაცვა. უშუალოდ არჩევით ორგანოებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლობის გაზრდას ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში სხვადასხვა მექანიზმებით ახორციელებენ. მაგალითად, ალბანეთში, ბულგარეთში და რუმინეთში ასეთ მექანიზმად გამოყენებულია ეთნიკური ნიშნით პარტიების ჩამოყალიბება, რომლებსაც შეუძლიათ საკუთარი ინტერესები დააყენონ ქვეყნის პოლიტიკურ დღის წესრიგში. გარდა ამისა, არსებობს დარეზერვებული სკამების (არჩევით ორგანოებში ეთნიკური უმცირესობებისათვის კანონის შესაბამისად დადგენილი ადგილების რაოდენობა) მექანიზმი, რომელსაც მუნიციპალური ორგანოების არჩევნების დროს იყენებენ ბოსნია-ჰერცოგოვინაში, ბულგარეთში და პოლონეთში. არჩევით ორგანოებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლობის გასაზრდელად მესამე მექანიზმია საარჩევნო ბარიერის (არჩევით ორგანოში შესასვლელად კანონმდებლობით განსაზღვრული ხმათა რაოდენობის პროცენტულობა) შემცირება ან საერთოდ გაუქმება, რომელსაც იყენებს, მაგალითად, გერმანია, იტალია, რუმინეთი, პოლონეთი, სერბეთი.

„ეთნიკურ უმცირესობათა სამოქალაქო, პოლიტიკური და სოციალური ინტეგრაცია ქართული დემოკრატიის განვითარების ერთ-ერთ მწვავე პრობლემად რჩება. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო წლების განმავლობაში ბევრი პროექტი თუ ინიციატივა განხორციელდა ამ მიმართულებით, მნიშვნელოვანი წინსვლა, ეთნიკურ უმცირესობათა ინტეგრაციის და პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულობის თვალსაზრისით, არ მომხდარა.“(საქართველოს სახალხო დამცველი, 2018 წ.)

ეთნიკური უმცირესობების საჯარო პოლიტიკაში ინტეგრაციის დაბალი დონე ხელს უშლის დემოკრატიული და სტაბილური სახელმწიფოს მშენებლობას. საქართველოში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს ნაკლებად აქვთ სახელმწიფოსთან პოლიტიკური იდენტობის განცდა. ამას სხვადასხვა მიზეზი აქვს, რომელთა შორის წამყვანია

DO NOT COPY

ენობრივი ბარიერი: კომპაქტურად განსახლებულ ადგილებში ეთნიკურად არაქართველი მოსახლეობის გარკვეულმა ნაწილმა არ იცის სახელმწიფო ენა (ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი – NDI, 2018), თუმცა აღინიშნება ახალგაზრდების მხრიდან სახელმწიფო ენის შესწავლის დადებითი დინამიკა. რუსულმა ენამ კი, რომელიც საბჭოთა პერიოდში სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან კომუნიკაციის ერთადერთი ენა იყო, ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად დაკარგა პოზიციები. შესაბამისად, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები სრულყოფილად ვერ იღებენ ინფორმაციას ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესახებ, ხოლო მათი წარმომადგენლების ყოფნას უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში (პარლამენტში) ხშირ შემთხვევაში ფორმალური ხასიათი აქვს.

ეთნიკური უმცირესობების სუსტი პოლიტიკური ჩართულობის კიდევ ერთი მიზეზია პოლიტიკური პარტიების პასიურობა. პოლიტიკური სუბიექტები თავის პარტიულ პროგრამებში ეთნიკური უმცირესობებისთვის მნიშვნელოვან საკითხებს ზედაპირულად განიხილავენ ან სათანადო ყურადღებას არ უთმობენ. ამასთან, ისიც აღსანიშნავია, რომ ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში მათ არ გააჩნიათ ადგილობრივი ეთნიკური ჯგუფებით დაკომპლექტებული ძლიერი წარმომადგენლობები.

←

სოციალური სამართლიანობის ცენტრი
27 ივლისი 2021

სოციალური სამართლიანობის ცენტრი

პოლიტიკური მონაწილეობა და ეთნიკური უმცირესობების როლი
„სადაც მეტია მონაწილეობა, იქ მეტია დემოკრატია“.

რას ნიშნავს პოლიტიკური მონაწილეობა და რატომაა ეთნიკური უმცირესობების პოლიტიკური მონაწილეობა საერთაშორისო ადამიანის უფლებათა დოკუმენტებში სპეციალურ უფლებად რეგულირებული?

ამის მიზეზი ეთნიკური უმცირესობების მოწყვლადობა და სპეციალური საჭიროებებია.

„საქართველოში ეთნიკური უმცირესობის პოლიტიკური მონაწილეობა არაერთ პრობლემას უკავშირდება. უმცირესობების პოლიტიკური მონაწილეობის სისუსტეზე მეტყველებს ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე არჩევით ორგანოებში მათი დაბალი წარმომადგენლობა. 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ პარლამენტში წარმოდგენილი ეთნიკური უმცირესობების რაოდენობა თითქმის განახევრდა. რაც შეეხება ადგილობრივი თვითმართველობის დონეს, 2017 წლის თვითმართველობის არჩევნების მიხედვით იმ ექვს მუნიციპალიტეტში, სადაც ეთნიკური უმცირესობები წარმოადგენენ მოსახლეობის უმრავლესობას, მხოლოდ სამი მუნიციპალიტეტის საკრებულოში არიან არაქართველი ეთნიკური ჯგუფები საკრებულოს უმრავლესობაში. საქართველოში არ არსებობს მექანიზმი, რაც გაზრდის ეთნიკური უმცირესობების ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რომლითაც შეეძლებათ რეალური გავლენა მოახდინონ პოლიტიკურ პროცესებზე.“- ამბობს სოციალური სამართლიანობის ცენტრის იურისტი თეო ფირანიშვილი.



დავალება 9.15.

იმსჯელეთ:

- რა არის მიზეზი იმისა, რომ ეთნიკური უმცირესობები პოლიტიკაში არ მონაწილეობენ?
- რა რეკომენდაციებს მისცემდით ხელისუფლების წარმომადგენლებს სიტუაციის გამოსასწორებლად?
- რას ურჩევდით ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს?

ისინი, ვინც კენჭისყრაში მონაწილეობას სამოქალაქო საზოგადოების ყოფის აუცილებელ პირობად მიიჩნევენ, ამბობენ, რომ ეს არა მხოლოდ უფლება, არამედ მოქალაქეობრივი ვალია. მაგალითად, ავსტრალიაში თუ ვინმე არჩევნებში არ მონაწილეობს, დოკუმენტურად აქტით აფორმებენ. თავისუფალი არჩევნები აუცილებელი გახადო და ადამიანებს მათი უფლებების არგამოყენების შემთხვევაში დოკუმენტებით ამის დადასტურება მოსთხოვო, არ არის საკითხისადმი მთლად დემოკრატიული მიდგომა, მაგრამ საზოგადოების არჩევნებზე მიუსვლელობის მიზეზი შეიძლება დემოკრატიულ პროცესში არსებული სერიოზული პრობლემების ნიშანი იყოს. მოქალაქე, რომელიც მონაწილეობას არ იღებს არჩევნებში, თავის საქციელს იმით ამართლებს, რომ ფიქრობს, მისი ერთი ხმა არაფერს შეცვლის. მსოფლიო პრაქტიკა კი გვიჩვენებს, რომ სინამდვილეში სხვაგვარად ხდება:

გერმანია, 1949 წელი.

კონრად ადენჰაუერი ერთი ხმის უპირატესობით იქნა არჩეული კანცლერად, რამაც შეცვალა გერმანიის პოლიტიკა და სტატუსი ომისშემდგომ ევროპაში.

პოლონეთი, 1989 წელი.

ნაციონალურ ასამბლეაში მიმდინარე კენჭისყრის დროს არსებულმა ერთი ხმით მეტმა კვორუმმა **ვოისეკ იარუზელსკის** მისცა საშუალება, გამხდარიყო პრეზიდენტი.

საქართველო, 2017 წელი.

თამაზ მეჭიაური

ერთი ხმის უპირატესობით იქნა არჩეული თიანეთის მერად.

მოყვანილი მაგალითებიდან ნათლად ჩანს, რომ ამომრჩევლის თითოეულმა ხმამ შეიძლება გადაწყვიტოს არჩევნების და შესაბამისად ქვეყნის მომავალი განვითარების ბედი. დემოკრატიული ქვეყნების უმრავლესობაში, მათ შორის საქართველოშიც, არჩევნებში მონაწილეობა ნებაყოფლობითია, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მოქალაქეს არა აქვს პოლიტიკური პასუხისმგებლობა ქვეყნის და საზოგადოების წინაშე. ყველა უფლებას თან ახლავს პასუხისმგებლობაც. მოქალაქის მიერ პოლიტიკური უფლებების ჯეროვნად განხორციელება – მისი პოლიტიკური კულტურის მაჩვენებელია.

დავალება 9.16.

გამართეთ დისკუსია შემდეგ საკითხებზე:

- რა შემთხვევაში მიიჩნევენ დემოკრატიულ საზოგადოებაში მოქალაქეები ხელისუფლებას თავიანთი ინტერესების დამცველად და რა მექანიზმებით შეუძლიათ მოქალაქეებს ქვეყენაში მიმდინარე პროცესებზე ზემოქმედება, თუ ხელიხუფლება არ იქნა მოქალაქეთა ინტერესების დამცველი?
- როგორი დამოკიდებულება გაქვთ არჩევნებზე წაუსვლელობის მიმართ?
- რა მნიშვნელოვანი პრობლემები გაქვთ დღეისათვის (სახლში, ქალაქში, სოფელში, ქვეყანაში)? როგორ დააკავშირებთ მათ გადაწყვეტას 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებთან?
- ხელისუფლებაში მოსული პარტიები ხშირად ვერ ასრულებენ წინასაარჩევნო დაპირებებს?
- თქვენი აზრით, რა არის ამის მიზეზი? რა პრევენციული ზომებია გასატარებელი საზოგადოების მხრიდან ამის აღსაკვეთად?
- რა შემთხვევაში არ არის არჩევნები დემოკრატიული და რა შეიძლება იყოს არადემოკრატიული არჩევნების მიზეზი?

1919 წლის 14 – 16 თებერვალს დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველი მრავალპარტიული, დემოკრატიული არჩევნები ჩატარდა.


საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების სხდომა

დამფუძნებელი კრების არჩევნები საქართველოს დემოკრატიული საზოგადოების ფორმირებისკენ გადადგმული ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი იყო. ქვეყანაში, რომელსაც დამოუკიდებლობა სულ რამდენიმე თვის აღდგენილი ჰქონდა, არჩევნები თანასწორობის, ტოლერანტობისა და დემოკრატიული ფასეულობების დემონსტრირება იყო და ამ ყველაფერს ნათლად ადასტურებდა შემდეგი ფაქტორები:

- საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობა ხმის მიცემის უფლებას აძლევდა ყველა მოქალაქეს, განურჩევლად სქესისა, ეროვნებისა და რელიგიური კუთვნილებისა;
- საქართველოს დამფუძნებელ კრებაში აირჩიეს 5 ქალი, რაც იმ დროს მსოფლიოში იშვიათი მოვლენა იყო;
- სამაგალითოდ იყო ორგანიზებული საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობა.

Copy

დავალება 9.17.

- გაეცანით ამომრჩევლების ვებგვერდს http://www.partiebi.ge/ რომელიც 2012 წლიდან მოყოლებული რეგულარულად აქვეყნებს საქართველოს პოლიტიკური პარტიებისა თუ მერობის კანდიდატების წინასაარჩევნო შეხედულებებს ქვეყნისათვის მნიშვნელოვან პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებზე. ამ ვებგვერდის საშუალებით შეგიძლიათ ერთმანეთს შეადაროთ, მაგალითად, თბილისის მერობის კანდიდატების ხედვა ცალკეულ, თქვენთვის საინტერესო საკითხებზე და/ან გაეცნოთ მათ სრულ საარჩევნო პროგრამას. სოციალური მედიის აპლიკაციებით კი შესაძლებელია გაავრცელოთ და იმსჯელოთ იმ თქვენთვის საინტერესო საკითხებზე, რომელთაც აქ იხილავთ.

- წარმოიდგინე, რომ უკვე სრულწლოვანი ხარ. ჩამოაყალიბე გზავნილი საქართველოს პოლიტიკური პარტიებისათვის.

დავალება 9.18.

როლურ თამაში: სახელმწიფოს მართვაში მონაწილეობა

დაიყავით ორ ჯგუფად. ჯგუფები გამოხატავენ საწინააღმდეგო მოსაზრებებს სახელმწიფოს მართვასა და გადაწყვეტილებების მიღებაში მონაწილეობასთან დაკავშირებით.

პირველი ჯგუფის მონაწილეები იზიარებენ და იცავენ შემდეგ მოსაზრებებს:

- სრულებით არ მაინტერესებს ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრება. მე მეტისმეტად დაკავებული ვარ ჩემი პირადი პრობლემების გადაწყვეტით და არა მაქვს დრო ხელისუფლების საქმიანობაში ჩაწვდომის;

- ნებისმიერ შემთხვევაში, არ მესმის რა ხდება სახელმწიფოში. პრობლემები მეტისმეტად რთულია და მათი გადაწყვეტა კომპეტენტური ადამიანების საქმეა, ანუ ქვეყნის პოლიტიკური ლიდერების. მე ვენდობი მართვის მათ მეთოდებს;

- მე დიდი ენთუზიაზმით მივიღე მონაწილეობა ბოლო არჩევნებში, მაგრამ მას შემდეგ არ მომხდარა არანაირი არსებითი ცვლილება. ჩემი აზრით, ცხოვრება მხოლოდ დამძიმდა. ამიტომ მე ვერ ვხედავ აზრს ჩემი სამოქალაქო პოზიციის გამოხატვაში;

- მეც მივიღე მონაწილეობა არჩევნებში, მაგრამ, მე მგონია, რომ პოლიტიკურ ლიდერებს არ აღელვებთ უბრალო მოქალაქეების ბედი. ისინი დაკავებულები არიან თვითგამდიდრებით და იმ საკითხების განხილვით, რომელთა გადაწყვეტასაც არ მოჰყვება არანაირი დადებითი ცვლილებები;

Don't Copy

- ყოველთვის ვცდილობ, გავიგო პოლიტიკური სიახლეები. საკუთარ თავს ყოველთვის ვთვლიდი პოლიტიკურად აქტიურ მოქალაქედ, მაგრამ წინა არჩევნებზე, როცა ხმა მივეცი სასურველ პარტიას, ჩემ მიმართ წამოვიდა... არა მგონია, რომ მომავალში ისევე აქტიურად გამოვხატო ჩემი პოზიცია.

მონაწილეთა მეორე ჯგუფს კი ევალება, რომ გადაარწმუნონ პირველი ჯგუფის წარმომადგენლები.

როლების გათამაშების შემდეგ გააანალიზეთ აქტივობა შემდეგ შეკითხვების დახმარებით:

- როგორი გრძნობის გამოხატვას ცდილობდნენ თქვენი ოპონენტები? თუ ყოფილა შემთხვევა, როდესაც თქვენ მოგიწიათ ანალოგიური გრძნობის განცდა?
- რას კარგავენ ადამიანები, რომლებიც არ მონაწილეობენ ქვეყნის პოლიტიკურ პროცესებში?
- დაკავშირებულია თუ არა ქვეყნის საქმეების მართვაში მონაწილეობა რაიმე რისკებთან?
- არსებობს თუ არა საზოგადოებაში ამომრჩეველთა ჯგუფი, რომლისთვისაც ძნელია აქტიურად გამოხატონ თავიანთი სამოქალაქო პოზიცია (მაგალითად, ქალები, შრომისუუნარო მოქალაქეები, არასრულწლოვანი მოქალაქეები, უფროსი თაობის წარმომადგენლები, ეთნიკური/ლინგვისტური უმცირესობების წარმომადგენლები)?
- რა ზომების მიღებაა აუცილებელი იმისათვის, რომ ყველა მოქალაქეს ჰქონდეს საკუთარ უფლებათა რეალიზების საშუალება?

Don't Copy

პოლიტიკა და მდგრადი განვითარება



კომპლექსური დავალება 5

პოლიტიკა და მდგრადი განვითარება

გაეცანით ძირითად იდეოლოგიებს და მათ ხედვებს, პოლიტიკურ რეჟიმებსა და მათ გავლენას საზოგადოებაზე. შეარჩიეთ თქვენთვის მისაღები იდეოლოგიები, რომლებიც პიროვნებისა და საზოგადოების ჰარმონიული განვითარების, ასევე მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის შესაძლებლობებს იძლევა. გაეცანით ქვემოთ მოცემულ მწვანეთა მოძრაობის შექმნისა და განვითარების მოკლე ისტორიას, ჩამოაყალიბეთ ახალი პოლიტიკური ორგანიზაციის/მოძრაობის ხედვა და იდეოლოგიური საფუძვლები, განსაზღვრეთ მისი ძირითადი მიმართულებები, ორიენტირები. მოიფიქრეთ შესაფერისი ლოგო და სლოგანი. მოამზადეთ საინფორმაციო ბუკლეტი და წარუდგინეთ კლასს.

ნაშრომში ხაზგასმით წარმოაჩინეთ:

- როგორ უწყობს ხელს პოლიტიკური ორგანიზაციები და მოძრაობები ადამიანის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას, მისწრაფებებისა და აუცილებელი მოთხოვნების რეალიზებას? როგორ გავლენას ახდენს პოლიტიკური რეჟიმი ადამიანის სოციალიზაციაზე, პიროვნულ განვითარებასა და საკუთარი აზრის, შეხედულებების თავისუფლად გამოხატვაზე?
- რატომ არის მნიშვნელოვანი პოლიტიკის დაგეგმვა მდგრადი განვითარების მიზნების, მომავლის პერსპექტივის გათვალისწინებით და როგორ უკავშირდება ლოკალური ქმედებები გლობალურ შედეგებს?



რა ცოდნა-გამოცდილება დაგჭირდებათ იმისთვის, რომ ეს კომპლექსური დავალება შეასრულოთ?

(მოცემული სქემა გადაიტანეთ რვეულში და ჩაინიშნეთ მოსაზრებები)

რა ვიცი საკითხთან დაკავშირებით?	რისი შესწავლა დამჭირდება?	რა უნდა გავაკეთო მიზნის მისაღწევად?
არ ჩაწერო წიგნში!		

საკვანძო შეკითხვა:

როგორ ჩამოვაყალიბო ისეთი პოლიტიკური ხედვა, რომელიც მდგრადი განვითარების მიზნებთან ჰარმონიაში უზრუნველყოფს პიროვნებისა და საზოგადოების თავისუფალ განვითარებას?

DraftCopy

მწვანე პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორია XX საუკუნეში

თანამედროვე გარემოსდაცვითი მოძრაობა სათავეს იღებს მე-20 საუკუნის 50-იან წლებიდან. მისი შექმნის საფუძველი რამდენიმე მასშტაბური ეკოკატასტროფა იყო: კალიფორნიის სანაპიროსთან კატასტროფული მასშტაბის ნავთობის დაღვრა, ატომური იარაღის გამოცდის შედეგები, დიდი ქალაქების ატმოსფერული ჰაერის კატასტროფული დაბინძურება, ფერმებისა და ტყეების განადგურება ქალაქების ზრდის ხარჯზე და ა.შ.

1963 წელს გამოქვეყნდა ამერიკელი მეცნიერისა და მწერლის რეიჩელ კარსონის წიგნი „მდუმარე გაზაფხული“, რომელმაც რევოლუციური გადატრიალება მოახდინა გარემოსდაცვითი მოძრაობის ჩამოყალიბებაში. კარსონმა მოახერხა ფაქტების საფუძველზე თვალნათლივ ეჩვენებინა, რომ ბიოსფეროში მოხვედრის შემდეგ ზოგიერთი პესტიციდი არა მხოლოდ კლავს „მავნებელ მწერს“, არამედ ხვდება საკვების ჯაჭვში, რის შედეგადაც წამლავს როგორც ჩიტებს და თევზებს, ასევე აავადებს ბავშვებს.

პირველი პოლიტიკური პარტია, რომელმაც სახელმწიფოს წინაშე დააყენა ბუნებრივი გარემოსა და ეკოლოგიის პრობლემები, ავსტალიაში ჩამოყალიბდა 1972 წლის მარტში. „ავსტრალიის გაერთიანებული ტასმანიის ჯგუფმა“, როგორც კაშხლების აგების საწინააღმდეგო კამპანიის ინიციატორმა, შეადგინა წესდება - მანიფესტი, რომელშიც ჯგუფის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები განსაზღვრა. მანიფესტი აცხადებდა, რომ ჯგუფი:

- წარმოადგენს მსოფლიოს გადარჩენისთვის მებრძოლი გლობალური მოძრაობის ნაწილს;
- გაერთიანებულია ახალი ეთიკური ნორმის ირგვლივ, რომელიც ითვალიწინებს ბუნებრივი გარემოს დასაცავად ადამიანების გაერთიანებას, რათა არ მოხდეს დედამიწის სასიცოცხლო სისტემების კოლაფსი;
- იღვწის ადამიანის ღირსებისა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისთვის და უარყოფს შეხედულებას, რომ ადამიანებს აქვთ უფლება მოიხმარონ ყველა ტიპის ბუნებრივი რესურსები ნებისმიერი საშუალებებით.

გაერთიანებული ტასმანიის ჯგუფისა და მისი პრინციპების ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის ანგარიშმა „ზრდის ლიმიტები“ (Limits to Growth), რომელიც ამტკიცებდა, რომ თუ არ მოხდებოდა არსებული ეკონომიკური ზრდის შეჩერება, ეკოლოგიური კატასტროფა გარდაუვალი იყო. პარტია მიზნად ისახავდა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასა და წარმოებაში ახალი ეთიკური სტანდარტების დანერგვას. მართალია, საპარალმენტო არჩევნებში მათ მხოლოდ 3%–იანი მხარდაჭერა მიიღეს და ვერ მიაღწიეს თავიანთ მიზანს, მაგრამ მათ იმპულსი მისცეს მწვანეთა პარტიების ფორმირებას მსოფლიოში. ავსტრალიის შემდეგ „მწვანე ტალღა“ სხვა სახელმწიფოებსაც აქტიურად მოედო.

ამდენად, მწვანეთა პარტიების ჩამოყალიბება და საერთოდ ეკოლოგიზმის პოპულარიზაცია დიდწილად განაპირობა ქვეყნებში ეკონომიკის, კერძოდ, მძიმე მრეწველობის განვითარებამ. XX საუკუნის მეორე ნახევრიდან ინდუსტრიული ზრდის, სამხედრო წარმოების, საწარმოო ტექნოლოგიების, კვების მრეწველობის, ტრანსპორტის განვითარებასთან ერთად პლანეტის ეკოსისტემას და მის სიცოცხლისუნარიანობას ახალი საფრთხე

Don't copy

დაემუქრა ბირთვული ტექნოლოგიების, ოზონის ხვრელის გაჩენისა და გლობალური დათბობის სახით. პოლიტიკის ისტორიის პერსპექტივიდან კი, XX საუკუნე ერთ-ერთი ყველაზე დრამატული იყო. ამ პერიოდში მსოფლიოს ყველაზე ანტიდემოკრატიული რეჟიმები (კომუნიზმი, ფაშიზმი) ხალხების მატერიალური კეთილდღეობის იდეის ხორცშესხმას შეუდგნენ. არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა იმას, თუ რა მეთოდებით, ხერხებითა და რესურსებით მიაღწევდნენ ისინი ამ „დიად მიზანს“.

XX საუკუნის 60 – 70-იანი წლებიდან მწვანეთა პარტიებისა თუ სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების აქტიურობით წამოიჭრა ატომურ ენერგიასთან დაკავშირებული უსაფრთხოების საკითხები (ბირთვული იარაღის გამოცდა, გლობალური კლიმატის ცვლილება და სხვ), რამაც გამოიწვია მწვანე პოლიტიკის განვითარება.

ამ პერიოდში ამაღლდა საზოგადოების გარემოსდაცვითი ცნობიერება. ბევრი მოაზროვნე, მწერალი თუ მოქალაქე, პროპაგანდას უწევდა ბუნებისა და ადამიანების დაახლოებას. საზოგადოების ახალი, საერთო ინტერესებიდან გამომდინარე ღირებულებები უპირისპირდებოდა იმ ღირებულებებს, რასაც ტრადიციულად საზოგადოების უმრავლესობა „ჩვეულებრივად“ ან „ნორმალურად“ მიიჩნევდა. ეს ახალი ღირებულებათა სისტემა გახდა როგორც მწვანეთა პარტიების პოლიტიკის, ასევე უფრო ფართოდ მწვანე მოძრაობის იდეოლოგიის ნაწილი. XX საუკუნის 80-იან წლებიდან ეკოლოგიურმა პრობლემებმა წამყვანი ადგილი დაიკავა მსოფლიო პოლიტიკაში, რაც მწვანეთა პარტიების დამსახურებაა, რომლებმაც 1970-იანი წლებიდან ეკოლოგიისა და გარემოს დაცვითი საკითხების ადვოკატირებას მიჰყვეს ხელი. იდეოლოგიური საფუძველი, ცხადია, ყველა დიდი წამოწყებისა თუ რეფორმის წინაპირობაა და მათ შორის არც მწვანე პოლიტიკაა გამონაკლისი. მაშინ, როდესაც მწვანეთა მოძრაობა გლობალური პოლიტიკის ნაწილი ხდებოდა მისი მხარდაჭერა ინტელექტუალურ წრეებშიც იზრდებოდა. ნიშანდობლივია, რომ ასეთი მხარდაჭერა სხვადასხვა სფეროში მოღვაწე მეცნიერებმა, მათ შორის, ბიოლოგებმაც გამოხატეს.

Don't Copy

§ 10. პოლიტიკური იდეები და იდეოლოგიები, რომლებმაც გავლენა მოახდინეს კაცობრიობის განვითარებაზე

- გაიხსენეთ სახელმწიფო მმართველობის ფორმები.
- როგორ ფიქრობთ, რის საფუძველზე არჩევს პოლიტიკის წარმართველი ძალა (ხელისუფლება) სახელმწიფოს პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს?

საქართველოს მთავრობა

22 ნოემბერი, 2021 წ.
(ამონარიდი, სტილი დაცულია)



საქართველოს მთავრობის სხდომა

„არსებული სოციალური პოლიტიკა გვაჩვენებს, რომ მიმდინარე დინამიკა, ტენდენციები ზოგადად არის შემაშფოთებელი. პირდაპირ ვთქვათ, რომ არსებული სოციალური პოლიტიკის ფარგლებში ზრდასრული, შრომისუნარიანი მოსახლეობა, ჩვენი მოქალაქეები შევაჩვიეთ, შევაგუეთ უმუშევრობას, სიღარიბეს და უმოქმედობას. რეალურად დღეს შრომისუნარიანი, სოციალურად დაუცველი მოქალაქე არ არის მოტივირებული დაიწყოს მუშაობა, იმის შიშით, რომ შემდეგ მას სახელმწიფომ სოციალური დახმარება არ მოუხსნას. არ არის მოტივირებული, რომ ელემენტარული საყოფაცხოვრებო პირობები გაიუმჯობესოს და ეს რა თქმა უნდა, კატასტროფაა. ... მთავრობამ უნდა გადავდგათ გაბედული და ქმედითი ნაბიჯები. ... მაქვს იდეა და ინიციატივა, რომ შევქმნათ საზოგადოებრივი სამუშაო ადგილების პროგრამა და ნაცვლად სოციალური დახმარებისა, ჩვენს შრომისუნარიან მოქალაქეებს შევთავაზოთ სამუშაო ადგილები. ასეთი საზოგადოებრივი სამუშაო ადგილები ჩვენ შეგვიძლია შევქმნათ ათასობით და ათიათასობით თითოეული ქალაქისთვის, მუნიციპალიტეტისთვის. ამაზე მუშაობა დაწყებული გვაქვს მთავრობის წევრებთან ერთად და მე მჯერა, რომ უახლოეს რამდენიმე კვირაში წარმოგიდგენთ ახალ სოციალურ ხედვას, პოლიტიკას, თუ როგორ უნდა შევცვალოთ არსებული, მე ვიტყოდი მანკიერი სისტემა ახალი, გაჯანსაღებული სისტემით. საზოგადოებას წარვუდგენთ პროგრამას, რომელიც ევროპის წარმატებულ ქვეყნებშია გამოცდილი. დღეის მდგომარეობით დაახლოებით 600 000 სოციალურად დაუცველი მოქალაქე გვყავს. აქედან მინიმუმ 200 000 შრომისუნარიანია. ისინი, არსებული სოციალური პოლიტიკის გამო, არ არიან მოტივირებული მოძებნონ სამუშაო. ვიცით, რომ ადამიანი თუ შეიძენს ტელევიზორს ან მაცივარს, ქულები აკლდება და უწყდება სოციალური დახმარება. ამიტომ, ჩვენ უნდა შევქმნათ ისეთი მოქნილი სისტემა, რომლის შედე-

გადაც ის დახმარება, რაც დღეს მათ ეძლევათ, ხელფასის სახით მიიღონ, ოღონდ კონკრეტული საზოგადოებრივი საქმიანობისთვის. ... მათ უნდა ჰქონდეთ თავისუფლება, რომ დამატებით იშოვონ ორი-სამი სამუშაო ადგილი და მეტი შემოსავალი შეიტანონ საკუთარ ოჯახებში. ეს უნდა იყოს ჩვენი მთავარი ამოცანა. ... ეს ახალი პროგრამა, მე ვფიქრობ, მთლიანად შეცვლის რეალობას და ჩვენ ახალ შრომის კულტურას ჩამოვაყალიბებთ. ყველას სურს სამუშაოს შოვნა, მაგრამ თუ სახელმწიფო პირობებს არ უქმნის, ეს, რა თქმა უნდა, დამაბრკოლებელი ბარიერია. ამ პროგრამის განხორციელებაში ჩვენ ჩავრთავთ პროფესიულ სასწავლებლებს, უამრავ სპეციალობაში მოხდება მოქალაქეების გადამზადება“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

პოლიტიკური იდეების არსებობა პოლიტიკური გადაწყვეტილებების საფუძველი ხდება, რაც გარკვეულ ქმედებებს განაპირობებს. ყველა პოლიტიკურ იდეას ის სოციალური და ისტორიული პირობები და პოლიტიკური ამბიციები აყალიბებს, რომელსაც ემსახურება. მარტივად რომ ვთქვათ, პოლიტიკური თეორია და პრაქტიკა ერთმანეთისგან განუყოფელია.



დავალება 10.1.


იმსჯელეთ:

- როგორ განწყობებს აყალიბებს მოქალაქეებში მთავრობის მეთაურის მიერ გაჟღერებული ეს იდეა? შეიძლება ჩაითვალოს, რომ ეს არის პოლიტიკური იდეა? რატომ? დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება.
- რამდენად არის ის რეალურად განსახორციელებადი იდეა? რა ზეგავლენას მოახდენს იგი ცხოვრებაში ადამიანებზე? საზოგადოებაზე? სახელმწიფოზე?
- რამდენად დიდი ცვლილებების მოხდენა შეუძლია ადამიანების ცხოვრების ერთ კონკრეტულ სფეროში დასახულ იდეათა კომპლექსურ განხორციელებას?

იდეების, შეხედულებების ერთობლიობა ქმნის იდეოლოგიას, რომელიც ადამიანების გარკვეულ ჯგუფში (მაგალითად, სახელმწიფოში) ან მიღებულია ნორმად ან შეიძლება იყოს აღიარებული. აქედან გამომდინარე, იდეოლოგიაც არ არის მხოლოდ გარკვეულ შეხედულებათა თუ ღირებულებათა სისტემა, რომელიც გავლენას ახდენს როგორც ინდივიდის ასევე მთლიანად საზოგადოების ცნობიერებაზე, ის ასევე არის პროცესი, ერთგვარი ცხოვრების წესიც კი, რომელიც კონკრეტულ ინდივიდს, საზოგადოებას თუ სახელმწიფოს უდგენს გარკვეულ ნორმებსა თუ წარმოდგენებს იმის თაობაზე, თუ როგორი უნდა იყოს ის სოციალური და პოლიტიკური წესრიგი, რომელშიც ინდივიდებს სურთ ცხოვრება. ამ გაგებით პოლიტიკური იდეოლოგიები ისტორიულად ყოველთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ინდივიდის ცნობიერების ფორმირების პროცესში, რაც საბოლოოდ სხვადასხვა ტიპის საზოგადოებისა და სახელწიფოს ჩამოყალიბებაზე აისახებოდა კაცობრიობის ისტორიული განვითარების სხვადასხვა ეტაპზე.

Don't Co

პოლიტიკური იდეოლოგია აღწერს სახელმწიფოს მართვისა და საზოგადოების მოწყობის სტილს, სახელმწიფოს/ხელისუფლებასა და ინდივიდს შორის ურთიერთობებსა და ურთიერთდამოკიდებულებას.



პოლიტიკურ იდეოლოგიებზე საუბრისას მართებულია, გავმიჯნოთ ერთმანეთთან დაპირისპირებული და ერთმანეთისაგან განსხვავებული იდეოლოგიები. აღსანიშნავია, რომ ნებისმიერი მსგავსი დაყოფა დიდწილად პირობითია და ნებისმიერი პარტიისა თუ ინდივიდის მსოფლმხედველობრივი მიკუთვნებულობა ინდივიდუალურ დონეზე განისაზღვრება. იდეოლოგიებს შორის მკაფიო ზღვარის გავლება საკმაოდ ძნელია. თუმცა, ტრადიციულად, პოლიტიკური იდეოლოგიები მემარჯვენე და მემარცხენე მიმდინარეობებად იყოფა იმის მიხედვით, რომელი ფასეულობები (ტრადიციული თუ ნოვაციური) მიიჩნევა ქვეყნის წინსვლის და მოქალაქეთა კეთილდღეობის უზრუნველყოფის მიღწევის საუკეთესო საშუალებად. ისტორიულად, ტერმინები მემარცხენე-მემარჯვენე საფრანგეთის რევოლუციის (1789 წ.) შემდგომ პერიოდს უკავშირდება – ახლადფორმირებულ ეროვნულ ასამბლეაში (პარლამენტი) სამეფო ვეტოს თაობაზე დებატებისას ვეტოს მომხრეები – დიდგვაროვნები და ეკლესიის წარმომადგენლები – დარბაზის მარჯვნივ, ხოლო მოწინააღმდეგეები – ბურჟუაზიის წარმომადგენლები, მარცხნივ იყვნენ განლაგებულნი.

Don't Copy

მემარცხენე იდეოლოგიები	ცენტრისტული	მემარჯვენე იდეოლოგიები
კლასიკური გაგებით, სოციალურ სამართლიანობაზეა დაფუძნებული და ძირითად ფასეულობებად სოციალურ თანასწორობას, სოლიდარობას და პროგრესულობას აღიარებს.	განსხვავებული პოლიტიკური აზროვნების, შეხედულებების, მიზნებისა და ამოცანების განვითარებასთან ერთად ხშირია სხვადასხვა იდეოლოგიდან აღებული ელემენტების გაერთიანება ახალ პოლიტიკურ მიმდინარეობებად, რომელიც ხშირად ცენტრისტულად მოიხსენიება, ვინაიდან ერთგვარად აერთიანებს და აბალანსებს მემარჯვენე და მემარცხენე იდეოლოგიებისმისწრაფებებს და ფასეულობებს.	ეროვნული, ტრადიციული ფასეულობების ირგვლივ კონცენტრირდება და შესაბამისად, უფრო კონსერვატიულია. მემარჯვენეები მხარს უჭერენ ძლიერ სახელმწიფოს, რომლის ქვაკუთხედსაც მორალური ფასეულობები, მართლწესრიგის დაცვა და ინდივიდუალური პასუხისმგებლობა წარმოადგენს.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი იდეოლოგიური მიმდინარეობებისა, ასევე გვხვდება რადიკალური დოქტრინები, რომლებიც ყველაზე ხშირად რადიკალიზმისა და დაპირისპირების საფუძვლად გვევლინება.

პოლიტიკური იდეები და იდეოლოგიები საზოგადოებრივ ცხოვრებაზე სხვადასხვაგვარად ზემოქმედებს. ისინი სამყაროს გაგებასა და ახსნის პერსპექტივას გვთავაზობს. ადამიანები სამყაროს ხედავენ არა ისეთს, როგორიც არის, არამედ ისეთს, როგორადაც ის წარმოუდგენიათ. ცნობიერად თუ არაცნობიერად, ყველა ადამიანი გარკვეულ პოლიტიკურ ღირებულებათა ერთობლიობის მიმდევარი ხდება, რაც მის ქცევაზე ზემოქმედებს. ამგვარად, პოლიტიკური იდეები და იდეოლოგიები სახავს ამოცანებს, რომლებიც პოლიტიკურ აქტივობას განაპირობებს. ამ მხრივ პოლიტიკოსები ორი სრულიად განსხვავებული გავლენის ქვეშ შეიძლება მოექცნენ. ყველა პოლიტიკოსი ძალაუფლებისკენ მიილტვის. ეს აიძულებს მათ, მიემხრონ ამომრჩევლისთვის სასურველ პოლიტიკასა და იდეებს, ან ისეთი ძლიერი სეგმენტის მხარდაჭერა მოიპოვონ, როგორებიცაა ბიზნესი და ჯარი.

სახელმწიფოებრივ ჭრილში, პოლიტიკა იმ იდეოლოგიების ნაერთია, რომლებიც მოიაზრებს როგორც სახელმწიფოს შიდა პროცესების მართვას ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ და სხვა სფეროებში, ასევე სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობასაც.

სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთი სტრატეგია ეკლესიისა და სახელმწიფოს, რელიგიისა და მთავრობის ერთმანეთისგან გამიჯვნაა, რასაც სეკულარიზმს უწოდებენ. სეკულარიზმის მომხრეები მიიჩნევენ, რომ

პოლიტიკური დოქტრინა სახელმძღვანელო თეორიული, სამეცნიერო, ფილოსოფიური ან პოლიტიკური პრინციპები. ამა თუ იმ ქვეყნის პოლიტიკური დოქტრინა გამოხატავს სახელმწიფოს ოფიციალურ შეხედულებებსა და დებულებებს, რომლებშიაც ასახულია მოცემული ქვეყნის პოლიტიკური მიზნები და ამოცანები, შერჩეულია მოკავშირეები და ამ ამოცანების გადაწყვეტის გზები შორ, საშუალო და ახლოვადიან პერსპექტივაში.

DOKUMENTO

პოლიტიკოსები გადაწყვეტილებებს უნდა იღებდნენ საერო და არა რელიგიური მიზეზების გამო. თითოეულმა სახელმწიფომ შესაძლოა მისთვის შესაფერისი, უნიკალური მეთოდი, გზა მოძებნოს ამ პოლიტიკის განსახორციელებლად. ეს გზები შესაძლოა გულისხმობდეს რელიგიური გაერთიანებების რეგისტრირებასა და ფრთხილ მონიტორინგს, ასევე, მათი უფლებამოსილებების განსაზღვრას. სახელმწიფოში რელიგიური თავისუფლების იდეაზე დიდი გავლენა იქონია ინგლისელი ფილოსოფოსის – ჯონ ლოკის ნაშრომებმა, რომელიც „ტოლერანტობის შესახებ“ მსჯელობდა რელიგიურ შემწყნარებლობასთან მიმართებით. მისი აზრით, მთავრობა თანაბრად, გაგებით უნდა მოეკიდოს ყველა მოქალაქეს, ყველა რელიგიას. ეს გულისხმობს რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის აღმოფხვრას, რელიგიური უმცირესობების უფლებების დაცვას სახელმწიფოში, თუმცა, სეკულარულ სახელმწიფოდ შესაძლებელია მივიჩნიოთ როგორც დემოკრატიული, ასევე ავტორიტარული რეჟიმები.

კონსტიტუციურად სეკულარულ სახელმწიფოებად მიიჩნევა აშშ, საფრანგეთი, მექსიკა, სამხრეთ კორეა და სხვა არაერთი სახელმწიფო, თუმცა არც ერთ მათგანს არ აქვს მმართველობის იდენტური ფორმები რელიგიასთან მიმართებაში. მაგალითად, ინდოეთში სეკულარიზმი მოიცავს სახელმწიფოს მონაწილეობას რელიგიურ საქმიანობაში, ხოლო საფრანგეთში, სეკულარიზმი კატეგორიულად გამორიცხავს ეკლესიის საქმეებში სახელმწიფოს რაიმე სახით ჩარევას.


პოლიტიკურად მომქმედი პირია ნებისმიერი მოქალაქე, რომელიც ქვეყანაში მიმდინარე პროცესებში მონაწილეობს. ტრადიციულად, საერთო იდეოლოგიის მქონე ადამიანები ქმნიან პოლიტიკურ პარტიებს. პოლიტიკური პარტია არის ორგანიზაცია, რომელსაც აქვს იდეოლოგია და ამბიცია ძალაუფლების მიღებისა საკუთარი იდეების პრაქტიკულად განსახორციელებლად. პარტიის იდეოლოგია კი სასურველი მომავლის შექმნის მთლიანი სისტემაა.

პოლიტიკურ იდეოლოგიას ორი პარამეტრი აქვს:

1. მიზნები – როგორ უნდა იყოს ორგანიზებული საზოგადოება;
2. მიზნების მიღწევის მეთოდები – ყველა შესაფერისი გზა მის მისაღწევად.

ამ ორი პარამეტრის მიხედვით შესაძლოა იდეოლოგიებს შორის მსგავსებისა და განსხვავების აღმოჩენა.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება მემარჯვენე და მემარცხენე იდეოლოგიებს შორის ქონების ფლობაზე მათი შეხედულებაა.



DO NOT COPY



დავალება 10.2.

გაიხსენეთ სახელმწიფოს ეკონომიკური სისტემები. **იმსჯელეთ,** რომელი იდეოლოგიის გამტარებლები არიან თქვენთვის ცნობილი სახელმწიფოები თავიანთი ეკონომიკური სისტემებით: მემარჯვენესი თუ მემარცხენესი?

ზოგადად, ეკონომიკური განვითარების თეორიებზე დაყრდნობით გამოყოფენ სამ ძირითად პოლიტიკურ იდეოლოგიას:

მემარჯვენე პარტიების ეკონომიკური იდეოლოგია, ხასითდება, როგორც ლიბერალური ან ლიბერტარიანული, რაც გულისხმობს რომ სახელმწიფო არ, ან მინიმალურად, უნდა ერეოდეს ეკონომიკის რეგულირებაში. მათი რწმენით, გადასახადების შემცირება ყველაზე მეტად უწყობს ხელს ახალი ინვესტიციების მოზიდვას და ბიძგს აძლევს ეკონომიკურ ზრდას, რაც თავისთავად უზრუნველყოფს სამუშაო ადგილების შექმნას და მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გააუმჯობესებას.

მემარცხენე პარტიების ეკონომიკური იდეოლოგია ხასიათდება, როგორც სოციალისტური ან უკიდურესად სოციალისტური, რიგ შემთხვევებში, კომუნისტურიც. ისინი ემხრობიან გადასახადების გაზრდას, რაც ხელს უწყობს სოციალური პროგრამების სპექტრის გაფართოებასა და სოციალური თანასწორობის მიღწევას.

ცენტრისტული: პარტიის ეკონომიკური იდეოლოგია ხასიათდება, როგორც დაბალანსებული, არამკვეთრ ცვლილებებზე ორიენტირებული და განვითარების ევოლუციური მიდგომის მომხრე. ეს არის წამყვანი იდეოლოგია დასავლეთ-ევროპულ ქვეყნებში, რომელთა ამოსავალი წერტილი არის არა სწრაფი ეკონომიკური ზრდა, არამედ სოციალური სამართლიანობა.

ზოგადად, პოლიტიკური იდეოლოგიების და მიმდინარეობების ნებისმიერი კლასიფიკაცია პირობითია და მხოლოდ ძირითად ტენდენციებს ასახავს. თუმცა უმეტესობა ადამიანებისა არცერთ იდეოლოგიას ბოლომდე არ იზიარებს და სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული მიდგომები აქვს. ამიტომ პოლიტიკური აზროვნებისა და დოქტრინების განვითარებასთან ერთად ხშირია სხვადასხვა იდეოლოგიის გადაკვეთა ან მათგან აღებული ელემენტების გაერთიანება ახალ პოლიტიკურ მიმდინარეობებად, რომელიც ხშირად ცენტრისტულად მოიხსენიება, ვინაიდან ერთგვარად აერთიანებს და აბალანსებს კონსერვატორებისა და ლიბერალების მისწრაფებებს და ფასეულობებს. ამდენად, იდეოლოგია იდეებისა და აზროვნებათა მიმართულებების სხვადასხვაგვაროვნების ერთგვარი სისტემაა, რომელიც პოლიტიკური ქმედებების საყრდენია. ის მიზნად ისახავს არსებული ძალაუფლების შენარჩუნებას, სახეცვლილებას ან დამხობას.



დავალება 10.3.

- დანართ 4-ში (გვ. 231) გაეცანით ცხრილში (იდეოლოგიები და მათი ხედვები) მოცემულ ინფორმაციას, სადაც აღწერილია ძირითადი იდეოლოგიების ხედვა: თავისუფლების, დემოკრატიის, ადამიანის ბუნების, საზოგადოების, თანასწორობის, ეკონომიკის, ერის, სახელმწიფოს, ხელისუფლების, გენდერის, ბუნების, რელიგიის

Don't Copy

და ისტორიის შესახებ.

- შეადარეთ ერთმანეთს ორი, თქვენთვის საინტერესო იდეოლოგიის, მაგალითად, სოციალიზმის და ლიბერალიზმის, მახასიათებლები. შედარება გაგიადვილდებათ, თუ ცხრილის ფორმას გადაიტანთ რვეულში და შეავსებთ.

ხედვა	იდეოლოგია	
თავისუფლების შესახებ		
დემოკრატიის შესახებ		
ადამიანის ბუნების შესახებ		
საზოგადოების შესახებ		
თანასწორობის შესახებ		
ეკონომიკის შესახებ		
ერის შესახებ		
სახელმწიფოს შესახებ		
ხელისუფლების შესახებ		
გენდერის შესახებ		
ბუნების შესახებ		
რელიგიის შესახებ		
ისტორიის შესახებ		


- დაფიქრდით თქვენ მიერ შერჩეულ სახელმწიფოებზე. მაგ. სოციალისტური და ლიბერალური იდეოლოგიების მქონე სახელმწიფოებზე.
- გააანალიზეთ მათი უპირატესობები, როგორც პირადად თქვენი, ასევე საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებების, განვითარების თავისუფლების, უსაფრთხოების, ეკონომიკის, სოციალური და სხვა თვალსაზრისით.
- დაუკვირდით, პირადად თქვენი და საზოგადოების ინტერესები რამდენად ემთხვევა ერთმანეთს? თუ წინააღმდეგობაშია, რომლის სასარგებლოდ გააკეთებდით არჩევანს? რატომ?
- გადაწყვიტეთ, რომელი სახელმწიფოს იდეოლოგიური მოდელი უფრო მოგწონთ? რატომ?

მოძებნეთ კლასში თანამოაზრეები, დაჯგუფდით, გაუზიარეთ ერთმანეთს თქვენი ნაშრომები. ერთ დოკუმენტში ჩამოაყალიბეთ თქვენი მოსაზრებები. ჯგუფიდან შეარჩიეთ სპიკერი, რომელიც კლასის წინაშე გააკეთებს თქვენი დოკუმენტის პრეზენტაციას.

პოლიტიკური იდეოლოგიების ჩამოყალიბების პარალელურად საუკუნეების მანძილზე იქმნებოდა პოლიტიკური მოძრაობებიც. ქალთა მრავალსაუკუნოვანმა დისკრიმინაციამ, ისტორიულმა უსამართლობამ, პატრიარქალურმა წყობამ, მამაკაცის დომინირების უალტერნატივობის მტკიცებამ განაპირობა ქალთა უფლებების საკითხზე თეორიების შექმნა.

ტერმინი „ფემინიზმი“, (ლათ. femina - ქალი), პირველად 1895 წელს გამოიყენეს, რო-

Don't Copy! ეს წიგნი ჩანერე!



მერი უილსტონკრაფტი (1759-1797 წ.წ.)
ინგლისელი მწერალი, ფილოსოფოსი

გორც ქალთა მოძრაობის აქტივისტების იდეოლოგიის აღმნიშვნელი სიტყვა, თუმცა, ქალთა უფლებებისათვის მოძრაობას ბევრად ადრე ჩაეყარა საფუძველი. მე-19 საუკუნის ბოლოს პარიზელმა ოლიმპია დე გუჟმა გამოაქვეყნა ,,ქალისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია“. ამ დროს ინგლისში მერი უილსტონკრაფტი აქვეყნებს წიგნს ,,ქალის უფლებათა დაცვა“, ხოლო გერმანიაში გამოდის თეოდორ ფონ გიპელის ნაშრომი ,,ქალთა სამოქალაქო მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ“.

უდიდესმა ჰუმანისტმა მაჰათმა განდიმ თავისი რეფორმების გატარება სწორედ ქალთა უფლებების წინ წამოწევით დაიწყო. ფემინიზმი საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობად ჩამოყალიბდა. მისი მიზანი ქალებისთვის ყველა სამოქალაქო უფლების მინიჭება, საზოგადოებრივ სფეროში ქალის და კაცის თანასწორუფლებიანობა, ქალის დისკრიმინაციის აღმოფხვრა იყო.

პოლიტიკის მამოძრავებელი ძალა პოლიტიკური იდეოლოგიაა. ფემინისტურმა მოძრაობამ თავისი ნიშა თავდაპირველად ნახა ლიბერალიზმში, შემდგომ სოციალიზმში, ხოლო მე-20 საუკუნის მიწურულს კი რადიკალიზმში.

ფემინიზმის პირველ ტალღად მე-19 საუკუნის მეორე ნახევარი და მე-20 საუკუნის დასაწყისი (1850-1920 წლები) მიიჩნევა. პირველი ტალღის ფემინიზმისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ქალებისათვის პოლიტიკური (საარჩევნო) უფლებების, განათლებაზე ხელმისაწვდომობის, კერძო საკუთრების ფლობის, განქორწინების უფლებისთვის ბრძოლა. თუმცა, პირველი ტალღის ფემინიზმი ყველაზე მეტად ქალებისათვის საარჩევნო ხმის უფლებისთვის ბრძოლით არის ცნობილი. სწორედ ამიტომ, პირველი ტალღის ფემინიზმს ხშირად სუფრაჟიზმის (Suffrage - ხმის მიცემის უფლება) სახელითაც მოიხსენიებენ. ხმის მიცემის უფლება ქალების უფლებებისთვის ბრძოლის გამაერთიანებელი მიზანი გახდა მრავალ ქვეყანაში, რადგან სამართლებრივი, საგანმანათლებლო თუ ეკონომიკური ცვლილებებისთვის ბრძოლა, პოლიტიკური უფლებების მოპოვების გარეშე, შეუძლებელი იყო. სუფრაჟისტების პირველი გამარჯვება იყო 1893 წელს ახალ ზელანდიაში ქალებისთვის ხმის მიცემის უფლების მოპოვება. პირველი მსოფლიო ომის პერიოდში ქალებმა ოცზე მეტ ევროპულ ქვეყანაშიც მოიპოვეს იგივე უფლება, მათ შორის პირველი იყო ფინეთი (1906). ამერიკის შეერთებულ შტატებში სუფრაჟისტების გამარჯვების თარიღი 1920 წელია. მე-20 საუკუნის 20-იანი წლებიდან ქალთა მოძრაობამ შესუსტება დაიწყო.



ბეტი ფრიდანი (1921-2006 წ.წ.)

ფემინისტური მოძრაობის მეორე ტალღად მეოცე საუკუნის 60-იანი წლებიდან 90-იან წლებამდე პერიოდის ფემინისტური მოძრაობის გააქტიურება მიიჩნევა,

DonTCopy

რომელსაც ხშირად განმათავისუფლებელ მოძრაობასაც უწოდებენ. ფემინისტური მოძრაობის მეორე ტალღა ემთხვევა დასავლურ კულტურაში 1960-70-იან წლებში მიმდინარე ახალ სოციალურ მიმდინარეობებს. ქალთა პროტესტი ისევ სქესობრივ უთანასწორობაზეა მიმართული, მაგრამ აქცენტი უკვე არა მხოლოდ პოლიტიკურ უფლებებზე კეთდება, არამედ ისეთ ასპექტებზეც, როგორიცაა ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა სამართლებრივი დაცვა, სექსუალურ ძალადობასთან ბრძოლა, განქორწინების უფლება, ჯანდაცვის გაუმჯობესება. გარდა ამისა, მეორე ტალღის ფემინისტები იბრძოდნენ დასაქმების ტრადიციულად „მამაკაცურ“ სფეროებში ქალების დაშვებისთვის და ერთნაირ სამუშაოზე თანაბარი ანაზღაურებისთვის, საოჯახო საქმის, როგორც ეკონომიკურად მნიშვნელოვანი შრომის აღიარებისთვის, საოჯახო საქმისა და ბავშვის აღზრდის პასუხისმგებლობის პარტნიორებს შორის თანაბრად გადანაწილებისთვის, რაც ოჯახის ბორკილებისაგან ქალის გათავისუფლებას ისახავდა მიზნად.

ფემინიზმის მეორე ტალღისა და ლიბერალური ფემინიზმის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია ბეტი ფრიდანი - ამერიკელი აქტივისტი და ჟურნალისტი. მან მეოცე საუკუნის 50-იან წლებში დაიწყო ქალთა ჟურნალებისთვის სტატიების წერა.

ფრიდანის ყველაზე ცნობილი შრომაა „ქალურობის გამოცანა“ (The Feminine Mistique, 1963), რომელსაც ლიბერალური ფემინიზმის კლასიკურ ნაშრომად მიიჩნევენ. ხშირად ფიქრობენ, რომ სწორედ „ქალურობის გამოცანამ“ ჩაუყარა საფუძველი 60-70-იანი წლების ქალთა განმათავისუფლებელ მოძრაობას. 1966 წელს ფრიდანის ხელშეწყობით დაარსდა ქალთა ნაციონალური ორგანიზაცია და მისი პირველი ხელმძღვანელი გახდა. ეს ორგანიზაცია იქცა მძლავრ ძალად და უმსხვილეს ქალთა ორგანიზაციად მსოფლიოში.

„ქალურობის გამოცანაში“ ფრიდანი აღწერს იმ ქალების იმედგაცრუებას, რომელთაც განათლება მიიღეს, მაგრამ ოჯახური მოვალეობებისა და როლების ტყვეობაში აღმოჩნდნენ. ფრიდანს ეკუთვნის ფრაზა „პრობლემა, რომელსაც სახელი არ აქვს“, რომლითაც ის აღნიშავს პრობლემას, რომლის წინაშეც იდგნენ საზოგადოების კონკრეტული ჯგუფის წარმომადგენლები: პრესტიჟულ კოლეჯში განათლებამიღებული, დაოჯახებული, მაღალი, ან საშუალო კლასის თეთრკანიანი ქალები.

დასავლეთის ქვეყნებში ლიბერალური ფემინიზმის წარმომადგენლებზე დიდი გავლენა იქონია ბეტი ფრიდანის ნაშრომმა. მან ბევრი ქალი წაახალისა, ოჯახური სივრციდან საჯარო სივრცეში გასულიყო, თუმცა წიგნი ფემინისტმა თეორეტიკოსებმა და ქალთა უფლებების აქტივისტებმა გააკრიტიკეს. მაგალითად, ფემინისტი თეორეტიკოსის ბელ ჰუქსის აზრით, ფრიდანი არ ეხება ქალების უნივერსალურ პრობლემას, ავტორი მხოლოდ თეთრკანიანი, მაღალი ან საშუალო კლასის წარმომადგენელი დედებისა და ცოლების პრობლემებზე კონცენტრირდება, თითქოს სხვა რასისა და კლასის ქალები – ქალები, რომლებიც ყველაზე მეტად არიან ჩაგრულნი და რეპრესირებულნი – საერთოდ არ არსებობდნენ.

ფემინიზმის მესამე ტალღას უწოდებენ ფემინისტურ აქტივიზმს მეოცე საუკუნის 90-იანი წლებიდან დღემდე. მესამე ტალღის ფემინისტური აქტივიზმის გამორჩეული მახასიათებელია პროტესტის პირდაპირი, თამამი გამოხატვა და მსხვერპლის პოზიციაზე უარის თქმა. ამავდროულად, მას ახასიათებს კულტურული აქტივიზმით დაინტერესებაც. მესამე ტალღის ფემინისტები განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ პოპულარულ მედიაში, ტელევიზიაში, მუსიკაში, ფილმსა თუ ლიტერატურაში გენდერული თანასწორობის საკითხების წარმოჩენას.

DO NOT COPY

დავალება 10.4.

- დანართ №4-ში (გვ. 226) გაეცანით ძირითად იდეოლოგიებს და მათ ხედვას. საჭიროების შემთხვევაში მოიძიეთ დამატებითი ინფორმაცია. მოინიშნეთ იდეოლოგიები, რომლებიც დემოკრატიის პრინციპებისა და ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით მნიშვნელოვნად მიგაჩნიათ.
- თქვენი აზრით, რომელი იდეოლოგია უფრო მეტად პასუხობს მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებას.
- იმსჯელეთ ცალკეული იდეოლოგიის შესახებ. რა ზეგავლენა მოახდინა თითოეულმა მათგანმა კაცობრიობის განვითარებაზე? მსჯელობის შედეგების მიხედვით შეარჩიეთ ერთ-ერთი, თქვენთვის ყველაზე საინტერესო.
- კლასში შექმენით საერთო ინტერესების მქონე მოსწავლეთა ჯგუფები და იფიქრეთ ახალი პოლიტიკური პარტიის/მოძრაობის შექმნაზე.



კატო (ეკატერინე) მიქელაძე
(1878 - 1942 წ.წ.)

„ხმა ქართველი ქალისა“

ბევრ ევროპულ ქვეყანაში, ქალთა ემანსიპაციისთვის ბრძოლა განათლების უფლების მოთხოვნით დაიწყო, რაც მოგვიანებით პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებებისთვის ბრძოლაში გადაიზარდა. 1910-იანი წლებიდან საქართველოშიც გაძლიერდა ქალთა მოძრაობა – ქალებმა ამჯერად პოლიტიკური უფლებების მოთხოვნა დაიწყეს. საქართველოში ამ ბრძოლას სათავეში ედგა ფემინისტი და პუბლიცისტი კატო მიქელაძე, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ქალთა პოლიტიკურ გააქტიურებას.

1910 წლიდან კატო ჩაირიცხა ბრიუსელში, სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე. კატო იქ საფუძვლიანად გაეცნო მაშინდელ აქტუალურ თეორიულ მიმდინარეობებს და განსაკუთრებით ფემინიზმით დაინტერესდა. სწავლის დასრულების შემდეგ ქუთაისში

დაბრუნდა, სადაც მაშინვე წამოიწყო ფემინისტური მოქმედება და თანამოაზრეების შემოკრება. 1916 წლიდან კატო უკვე კითხულობდა საჯარო ლექციებს ქალთა პოლიტიკურ და სამოქალაქო უფლებებზე. კატო მიქელაძის არაჩვეულებრივ ორატორულ უნარს ბევრი მისი თანამედროვეც აღნიშნავდა. 1916 წელს მან დააარსა ქალთა პოლიტიკური კლუბი „ქალთა ლიგა“, მომდევნო წელს კი მისი რედაქტორობით საქართველოში პირველი ფემინისტური გაზეთი – „ხმა ქართველი ქალისა“ გამოიცა. გაზეთი 1917-1918 წლებში

გამოდიოდა. გაზეთი იყო ღიად ფემინისტური და არც ერთ მაშინდელ პარტიას არ ემხრობოდა. მიქელაძე მიიჩნევდა, რომ იმ პირობებში შეუძლებელი იყო ქალთა საკითხები ერთი რომელიმე კონკრეტული პარტიით ან მისი პროგრამით შემოფარგლულიყო, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე მთლიანად კაცებისგან შემდგარ პარტიებს ეხებოდა. მიქელაძის განცხადებით, არსებობდა „სპეციალური დედაკაცური ინტერესი“, რომლის რეალურ ცხოვრებაში გატარება ქალების სოციალური და პოლიტიკური გაძლიერების საშუალებით მოხდებოდა. გაზეთი ქალებს მოუწოდებდა ძალისხმევა მიემართათ „სწორუფლიანობის“ მისაღწევად, ამისთვის კი ქალთა გაერთიანება იყო საჭირო.


„... ქალები, მართლაც რომ კონსერვატორები ვართ. ჩვენ გვძულს და გვეზიზღება სისხლის ღვრა, არა მისთვის, რომ მას ვერ შევძლებთ (ჯერ ისეთი არაფერი არ მოუხდენია მამაკაცს, რაც ქალს არ შესძლებოდეს), არამედ მისთვის, რომ ჩვენს კაცთმოყვარე ბუნებას ის სძაგს... ასეთი ზნეობრივი ანგარიშით იმის თქმა არავის შეუძლია, რომ ქალები მოკლებული ვიყოთ უმაღლეს იდეალს და მხოლოდ დღიურ ჭირვარამზე ვზრუნავდეთ. მხოლოდ როცა ჩვენ ვისახავთ მიზნათ რთულსა და საზოგადო მნიშვნელოვანს საკითხს, ჩვენ გვსურს მისდა განსახორციელებლათ ნიადაგიც მომზადებული იყოს, და როცა ასეთს დავინახავთ, იქ არც თავის განწირვას დავერიდებით...“ - კატო მიქელაძე

გაზეთი ძალიან კარგი საშუალება იყო ქვეყნის ფარგლებში ინფორმაციის გასავრცელებლად, რაც ქალთა კონსოლიდაციას უწყობდა ხელს. გაზეთის რედაქციას უკავშირდებოდნენ ქალები საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან.

„ხმა ქართველი ქალისა“ მრავლფეროვანი იყო თავისი შინაარსით და აქტიურად ეხმაურებოდა მიმდინარე მოვლენებს – გვთავაზობდა მაშინდელი, ისტორიულად ძალიან მნიშვნელოვანი, პროცესების ფემინისტურ ხედვას, მათ შორის, პირველ რიგში, იმ მოვლენებისას, რომლებიც პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის პირობებში მიმდინარეობდა. პუბლიცისტიკასთან ერთად გაზეთში ასევე იბეჭდებოდა მხატვრული ტექსტები, რომელიც შინაარსით ასევე ფემინისტური იყო და ქალთა მდგომარეობას ასახავდა.

„ხმა ქართველი ქალისა“ ასახავდა მნიშვნელოვან საერთაშორისო მოვლენებსაც. ევროპულ და ამერიკულ ფემინისტურ მოძრაობას, ქალთა რევოლუციურ აქტივიზმს რუსეთში და ა.შ. აქ ნახავდით სხვადასხვანაირ რუბრიკას, ახალი ამბების განყოფილებას, საავტორო სვეტებს, თარგმანებს. გაზეთი პოპულარული იყო და ბევრ ქალაქში ვრცელდებოდა. მკითხველიც აქტიურად თანამშრომლობდა რედაქციასთან. გაზეთს თავისი არსებობის მანძილზე ბევრი წინააღმდეგობა ხვდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ კატო მიქელაძე ბოლომდე იბრძოდა მის შესანარჩუნებლად, ბევრი იდეოლოგიური თუ ტექნიკური ბარიერის გამო გაზეთი 1918 წელს დაიხურა.

საქართველოს დამოუკიდებლობის სამმა წელმა ქალთა პოლიტიკური უფლებებისთვის ბრძოლა კიდევ უფრო გააძლიერა. მიქელაძეს მიაჩნდა, რომ საქართველოს განთავისუფლებასთან ერთად ქართველი ქალის განთავისუფლებაც უნდა მომხდარიყო, ქალებს პოლიტიკურ და სამოქალაქო ასპარეზზე გამოსვლის მეტი საშუალება უნდა მისცემოდათ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ სტრუქტურული და კულტურული ბარიერები ჯერ კიდევ ძლიერი იყო და ქალებს პირველი რესპუბლიკის პირობებშიც დიდი ძალისხმევა და ბრძოლა სჭირდებოდათ საკუთარი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.


საქართველოს
კონსტიტუცია
მიღებული საქართველოს დამფუძნებელი კრების მიერ
1921 წლის თებერვლის 21.

კატო მიქელაძის შეხედულებები ქალთა პოლიტიკურ და სხვა უფლებებზე მჭიდროდ უკავშირდებოდა და ნათლად ასახავდა მაშინდელი საერთაშორისო ფემინისტური მოძრაობის იდეებს, თუმცა ქართველი ფემინისტი იმავდროულად ითვალისწინებდა ადგილობრივ პოლიტიკურ და ეკონომიკურ კონტექსტს და ამ პოზიციიდან აკრიტიკებდა ძალაუფლების არათანაბარ გადანაწილებას, მამაკაცთა პრივილეგიებს და ქალთა დაქვემდებარებულ მდგომარეობას. ის აქტიურად მოუწოდებდა ქალებს გაერთიანებისკენ.


კატო მიქელაძის ხელმძღვანელობით ქალთა მოძრაობის ძალისხმევამ შედეგიც გამოიღო.

მაშინ, როდესაც ევროპის ქვეყნებში ქალები საარჩევნო უფლებისთვის იბრძოდნენ, 1919 წელს ჩატარებულ საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნებში სხვადასხვა პარტიის სახელით კენჭს 17 ქალი იყრიდა, რომელთაგან ხუთი წევრად აირჩიეს: ქრისტინე შარაშიძე, ანა (ოლა) სოლოღაშვილი, ელეონორა ტერ-ფარსეგოვა-მახვილაძე, ელისაბედ ნაკაშიძე-ბოლქვაძე, მინადორა ორჯონიკიძე-ტოროშელიძე.

1921 წლის საქართველოს კონსტიტუციაში კი დაფიქსირდა ჩანაწერი: „ორივე სქესის მოქალაქე თანასწორია როგორც პოლიტიკური, ისე სამოქალაქო, ეკონომიური და საოჯახო უფლებებით," რაც ქალთა უფლებების აღიარების თვალსაზრისით ძალზედ პროგრესული ნაბიჯი იყო.

დავალება 10.5.

- რა არის ფემინისტურ მოძრაობაში ყველაზე მნიშვნელოვანი დღეს?
- ჩამოაყალიბე სლოგანი, რომელიც ქალთა უფლებების დაცვისკენ მოუწოდებს საზოგადოებას.



ბენჯამინ ფრანკლინი (1706-1790 წ.წ.) – პოლიტიკოსი, მეცნიერი, დიპლომატი, გამომგონებელი, მწერალი, ჟურნალისტი, გამომცემელი, ამერიკის რევოლუციის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი.

ბენჯამინ ფრანკლინმა ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა ახალი ამერიკული სახელმწიფოს დაფუძნების საქმეში. მსოფლიო მშვიდობის საბჭოს გადაწყვეტილებით ბენჯამინ ფრანკლინი კაცობრიობის ყველაზე გამორჩეულ წარმომადგენელთა სიაში შეიყვანეს. მას მიანიჭეს „მე -18 საუკუნის პირველი მოქალაქის“ საპატიო წოდება.

ფრანკლინი ერთ-ერთია ამერიკის შეერთებული შტატების ფუძემდებლებიდან, რომელმაც ხელი მოაწერა სამ უმნიშვნელოვანეს ისტორიულ დოკუმენტს – დამოუკიდებლობის დეკლარაციას, საფრანგეთთან ალიანსის ხელშეკრულებას, პარიზის ხელშეკრულებას და კონსტიტუციას. ამით მან საფუძველი ჩაუყარა ამერიკის შეერთებულ შტატებს, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოს.

ფრანკლინი მთელი სიცოცხლის განმავლობაში იბრძოდა დემოკრატიისთვის, თავისუფლებისა და ადამიანის უფლებებისთვის, ამას მოწმობს რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტი მისი ცხოვრებიდან, მაგალითად, 1736 წელს ფრანკლინი ფილადელფიაში გენერალური ასამბლეის წარმომადგენლად აირჩიეს. ამ პოზიციიდან ის ძალიან აქტიურად იღვწოდა ამერიკის დამოუკიდებლობისთვის; მან მონაწილეობა მიიღო ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის დაწერაში, ჯონ ადამსთან და თომას ჯეფერსონთან ერთად.

1776 წელს ბენ ფრანკლინი გაემგზავრა საფრანგეთში. მან შემდეგი რამდენიმე წელი გაატარა საფრანგეთში ამერიკის რევოლუციის მხარდაჭერისთვის. 1778 წელს საფრანგეთი შეუერთდა კოლონიებს ინგლისის წინააღმდეგ ბრძოლაში. საფრანგეთთან კავშირი იყო ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი ამერიკის გამარჯვებისთვის. ფრანკლინი მთელი ომის განმავლობაში საფრანგეთში რჩებოდა. 1783 წელს წარმატებული მოლაპარაკებები გამართა საფრანგეთის ხელისუფლებასთან, რომლის შედეგადაც ხელი მოეწერა სამშვიდობო ხელშეკრულებას, რამაც ფორმალურად დაასრულა ამერიკის 13 კოლონიის ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის.


ფრანკლინი საფრანგეთიდან შეერთებულ შტატებში დაბრუნდა 1785 წელს. ამავე წელს იგი აირჩიეს პენსილვანიის გუბერნატორად; მისი ამ თანამდებობაზე ყოფნის დროს ბევრად გაუმჯობესდა ქალაქის მოსახლეობის ცხოვრების სოციალური პირობები. ამ პერიოდში მან აქტიური მუშაობა დაიწყო შავკანიანთა უფლებების აღიარებისთვის. ორი წლის შემდეგ კი, 1787 წელს, კი ის უკვე

აქტიურად იბრძვის მონობის გაუქმებისათვის.


ბენჯამინ ფრანკლინი

1790 წელს, გარდაცვალებამდე რამდენიმე დღით ადრე, როგორც ფერადკანიანთა მონობისგან განმათავისუფლებელი საზოგადოების თავმჯდომარემ, ფრანკლინმა კონგრესს მიმართა პეტიციით, რომლითაც ითხოვდა შავკანიანთა მონობის გაუქმებას. წერილმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა. კონგრესის მორიგ სხდომაზე დადგინდა მრავალი მაკომპენსირებელი კანონი. თუმცა ამ პეტიციით საბოლოო შედეგი ვერ იქნა მიღწეული. კონგრესზე მრავალი ადამიანი აღმოჩნდა მონათა ვაჭრობის მომხრე. ფრანკლინმა საფუძველი ჩაუყარა შავკანიანთა უფლებების დაცვისათვის ბრძოლას, რამაც მოგვიანებით დიდი რეზონანსი გამოიწვია არა მხოლოდ ამერიკაში, არამედ მთელ მსოფლიოში.

მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე ბენჯამინ ფრაკლინი იღვწოდა ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური ცხოვრების გაუმჯობესებისთვის. ამ ღვაწლის აღსანიშნავად მისი გამოსახულება 100 აშშ დოლარის კუპიურაზეა დატანილი.




გრიგოლ ლორთქიფანიძე (1881 – 1937 წწ.) — პოლიტიკური, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე.

1918-1920 წწ. საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წევრი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგანგებო რწმუნებული, მთავრობის სამხედრო საკითხთა ჯგუფის წევრი.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობაში გრიგოლ ლორთქიფანიძეს იმთავითვე საპასუხისმგებლო თანამდებობა ეჭირა. ის განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა დამოუკიდებელი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას, აქტიურად მონაწილეობდა სახალხო გვარდიის ორგანიზაციულად გაძლიერებაში, საჯარისო ნაწილების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებაში. ამ მხრივ მისი მოღვაწეობა იმდენად თვალსაჩინო იყო, რომ 1920 წელს საქართველოს სამხედრო მინისტრად დანიშნეს. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელმა კრებამ მას, ამასთან ერთად, რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილეობა დააკისრა. 1920-1921 წლებში მას განათლების მინისტრის თანამდებობაც ეკავა.

1921 წლის მარტში, მას შემდეგ რაც, საქართველოში წითელი არმია შემოვიდა და საქართველოს იმდროინდელი მთავრობა საზღვარგარეთ წასასვლელად ემზადებოდა, გრიგოლ ლორთქიფანიძე ბოლშევიკებთან მოსალაპარაკებლად თბილის-



გრიგოლ ლორთქიფანიძე საქართველოს დე-იურე აღიარების ზეიმზე. 1921 წლის 6 თებერვალი.

ში დარჩა. საქართველოს რევოლუციური კომიტეტი (რევკომი) რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარისგან კაპიტულციას მოითხოვდა. რესპუბლიკის დამფუძნებელი კრება კაპიტულაციაზე უარს აცხადებდა. კომუნისტებთან მოლაპარაკებებზე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგანგებო რწმუნებულად გრიგოლ ლორთქიფანიძე დაინიშნა. მოლაპარაკებებზე ლორთქიფანიძე ძირითად აქცენტს ოსმალეთის მხრიდან მცოცავ ანექსიაზე აკეთებდა, რომელიც თანდათან ზემოთ მოიწევდა და ბათუმის ოლქს იპყრობდა.

1921 წლის 18 მარტს, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მხრიდან გრიგოლ ლორთქიფანიძემ და რევკომის წარმომადგენელმა მამია ორახელაშვილმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას საომარი მოქმედებების შეწყვეტის შესახებ, რომლის თანახმად საქართველოს დემოკრატიული მთავრობა ერთადერთ კანონიერ ხელისუფლებად რჩებოდა. ამდენად საქართველომ არ ცნო ბოლშევიკური მთავრობა, არ გამოაცხადა კაპიტულაცია.

გრიგოლ ლორთქიფანიძე ემიგრაციაში არ წავიდა, საქართველოში დარჩა მთავრობის სრულუფლებიანი რწმუნებით. მან და გენერალმა გიორგი მაზნიაშვილმა ერთგული იუნკრების, გვარდიელებისა და ადგილობრივი მოსახლეობის აქტიური მხარდაჭერით სასტიკი ბრძოლებით განდევნეს თურქი ასკერები ბათუმის ოლქიდან!

გრიგოლ ლორთქიფანიძე 1921 წელს დააპატიმრეს კომუნისტებმა, 1921-1922 წლებში ის მეტეხის ციხის პატიმართა კომიტეტს ხელმძღვანელობდა.

1923-1925 წლებში გრიგოლი სუზდალის ციხის პატიმარია, სადაც დაწერა ისტორიოგრაფიული ნაშრომი „ფიქრები საქართველოზე“. გრიგოლ ლორთქიფანიძე 1937 წელს ბერიას ბრძანებით მოკლეს თბილისში.

მარგარეტ ტეტჩერი (1925-2013 წ.წ.) – გაერთიანებული სამეფოს პრემიერ-მინისტრი 1979-1990 წლებში



1970-იანი წლები ბრიტანეთის ისტორიაში ყველაზე ღრმა კრიზისის ხანა იყო. ოდესღაც ყველაზე დიდი და ძლევამოსილი ბრიტანული იმპერია უმძიმეს ეკონომიკურ კრიზისში იმყოფებოდა. ის ევროპული თანამეგობრობისა და საერთო ბაზრის (მომავალში ევროკავშირის) მიღმა იყო დარჩენილი. იმ დროისთვის ქვეყანაში განადგურებული იყო მრავალი წარმოება, ელექტროენერგია გრაფიკით მიეწოდებოდათ, მშრომელთა გაფიცვებიც ყოველდღიურობად ქცეულიყო.


მარგარეტ ტეტჩერი

ასეთი ვითარება დახვდა მარგარეტ ტეტჩერს, როდესაც მისი ლიდერობით 1979 წელს კონსერვატიულმა პარტიამ საპარლამენტო არჩევნებში გაიმარჯვა და ის ბრიტანეთს პირველ ქალ პრემიერ-მინისტრად მოევლინა. ქვეყნის ეკონომიკის კრიზისიდან გამოსაყვანად ტეტჩერის მიერ დასახული გეგმა რადიკალური აღმოჩნდა. პრემიერ-მინისტრს ღრმად სწამდა, რომ ბიზნესი და წარმოება ეფექტური მხოლოდ მაშინ იქნებოდა, თუ მისი წარმატება ან წარუმატებლობა პირდაპირ აისახებოდა მისი მმართველი ადამიანების შემოსავალზე. ამგვარად, ტეტჩერმა პრივატიზაციის ფართომასშტაბიანი პროცესი დაიწყო, რომლის ფარგლებშიც სახელმწიფოს მფლობელობაში არსებული მრავალი საწარმო გაიყიდა და კერძო კომპანიებად გადაიქცა.

ტეტჩერმა ადვილად გაიმარჯვა 1983 წლისა და 1987 წლის საპარლამენტო არჩევნებშიც, რამაც საშუალება მისცა გაეგრძელებინა ძირეული რეფორმები.

ტეტჩერის წარმატების მთავარი საიდუმლო იყო არა პოლიტიკის ხელოვნების სიღრმისეული ცოდნა ან ნიჭი, არამედ ის, რომ პოლიტიკაში ყოველთვის, გამონაკლისის გარეშე, საკუთარი მრწამსით და ფასეულობებით ხელმძღვანელობდა. ზედიზედ სამ არჩევნებში გამარჯვების მიუხედავად, 1990 წელს საკუთარმა თანაგუნდელებმა აიძულეს გადამდგარიყო. აქედან გამომდინარე, ბევრისთვის გაუგებარი რჩება, რატომ ჩამოშორდა მმართველობის საჭეს ამ სტრატეგიის ერთ-ერთი მთავარი არქიტექტორი და შემსრულებელი მარგარეტ ტეტჩერი?

მარგარეტ ტეტჩერის ხელმძღვანელობის პერიოდში (განსაკუთრებით 80-იან წლებში), ინგლისის მრეწველობაში შრომის ნაყოფიერება ყოველწლიურად იზრდებოდა საშუალოდ 5 %-ით, საშუალო ხელფასი - დაახლოებით მესამედით, შეიქმნა 3,5 მილიონი ახალი სამუშაო ადგილი, შესაბამისად, ამაღლდა ცხოვრების საერთო დონე. მაგრამ კონსერვატორთა კაბინეტის საქმიანობას ნაკლოვანი მხარეებიც ჰქონდა, რომლის გამოვლენასაც ახლაც ცდილობენ მეცნიერები და პოლიტიკოსები.

რეფორმები — მასობრივი პრივატიზაცია, სოციალური პროგრამების შეკვეცა და ბევრი სხვა რადიკალური ცვლილება, რომლებსაც „ტეტჩერის რევოლუციას“ უწოდებენ, დღემდე მწვავე დაპირისპირების საგნად რჩება ბრიტანეთში.

ტეტჩერის მოღვაწეობის პერიოდში უმრავლესობის კეთილდღეობის ზრდას თან ახლდა უმცირესობის ცხოვრების დონის სტაგნაცია და დაქვეითებაც კი. სიღარიბის ზღვარზე მყოფი ადამიანების რიცხვი 1979 წელთან შედარებით 55 %-ით გაიზარდა და რაოდენობრივად 9,4 მილიონს მიაღწია (მოსახლეობის საერთო რაოდენობის 17 %). უბინაო ოჯახების რიცხვი თითქმის ორჯერ გაიზარდა (1978 წელს ინგლისში 112 ათასი უბინაო ოჯახი იყო).

მემარცხენე ძალებისთვის ტეტჩერი ყველაზე საძულველი პოლიტიკური ფიგურაა. აღსანიშნავია, რომ წიგნში, რომელიც გადადგომიდან ერთი წლის შემდეგ გამოსცა კონსერვატულ პარტიაში ტეტჩერის მთავარმა მეტოქემ მ. კოზენტაილ-

იმ (იგი თავდაცვის მინისტრის პოსტიდან გადადგა 1986 წელს), ტეტჩერი მკაცრად გააკრიტიკა.

ზოგისთვის კი ტეტჩერი სწორედაც რომ გმირია, რომელმაც ქვეყანა სრულ განადგურებას გადაარჩინა. ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ 1990 წელს ტეტჩერმა სულ სხვა ბრიტანეთი დატოვა — უფრო დარწმუნებული საკუთარ თავში და ეკონომიკური აღმასვლის გზაზე შემდგარი.

მსოფლიოს ასევე გაუმართლა, რომ გლობალური კომუნიზმის წინააღმდეგ მებრძოლ ორ ბუმბერაზ ფიგურას — რონალდ რეიგანს და მარგარეტ ტეტჩერს ერთდროულად მოუწიათ მოღვაწეობა, რამაც ისინი უახლოეს თანამებრძოლებად და მეგობრებად აქცია.

აშშ-ბრიტანეთის „განსაკუთრებული ურთიერთობები“ არასდროს ყოფილა ისეთი მყარი, როგორიც იყო რეიგან-ტეტჩერის პარტნიორობის პერიოდში.



დავალება 10.6.

- გაეცანით ბენჯამინ ფრანკლინის, გრიგოლ ლორთქიფანიძის და მარგარეტ ტეტჩერის ბიოგრაფიულ მონაცემებს. შეადარეთ მათი საქმიანობა იდეოლოგიების შესახებ მიღებულ ინფორმაციას და **იმსჯელეთ,** რომელი პოლიტიკოსის მოღვაწეობა რომელ იდეოლოგიას შეესაბამება, ე.ი. რა იდეოლოგიას ატარებდნენ სახელმწიფოები, რომლებშიც ეს პოლიტიკოსები მოღვაწეობდნენ. როგორ აისახა მათი საქმიანობა საერთაშორისო პოლიტიკასა და საზოგადოების განვითარებაზე, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საერთაშორისო დონეზე. რომელი პოლიტიკური ორიენტაციის იყვნენ ისინი.

- გაიხსენეთ საქართველოს პრემიერ-მინისტრის განცხადება (გვ. 178) სოციალურად დაუცველი პირების დასაქმების პროგრამის შემუშავების თაობაზე. როგორ ფიქრობთ, რომელი იდეოლოგიისკენ იხრება პრემიერ-მინისტრის აღნიშნული განცხადება/პროგრამა?

- გაიაზრეთ, რა მიგაჩნიათ ქვეყანაში საზოგადოებისთვის ყველაზე დიდ და სერიოზულ პრობლემად? ჩამოაყალიბეთ მისი შესაძლო გადაჭრის გზები.

- საზოგადოებრივი პრობლემის მოგვარების თქვენს მიერ განსაზღვრულ გზებთან და მეთოდებთან დააკავშირეთ ის პოლიტიკური იდეოლოგია, რომელსაც აქვს ასეთი პრობლემებისადმი გარკვეული ხედვა. ამით თქვენ დაადგენთ, რომელი პოლიტიკური იდეოლოგიაა თქვენთან ახლოს. შერჩეული იდეოლოგიით განსაზღვრეთ, მემარჯვენე პოლიტიკური ორიენტაციის ხართ, მემარცხენე თუ ცენტრისტი.

Don't C

§ 11. პოლიტიკური რეჟიმები

- როგორ ფიქრობთ, ვინ მართავს სახელმწიფოს?
- ვინ არის პასუხისმგებელი ქვეყნის ყოველმხრივ განვითარებაზე?
- ვინ მონაწილეობს ქვეყნის მართვის პროცესში?



ლადო

ჩემი მშობლები ჩვენი მუნიციპალიტეტის გამგეობაში მუშაობენ. დედა იურისტია, სოციალურ განყოფილებაში მუშაობს, მამა პროფესიით ინჟინერია და ამჟამად მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის დეპარტამენტს ხელმძღვანელობს. ჩემი თანაკლასელები მეხუმრებიან ხოლმე, შენ რა გიჭირს, პოლიტიკოსების შვილი ხარ, „შატალოზეც“ რომ წახვიდე, სკოლაში პასუხს არავინ მოგთხოვსო. ადგილობრივი თვითმმართველობის ბოლოს ჩატარებულ არჩევნებზე მმართველმა პარტიამ წარმატებას რომ მიაღწია და საკრებულოს უმრავლესობა დააკომპლექტა, მეგობრებმა მითხრეს, აღნიშვნა გეკუთვნისო და მეც ბარში დავპატიჟე. სახლში გვიან დავბრუნდი. მშობლებს რომ ავუხსენი, სად და რა მიზეზით ვიყავი, გაიღიმეს და მითხრეს, კარგია, მეგობრებთან ერთად რომ გაერთე, მაგრამ არჩევნების შედეგებთან შენ არაფერ შუაში ხარ, ჩვენ არ ვართ პოლიტიკაში ჩართული პირები, მხოლოდ საჯარო სამსახურში ვართო. სიმართლე გითხრათ, გამიკვირდა. აქამდე სულ მეგონა, რომ მამა პოლიტიკოსი იყო. ეს საჯარო სამსახურში ყოფნა რას ნიშნავს, მშობლებმა ამიხსნეს, მაგრამ კარგად მაინც ვერ გავიგე. რაიონში გზების გაყვანას ხელმძღვანელობს და ეს ქვეყნის მართვაში მონაწილეობა არ არის?

დავალება 11.1.

უპასუხეთ კითხვებს:

დაფიქრებულხართ თქვენ ამ საკითხზე? როგორ ფიქრობთ, ვინ არის საჯარო მოსამსახურე, პოლიტიკოსი თუ სპეციალისტი, რომელიც დასაქმებულია/თანამდებობას იკავებს სახელმწიფო სტრუქტურაში? კითხვებზე პასუხის გასაცემად იხ. დანართი 3 (გვ. 223), საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ.

სახელმწიფო ინსტიტუტებში, დაწესებულებებში, სახელმწიფო ორგანიზაციებში მიიღება კოლექტიური და, ამასთანავე, როგორც წესი, შესასრულებლად აუცილებელი გადაწყვეტილებები და ამ გადაწყვეტილებებს ასრულებენ ადამიანები, საჯარო მოსამსახურეები და საჯარო მოხელეები, რომლებიც უშუალოდ არიან ჩართული სახელმწიფოს

ფუნქციონირების პროცესში. საჯარო მოხელის უმთავრეს მისიას ქვეყნის განვითარების, უსაფრთხოებისა და კეთილდღეობისათვის ობიექტურად და მიუკერძოებლად საქმიანობა წარმოადგენს. ამისათვის მან უნდა დაიცვას კანონი და კანონმა უნდა დაიცვას იგი, რათა შეუფერხებლად მოხდეს საჯარო ინტერესების რეალიზაცია მაქსიმალური ეფექტის მისაღწევად მინიმალური დანახარჯით.

საჯარო სამსახურის კანონმდებლობა ეფუძნება ისეთ ფუნდამენტურ პრინციპებს, როგორებიცაა: კანონიერება, ერთგულება და პოლიტიკური ნეიტრალიტეტი, რომლებზე დაყრდნობითაც უნდა ფუნქციონირებდეს საჯარო სამსახური და მოქმედებდეს საჯარო უწყებაში დასაქმებული პროფესიული საჯარო მოხელე მთელი თავისი კარიერის განმავლობაში. საჯარო მოხელე, რა თქმა უნდა, იცავს ქვეყნის და იმ უწყების ობიექტური ინტერესებს, სადაც ის მოღვაწეობს, ანუ მოხელე ნებისმიერ დონეზე, ნებისმიერ რანგში პასუხისმგებელია, რომ მისი საქმიანობა უწყების მაქსიმალურ ეფექტურობას უწყობდეს ხელს და არ დაუშვას, რომ ეს პასუხისმგებლობა ვერ შესრულდეს. სახელმწიფო ინსტიტუტების საქმიანობა კი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმ პოლიტიკურ კურსზე, რასაც ახორციელებს ხელისუფლება. სახელმწიფო აპარატის ფუნქციონირება, წესრიგი, ქვეყანაში ქმნის გარკვეულ პოლიტიკურ რეჟიმს, ე.ი. პოლიტიკური რეჟიმი ამა თუ იმ პოლიტიკურ იდეოლოგიაზე დაფუძნებული სახელმწიფოს მმართველობის ფორმების, მეთოდებისა და ხერხების სისტემაა, რომელსაც ხელისუფლებაში მყოფი მოქმედი პოლიტიკოსები განსაზღვრავენ საზოგადოებაში პოლიტიკური და სახელმწიფო ძალაუფლების განხორციელების მიზნით. მთლიანობაში კი პოლიტიკური რეჟიმი განსაზღვრავს ურთიერთობას საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის.

ანტიკური საბერძნეთიდან მოყოლებული, პოლიტიკურმა თეორეტიკოსებმა შემოგვთავაზეს პოლიტიკური რეჟიმების კლასიფიკაცია, რომელიც შემუშავებულია „კარგი მართვის“ და მმართველთა რაოდენობის კრიტერიუმების საფუძველზე. აქედან გამომდინარე, ამ პოლიტიკურმა თეორიებმა განასხვავა სხვადასხვა რეჟიმების პოზიტიური ფორმები, მაგალითად, დემოკრატია, არისტოკრატია, მონარქისტული რეჟიმი. შემდეგ კი გაჩნდა არისტოკრატიისა და მონარქისტული რეჟიმების გადაგვარებული ფორმები: ოლიგარქია და ტირანია. პოლიტიკური რეჟიმები დაყოფილია დემოკრატიულ და არადემოკრატიულ რეჟიმებად.

XIX-XX საუკუნეებში გამოიკვეთა კლასიფიკაციის ახალი ტიპი, რომელიც მხედველობაში იღებს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში მოქალაქეების მონაწილეობისა და პოლიტიკური პლურალიზმის ხარისხს. აქედან გამომდინარე, პოლიტიკური რეჟიმების თანამედროვე ტიპოლოგია განასხვავებს პლურალისტურ დემოკრატიებს, ავტორიტარულ რეჟიმებს და ტოტალიტარულ რეჟიმებს.

პლურალიზმი ნიშნავს განსხვავებული აზრების, მსოფლმხედველობების, ცხოვრების წესის, ინტერესების თანაარსებობას.

- პოლიტიკური პლურალიზმი მოსაზრებათა მრავალფეროვნების არსებობა და მათი აღიარებაა. მოსაზრებათა ეს მრავალფეროვნება საშუალებას იძლევა, სახელმწიფოს მიეწოდოს საზოგადოებაში არსებული სხვადასხვა ღირებულებები, ინტერესები და პრობლემები მათი განხილვისა და გადაწყვეტის მიზნით.

- იგი საზოგადოებაში არსებული განსხვავებული ეთნიკური, რელიგიური, ენობრივი, კულტურული ჯგუფებისადმი შემწყნარებლური დამოკიდებულებაა, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული დემოკრატიული სახელმწიფოს ცნებასა და არსთან.

- პრულარიზმი ცხოვრების იდეური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოწყობის ძირითადი პრინციპია, რომლის ფარგლებშიც დაშვებული, უზრუნველყოფილი და აღიარებულია სხვადასხვა იდეური, სოციალური და პოლიტიკური მიმდინარეობების მრავლობითობა.

პლურალიზმის იდეოლოგები იმ დასკვნამდე მიდიან, რომ პლურალისტურ საზოგადოებაში სახელმწიფო გამოხატავს ყველა ფენის ინტერესებს, იგი საყოველთაო ნების გამომხატველია, ხოლო ნებისმიერი ადამიანი, ყოველი გაერთიანება მონაწილეობს სახელმწიფოს მართვაში.

დემოკრატიულია რეჟიმი, რომელსაც ხალხი ან მის მიერ არჩეული წარმომადგენლები მართავენ. გადაწყვეტილება ამათუიმ სფეროში ან საკითხზე მიიღება საზოგადოების და დაინტერესებული პირების თუ ჯგუფების აზრის გათვალისწინებით; ხელისუფლების სხვადასხვა შტო ერთმანეთისგან განცალკევებულია სხვადასხვა ინსტიტუტსა და ორგანოში, რომლებიც ერთმანეთს აკონტროლებს და აბალანსებს; ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები აღიარებული და რეალიზებულია.

საპირისპიროდ, **არადემოკრატიულია** რეჟიმი, რომელშიც ძალაუფლება ერთი პირის (დიქტატორის) ან ჯგუფის ხელშია, (როგორც წესი, პოლიტიკური პარტიის), რომელსაც ასევე სათავეში უდგას დიქტატორი; ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებები, განსაკუთრებით, გამოხატვის თავისუფლება, იგნორირებული ან მოჩვენებითია. არადემოკრატიულ პოლიტიკურ რეჟიმებში, ძირითადად, გამოყოფენ ტოტალიტარიზმს და ავტორიტარიზმს.

ცნება „ტოტალიტარიზმი“ დასავლეთის სამეცნიერო ლიტერატურაში ვრცელდება XX ს-ის 30-იანი წლების ბოლოს. თავიდანვე ტოტალიტარიზმი ერთმნიშვნელოვნად იგივდებოდა ფაშიზმთან (იტალიასა და გერმანიაში) და კომუნიზმთან (საბჭოთა რუსეთში), რომლებიც განიხილებოდა როგორც მისი ორი განშტოება. 1939 წელს ამერიკის ფილოსოფიური საზოგადოების მიერ ორგანიზებულ სიმპოზიუმზე ადგილი ჰქონდა ტოტალიტარიზმისათვის მეცნიერული განმარტების მიცემის მცდელობას. ერთ-ერთ მოხსენებაში ის განსაზღვრული იყო, როგორც „აჯანყება დასავლეთის მთელი ისტორიული ცივილიზაციის წინააღმდეგ“.

ამ სოციალური ფენომენისადმი მიძღვნილი კონფერენცია აშშ-ში ჩატარდა 1952 წელს, სადაც გაკეთდა დასკვნა, რომ „ტოტალიტარული შეიძლება ვუწოდოთ დახურულ საზოგადოებას, რომელშიც ყველაფერი – ბავშვების აღზრდიდან დაწყებული პროდუქციის გამოშვებით დამთავრებული, კონტროლდება ერთიანი ცენტრიდან“.

ტოტალიტარიზმის „ზოგადი მოდელის“ განსაზღვრისათვის გამოიყოფა 5 ნიშანი:

- ერთიანი მასობრივი პარტია, რომლის სათავეშია ქარიზმატული ლიდერი
- სახელმწიფოს იდეოლოგია, რომელიც სავალდებულოა
- მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე ხელისუფლების მონოპოლია;
- ძალადობის მონოპოლია;
- ტერორისტული პოლიციური კონტროლის სისტემა და ეკონომიკის ცენტრალიზებული მართვა.

Don't COPY

ტერმინი „ტოტალიტარიზმი“ წარმოიშვა ლათინურ სიტყვა „totalitas“-დან, რაც ნიშნავს მთლიანობას, სისრულეს.

ტერმინი „ტოტალიტარიზმი“ ერთ-ერთმა პირველმა გამოიყენა იტალიელმა ჯოვანი ამენდოლამ, რომელმაც 1924 წელს განაცხადა, რომ ფაშიზმი ისევე, როგორც კომუნიზმი არის „ტოტალური რეაქცია ლიბერალიზმსა და დემოკრატიაზე“.

ამ ტერმინს ხშირად იყენებდა იტალიელ ფაშისტთა ლიდერი ბენიტო მუსოლინი. იგი თავის რეჟიმს „ტოტალიტარულს“ უწოდებდა.

ადოლფ ჰიტლერი თავდაპირველად თავის რეჟიმს ახასიათებდა ტერმინით – „ავტორიტარული“.

მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რა განსხვავებაა ფაშიზმსა და ნაციზმს შორის.



ჯოვანი ამენდოლა (1882-1926 წწ). იტალიელი პოლიტიკური მოღვაწე

ფაშიზმი – პოლიტიკური მიმდინარეობა, რომელიც წარმოიშვა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ. ტერმინი: „Fasces“ ნიშნავს წნელის შეკვრას, კონას, რაც ერთიანობის სიმბოლოა.

1919 წლის 23 მარტს მილანში შეიქმნა „fasico di combattimento“, რომელიც 54 ადამიანს მოიცავდა. ის ეყრდნობოდა ეროვნების ერთიანობას. ისინი ცდილობდნენ ფართო მასების ნდობის მოპოვებას. იტალიელი ფაშისტების ძირითადი ლოზუნგი შემდეგი იყო: არჩევნების საჯაროობა, მოსახლეობის თავისუფლებებისა და უფლებების გარანტია, 8 საათიანი სამუშაო დღე, ფიუმესა და დალმაციის ანექსია.

იტალიაში ფაშისტური იდეოლოგია განვითარდა და გავრცელდა ბენიტო მუსოლინის მიერ. „მუსოლინი აცხადებდა, რომ ფაშიზმი იყო ძალა, რომელსაც შეეძლო იტალიის გაერთიანება. ფაშიზმს უნდა გადაექცია იტალია ახალ, რომის იმპერიის მსგავს, დიდებულ იმპერიად. ყველა და ყველაფერი უნდა მიძღვნოდა სახელმწიფოს, რაც იტალიელი ხალხის ერთიანობისა და ძალაუფლების განსახიერებას წარმოადგენდა. როგორც ხშირად იმეორებდნენ მუსოლინი და მისი მიმდევრები: „ყველაფერი სახელმწიფოში, არაფერი სახელმწიფოს გარეთ, არაფერი სახელმწიფოს წინააღმდეგ“.



ბენიტო მუსოლინი (1883-1845 წ.წ.) იტალიის პრემიერმინისტრი (1922-1943 წ.წ.)

იტალიური ფაშიზმის დიდი გავლენით ჩამოყალიბდა და განვითარდა ნაციონალ-სოციალისტური მუშათა პარტიის იდეოლოგიაც. თუმცა ნაციზმი, ფაშიზმისგან განსხვავებით, მკვეთრად გამოხატული რასისტული და ანტისემიტური განწყობით გამოირჩეოდა.

ნაცისტურ პარტიას ჰიტლერის ლიდერობით ერთ სახელმწიფოდ უნდა გაეერთიანებინა გერმანულად მოლაპარაკე ყველა ხალხი, რომელიც

დიდებულ ახალ იმპერიად, ანუ რაიხად, განვითარდებოდა. აქედან მომდინარეობს ნაცისტური ლოზუნგი: „Ein Volk, ein Reich, ein Führer“ – ერთი ხალხი, ერთი იმპერია, ერთი ლიდერი.




ადოლფ ჰიტლერი, გერმანიის რაიხსკანცლერი (1933-1945 წ.წ.)

ძირითადი განსხვავება გერმანულ ნაციზმსა და იტალიურ ფაშიზმს შორის რასობრივი ელემენტი იყო. ნაცისტებისათვის ადამიანის განმსაზღვრელ ფუნდამენტურ ფაქტს რასა წარმოადგენდა.

შესაბამისად, ფაშიზმსა და ნაციზმს შორის არსებითი განსხვავება ისაა, რომ გერმანელი ნაცისტები ანვითარებდნენ ნაციონალისტურ ელიტიზმს, რომელიც, თავის მხრივ, რასიზმს ემყარებოდა, იტალიელი ფაშისტებისთვის კი უზენაესი ღირებულება სახელმწიფო იყო. („სახელმწიფოს მიღმა არ არსებობენ არც ინდივიდები, არც ჯგუფები“ – ნათქვამია „ფაშიზმის დოქტრინაში“).

ტოტალიტარული სახელმწიფო აღიარებს ერთ იდეოლოგიას, რომელიც ყველასთვის სავალდებულოა. ტოტალიტარული რეჟიმების სოციალურ საყრდენს შეადგენს მოსახლეობის მარგინალიზირებული ფენები, ფსევდოკოლექტიური დესტრუქციული საზოგადოება. ტოტალიტარული რეჟიმის ხელისუფლების ამოცანაა ადამიანის სრული ტრანსფორმირება, ახალი ტიპის პიროვნების კონსტრუირება – (homo totalitarikus,) რომელსაც სტანდარტიზაციის მეშვეობით ექნება განსაკუთრებული მენტალობა, ინდივიდუალური საწყისის უნიფიცირება. ადამიანის ტოტალიტარული ტიპი – ეს არის ადამიანი, რომელიც მთლიანად სახელმწიფოზეა დამოკიდებული.



სისტემის ტოტალიტარულობას ის კი არ განაპირობებს, თუ რომელმა პარტიამ, ჯგუფმა თუ ბელადმა მოიპოვა ხელისუფლება და დაამყარა სრული კონტროლი საზოგადოებასა და სახელმწიფოზე; ტოტალიტარული სისტემის მყარი არსებობისთვის აუცილებელია ფართო სოციალური ბაზა. ის უნდა შეიქმნას „სოციალური დაკვეთის“ ფორმით უკვე არსებული ჯგუფებისაგან, რომლებიც შეგნებულად თუ შეუგნებლად მიისწრაფიან საზოგადოებრივი ურთიერთობების ტოტალური ფორმისკენ. როგორც წესი, ამგვარი სოციალური ჯგუფები წარმოგვიდგება ტოტალიტარული რეჟიმის სოციალურ ბაზად.

მოსახლეობის ნაწილს თავიდანვე სჯერა იმ ძირითადი თეზისებისა და ორიენტირების, რომლებსაც პარტიული ბელადები, ხოლო მოგვიანებით პარტია სთავაზობს მათ.

ტოტალიტარიზმს ახასიათებს ძველი ტრადიციების მსხვრევა, საზოგადოების საფუძვლების ძირეული ცვლილება ახალი სოციალური და ნაციონალური იდენტურობის ფორმირების პროცესში, ბადებს ძლიერი ცენტრალიზებული ხელისუფლებისადმი მისწრაფებას, რომელიც ამყარებს მკაცრ წესრიგს და რომელიც იძლევა ყველაზე მწვავე და გადაუდებელი სოციალური პრობლემების სწრაფი გადაწყვეტის გარანტიას.

სწორედ ამ მიზეზებთან არის დაკავშირებული ტოტალიტარიზმის ზოგიერთი საერთო, ფუძემდებლური ნიშნები, პარტიის ავტორიტეტის განმტკიცება და ქარიზმატული პიროვნებების – ერის მამების ან ხალხის გადამრჩენელთა, „დიადი ბელადების“ გაჩენა.

ტოტალიტარიზმის დამახასიათებელი ნიშანია ბელადის კულტი. ბელადი და ხალხი – განუყოფელი ორგანული მთლიანობაა. ტოტალიტარული ბელადი, როგორც წესი, ბრბოს, მასის საყვარელი ადამიანია და მას უსიტყვოდ ემორჩილება.



საბჭოთა საფოსტო მარკა მთავარი ლიტერატურული სამმართველოს შტამპით

1917 წელს ვლადიმერ ლენინმა ხელი მოაწერა ბრძანებას, რომლის საფუძველზეც დროებით, სამოქალაქო ომის დასრულებამდე, იზღუდებოდა სიტყვის, გამოხატვისა და ინფორმაციის თავისუფლება. ბრძანების თანახმად, აღნიშნული შეზღუდვა სამოქალაქო ომის დასრულებისთანავე უნდა გაუქმებულიყო, თუმცა ეს ასე არ მოხდა, ვინაიდან ლენინი მიიჩნევდა, რომ „მონარქისტებისა“ და „ანარქისტებისთვის“ აბსოლუტური სიტყვის თავისუფლების მინიჭება ბოლშევიკებს ძალაუფლებას დააკარგვინებდა. ამის გამო, საბჭოთა კავშირის არსებობის 70 წლის განმავლობაში, თითოეულ საბჭოთა რესპუბლიკაში მოქმედებდა ცენზურა, რომლის სისტემატიზების ზოგადი ქრონოლოგიაც ასე გამოიყურება:

1918 წ. – „კინოწარმოების კონტროლის შესახებ“ დადგენილებით კერძო კინემატოგრაფები ადგილობრივ საბჭოებს დაექვემდებარა;



1918-1919 წ. – დაიწყო ქალალდის ინდუსტრიის ნაციონალიზაცია და გამომცემლობების საბეჭდი მანქანების კონფისკაცია;

1919 წ. – ყველა კინო და ფოტოსტუდია სახელმწიფო საკუთრებაში გადავიდა,

1921 წ. – აიკრძალა „რეაქციული“ წიგნების გამოცემა;

1922 წ. – ლენინი ძერჟინსკის საიდუმლო წერილში წერდა, რომ კონტრრევოლუციონერი მწერლებისა და პროფესორების ქვეყნიდან გასაძევებლად სამზადისი დაწყებულიყო. ასევე, ამავე წელს, შეიქმნა ცენზურის მთავარი ორგანო „მთავლიტი“ (Главлит) – მთავარი ლიტერატურული სამმართველო;

1923 წ. – „მთავლიტის“ ფუნქციები გაფართოვდა და შეიქმნა „რეპერტკომი“, რომელსაც ევალებოდა სანახაობებისა და ღონისძიებების, რეპერტუარის კონტროლი;

1924 წ. – შეიქმნა „სახკინო“, რომლის ფუნქციაც იყო ფილმების შინაარსის კონტროლი;

1933 წ. – ნებართვის გაცემის გარეშე აიკრძალა სამკერდე ნიშნების, ემბლემების, ფოტოებიანი/ტექსტებიანი სამკლავურების, პოლიტიკური სკულპტურების, პოლიტიკური მოღვაწეების გამოსახულებებისა და ლოზუნგების გამოსახვა.

დავალება 11.2.

იმსჯელეთ:

- რა საფრთხეს უქმნიდა ტოტალიტარულ სახელმწიფოს მოქალაქეთა მხრიდან აზრის თავისუფალი გამოხატვა. რა პრობლემები ექმნებოდა საზოგადოებას და მოქალაქეთა რომელი უფლებები ირღვეოდა დიდი რევოლუციის ბელადის – ლენინის გადაწყვეტილებით დაწესებული „ცენზურით“.

  მოიძიეთ ინფორმაცია საბჭოთა რუსეთის სხვა ბელადების შესახებ.

- რატომ უჩნდებათ ადამიანებს ბელადის მოთხოვნილება?




საქართველოში კომუნისტური რეჟიმის დამყარების შემდეგ აიკრძალა ფილმები. საბჭოთა ცენზურა შეეხო ქართველ ხელოვანებსა და ავტორებსაც, მათ შორის იყვნენ: პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, გრიგოლ რობაქიძე, მიხეილ ჯავახიშვილი, ერეკლე ტატიშვილი და სხვები. მათი დიდი ნაწილი საბჭოთა რეპრესიებს ემსხვერპლა კიდეც და ამაში საბჭოთა ცენზურის სისტემის როლი უდიდესი იყო.

ადამიანთა ყველა საქმიანობის უსაზღვრო პოლიტიზაციისა და იდეოლოგიზაციის შედეგად შეუძლებელია ვინმე დარჩეს პოლიტიკური ცხოვრების მიღმა. თავად პოლიტიკური

რეჟიმიც პერმანენტულად ცდილობს ადამიანები ამყოფოს პოლიტიკური ეწიკუს ქვეშ.

ქართველი პოეტი, პაოლო იაშვილი საბჭოთა რეჟიმისა და ცენზურის სისტემის ერთ-ერთი მსხვერპლი იყო. მას უმართავდნენ საჯარო დისკუსიებს, იბარებდნენ ჩეკაში, ბრალს სდებდნენ



პაოლო იაშვილი და ტიციან ტაბიძე

„იდეურ მავნებლობასა“ და „ხალხის მტრებთან“ ურთიერთობაში, მწერალთა კავშირის პრეზიდიუმი მსჯელობდა პოეტის „მოღალატეობრივ საქმიანობაზე“. შედეგად, მან 1937 წლის 22 ივლისს მწერალთა სახლში თავი მოიკლა, რაც კომუნისტურმა პარტიამ „პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ გამოხტომად“ შეაფასა და დიდი ქართველი პოეტი დაკრძალა, როგორც „ხალხის მტერი“. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში ინახება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომის ოქმი, სადაც ვკითხულობთ: „გამოაშკარავებული ჯაშუშის და სახელმწიფოს მტრის, პ. იაშვილის თვითმკვლელობა, პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული პროვოკაციული გამოხტომაა, შესაბამისად, დაიკრძალოს, როგორც ხალხის მტერი. ლავრენტი ბერიას დაევალოს საქართველოს საბჭოთა მწერალთა კავშირის პრეზიდიუმს მიაწოდოს ინფორმაცია პ. იაშვილის კონტრრევოლუციურ, ჯაშუშურ და მავნებლურ საქმიანობაზე“. პაოლო იაშვილის სახელის რეაბილიტაცია მოხდა 1954 წელს, გარდაცვალებიდან მხოლოდ 17 წლის შემდეგ, მანამდე კი საბჭოთა ცენზურა მის პოეზიას განიხილავდა „ხალხის მტრის“ შემოქმედებად, კრძალავდა და აქრობდა ბიბლიოთეკებიდან.

ქართველი პოეტი, ტიციან ტაბიძე საბჭოთა რეჟიმმა მიზანში მას შემდეგ ამოიღო, რაც მან უარი თქვა რეპრესირებული პაოლო იაშვილის საჯაროდ გაკიცხვაზე. 1937 წელს ნაციონალისტურ-ფაშისტური ორგანიზაციის წევრობის ბრალდებით დააპატიმრეს და დახვრიტეს. მის საბრალდებო ოქმში ვკითხულობთ:

ტიციან ტაბიძის საბრალდებო ოქმი:

„ტაბიძე ტიციან იუსტინეს-ძე
1937 წლის 22 ნოემბრის სია, ხელმოწერა: სტალინი, მოლოტოვი, ჟდანოვი
დაბადების თარიღი: 1893 წ.
ეროვნება: ქართველი
საცხოვრ. ადგილი: ქ. თბილისი, საქართველოს სსრ, გრიბოედოვის ქ. №18
განათლება: უმაღლესი
სოც. წარმომავლობა: სასულიერო წოდების
პარტიულობა: უპარტიო
სამუშაო ადგილი: პოეტი, საბჭოთა მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის წევრი.
განყოფილება: შინსახკომის მე-4 განყოფილება
გაასამართლა: შინსახკომის სამეული 1937 წ.
მომხსენებელი: ქადაგიშვილი

მონაწილეობდნენ: გოგლიძე, ტალახაძე, მოროზოვი

ბრალად ედება: რომ იყო საქართველოს ნაციონალისტურ-ფაშისტური ორგანიზაციის აქტიური წევრი. მავნებლობდა ხელოვნებისა და კულტურის სფეროში. ასევე ჯაშუშობდა საფრანგეთის დაზვერვის სასარგებლოდ.

მუხლი: 58-6, 58-7, 58-11

სასჯელის ზომა: დახვრეტა, პირადი ქონების კონფისკაცია

დაპატიმრების თარიღი: 10/09/1937

სხდომის თარიღი: 12/15/1937

დახვრეტის თარიღი:

რეაბილიტაცია: სსრკ უზენაესი სასამართლოს 26/06-1954 წლის №4н-6912/54 განჩინებით რსფსრ სისხლის სამართლის პროცესუალური კოდექსის მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად საქმის წარმოება შეწყვეტილია.

შენიშვნა: ნათესავებს განუცხადეს, რომ გარდაიცვალა 17/12-1939 წელს ფილტვების კრუპოზული ანთებით. სიკვდილი დარეგისტრირებულია ქ. თბილისის კალინინის რაიონის მმაჩის ბიუროში.“

1954 წელს მის რეაბილიტაციამდე, ტიციან ტაბიძის ნაშრომები აკრძალული იყო საბჭოთა ცენზურის მიერ.

დავალება 11.3.

უპასუხეთ კითხვებს:

- რამ გააბედინა ტიციან ტაბიძეს პაულო იაშვილის საჯარო გაკიცხვაზე უარის თქმა?
- რა აიძულებდათ ადამიანებს ეთანამშრომლათ ტოტალიტარულ რეჟიმთან?
- რა შედეგები მოჰქონდა საზოგადოებისა და ინდივიდებისთვის ამ თანამშრომლობას?

ტოტალიტარიზმის არსს შეადგენს სახელმწიფოებრივი კონტროლი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარეზე, ყველას და ყველაფრის – ეკონომიკის, პოლიტიკის, კულტურისა და იდეოლოგიის, საოჯახო და პირადი ცხოვრების კონტროლს დაქვემდებარება.



სწორედ საბჭოთა სისტემის დამსახურებით საბჭოთა რეჟიმისთვის „მიუღებელი“ ნაშრომების არაერთი ავტორი გახდა შევიწროების მსხვერპლი, რაც რიგ შემთხვევებში, მათი რეპრესირებით ან სიკვდილითაც კი სრულდებოდა. ამ მხრივ გამონაკლისი არც საქართველო ყოფილა. სტალინურ ეპოქაში, როდესაც რეპრესიებმა ყველაზე უფრო მასშტაბური ხასიათი შეიძინა, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მონაცემებით, მხოლოდ


1937-1938 წლების „დიდი ტერორის“ პერიოდში, საქართველოდან რეპრესიის მსხვერპლი 30,000-ზე მეტი ადამიანი გახდა, მათ შორის 3,616 „სტალინური სიებით“, უშუალოდ იოსებ სტალინის პირადი ხელმოწერით დაისაჯა. ამ პროცესებში მნიშვნელოვან როლს სწორედ საბჭოთა ცენზურა და ცენზორები თამაშობდნენ. მიუხედავად იმისა, რომ სტალინის გარდაცვალების შემდეგ და დესტალინიზაციის ორი ტალღის შედეგად სტალინურ პერიოდთან შედარებით ცენზურა შედარებით ლოიალური გახდა, იგი ბოლომდე არ გაუქმებულა მანამ, სანამ საბჭოთა კავშირი არ დაიშალა 1991 წელს.



დავალება 11.4.

იმსჯელეთ:

- რატომაა განსხვავებული აზრი და კრიტიკა ტოტალიტარიზმთან შეუთავსებელი?
- რისი მიღწევაა შესაძლებელი მასობრივი საშუალებების მონოპოლიზაციით?



ლევან გოთუა – მწერალი, საზოგადო მოღვაწე

„ ...ვის დასჭირდა ჩემი გაძევება და რატომ? მალე წავა მატარებელი და უმოწყალოდ დამაშორებს საყვარელ სამშობლო საქართველოს. ძნელია ეტაპში წასვლა, მაგრამ რას ვიზამთ? ისეთ საშინელ გარემოცვაში ვართ, სადაც სიმართლე არ ფასობს!...

...თურმე ჩვენი დაჭერა წინასწარ მომზადებული სცენარით გათამაშებული წარმოდგენა ყოფილა. ჩვენს გამყოლს თავიდანვე გავუყიდივართ. მათ, ალბათ, აწყობდათ ვაჟკაცების სიკვდილი....

...ჩემო კარგებო, ვიმყოფები მოსკოვში, ბუტირკის ციხეში. გზიდან სამი წერილის გადმოგდება შევძელი. იქნებ, ერთ-ერთმა მაინც მოაღწიოს თქვენამდე. მოსკოვიდან, ალბათ, გრძელი გზა მელის, ამიტომ, ეცადეთ, თბილი ტანსაცმელი გამომიგზავნოთ.

ლევანი. 1925 წლის 21 სექტემბერი

„ ...საყვარელო მშობლებო, ვერც კი წარმოიდგენთ, აქ, სოლოვეცკში, რა ხდება. ჯერ მე თვითონ ვერ გავერკვიე ამ ჯოჯოხეთში. ირგვლივ ყინულოვანი მთები და ჩრდილოეთის პოლარული ნათებაა. ქართველი ბიჭები ერთმანეთს ვეხმარებით. ვნახოთ, რას მოგვიტანს ახალი, 1926 წელი....

ჩემდა საბედნიეროდ, მოსკოვმა ჩემს მიმართ ადამიანობა გამოიჩინა – დახვრეტა შემიცვალა და ათი წელი ამკიდა მძიმე გამასწორებელ ბანაკში გადასახლებით, როგორც გამოუსწორებელ, მძლავრ პოლიტიკურ მოღვაწეს...

ვიმყოფები ვორკუტაში. ეს ადგილი მდებარეობს ტუნდრაში, პოლარულ ხაზს იქით. ვმუშაობთ ქვანახშირის საბადოებზე. აქ არაადამიანური შრომის პირობებია. გავჭაღარავდი და ყველა „მოხუცს“ მეძახის, არადა, მხოლოდ 43 წლის ვარ...

ჩეკისტებმა ასეთი წამებაც მოიფიქრეს: პატარა იზოლატორს 50 გრადუსამდე გაახურებენ. მოსარჯულებელ პატიმარს დამარილებულ თევზს აჭმევენ, იზოლატორში ჩააგდებენ და გარეთ წყალს მოუშვებენ, რომ მისმა ჩხრიალმა მოწყურებული კაცი გააგიჟოს...

...ისევ შორეული მხარე და მარტოობა, თითქოს განგება შემოწერილი მაქვს. რა ვქნა, რა გზას დავადგე, ვერაფერი ვერ შევძელი, რაც არის, არის...“

ლევან გოთუა 16 წლის ასაკში კოჯორში იბრძოდა 1921 წელს, 1924 წლის ეროვნული ბრძოლის მონაწილე იყო და 20 წლისა დახვრეტას ძლივს გადარჩა...

ჯერ მეტეხის ციხეში იჯდა, შემდეგ გადაასახლეს, სასჯელი გაქცევის მცდელობის გამო 1936 წლამდე გაუხანგრძლივეს...

საქართველოში დაბრუნებული კვლავ ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში ჩაება... ამის გამო 1945-1955 კვლავ მოათავსეს ვორკუტის საკონცენტრაციო ბანაკში....

ტყვეობაში დაწერა ლევან გოთუამ „გმირთა ვარამი“... თავადაც გმირი იყო... მრავალ ჭირვარამგადახდილი...



დავალება 11.5.

- გაანალიზეთ, რა ხდებოდა საქართველოსა და საბჭოთა კავშირში 1921 წლიდან.
- რატომ უქმნიდა საფრთხეს ადამიანის სიცოცხლესა და რატომ კრძალავდა ადამიანის თავისუფალ განვითარებას ტოტალიტარული კომუნისტური რეჟიმი?
- რატომ ებრძოდა ინტელიგენციას საბჭოთა ხელისუფლება?


←

რას ჰყვება ადამიანი, რომელიც სტალინური რეპრესიების დროს გააციმბირეს

სტატიის ავტორი -გიორგი დიასამიძე

ამ ყველაფრის გახსენებაც კი მიმძიმს, – ამბობს ბოდბის მკვიდრი მირიან გურაშვილი, რომელიც 3 წლის ასაკში დედასთან და ორ მცირეწლოვან დასთან ერთად 1942 წელს ციმბირში ხუთი წლით გადაასახლეს. მამამისი, რომელიც ომში ლენინის ორდენზე იყო წარდგენილი, ღალატის ბრალდებით დახვრიტეს.

სასამართლომ მირიან გურაშვილის ოჯახი პოლიტიკური რეპრესირების მსხვერპლად აღიარა, ხოლო სახელმწიფომ კომპენსაციის სახით მათ 1250 ლარი გადაუხადა.



მირიან გურაშვილი -საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლი

სტალინური რეპრესიების მსხვერპლი იხსენებს ტრაგედიას, თუ როგორ გაუსკდა შიშისგან გული ციმბირისკენ მიმავალ გზაზე მის 5 წლის დას. როგორც მირიან გურაშვილი ამბობს, დედამისი ბავშვის ცხედარს 3 დღეს მალავდა, თუმცა გემზე მყოფებმა ის დააბეზღეს, რის შემდეგაც ბავშის ცხედარი კასპიის ზღვაში ისე გადააგდო კაპიტანმა, რომ ოჯახს დალაპარაკების უფლებაც არ მისცეს.

პირველი ტრაგედიის შემდეგ მარტოხელა დედასა და ორი მცირეწლოვან ბავშვს მძიმე ხუთი წლის გადატანა მოუწიათ ციმბირში. მირიან გურაშვილმა, რომელიც გადასახლების დროს 3 წლის იყო, გაუსაძლისი ყინვების გამო ფეხის თითები დაკარგა.

როგორც საბჭოთა რეპრესიების მსხვერპლი იხსენებს, დღის განმავლობაში გადასახლებულთათვის განკუთვნილ თითო ულუფა წყალ-წყალა სუფსა და 100 გრამ პურს აძლევდნენ. მისი თქმით, კარტოფილს თავად მოიპოვებდნენ გაყინულ მიწაში და ამით იკვებებოდნენ.

მირიან გურაშვილის მოგონებებით, ციმბირის კლიმატსა და მკაცრ პირობებს საქართველოდან გადასახლებული ბევრი ოჯახი ვერ გადაურჩა, ხოლო მათი ნაწილი მანამდე იღუპებოდა, სანამ რეპრესირებულთა ბანაკში მიიყვანდნენ გემებითა და მატარებლებით.

დავალება 11.6.

იმსჯელეთ:

- რატომ მიმართავს ძალადობას ტოტალიტარული რეჟიმი?
- რატომ ვერ გამოთქვამდნენ ადამიანები პროტესტს უდანაშაულო ადამიანების უფლებების დასაცავად?
- რატომ იყო შეუძლებელი ადამიანების მხრიდან სხვათა მიმართ ემპათიის გამოვლენა?
- რა ფაქტორები ახდენდა გავლენას ადამიანების ქმედებებსა და გადაწყვეტილებებზე?

ციფრები ყველაზე კარგი საშუალებაა იმისა, რომ აღვიქვათ რეალობა, აღვიქვათ შექმნილი სურათის სიმძიმე, თუ რა იყო ტოტალიტარიზმი ციფრებში:

- სსრკ – 20 მილიონი გარდაცვლილი,
- ჩინეთი – 65 მილიონი გარდაცვლილი,
- ჩრდილოეთ კორეა – 2 მილიონი გარდაცვლილი

დღესდღეობით, **ტოტალიტარული** სახელმწიფოს თვალსაჩინო მაგალითი ჩრდილოეთ კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკაა, სადაც ბატონობს კიმ იონგ-უნი, სასტიკი დიქტატორი, რომელიც დიქტატორების მესამე თაობას წარმოადგენს (მამამისი – კიმ ჩენ-ირი ასევე ერთპიროვნულად მართავდა სახელმწიფოს და იყო „დიდი ბელადის“, კიმ ირ-სენის შვილი), რომლის ხელშიც თავმოყრილია საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება. ჩრდილოეთ კორეაში ადამიანის უფლებები სრულიად უგულებელყოფილია. მაგალითისთვის, ადამიანები მხოლოდ იმიტომ შეიძლება დააპატიმრონ ან სიკვდილით დასაჯონ, რომ დიქტატორის გამოჩენაზე სათანადო სიხარული არ გამოხატეს.

ავტორიტარულ სახელმწიფოშიც ძალაუფლება ერთი პოლიტიკოსის ან ერთი პოლიტიკური პარტიის ხელშია თავმოყრილი, თუმცა, ტოტალიტარიზმისგან განსხვავებით, ავტორიტარული რეჟიმის მთავარი მიზანი მმართველი ჯგუფის და დიქტატორის-ერთპიროვნული ლიდერის ძალაუფლების შენარჩუნებაა და არა სახელმწიფო იდეოლოგიის გაბატონება, შესაბამისად, შეიძლება არსებობდეს სფეროები, სადაც ადამიანებს მეტ-ნაკლებად თავისუფლად საქმიანობის საშუალება ეძლევათ მანამ, სანამ დიქტატორის ძალაუფლებას არ დაუპირისპირდებიან ან მის ინტერესებს არ გადაკვეთენ. ავტორიტარული რეჟიმიც უსწორდება პოლიტიკურ ოპონენტებს, რომლებსაც კონკურენტად აღიქვამს, თუმცა ამისთვის ტოტალური რეპრესიების ნაცვლად შეფარულ, არაფორმალურ მეთოდებს იყენებს. ავტორიტარულმა სახელმწიფომ შეიძლება მოჩვენებითად ადამიანის უფლებებიც კი აღიაროს, თუმცა პრაქტიკაში ისინი შეიზღუდება ყველა იმ შემთხვევაში, როცა მმართველი ჯგუფის ან დიქტატორის ნება იქნება ან როცა მათი ინტერესები ასე მოითხოვს.

ავტორიტარული სახელმწიფოს მაგალითად შეგვიძლია რუსეთის ფედერაცია დავასახელოთ, რომელიც, კონსტიტუციის მიხედვით, დემოკრატიული სახელმწიფოა და ევროპის საბჭოს წევრიც კია, თუმცა მასში ბატონობს ერთი პირის – პუტინის რეჟიმი, რომელიც 1999 წლიდან პრაქტიკულად ერთპიროვნულად მართავს სახელმწიფოს.

რუსეთში ადამიანის უფლებები, განსაკუთრებით კი სამართლიანი სასამართლოს უფლება, შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლება, მაქსიმალურად იზღუდება. ამასთან, რუსეთის ფედერაციის იმპერიალისტური იდეოლოგიიდან და პოლიტიკური ოპონენტებისა თუ თავისუფალი მედიის წარმომადგენლების მიმართ ანგარიშსწორებიდან გამომდინარე, რუსული სახელმწიფოს რეჟიმი, გარკვეულწილად, ტოტალიტარული სახელმწიფოს ნიშნებსაც შეიცავს.

DRAFT COPY



დავალება 11.7.

იმსჯელეთ:

- თუ სახელმწიფოში ერთპიროვნულად იღებს გადაწყვეტილებებს პოლიტიკური ლიდერი/ბელადი ან ერთი პარტია, რატომ არსებობს ასეთ სახელმწიფოში კანონები?
- აქვს თუ არა დადებითი მხარე ტოტალიტარიზმსა და ავტორიტარიზმს?

საკითხის შესწავლის შემდეგ შეიძლება ტოტალიტარული და ავტორიტარული რეჟიმების განმარტება ასე ჩამოვაყალიბოთ:

- ტოტალიტარული რეჟიმი არის ისეთი რეჟიმი, რომელიც ეყრდნობა საზოგადოების სრულ შერწყმას სახელმწიფოსთან, სადაც ხელისუფლება თავმოყრილია ერთადერთი პარტიის ან ლიდერის ხელში, რომელიც ეყრდნობა იდეოლოგიურ დამოძღვრას და პოლიციურ ტერორს.
- ავტორიტარული რეჟიმი არის ისეთი რეჟიმი, რომელშიც მმართველებს არ სურთ დაექვემდებარონ დემოკრატიულ კონტროლს (თავისუფალი არჩევნებსა და პოლიტიკური ჭიდილს).



დავალება 11.8.

მოწოდებულ რესურსებზე დაყრდნობით შექმენი წერილობითი ნაშრომი, რომლებშიც აღწერთ პოლიტიკურ რეჟიმებთან დაკავშირებულ შემდეგ ასპექტებს:

- რა მნიშვნელობა და გავლენა აქვს სახელმწიფოს პოლიტიკურ რეჟიმს პიროვნების განვითარებასა და ჩამოყალიბებაზე, საზოგადოებრივი აზრის შექმნაზე?
- რა კვალი დაამჩნია საქართველოსა და მთელ მსოფლიოს საბჭოთა ტოტალიტარიზმმა?
- იმდროინდელი პროცესები როგორ მოქმედებდა ჩვენს ქვეყანაზე, მის განვითარებაზე, მსოფლიო პროცესებზე?
- რამ განაპირობა რეჟიმის ცვლილება და რა შედეგები დადგა?

Don't Copy

§ 12. პოლიტიკური მოძრაობა – მდგრადი განვითარებისთვის

- როგორ ფიქრობთ, რა ურთიერთკავშირი არსებობს სახელმწიფოს პოლიტიკას, საზოგადოებასა და ეკოლოგიას შორის?
- როგორ და რა საშუალებებით უნდა ატარებდეს სახელმწიფო მდგრადი განვითარების პოლიტიკას?



საშიში ქიმიური ნივთიერებები

ევროკავშირის ქვეყნებში 2018 წელს ამოქმედდა სამართლებრივი რეგულაციები, რომლითაც შეიზღუდა ოცდაათზე მეტი საშიში ნივთიერების გამოყენება ტანსაცმლისა და სხვა სამომხმარებლო ქსოვილების წარმოებაში. ტყვიის, კადმიუმის და სხვა ტოქსიკური ლითონების გამოყენება ხშირად ხდება ტექსტილის საღებავებში და სამოსის სხვადასხვა დეტალებში (ღილებში, ქამარში და სხვ.). აღმოჩნდა, რომ ეს ნივთიერებები, რომლებიც კლასიფიცირდება, როგორც საშიში ქიმიური ნივთიერებები, იწვევს კიბოს, სხვა დაავადებებს და ზიანს აყენებს დნმ-სა და რეპროდუქციულ ჯანმრთელობასაც კი.

ტექსტილის წარმოებაში ყველაზე ხშირად გამოყენებული საშიში ქიმიკატების რამდენიმე ჯგუფი არსებობს: გამხსნელები, ზედაპირულად აქტიური ნივთიერებები, წყლისა და ნიადაგისგან დამცავი საშუალებები, ბიოციდები და პესტიციდები, საღებავები და პიგმენტები, აალების შემანელებლები, პლასტიფიკატორები და ფტალატები. ხშირად სხვადასხვა სახის ორგანულ გამხსნელებს წარმოების პროცესში რამდენიმე ეტაპად იყენებენ. ადამიანის ჯანმრთელობისთვის საშიში გამხსნელები შეიცავს ტრიქლორეთილენს, ბენზოლს და მეთანოლს.



ლაბორატორიის თანამშრომელი ადგენს ქიმიური ნივთიერების უსაფრთხოებას



დავალება 12.1.

უპასუხეთ კითხვებს:

- გიფიქრიათ როდისმე, რომ შესაძლოა თქვენი სამოსი ზიანს აყენებდეს თქვენს ჯანმრთელობას?
- როგორ ფიქრობთ, როდესაც ტანსაცმელი გამოუსადეგარი გახდება, სად მიდის ის?
- რა ზიანს აყენებს გარემოს ტოქსიკური ნივთიერებებით დამზადებული და დამუშავებული ნარჩენები?

ტექსტილის ნარჩენები ავსტრიაში: წარმოშობა და გადამუშავება

ფონ კარინ ბორნეტი 8 თებერვალი 2022 წ.

გარემოს ფედერალური სააგენტოს კვლევის მიხედვით: „2018 წელს სულ წარმოიქმნა

221 834 ტონა ტექსტილის ნარჩენი. აქედან 10% დაიწვა და გარდაიქმნა ენერგიად, 7% გამოიყენებოდა მეორადი საჭიროებისთვის და 6% გადამუშავდა. ავსტრიაში ყოველწლიურად ერთ ადამიანზე დაახლოებით 28 კილოზე მეტი ძველი ტანსაცმელი, ძველი ფეხსაცმელი, სახლში გამოყენებული ქსოვილი მიდის მეორად გამოყენებაზე.

2018 წელს ავსტრიაში ტექსტილის ნარჩენების კვლევის შედეგები ასეთია:

- ტექსტილის ნარჩენების 97% შეიქმნა მოხმარების შემდეგ, ანუ ის მოდის კერძო პირებისგან, ოჯახებიდან ან კომპანიებიდან.
- დაახლოებით 3% წარმოების ნარჩენებია.
- ტექსტილის ნარჩენების უმეტესი ნაწილი (დაახლოებით 77%) არის არა სუფთა ტექსტილის ნარჩენები, არამედ შერეული ნარჩენები. ძირითადად წარმოების ნარჩენი და გადაყრილი ან სამედიცინო სექტორის ნარჩენები.
- ეროვნული ტექსტილის ნარჩენების დაახლოებით 23% შედგება ძირითადად ძველი ტანსაცმლის, ქსოვილისა და ქსოვილის ნარჩენებისგან და არ არის შერეული სხვა მასალებთან.

„ტექსტილის ნარჩენების შემცირების ყველაზე მნიშვნელოვანი ღონისძიება ტექსტილისა და ტექსტილის პროდუქტების რაც შეიძლება დიდხანს და ეფექტურად გამოყენებაა. ეს მოითხოვს გადაწყვეტილებებს, რომლებიც იწყება ინტელექტუალური დიზაინით, აძლიერებს წრიულ წარმოებას და მდგრად მოხმარებას“, – ნათქვამია ფედერალური გარემოს სააგენტოს ინფორმაციაში.

ტოქსიკური ნივთიერებები არამხოლოდ ქსოვილების დამუშავებისა და სამოსის შესაქმნელად გამოიყენება. ის გვხვდება სხვადასხვა საოჯახო ნივთსა და მოწყობილობებში.

საშიში ნივთიერებები ელექტრო და ელექტრონულ მოწყობილობებში

ევროკავშირის ქვეყნებში ამოქმედებულია სამართლებრივი რეგულაციები ელექტრულ და ელექტრონულ მოწყობილობებში (მათ შორის ელექტრონათურებსა და საყოფაცხოვრებო ტექნიკაში) გარკვეული სახიფათო ნივთიერებების გამოყენების შეზღუდვის მიზნით. ევროკავშირთან ჰარმონიზაციის თვალსაზრისით, სასურველია ეს რეგულაციები ყველა ქვეყნის შიდა კანონმდებლობაში დაინერგოს.

ამ სამართლებრივი რეგულაციების თანახმად, შეზღუდვები დაწესებულია ტყვიის, ვერცხლისწყლის, კადმიუმის, ქრომის, ბრომის, პოლიბრომინირებული ბიფენილების (PBB), პოლიბრომინირებული დიფენილის ეთერების (PBDE) და კადმიუმის ყველა ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობის წარმოებაში გამოყენების ოდენობაზე.

ევროკავშირის ყველა ქვეყანაში კანონმდებლობის დონეზე დაწესებული შეზღუდვების ძირითადი მიზნებია:

- ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვა;
- ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენების თავიდან აცილება ან მისი ხელახალი გამოყენება, გადამუშავება და აღდგენა.



ელექტრო მოწყობილობების სახიფათო ნარჩენები



დავალება 12.2.

გააანალიზეთ ფონ კარინ ბონეტის სტატიაში წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემები და ინფორმაცია.



იმსჯელეთ:

- რა საფრთხის წინაშე დგას ადამიანი და გარემო?
- რა შეიძლება გააკეთოს თითოეულმა მოქალაქემ, მთელმა საზოგადოებამ ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენებად საგნებში, ნივთებში ადამიანის ჯანმრთელობისთვის საშიში ნივთიერებების მინიმუმამდე დაყვანის ან აკრძალვისათვის?
- რა როლი აქვთ ადამიანებს ნარჩენების შემცირებაში, მათ ხელახალ გამოყენებაში, გადამუშავებასა და აღდგენაში?

XX საუკუნემ სამეცნიერო-ტექნიკურ რევოლუციას და ცივილიზაციების მატერიალურ პროგრესს დაუდო სათავე. ამ დროიდან მოყოლებული, დედამიწის რესურსების მოხმარება მოსახლეობის რაოდენობის ზრდის პირდაპირპროპორციული გახდა. ამან კი გარემოს დაცვისა და ეკოლოგიის პრობლემები იმაზე უფრო მეტი სიმწვავითა და აქტუალობით წარმოჩინა, როგორც არასდროს. ის კი, რაც დღეს გარემოს დაცვის გლობალური პოლიტიკის დღის წესრიგში დადგა, ჯეროვნად არ იყო გაცნობიერებული მაშინ, როდესაც ახალი ტექნოლოგიების მეშვეობით ბუნებრივი რესურსების ათვისებას, მზარდ ინდუსტრიალიზაციასა და გლობალურ ბაზარს ჩაეყარა საფუძველი.



განადგურებული ტყის მასივი

ეკოლოგიზმი ბოლო დროს ფართოდ გავრცელებული პოლიტიკური იდეოლოგიაა, სოციალური მოძრაობაა, რომელიც ცდილობს ბუნებრივი რესურსებისა და ეკოსისტემების დაცვის საკითხების ლობირებით, მოქალაქეთა განათლებითა და აქტიური ჩართულობით გავლენა მოახდინოს პოლიტიკურ პროცესებზე.

ტერმინი „ეკოლოგია“ ნაწარმოებია ბერძნული სიტყვიდან „oikos“ რაც სახლს, საცხოვრებელ გარემოს ნიშნავს. ეს სიტყვა შექმნა გერმანელმა ზოოლოგმა ერნსტ ჰეკელმა. XX საუკუნის დასაწყისში ეკოლოგია ბიოლოგიის ერთ-ერთ დარგად იქნა აღიარებული, შემდგომ ის თანდათან პოლიტიკურ ტერმინად გადაიქცა „მწვანეთა“ მიერ ამ ტერმინის ხშირი გამოყენების გამო. ხოლო XX საუკუნის 70-იანი წლებიდან მწვანე იდეოლოგიის მატარებელი პოლიტიკური აქტორების ძალისხმევით ამა თუ იმ ქვეყნის მთავრობის მუშაობისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში აქტუალური გახდა მწვანე პოლიტიკა, კლიმატის ცვლილების პოლიტიკური მენეჯმენტი და მოვლენების „მწვანეთა მოძრაობის“ ფილოსოფიური აზროვნების პერსპექტივიდან დანახვა.

„მწვანე ფილოსოფიის“ კონცეფციამ გააერთიანა რამდენიმე ფუნდამენტური მნიშვნელობის იდეა. თავისი შინაარსით ეს იდეები აღნიშნავდა ყველა იმ საკითხთა და პრობლემათა შეუთავსებლობას, რაც კაცობრიობის მუდმივი ეკონომიკური განვითარების/კეთილდღეობის მიღწევის ილუზიასა და ამოწურვად ბუნებრივ რესურსებს შორის არსებობდა. აქედან გამომდინარე, როცა „მწვანე ფილოსოფიას“ ვახსენებთ, ის პოლიტიკური იდეოლოგიის ელფერსაც იძენს ლიბერალიზმის, კონსერვატიზმისა თუ სხვა ფილოსოფიური შეხედულებების საფუძველზე წარმოქმნილი იდეოლოგიების მსგავსად.



მსოფლიო გლობალური ეკოლოგიური საშიშროებების წინაშე 60–იანი წლებიდან აღმოჩნდა, თუმცა გარემოსდაცვითი პრობლემები არ გაჩენილა XX საუკუნეში.

ცოტა რამ ისტორიიდან

ძველინდური ლიტერატურის ძეგლი, მანუს კანონთა კრებული, ხაზს უსვამს, რომ არავინ უნდა დახოცოს ცხოველები და გაანადგუროს მცენარეული სამყარო, რომ აუცილებელია ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება და ტყის შენარჩუნება „ბუნების კაცისა“ და „ტყეების კულტურის“ კონცეფციით.

დიდ ბრიტანეთში ჰაერის და წყლის დაბინძურების კანონები XIII საუკუნიდან მოქმედებს.

ინგლისის მეფე ედუარდ I – მა 1272 წელს, მას შემდეგ, რაც ქვანახშირის წვის შედეგად გამოყოფილმა კვამლმა შექმნა პრობლემები, აკრძალა ზღვის ქვანახშირის წვა ლონდონში. იმ დროისათვის ქვანახშირის საწვავად გამოყენება ძალიან იყო გავრცელებული ინგლისში.

დაბინძურების ძალიან მაღალი დონე – საწარმოების ქიმიური გამონაბოლქვის დიდი მოცულობა და დაუმუშავებელი ნარჩენების მზარდი რაოდენობა დაფიქსირდა ინგლისის ინდუსტრიულ ცენტრებში 1900 წლის შემდეგ. ამან განაპირობა პირველი ფართომასშტაბიანი, თანამედროვე გარემოს დაცვის კანონების შექმნა ბრიტანეთის საკანონმდებლო აქტების სახით, რომელიც მიღებულია 1863 წელს. შეიქმნა გარემოსდაცვის ინსპექცია, დაინიშნა ერთი ინსპექტორი და ოთხი ქვეინსპექტორი. ინსპექციის პასუხისმგებლობა თანდათანობით გაფართოვდა, რაც დასრულდა 1958 წლის ალკალის ორდენით, რომელმაც ზედამხედველობის ქვეშ მოაქცია ყველა მსხვილი მძიმე ინდუსტრია, რომელიც აბინძურებდა ჰაერს კვამლით, მტვრით და ორთქლით.

პირველი „მწვანეთა გაერთიანება“ გერმანიაში ჩამოყალიბდა, შემდგომ კი ეს სახელი ბევრმა პოლიტიკურმა გაერთიანებამ მიიღო. ტერმინი „მწვანე პოლიტიკა“ ერთ დროს გერმანიის მწვანეთა პარტიის სინონიმად მოიაზრებოდა. გერმანიის მწვანეთა პლატფორმა ოთხ ძირითად პრინციპს ეყრდნობა: გარემოს დაცვა, სოციალური სამართლიანობა, მშვიდობა და მონაწილეობითი დემოკრატია.

საფრანგეთისა და გერმანიის მწვანეთა პარტიების ერთ-ერთ უმთავრეს პრინციპს სწორედ ეკონომიკური ზრდის ლიმიტები წარმოადგენდა. საფრანგეთში მწვანეების საპრეზიდენტო კანდიდატი რენე დიუმონტი სწორედ ამ დღის წესრიგს წარმოაჩენდა 1974 წლის საარჩევნო კამპანიაში. თუმცა საფრანგეთსა და გერმანიაში მწვანეთა პარტიების პოპულარობის მკვეთრი ზრდა, ისევე, როგორც სხვა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, სამოცდაათიანი წლების ანტი ატომურმა და ანტი ბირთვულმა კამპანიებმა განსაზღვრა. 1968 წლის პარიზის მოვლენებმა, როდესაც სტუდენტმა დემონსტრატებმა იერიში მიიტანეს მომხმარებლობით შეპყრობილ საზოგადოებაზე, ასევე შეასრულა თავისი როლი მწვანე პოლიტიკის ფორმირებაში.

1973 წელს ნავთობის კრიზისმა ხელი შეუწყო მწვანე პოლიტიკის იდეების გავრცელებას. ამავე წელს დიდ ბრიტანეთში გამოქვეყნდა სახელმძღვანელო გადარჩენისთვის, (Blueprint for Survival) და გამოიწვია ფართო საზოგადოებრივი დებატები. შედეგად, წლის

მიწურულს ჩამოყალიბდა ბრიტანეთის მწვანეთა პარტია სახელწოდებით – „ხალხი“. ამ პერიოდიდან დღემდე, პარტიის მხარდამჭერთა რიცხვი მკვეთრად გაიზარდა, რაც გამოიხატა კიდეც ინგლისის მწვანეთა პარტიის მიერ მოპოვებული მანდატების რაოდენობით. შოტლანდიის მწვანეთა პარტია ასევე წარმოდგენილია შოტლანდიის პარლამენტში. ინგლისელი მწვანეელები, ევროპული პოლიტიკის განსაზღვრაშიც თამაშობენ აქტიურ როლს. დღეს პარტიას ჰყავს საკმაოდ გავლენიანი წევრები ევროპარლამენტში და ადგილობრივ დონეზე, საკრებულოებში, მათ შორის დედაქალაქშიც.



1983 წელს დასავლეთ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პარლამენტში გერმანიის მწვანეთა პარტია უმრავლესობით აირჩიეს. მათი შესვლა პარლამენტში გამორჩეული იყო, დაწყებული არაოფიციალური ჯინსებით და დამთავრებული ქოთნის მცენარეებით, რომლებიც გაჩნდა მათ მაგიდებზე.

შემდგომ წლებში ევროპის ქვეყნებში მწვანე მოძრაობის ჯგუფები, გააქტიურდნენ, როგორც მწვანეთა პარტიები. ისინი ძალიან აქტიურად თანამშრომლობდნენ მთელი მსოფლიოს მასშტაბით, რასაც მოჰყვა გლობალური მწვანეთა ქსელის შექმნა. 2001 წელს კანბერაში 72 ქვეყნის/პარტიის 800 წარმომადგენელი გაერთიანდა და ამ შეხვედრაზე მიიღეს კანბერას მწვანეთა გლობალური წესდება მანიფესტი.

2004 წელს დაარსდა ევროპის მწვანეთა პარტია. ეს იყო პირველი პოლიტიკური ძალა, რომელიც გაერთიანდა ევროპულ დონეზე და დღესაც დიდ ძალას წარმოადგენს ევროკავშირის პარლამენტში.

2009 წელს გაეროს მიერ გამოცხადდა ახალი გლობალური მწვანე შეთანხმების (Global Green New Deal (GGND)) კონცეფცია. ახალი გლობალური შეთანხმება რეკომენდაციას უწევს მთავრობებს, რათა მათ მწვანე ეკონომიკა აწარმოონ.

დღეს მწვანე პოლიტიკა გლობალური მოვლენაა. მისი მთავარი მიზანი გარემოს დაცვაა, რათა მოხდეს პლანეტის ეკოლოგიისა და ბუნებრივი რესურსების შენარჩუნება მომავალი თაობებისთვის. თუმცა მწვანე პოლიტიკა თავისთავად უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ გარემოს დაცვა. მწვანე იდეოლოგია, როგორც პოლიტიკური იდეოლოგია, მიზნად ისახავს ჩამოაყალიბოს მდგრადი საზოგადოება, რომელიც ეფუძნება გარემოს დაცვას, სოციალურ ლიბერალიზმსა და მონაწილეობით დემოკრატიას. შესაბამისად, ეყრდნობა რამდენიმე ძირითად პოსტულატს, მათ შორის:

- ეკოლოგია – მწვანე პოლიტიკის მთავარი და ამოსავალი წერტილი არის ეკოლოგიური პოლიტიკა, რომელიც მოგვცემს საშუალებას, დავიცვათ დედამიწა მომხმარებლური დამოკიდებულებისგან და ვუზრუნველყოთ მომავალი თაობებისთვის უსაფრთხო გარემოს შენარჩუნება
- სოციალური სამართლიანობა – გარემოს დაცვა არ შეიძლება განხორციელდეს ღარიბების ხარჯზე და/ან მიგვიყვანოს სოციალურ უთანასწორობამდე
- მონაწილეობითი დემოკრატია – მწვანე პოლიტიკის თანახმად აუცილებელია ხალხის მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღებაში
- არა-ძალადობას – მწვანე პარტიათა შეხედულებები ეფუძნება სამშვიდობო მოძ-

Don't Copy

რაობებს და ეწინააღმდეგება ომს, იარაღით ვაჭრობას და ძალის გამოყენებაზე დამყარებულ გადაწყვეტილებებს

გარემოსდაცვითი ორგანიზაციები არის როგორც გლობალური, ასევე რეგიონული, ეროვნული ან ადგილობრივი, ისინი შეიძლება იყვნენ მთავრობის მიერ შექმნილი ან კერძო სამართლის (არასამთავრობო) ორგანიზაციები. გარემოსდამცვითი საქმიანობა თითქმის ყველა ქვეყანაში მიმდინარეობს. ის ჯგუფები, რომლებიც თემის განვითარებისა და სოციალური სამართლიანობის საკითხებზე მუშაობენ, ასევე ყურადღებას ამახვილებს გარემოსდაცვით პრობლემებზე. რადგან ეს ერთმანეთთან მჭიდრო კავშირში მყოფი საკითხებია და ერთობლივად, მდგრადი განვითარების მიზნების შესრულებისკენ არის მიმართული.

გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის (GEF) მცირე გრანტების პროგრამა მხარს უჭერს ადგილობრივ ინიციატივებს ისეთ სფეროებში, როგორიცაა ბიო-მრავალფეროვნების კონსერვაცია, კლიმატის ცვლილება, საერთაშორისო წყლები, მიწის დეგრადაცია, ქიმიური ნივთიერებები და ნარჩენების მართვა. გარემოსდაცვითი პრიორიტეტების პარალელურად, პროგრამა ხელს უწყობს სიღარიბის დაძლევას, საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას, გენდერულ თანასწორობასა და ქალთა როლის გაძლიერებას საზოგადოებაში. პროგრამა ხორციელდება არაერთ ქვეყანაში და მორგებულია თითოეული ქვეყნისთვის დამახასიათებელ გარემოსდაცვით საკითხებსა თუ პრობლემებს. პროგრამის სტრატეგია საქართველოში ერთობლივად შეიმუშავეს დონორებმა, მთავრობამ, სამოქალაქო საზოგადოებისა და სამეცნიერო წრეების წარმომადგენლებმა.

საქართველოში გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის მცირე გრანტების პროგრამა დაიწყო 2012 წელს. პროგრამის მიმდინარე ეტაპის (2019-2023) ბიუჯეტი შეადგენს 500 ათას აშშ დოლარს. პროგრამის სამიზნე ლანდშაფტებს წარმოადგენს დიდი და მცირე კავკასიონის მაღალმთა, შავი ზღვის სანაპირო და სემიარიდული ანუ ნახევრად უდაბნოს ზონა.

მცირე გრანტების პროგრამის ახალ ეტაპზე განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შემდეგ პრიორიტეტულ საკითხებს:

- გადაშენების პირას მყოფი ეკოსისტემების და სახეობების კონსერვაცია სათემო ინიციატივების მეშვეობით.
- მდგრადი აგროკულტურის და თევზის მრეწველობის პრაქტიკის დამკვიდრება, რომელიც ხელს შეუწყობს საკვების უსაფრთხოებას.
- დაბალნახშირბადიანი ენერგორესურსებისადმი ხელმისაწვდომობის უპირატესობების პოპულარიზაცია.
- მდგრადი ურბანული გადაწყვეტილებების ხელშეწყობა.

ამის გარდა, პრიორიტეტული პროექტების სიას განეკუთნებიან ინიციატივები,

რომლებიც ხელს უწყობენ სამოქალაქო საზოგადოებას, მთავრობასა და კერძო სექტორს შორის დიალოგს გარემოსდაცვითი მმართველობის გასაუმჯობესებლად; გენდერულ თანასწორობასა და ქალების აქტიურ ჩართვას გარემოსდაცვით საქმიანობაში; მოქალაქეთათვის პრაქტიკული გარემოსდაცვითი ცოდნის მიღების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას.

2012 წლიდან, გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის მცირე გრანტების პროგრამის ფარგლებში, დაფინანსება მიიღო 97 არასამთავრობო და სათემო ორგანიზაციამ საერთო ბიუჯეტით 2,483,009 აშშ დოლარი. მთელი ქვეყნის მასშტაბით ისინი ახორციელებენ პროექტებს შემდეგ პრიორიტეტულ საკითხებზე:

- ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია
- კლიმატის ცვლილება
- საერთაშორისო წყლები
- მიწის დეგრადაცია
- ქიმიური ნივთიერებების მართვა

დამატებითი ინფორმაცია ხელმისაწვდომია GEF მცირე გრანტების პროგრამის საქართველოს ვებ-გვერდზე.

https://www.undp.org/ka/georgia/projects/gef-small-grants-programme

UNDP საქართველო

დავალება 12.3.

გაეცანით UNDP საქართველო-ს მიერ დაფინანსებული და უკვე განხორციელებული საგრანტო პროექტების შესახებ ინფორმაციას შემდეგ ბმულებზე:

https://www.youtube.com/watch?v=EMmXvmvWljU

https://www.youtube.com/watch?v=ycdsW6lk6vg

https://www.youtube.com/watch?v=8IganYU0C-I

- რა სახის გარემოსდაცვით პრობლემებს ხედავთ თქვენს ქალაქში, თემში, სოფელში?
- როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი ჩართულობა ამ პრობლემის გადაჭრაში?

მოამზადეთ წერილი/პეტიცია შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს ან თანამდებობის პირისთვის ქვეყნის გარემოსდაცვით პოლიტიკაში აღნიშნული პრობლემის გადაჭრის გათვალისწინების მოთხოვნით.

Don't

ევროპელი მწვანე პარტიების მსგავსად, ქართულ სინამდვილეშიც, მწვანეთა მოძრაობა დაიბადა სამოქალაქო მოძრაობიდან, რომელიც ყურადღებას ამახვილებდა ეკოლოგიურ და გარემოს დაბინძურების საკითხებზე, რითაც სხვა საზოგადოებრივი ჯგუფები ნაკლებ ინტერესს იჩენდნენ. აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტაში საზოგადოების ჩართვის მცდელობით, საქართველოს მწვანეთა მოძრაობა იზიარებდა ევროპელი მწვანეების მიერ აღიარებულ იდეოლოგიურ საფუძველს. განვითრების საწყის ეტაპზე მოძრაობა ვითარდებოდა, როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომლის თავდაპირველ დებულებაში არაფერი იყო ნათქვამი პოლიტიკური მიზნების შესახებ.

დღეისათვის „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა“ არის საზოგადოებრივი გუშაგიც და ლობისტური ორგანიზაციაც. მწვანეთა მოძრაობის მიერ არაერთ საინტერესო ინიციატივას ჩაეყარა საფუძველი, მაგალითად: 1990 წლიდან საქართველოში 22 აპრილს აღინიშება „დედამიწის დღე“, ეწყობა ახალგაზრდული ეკოლოგიური ბანაკები, გამოიცემა თემატური სახელმძღვანელოები და სპეციალური ჟურნალები, მიმდინარეობს სხვადასხვა კამპანიები: „საშიში კვების პროდუქტების წინააღმდეგ“, „დედამიწის კვირეული“, „დავიცვათ შავი ზღვა“, „კლიმატის გლობალური ცვლილება“, „ენერგოეფექტურობა და განახლებადი ენერგიები“, „ბიომრავალფეროვნების დაცვა“, „დავიცვათ ბაღ-პარკები“, „გადავარჩინოთ ბზა“ , „არ მოჭრა ხე“.

მწვანეთა მოძრაობის მიერ დაფუძნდა კონკურსი – „სუფთა რეგიონი“. გაიცემა ნომინაციები: სუფთა რეგიონი, სუფთა ქალაქი/მუნიციპალიტეტი, სუფთა სოფელი, ლამაზი ეზო, სუფთა ქუჩა და ლამაზი აივანი.

1989 წლის 10 დეკემბერს ოფიციალურად დაფუძნდა „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა“ 1993 წლიდან „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა“ არის საერთაშორისო ორგანიზაცია „დედამიწის მეგობრების“ სრულუფლებიანი წევრი და იწოდება „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო“.

ორგანიზაციის მიზნებია:

1. საზოგადოებაში მდგრადი განვითარების პრინციპების დანერგვა და სოციალური სამართლიანობის დამკვიდრება;
2. ბუნებრივი რესურსების მდგრადი რაციონალური გამოყენების უზრუნველყოფა და გარემოს დეგრადაციის შეჩერება;
3. ადამიანის და საზოგადოების უფლებების დაცვა და გადაწყვიტელების მიღების პროცესში მათი მონაწილეობის უზრუნველყოფა;
4. კულტურული მემკვიდრეობისა და ტრადიციების მრავალფეროვნების დაცვა და შენარჩუნება;
5. დედამიწაზე მიმდინარე ნეგატიური გლობალური ცვლილებების წინააღმდეგ კაცობრიობის ძალისხმევაში აქტიური თანამონაწილეობა;

საქართველოს მწვანეთა მოძრაობა * Greens Movement of Georgia *

Friends of the Earth Georgia

COPY

დავალება 12.4.

უპასუხეთ კითხვებს:

- თქვენი აზრით რა მნიშვნელობა აქვს მწვანეთა მოძრაობის საქმიანობას საზოგადოებისათვის?
- რა შეგვიძლია გავაკეთოთ ჩვენ მწვანეთა მოძრაობის მიზნების მხარდასაჭერად?
- რა წინადადებებს შესთავაზებდით ხელისუფლებას მდგრადი განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის დოკუმენტში გასათვალისწინებლად!

მწვანე ალტერნატივა

არასამთავრობო არაკომერციული ორგანიზაცია, ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“

დაარსდა 2000 წელს.

„მწვანე ალტერნატივას“ მისიაა ეკონომიკურად ხელსაყრელი და სოციალურად მისაღები ალტერნატივების გზით, საქართველოს გარემოსა და ქვეყნის უნიკალური ბიოლოგიური თუ კულტურული მემკვიდრეობის დაცვა. ასევე, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და სოციალური სამართლიანობის პრინციპების დამკვიდრების ხელშეწყობა.

ორგანიზაცია მიზნად ისახავს:

- მდგრადი განვითარებისათვის ეკონომიკური და პოლიტიკური საფუძვლების შექმნის ხელშეწყობას;
- გარემოსდაცვით საქმიანობაში შესაბამისი სამთავრობო უწყებების, ბიზნესის წარმომადგენლების, სამეცნიერო ორგანიზაციებისა და ცალკეული პირების ჩართვის მხარდაჭერას;
- მდგრადი განვითარების, გარემოს კონსერვაციისა და აღდგენის ხელშემწყობი ფართო სოციალური ალიანსების შექმნას;
- ადგილობრივ ან ეროვნულ დონეზე ლობირების გზით გარემოსდაცვითი და სოციალური თვალსაზრისით დესტრუქციული პოლიტიკისა და პროექტების შეცვლას ან შეჩერებას და მისაღები ალტერნატივების ხელშეწყობას.

დაარსების დღიდან ორგანიზაცია მონიტორინგს უწევს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების საქმიანობას საქართველოში. მუშაობს ბიომრავალფეროვნებასთან, ენერგეტიკასთან, კლიმატის ცვლილებასთან და სიღარიბის დაძლევასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ორგანიზაცია მუშაობს ქვეყნის გარემოსდაცვითი პოლი-

ტიკის გაუმჯობესების, სახელმწიფო ქონების პრივატიზების პროცესში ადგილობრივი მოსახლეობის გარემოსდაცვითი, სოციალური და ეკონომიკური უფლებების დაცვის, ხე-ტყის არალეგალური ჭრის და ველური ფლორისა და ფაუნის ნიმუშებით უკანონო ვაჭრობის აღკვეთის მიმართულებით. ზოგადად კი, გარემოსდაცვითი ინფორმაციის საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობისა და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესში საზოგადოების სრულფასოვანი ჩართვის ხელშეწყობისთვის.



დავალება 12.5.

ბმულზე მოცემული ინსტრუქციის მიხედვით გამოთვალე შენი ეკოლოგიური ნაკვალევი.

https://eiec.gov.ge/Ge/Documents/ViewFile/129?fbclid=IwAR1DRpoDlh-JGXbkjy1xC6PaUTnE16rCqiL0lXeTPKtqoBTGkkbDgiq_vBPY

დაფიქრდი, თითოეული ადამიანის ქმედებით რა გლობალური შედეგები დგება?



იმსჯელეთ:

- რა უნდა იცოდეს მოქალაქემ გარემოსდაცვითი პოლიტიკის ჩამოყალიბებაში მონაწილეობის მისაღებად?
- რატომ არის მნიშვნელოვანი სახელმწიფოსა და საზოგადოებისთვის გარემოსდაცვითი პოლიტიკური მოძრაობების არსებობა?

Don't Copy

დანართი 1

საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ (ამონარიდი)

თავი II. მეწარმის დაფუძნება

მუხლი 4. სამეწარმეო საზოგადოების სადამფუძნებლო დოკუმენტები და მათი ფორმა

1. სამეწარმეო საზოგადოების დასაფუძნებლად აუცილებელია სამეწარმეო საზოგადოების სადამფუძნებლო შეთანხმება.

2. სამეწარმეო საზოგადოების სადამფუძნებლო შეთანხმება წერილობით ფორმდება და მას ხელს აწერს სამეწარმეო საზოგადოების ყველა დამფუძნებელი პარტნიორი.

3. სამეწარმეო საზოგადოების სადამფუძნებლო შეთანხმებაზე ხელმოწერა სანოტარო წესით მოწმდება. ხელმოწერის სანოტარო წესით დამოწმება სავალდებულო არ არის, თუ იგი დადგენილი წესით დამოწმებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს (შემდგომ – მარეგისტრირებელი ორგანო) ან მარეგისტრირებელი ორგანოს მიერ უფლებამოსილი სხვა ადმინისტრაციული ორგანოს ან სხვა პირის მიერ, ან თუ ხელმოწერა შესრულებულია „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

4. წარმომადგენლობითი უფლებამოსილება მოითხოვს სანოტარო წესით დამოწმებას ან ხელმოწერის „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შესრულებას.

მუხლი 5. სამეწარმეო საზოგადოების სადამფუძნებლო შეთანხმება

1. სამეწარმეო საზოგადოების სადამფუძნებლო შეთანხმება შეიცავს წესდებას და ამ მუხლით გათვალისწინებულ მონაცემებს.

2. ნებისმიერი სამართლებრივი ფორმის სამეწარმეო საზოგადოების სადამფუძნებლო შეთანხმება წესდებასთან ერთად უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

ა) სამეწარმეო საზოგადოების საფირმო სახელწოდებას;

ბ) სამეწარმეო საზოგადოების იურიდიულ მისამართს;

გ) ყოველი პარტნიორის/დამფუძნებლის საიდენტიფიკაციო მონაცემებს – სახელს, გვარს, საცხოვრებელი ადგილის მისამართს და პირად ნომერს, ხოლო თუ პარტნიორი იურიდიული პირია – მის საფირმო სახელწოდებას, იურიდიულ მისამართს და საიდენტიფიკაციო ნომერს;

დ) სამეწარმეო საზოგადოების ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის, სამეთვალყურეო საბჭოს არსებობის შემთხვევაში – აგრეთვე სამეთვალყურეო საბჭოს წევრის საიდენტიფიკაციო მონაცემებს და უფლებამოსილების ვადას, თუ ასეთი ვადა განსაზღვრულია;

ე) გენერალური სავაჭრო წარმომადგენლის არსებობის შემთხვევაში – მის საიდენტიფიკაციო ან სარეგისტრაციო მონაცემებს, აგრეთვე მისი უფლებამოსილების ვადას;

ვ) პარტნიორის წილის მმართველის არსებობის შემთხვევაში – მის საიდენტიფიკაციო ან სარეგისტრაციო მონაცემებს;

ზ) სამეწარმეო საზოგადოების ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის, სამეთვალყურეო საბჭოს არსებობის შემთხვევაში – აგრეთვე სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა რაოდენობას და მათი დანიშვნისა და გათავისუფლების წესს, თუ ეს საკითხები ამ კანონისგან განსხვავებულად არის მოწესრიგებული, ასევე აღნიშნულ წევრთა უფლებამოსილებას;

DO NOT COPY

3. თუ დამფუძნებლების მიერ შემუშავებული წესდება არ არსებობს, სტანდარტული წესდება მიიჩნევა სამეწარმეო საზოგადოების სადამფუძნებლო შეთანხმების ნაწილად.

10. მეწარმის იურიდიული მისამართი არის მისი ფიზიკური მისამართი საქართველოს ტერიტორიაზე.

მუხლი 6. წესდება

1. ნებისმიერი სამართლებრივი ფორმის სამეწარმეო საზოგადოების წესდება უნდა შეიცავდეს სულ მცირე შემდეგ მონაცემებს:

ა) სამეწარმეო საზოგადოების სამართლებრივ ფორმას;

ბ) სამეწარმეო საზოგადოების საქმიანობის საგანს. საქმიანობის საგნად შეიძლება მიეთითოს როგორც ზოგადი სამეწარმეო საქმიანობა, ისე კონკრეტული საქმიანობის საგანი;

გ) პარტნიორთა შორის შეთანხმებულ შეზღუდვას წილზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებით, ასეთი შეთანხმების არსებობის შემთხვევაში;

დ) ინფორმაციას პარტნიორთა შეთანხმების არსებობის თაობაზე, თუ ასეთი შეთანხმება არსებობს.

2. სტანდარტულ წესდებებს სამეწარმეო საზოგადოების სამართლებრივი ფორმების მიხედვით ამტკიცებს საქართველოს იუსტიციის მინისტრი (შემდგომ – მინისტრი). მინისტრის მიერ სტანდარტულ წესდებაში ცვლილების განხორციელება ან მისი გაუქმება არ გამოიწვევს იმ სამეწარმეო საზოგადოების წესდებაში ცვლილების შეტანის საჭიროებას, რომელსაც რეგისტრაციის მიზნებისთვის გამოყენებული ჰქონდა იმ მომენტისთვის მოქმედი სტანდარტული წესდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სტანდარტულ წესდებაში ცვლილების განხორციელების ან მისი გაუქმების მიზეზია კანონის შესაბამისი ცვლილება, რომელიც ავალდებულებს სამეწარმეო საზოგადოებას, უზრუნველყოს წესდების კანონის იმპერატიულ მოთხოვნასთან შესაბამისობა.

მუხლი 8. მეწარმის რეგისტრაცია

1. მეწარმის რეგისტრაცია სავალდებულოა. მეწარმის რეგისტრაცია მოიცავს როგორც სახელმწიფო რეგისტრაციას, ისე საგადასახადო რეგისტრაციას. მეწარმის რეგისტრაციას ახორციელებს მარეგისტრირებელი ორგანო.

2. მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში (შემდგომ – რეესტრი) დაცული მონაცემების რეგისტრაციის, რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებების შეტანისა და მათი გაუქმების შესახებ ინფორმაციას მარეგისტრირებელი ორგანო ელექტრონულად უგზავნის საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – შემოსავლების სამსახურს.

3. რეესტრში უნდა დარეგისტრირდეს მხოლოდ სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების, კომანდიტური საზოგადოების, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების პარტნიორი/დამფუძნებელი.

4. მარეგისტრირებელი ორგანოსთვის წარდგენილი მონაცემებისა და დოკუმენტების ნამდვილობისთვის, მათი შინაარსის სისწორისა და შექმნის პროცედურების დაცვისთვის პასუხისმგებელია ამ კანონით ან/და სამეწარმეო საზოგადოების სადამფუძნებლო შეთანხმებით განსაზღვრული, აღნიშნული მონაცემებისა და დოკუმენტების შექმნის უფლებამოსილების მქონე ორგანო. მარეგისტრირებელი ორგანო პასუხისმგებელია მხოლოდ რეგისტრირებული მონაცემებისა და ამ ორგანოში დაცული სარეგისტრაციო და სხვა დოკუმენტების ურთიერთშესაბამისობისა და უსაფრთხოებისთვის.

non-copy

5. რეესტრის წარმოების წესი და რეგისტრაციის პირობები განისაზღვრება „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონით, „მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეგისტრაციის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით (შემდგომ – ინსტრუქცია) და სხვა ნორმატიული აქტებით.

6. მეწარმე წარმოშობილად მიიჩნევა რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

7. მეწარმის რეგისტრაციის შესახებ მარეგისტრირებელი ორგანოს გადაწყვეტილება ძალაშია მარეგისტრირებელი ორგანოს ერთიან ელექტრონულ პორტალზე განთავსებისთანავე.

დანართი 2

საქართველოს ორგანული კანონი

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ (ამონარიდი)

მუხლი 2. ეროვნული ბანკის ამოცანები და ფუნქციები

1. ეროვნული ბანკის ძირითადი ამოცანაა ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა.

2. ეროვნულმა ბანკმა უნდა უზრუნველყოს ფინანსური სისტემის სტაბილურობა და გამჭვირვალობა და ხელი უნდა შეუწყოს ქვეყანაში მდგრად ეკონომიკურ ზრდას, თუ ეს შესაძლებელია ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას მისი ძირითადი ამოცანის შესრულებას.

3. ეროვნული ბანკის ფუნქციებია:

ა) შეიმუშაოს და განახორციელოს ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკა საქართველოს პარლამენტის მიერ განსაზღვრული ძირითადი მიმართულებების შესაბამისად;

ბ) ფლობდეს, შეინახოს და განკარგოს ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები;

გ) იყოს საქართველოს მთავრობის ბანკირი და ფისკალური აგენტი; „მომავალი თაობებისა და სტაბილური განვითარების ფონდების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, უზრუნველყოს გენერალური აგენტისა და სტაბილური განვითარების ფონდის მმართველის ფუნქციები და მათთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელება. მომავალი თაობების ფონდის მმართველის შერჩევა ხორციელდება ამ ორგანული კანონის მე-9 მუხლის „ი“ ქვეპუნქტით დადგენილი წესით; შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა ხმათა ორი მესამედი;

დ) უზრუნველყოს საგადახდო სისტემების ეფექტიანი და გამართული ფუნქციონირება;

ე) განახორციელოს საქართველოს ფულის ნიშნების ემისია;

ვ) საერთაშორისო სტანდარტებისა და მეთოდოლოგიების შესაბამისად აწარმოოს და გაავრცელოს ქვეყნის ფინანსური და საგარეო სექტორის სტატისტიკა;

ზ) მასთან არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების – საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს (შემდგომში – სააგენტოს) და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის (შემდგომში – სამსახურის) მეშვეობით, ამ ორგანული კანონის შესაბამისად განახორციელოს ფინანსური სექტორის ზედამხედველობა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობა;

თ) შეასრულოს ამ ორგანული კანონით განსაზღვრული სხვა ფუნქციები.

Do not copy

მუხლი 3. ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობა

1. ეროვნული ბანკი დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში. საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სხვა ორგანოებს უფლება არა აქვთ ჩაერიონ მის საქმიანობაში ან განახორციელონ მონიტორინგი, გარდა ამ ორგანული კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2. ეროვნული ბანკი ეკონომიკურად დამოუკიდებელია და ყველა ხარჯს უზრუნველყოფს საკუთარი სახსრებით. ეროვნული ბანკი პასუხს არ აგებს საქართველოს მთავრობის ვალდებულებებზე. საქართველოს მთავრობა პასუხს არ აგებს ეროვნული ბანკის ვალდებულებებზე, გარდა ამ ორგანული კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3. ეროვნული ბანკი, მისი აქტივები, ქონება და შემოსავალი, აგრეთვე მის მიერ განხორციელებული საქმიანობა და ოპერაციები თავისუფლდება ყოველგვარი გადასახადისაგან, გადასახდელისა და მოსაკრებლისაგან (მათ შორის, სახელმწიფო ბაჟისაგან).

მუხლი 4. ფულად-საკრედიტო პოლიტიკის პრინციპები

1. ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებაა სამომხმარებლო ფასების საერთო დონის საშუალო წლიური ზრდის მიზნობრივი მაჩვენებლის შენარჩუნება საშუალოვადიან პერიოდში.

2. ეროვნული ბანკი ავტონომიურად (დამოუკიდებლად) ადგენს ინფლაციის მიზნობრივ მაჩვენებელს.

3. ეს ორგანული კანონი განსაზღვრავს ინფლაციის მაქსიმალურ მაჩვენებელს.

4. ეროვნული ბანკის პრეზიდენტი პასუხისმგებელია ინფლაციის მაჩვენებელზე.

დანართი 3

საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ (ამონარიდი)

ეს კანონი ადგენს საქართველოში საჯარო სამსახურის ორგანიზაციის სამართლებრივ საფუძვლებს, აწესრიგებს საჯარო სამსახურის განხორციელებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს მოსამსახურის სამართლებრივ მდგომარეობას.

მუხლი 1. საჯარო სამსახურისა და სახელმწიფო თანამდებობის ცნება

1. საჯარო სამსახური (შემდგომ – სამსახური) არის საქმიანობა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში – საჯარო ხელისუფლების ორგანოებში.

2. სახელმწიფო თანამდებობა არის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს პირველადი სტრუქტურული ერთეული, რომელიც განსაზღვრავს მოქალაქის ადგილსა და სოციალურ-შრომით როლს საჯარო სამსახურის სისტემაში, მის უფლებებსა და მასზე დაკისრებულ მოვალეობებს.

3. სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობა არის საქართველოს კონსტიტუციით, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციებით გათვალისწინებული ის სახელმწიფო თანამდებობა, რომელიც პოლიტიკურია და არჩევის ან დანიშვნის წესი განისაზღვრება შესაბამისად საქართველოს კონსტიტუციით, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციებით. სახელმწიფო-პოლიტიკურ თანამდებობის პირებს წარმოადგენენ:

ა) საქართველოს პრეზიდენტი;

Don't Copy

ბ) საქართველოს პარლამენტის წევრი;

გ) საქართველოს პრემიერ-მინისტრი და საქართველოს მთავრობის სხვა წევრი ;

დ) აფხაზეთისა და აჭარის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს წევრი;

ე) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობათა ხელმძღვანელები.

4. სახელმწიფო თანამდებობაზე საქმიანობად ითვლება შრომითი ურთიერთობა არჩევით ან დანიშვნით თანამდებობაზე იმ დაწესებულებაში, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებს საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას, სახელმწიფო ზედამხედველობას და კონტროლს, აგრეთვე სახელმწიფო თავდაცვას.

მუხლი 2. სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულების ცნება

1. სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულება (შემდგომში – დაწესებულება) არის სახელმწიფო ბიუჯეტის, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის სახსრებით შექმნილი და ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულება, რომლის ძირითადი ამოცანა საჯარო ხელისუფლების განხორციელებაა.

2. სახელმწიფო დაწესებულებებს, რომლებში საქმიანობაც ითვლება საჯარო სამსახურად, წარმოადგენენ:

ა) საქართველოს პარლამენტი , გარდა საქართველოს პარლამენტის ფრაქციათა , დროებითი საგამოძიებო კომისიისა და სხვა დროებითი კომისიის აპარატებისა;

ა 1) საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია;

ბ) საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი, საქართველოს სამინისტროები და სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებები;

ბ 1) საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური;

გ) საქართველოს იუსტიციის საბჭო;

დ) საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, საერთო სასამართლოები, საქართველოს პროკურატურა ;

ე) საქართველოს ეროვნული ბანკი;

ვ) სახელმწიფო აუდიტის სამსახური;

ზ) საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი და სააგენტოები;

თ) სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი და მისი ადმინისტრაცია;

კ) პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი.

3. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სახელმწიფო დაწესებულებებს, რომლებში საქმიანობაც ითვლება საჯარო სამსახურად, წარმოადგენენ:

ა) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოები , გარდა ამ ორგანოების ფრაქციათა აპარატებისა;

ბ) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებები;

4. ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებებს, რომლებში საქმიანობაც ითვლება საჯარო სამსახურად, წარმოადგენენ:

ა) საკრებულო;

ბ) გამგეობა, მერია;

გ) მუნიციპალიტეტი.

DO NOT COPY

მუხლი 3. საჯარო სამსახურის სახეები

1. საქართველოში საჯარო სამსახური ერთიანია.
2. საჯარო სამსახური იყოფა შემდეგ სახეებად:
ა) სახელმწიფო სამსახური;
ბ) სამსახური ადგილობრივ თვითმმართველობაში.

მუხლი 4. საჯარო მოსამსახურის ცნება

1. საჯარო მოსამსახურე (შემდგომ – მოსამსახურე) ამ კანონით დადგენილი წესით ეწევა ანაზღაურებად საქმიანობას სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებაში.

2. მოსამსახურე, რომელსაც აქვს სამსახურებრივი ურთიერთობა სახელმწიფოსთან, არის სახელმწიფო მოსამსახურე, ხოლო პირი, რომელიც სამსახურებრივ ურთიერთობაშია ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულთან, არის ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურე.

მუხლი 5. საჯარო მოსამსახურის სახეები

საჯარო სამსახურს ეწევა:
ა) სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირი;
ბ) მოხელე;
გ) დამხმარე მოსამსახურე;
დ) შტატგარეშე მოსამსახურე.

მუხლი 6. მოხელის ცნება და სახეები

1. მოხელე არის პირი, რომელიც ინიშნება ან აირჩევა სახაზინო დაწესებულების საშტატო (შტატით გათვალისწინებულ) თანამდებობაზე.

2. მოხელეები იყოფიან სახელმწიფო მოხელეებად და ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეებად.

მუხლი 7. დამხმარე მოსამსახურის ცნება

დამხმარე მოსამსახურე არის ტექნიკური მუშაკი, რომელიც შრომითი ხელშეკრულებით მიიღება დაწესებულების შტატით გათვალისწინებულ დამხმარე მოსამსახურის თანამდებობაზე.

მუხლი 8. შტატგარეშე მოსამსახურის ცნება

შტატგარეშე მოსამსახურე არის პირი, რომელიც დანიშვნით ან შრომითი ხელშეკრულებით გარკვეული ვადით მიიღება სამსახურში არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად.

Don't COPY

დანართი 4

იდეოლოგიების ისტორია

ლიბერალიზმი

ტერმინს „ლიბერალური“ XV საუკუნიდან იყენებენ. ამ ხნის განმავლობაში მას უამრავი განსხვავებული მნიშვნელობა მიეწერებოდა. ლათინური სიტყვა „liberalis“ თავისუფალ ადამიანთა კლასს აღნიშნავდა, ანუ ადამიანებს, რომლებიც არც ყმები იყვნენ და არც მონები.

როგორც ერთიან პოლიტიკურ მრწამსს, ლიბერალიზმს XIX საუკუნემდე არ უარსებია, მაგრამ ის იმ იდეებსა და თეორიებზე განვითარდა, რომლებიც მთელი სამასი წლის განმავლობაში ყალიბდებოდა. ლიბერალური იდეები ევროპაში ფეოდალიზმის რღვევისა და მის ადგილზე კაპიტალისტური საზოგადოების განვითარების შედეგია. ლიბერალიზმი ფართოდ ასახავდა განვითარებადი საშუალო ფენის მისწრაფებას, რომლის ინტერესები აბსოლუტურ მონარქთა და მიწადმფლობელთა ძალაუფლებას უპირისპირდებოდა. ლიბერალური იდეები რადიკალური იყო, მიმართული ძირეული რეფორმისა და ზოგჯერ რევოლუციური ცვლილებებისკენაც კი. XVII საუკუნის ინგლისის რევოლუციასაც და XVIII საუკუნის დასასრულის ამერიკისა და საფრანგეთის რევოლუციებსაც გამოკვეთილად ლიბერალური ნიშნები ჰქონდა, თუმცა სიტყვა „ლიბერალი“ ამ პერიოდში პოლიტიკური დატვირთვით არ გამოიყენებოდა.

ინდივიდის უზენაესობის რწმენას ბუნებრივად მივყავართ ინდივიდის დამოუკიდებლობის აღიარებამდე.

ლიბერალიზმის ერთერთი თეორეტიკოსი იყო დიდი ბრიტანეთის ფილოსოფოსი, ეკონომისტი და პოლიტიკოსი ჯონ სტიუარტ მილი (1806-1873). მილის მრავალმხრივმა და კომპლექსურმა შრომებმა ლიბერალიზმის განვითარებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა, რადგან მათ ხიდი გადეს კლასიკურ და თანამედროვე თეორიებს შორის. კოლექტივისტურ ტენდენციებისა და ტრადიციებისადმი მილის წინააღმდეგობა XIX საუკუნის პრინციპიდან მოდის. სამაგიეროდ, ინდივიდუალური ცხოვრების სიკეთის – ინდივიდუალის აუცილებლობის – ხაზგასმით, ქალთა საარჩევნო უფლების აღიარებით, მოგვიანებით კი მუშათა კოოპერატივებისადმი თანადგომით ის XX საუკუნის მოვლენებს ეხმიანებოდა. მილის შრომათგან აღსანიშნავია: „თავისუფლების შესახებ“ (1859), „როგორი უნდა იყოს წარმომადგენლობითი მთავრობა“ (1861) და „ქალთა დაქვემდებარება“ (1869)

კონსერვატიზმი

ყოველდღიურ მეტყველებაში ტერმინი „კონსერვატიული“ მრავალგვარი მნიშვნელობით იხმარება. ის შეიძლება გულისხმობდეს თავშეკავებულ ან წინდახედულ ქცევას, ცხოვრების ტრადიციულ ყაიდს, კონფორმისტულს, შიშს ცვლილებების წინაშე ან მათთვის თავის არიდებას. ყოველივე ეს ინგლისურში აღინიშნება ზმნით „to conserve“. ტერმინი „კონსერვატიზმი“ საგანგებო პოლიტიკური პოზიციის ან იდეოლოგიის დასახასიათებლად პირველად XIX საუკუნის დასაწყისში გამოიყენეს. ამერიკის შეერთებულ შტატებში ის მიანიშნებდა პესიმისტურ შეხედულებებზე საზოგადოებრივი მოვლენების შესახებ. XIX საუკუნის 20-ნ წლებში ეს ტერმინი მიუთითებდა ოპოზიციურ დამოკიდებულებას 1789 წლის რევოლუციის პრინციპებისა და სულისკვეთების მიმართ. დიდ ბრიტანეთში „ტორების“, როგორც ვიგების მიმართ ოპოზიციურად განწყობილი პარტიის, სახელწოდებას თანდათან შეენაცვლა და 1835 წელს ამ პარტიას ოფიციალური სახელწოდებად იქცა

DON'T COPY

„კონსერვატორები“.

კონსერვატიული იდეები აღმოცენდა იმ მძაფრი პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიური ცვლილებების საპასუხოდ, რომელთა გავლენა სულ უფრო ძალუმად იგრძნობოდა და რომელთა სიმბოლო, მრავალი თვალსაზრისით, საფრანგეთის რევოლუცია იყო.

XIX საუკუნის განმავლობაში დასავლეთის სახელმწიფოებზე არსებითი ზეგავლენა მოახდინა ინდუსტრიალიზაციამ, ეს კი აისახა ლიბერალიზმის, სოციალიზმისა და ნაციონალიზმის განვითარებაში. მაშინ, როდესაც ეს იდეოლოგიები მიზნად ისახავდნენ რეფორმებს და ზოგჯერ რევოლუციასაც უჭერდნენ მხარს, კონსერვატიზმი გახშირებული თავდასხმებიდან იცავდა ტრადიციულ სოციალურ წყობას.

კონსერვატიული პრინციპების ერთ-ერთი ყველაზე ადრეული და კლასიკური განსაზღვრება წარმოდგენილია ედმუნდ ბერკის (1729-1797) თხზულებაში „განაზრებნი საფრანგეთის რევოლუციის შესახებ“ (Reflections on the Revolutions in France, 1790), რომელშიც ავტორი სინანულს გამოთქვამდა ancein-regime-ის წინააღმდეგ მიმართულ რევოლუციასთან დაკავშირებით, რაც წინამორბედ წელს განხორციელდა.

ბერკი ძირითადათ ეწინააღმდეგებოდა ფრანგული პოლიტიკის გარდაქმნის მცდელობას ისეთი აბსტრაქტიული პრინციპების მიხედვით, როგორიცაა თავისუფლება, თანასწორობა, და ძმობა. მისი აზრით, ცხოვრებისეული სიბრძნის სათავე უმთავრესად გამოცდილებაში, ტრადიციისა და ისტორიაში ძევს. მიუხედავად ამისა, ის თვლიდა, რომ საფრანგეთის მონარქია ნაწილობრივ თავადვე იყო თავის ხვედრზე პასუხისმგებელი, რადგან ჯიუტად უარყოფდა „ცვლილებას კონსერვაციის მიზნით“. ბერკის შეხედულება ხელისუფლების შესახებ ერთობ პესიმისტურია: იგი აღიარება, რომ ხელისუფლებას ძალუძს ბოროტების თავიდან აცილება, თუმცა მისი აზრით, ის იშვიათად გამოდის სიკეთის ხელშემწყობად. ბერკი ასევე ადამ სმიტის კლასიკურ ეკონომიკას უჭერდა მხარს და საბაზრო ძალებს „ბუნებრივ კანონად“ მიიჩნევდა.

სოციალიზმი

ტრემინი „სოციალისტი“ წარმოდგება ლათინური სიტყვიდან sociare, რაც გაერთიანებას (შერწყმას) ან გაყოფას (გაზიარებას) ნიშნავს. ის პირველად 1827 წელს დიდ ბრიტანეთში, ჟურნალ The Co-operative Magazine-ს ერთერთ ნომერში იქნა გამოყენებული. XIX საუკუნის 30-ი წლების დასაწყისში რობერტ ოუენის (Robert Owen, 1760-1858) მიმდევრებმა დიდ ბრიტანეთში და სენ-სიმონისა (Saint-Simon, 1760-1825) საფრანგეთში თავიანთ მრწამს „სოციალიზმს“ უწოდებდნენ, ხოლო XIX საუკუნის 40-ი წლებისთვის ეს ტერმინი უკვე ცნობილი იყო ევროპის ინდუსტრიალიზებულ ქვეყნებში, განსაკუთრებით საფრანგეთში, ბელგიასა და გერმანულ სახელმწიფოებში.

მიუხედავად იმისა, რომ სოციალისტები ზოგჯერ იმ ინტელექტუალურ მემკვიდრეობაზე აცხადებენ პრეტენზიას, რომელიც პლატონის „რესპუბლიკაში“ ან თომას მორის „უტოპიაში“ (1516) იღებს სათავეს. სოციალიზმის საწყისი, ლიბერალიზმისა და კონსერვატიზმის მსგავსად, XIX საუკუნეში ძევს. სოციალიზმი იმ სოციალური და ეკონომიკური პირობების საწინააღმდეგოდ წარმოიშვა, რომელიც ინდუსტრიული კაპიტალიზმის ზრდამ წარმოქმნა ევროპაში. სოციალისტური იდეები სწრაფად დაუკავშირდა ახალი, მაგრამ მზარდი ინდუსტრიული მუშათა კლასის განვითარებას, რომელიც ადრეული ინდუსტრიალიზაციისათვის ასე დამახასიათებელ სიღარიბესა და დეგრადაციას განიცდიდა.

კლასიკური სოციალიზმის არსი – მარქსიზმი – ისტორიის ფილოსოფიაა, რომელიც განმარტავს, თუ რატომ არის კაპიტალიზმი განწირული და რატომ უნდა დაიკავოს სოციალიზმმა მისი ადგილი. კარლ მარქსი (1818-1883) – გერმანელი ფილოსოფოსი, ეკონომისტი და პოლიტიკური მოაზროვნე, ჩვეულებრივ, XX საუკუნის კომუნიზმის მამას

Don't COPY

უწოდებენ. ხანმოკლე სამასწავლებლო და ჟურნალისტური კარიერის შემდეგ მარქსმა დარჩენილი ცხოვრება გაატარა როგორც აქტიურმა რევოლუციონერმა და მწერალმა. უმთავრესად ლონდონში ცხოვრობდა.

მარქსის ნაშრომი ჰეგელის ფილოსოფიის, ბრიტანული პოლიტიკური ეკონომიისა და ფრანგული სოციალიზმის სინტეზით შეიქმნა. მისი ძირითადი თემა კაპიტალიზმის კრიტიკა იყო, რაც სისტემური უთანასწორობისა და არასტაბილურობის ხაზგასმით მის გარდამავალ ხასიათს ჰფენდა ნათელს. მარქსი ისტორიის ტელეოლოგიურ თეორიას ემხრობოდა, რომლის თანახმად, სოციალური განვითარებს კულმინაცია აუცილებლად კომუნიზმის დამკვიდრება იქნებოდა. მისი კლასიკური ნაშრომია სამტომიანი „კაპიტალი“ (Capital, 1867, 1885 და 1894). მარქსის ენგელსთან ერთად შექმნილი ყველაზე ცნობილი და პოპულარული ენით დაწერილი ნაშრომია „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“ (1848).

ფაშიზმი

თუ ლიბერალიზმი, კონსერვატიზმი და სოციალიზმი XIX საუკუნის იდეოლოგიებია, ფაშიზმი XX საუკუნის პირმშოა. რომელიც ორ მსოფლიო ომს შორის პერიოდს შორის წარმოიშვა ფაშიზმი გაჩნდა როგორც ჯანყი თანამედროვეობის წინააღმდეგ, განმანათლებლობის იდეათა, ღირებულებათა და მის მიერ წარმოქმნილი პოლიტიკური შეხედულებების წინააღმდეგ. მაგალითად ნაცისტებმა გერმანიაში განაცხადეს, რომ „1789 გაუქმებულია“.

ბენიტო მუსოლინი (1883-1945) იტალიელი ფაშისტი, დიქტატორი. ახალგაზრდობაში მუსოლინი მასწავლებელი და ჟურნალისტი იყო, შემდგომში გახდა სოციალისტური პარტიის ერთ-ერთი წამყვანი წევრი საიდანაც 1914 წელს გაირიცხა პირველი მსოფლიო ომში ჩარევის მხარდაჭერის გამო. 1919 წელს მან დააარსა ფაშისტური პარტია.

მუსოლინის უყვარდა საკუთარი თავის ფაშიზმის დამაარსებლად წარმოჩენა. მისი პოლიტიკური ფილოსოფიის საფუძვლებს წარმოადგენდა რწმენა, რომ ადამიანის არსებობის აზრი მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს, თუ მას საზოგადოება გამოცდის და განსაზღვრავს. მაგრამ ეს იმას მოითხოვდა, რომ სახელმწიფო აღიარებულიყო „უნივერსალურ ეთიკურ ნებად“, ცნებად, რომელიც ტოტალიტარიზმის სახით იყო განხორციელებული. სახელმწიფოს მიღმა „შეუძლებელია არსებობდეს ადამიანური ან სულიერი ღირებულებები, და საერთოდ ცოტა რამეს თუ გააჩნია ღირებულება“.

მიუხედავად იმისა, რომ ადოლფ ჰიტლერი (1889-1945), სრულიადაც არ იყო ორიგინალური მოაზროვნე, თავის „ჩემი ბრძოლა“ (Mein Kampf) მან გააერთიანა გერმანული ნაციონალიზმი, რასობრივი ანტისემიტიზმი და შეუქცევადი ბრძოლის რწმენა თითქმის სისტემატიზებულ ნაცისტურ პროპაგანდაში. სამყაროს მისეული ხედვის ძირითადი მახასიათებელი იყო თეორია, რომ ისტორია ასახავს მუდმივ ბრძოლას გერმანელებისა და ებრაელებს შორის, რომლებიც, შესაბამისად, სიკეთისა და ბოროტების ძალებს წარმოადგენენ.

რელიგიური ფუნდამენტალიზმი

ტერმინი „ფუნდამენტალიზმი“ მომდინარეობს ლათინური fundamentum, რაც საფუძვლიანს ნიშნავს. ეს ტერმინი პირველად XX საუკუნის დასაწყისში გამოიყენეს ამერიკელ პროტესტანტთა შორის გამართულ პოლემიკის დროს. 1910-1913 წლებში ევანგელისტმა პროტესტანტებმა გამოაქვეყნეს პამფლეტთა ციკლი სახელწოდებით „საფუძვლები“ (The Fundamentals), რომელიც ბიბლიის შინაგან არსს ან მისი უტყუარი, სიტყვასიტყვითი ჭეშმარიტების პოსტულატს ქრისტიანობის „თანამედროვე“ ინტერპრეტაციისგან იცავდა.

Don't copy

ფუნდამენტალიზმი არის აზროვნების ყაიდა, რომელიც გარკვეულ პრინციპებს ძირეულ ჭეშმარიტებად მიიჩნევს. ფუნდამენტალიზმის დამოუკიდებელ სახეობებს უმნიშვნელო მსგავსება აქვთ ერთმანეთთან ან საერთო არაფერი აქვთ, გარდა მათი მომხრეების მისწრაფებისა, გულმოდგინედ ან მგზნებარედ ამტკიცონ დოქტრინის უეჭველობა. ფუნდამენტალიზმი, ჩვეულებრივ, ასოცირდება რელიგიასა და საკრალური ტექსტების სიტყვასიტყვით ჭეშმარიტებასთან, მაგრამ ის შეიძლება, აგრეთვე გამოვლინდეს პოლიტიკურ მსოფლმხედველობაშიც. თვით ლიბერალურ სკეფტიციზმშიც შეინიშნება ფუნდამენტალისტური შეხედულება იმის შესახებ, რომ შეიძლება დაეჭვება ყველა თეორიაში, რასაკვირველია საკუთარი თეორიის გარდა. ეს ტერმინი ხშირად გამოიყენება დაცინვის მიზნით და მიუთითებს სიხისტეზე, დოგმატიზმსა და ავტორიტარიზმზე, მაგრამ ზოგჯერ პრინციპისადმი ერთგულებასა და თავდადებას აღნიშნავს.

ანარქიზმი

სიტყვა „ანარქია“ ბერძნული სიტყვიდან მომდინარეობს და სიტყვასიტყვით ნიშნავს „წესრიგის გარეშე“. ტერმინი „ანარქიზმი“ საფრანგეთის რევოლუციის დროიდან შემოვიდა ხმარებაში. იგი თავდაპირველად კრიტიკული ან ნეგატიური მნიშვნელობით – ცივილიზებული ან კანონზომიერი წესრიგის რღვევის გამოსახატავად გამოიყენებოდა. პრაქტიკულად, ამ ტერმინს დღესაც ხშირად იყენებენ დამაკნინებელი მნიშვნელობით. ჩვეულებრივ, ყოველდღიურ საუბარში, „ანარქიას“ ქაოსსა და უწესრიგობას უკავშირებენ. საზოგადოებრივ წარმოდგენაში ანარქისტები „ბომბის მატარებელი“ ტერორისტები არიან. ტერმინ „ანარქიას“ პოლიტიკური იდეების პოზიტიური და სისტემატიზირებული ერთობლიობის მნიშვნელობა მხოლოდ XIX საუკუნის 40 წლებიდან მიეცა, როდესაც პიერ ჟოზე პრუდონმა თავის წიგნში „რა არის საკუთრება“ სიამაყით განაცხადა: „მე ანარქისტი ვარ“.

ანარქისტები ქადაგებდნენ კანონისა და სამთავრობო ინსტიტუტების გაუქმებას, თუმცა მათ ამგვარ სწრაფვას უფრო ბუნებრივი და სპონტანური სოციალური რეჟიმის დამყარებისა და განვითარების რწმენა უდევს საფუძვლად. როგორც პრუდონი აღნიშნავდა, „საზოგადოება წესრიგს ანარქიაში ეძებს“.

ნაციონალიზმი

ნაციონალიზმი არის იდეოლოგია, რომლის მიხედვითაც ერი ანუ „ნაცია“ (ლათ. Nacia) არის საზოგადოების ფუნდამენტური ნაწილი, ერის ინტერესები და ერთგულება ყველა ჯგუფისა და ინდივიდის ინტერესზე მაღლა უნდა იდგეს. თავდაპირველი ნაციონალისტური (ეროვნული) მოძრაობები ჩამოყალიბდა საფრანგეთში მეფის დასამხობად მოწყობილ 1793 წლის რევოლუციის შემდეგ. მოგვიანებით XIX საუკუნეში ნაციონალისტურმა იდეებმა მოიცვა ევროპის მრავალი ქვეყანა. ნაციონალიზმის მაგალითები საქართველოში გვხვდება ილია ჭავჭავაძისა და თერგდალეულების მოღვაწეობაში.

თანამედროვე ევროპაში, XIX საუკუნის ევროპისაგან განსხვავებით, ნაციონალიზმი აღარ წარმოადგენს გაბატონებულ იდეოლოგიას. მიუხედავად ამისა, ის რჩება მრავალი პოლიტიკური პარტიის მთავარ იდეოლოგიად. ისინი უმეტესად ეროვნულ იდენტობაზე დაფუძნებული დემოკრატიის მომხრეებად, ეროვნული თვითმყოფადობის დასაცავად გამოდიან. ნაციონალისტურ პარტიებს ევროპის თითქმის ყველა სახელმწიფოს პარლამენტში ჰყავთ დეპუტატები.

ნაციონალიზმი, თავის მხრივ, იყოფა სამოქალაქო, ეთნიკურ და კულტურულ ნაციონალიზმებად. სამოქალაქო ნაციონალიზმი საზოგადოების ქვაკუთხედად ქვეყნის მო-

Don't Copy

ქალაქეობრიობას აღიქვამს, მაშინ, როდესაც ეთნიკური ნაციონალიზმი მიიჩნევს, რომ საზოგადოების ქვაკუთხედი არის ეთნოსი.

კულტურული ნაციონალიზმი არის შუალედური პოზიცია, ერთის მხრივ, ეთნიკურ ნაციონალიზმს და მეორეს მხრივ, სამოქალაქო ნაციონალიზმს შორის, რომელიც თვლის, რომ ერი უფრო მეტად განისაზღვრება საერთო კულტურით და საერთო ენით, ვიდრე საერთო წინაპრების ან რასის ცნებებით. ამრიგად, კულტურული ნაციონალიზმის მიხედვით, სხვა წარმოშობის ინდივიდები შეიძლება გახდნენ ერის ნაწილი კულტურული ასიმილაციის გზით.

სამოქალაქო ნაციონალიზმი (იგივე ლიბერალური ნაციონალიზმი), ეყრდნობა იმ პოლიტიკური ფილოსოფოსების მოსაზრებებს, რომლებსაც სჯერათ ნაციონალიზმის არაქსენოფობიური ფორმის, რომელიც თავსებადია დემოკრატიასთან და ლიბერალურ ღირებულებებთან, როგორებიცაა: თავისუფლება, ტოლერანტობა, თანასწოროობა და ინდივიდუალური უფლებები.

სამოქალაქო ნაციონალიზმის ფუძემდებლებად ფრანგი მწერალი და ფილოლოგი - ერნესტ რენანი და ინგლისელი ფილოსოფოსი და ეკონომისტი - ჯონ სტიუარტ მილი ითვლებიან. სამოქალაქო ნაციონალისტები ხშირად იცავენ ეროვნული იდენტობის ღირებულებებს და აცხადებენ, რომ ის ადამიანებს ესაჭიროებათ შინაარსიანი და დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის. მათი აზრით, დემოკრატიული მმართველობის ფორმები ეროვნულ იდენტობას საჭიროებს სრულყოფილად ფუნქციონირებისთვის.

სამოქალაქო ნაციონალიზმს ხშირად უპირისპირებენ ეთნიკურ ნაციონალიზმს. ისტორიულად, სამოქალაქო ნაციონალიზმი იყო განმსაზღვრელი ფაქტორი მმართველობის თანამედროვე კონსტიტუციური და დემოკრატიული ფორმების განვითარებისთვის, მაშინ როცა ეთნიკური ნაციონალიზმი უფრო მეტად ასოცირდება ავტორიტარულ მმართველობასთან და დიქტატურასთანაც კი.

თანამედროვე ეპოქისათვის დამახასიათებელი მოვლენაა რადიკალური რელიგიური ნაციონალიზმიც. ნაციონალიზმი, როგორც წესი, არარელიგიური, სეკულარული მოვლენაა, მაგრამ დღეს, როგორც ნაციონალიზმის, ისე რელიგიის გააქტიურებამ, მსოფლიოს ბევრ რეგიონში, მათი დაკავშირება გამოიწვია.

DonGOP

ლიბერალიზმი ხედვა	იდეოლოგიის მახასიათებლები: ● ინდივიდი ● თავისუფლება ● გონება ● სამართლიანობა
იდეოლოგიის შესახებ	ლიბერალიზმის ისტორიული წარმოშობის ფესვები ანტიკურ პოლიტიკურ აზროვნებაშია, მაგრამ ლიბერალიზმი, როგორც პოლიტიკური იდეა მაინც ბრიტანული განმანათლებლობის ტრადიციაში იბადება. კლასიკური ლიბერალიზმის პირველი თეორეტიკოსი ცნობილი ინგლისელი განმანათლებელი ჯონ ლოკი იყო. თანამედროვე ლიბერალიზმის ყველაზე გამორჩეული თეორეტიკოსი ჯონ როულზი კი თავის ცნობილი ნაშრომში „სამართლიანობის თეორია (1971)“ საუბრობს თავისუფლებისა და თანასწორობის, როგორც ორი იდეალის, თანაბარ და ჰარმონიული განვითარებაზე, რამაც უნდა დააფუძნოს ისეთი სოციალური წესრიგი, სადაც საზოგადოების ყველა წევრი თავს დაცულად და ბედნიერად იგრძნობს.
თავისუფლების შესახებ	**ლიბერალიზმი** უპირატესობას თავისუფლებას ანიჭებს, როგორც უზენაეს პიროვნულ ღირებულებას. კლასიკური ლიბერალიზმი ნეგატიურ თავისუფლებას უჭერს მხარს, ამ იდეოლოგიის წარმომადგენლებს ესმით, როგორც შეზღუდვების არარსებობა ან არჩევანის თავისუფლება მაშინ, როცა თანამედროვე ლიბერალიზმი პოზიტიურ თავისუფლებას ემხრობა და მასში პიროვნების განვითარებისა და წამატების საწინდარს ხედავს.
დემოკრატიის შესახებ	**ლიბერალები** დემოკრატიას ინდივიდთან მიმართებაში განიხილავენ, როგორც თანხმობას, რომელსაც პიროვნება საარჩევნო ყუთთან გამოხატავს. დემოკრატია რეგულარულ და კონკურენტულ არჩევნებთან არის გაიგივებული, რადგან იგი ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას ზღუდავს.
ადამიანის ბუნების შესახებ	**ლიბერალები** ადამიანის ბუნებას განიხილავენ, როგორც ინდივიდის თანდაყოლილ შინაგან თვისებათა ერთობლიობას. სოციალურ და ისტორიულ პირობებს უმნიშვნელო ან არანაირ დატვირთვას არ ანიჭებენ. ადამიანები ამბიციური და მნიშვნელოვანწილად თავდაჯერებული არსებები არიან, მაგრამ მათ გონებაც მართავს და აქვთ პიროვნული განვითარების უნარი განათლების გზით.
საზოგადოების შესახებ	**ლიბერალები** საზოგადოებას განიხილავენ არა როგორც სრულუფლებიან ორგანიზმს, არამედ როგორც ინდივიდთა ნაკრებს. გარკვეულ დონემდე საზოგადოება იმ ადამიანთა ნებაყოფლობითი შეთანხმების საფუძველზეა ჩამოყალიბებული, რომლებსაც პირადი ინტერესი ამოძრავებთ. მიუხედავად ამისა, საზოგადოებაში არსებობს ინტერესთა ზოგადი ბალანსი, რომელიც ხელს უწყობს ჰარმონიასა და წონასწორობას.
თანასწორობის შესახებ	**ლიბერალებს** სწამთ, რომ ადამიანები „დაბადებით“ თანასწორნი არიან და მათ თანაბარი მორალური ღირებულება აქვთ. ეს ფორმალური თანასწორობა გულისხმობს პოლიტიკურ თანასწორობას, ისევე, როგორც შესაძლებლობათა თანასწორობას. მაგრამ სოციალური თანასწორობა, როგორც ჩანს, თავისუფლებისა და ნიჭის ჩახშობის ფასად მიიღწევა. მიუხედავად ამისა, მაშინ, როცა ძველი ლიბერალები ხაზს უსვამენ მკაცრი მერიტოკრატიასა და ეკონომიკური ინიციატივის აუცილებლობას, თანამედროვე ლიბერალები ამტკიცებენ, რომ სრულიად თანაბარი შესაძლებლობები შეფარდებით სოციალურ თანასწორობას მოითხოვს.
ეკონომიკის შესახებ	**ლიბერალები** ეკონომიკას განიხილავენ, როგორც სამოქალაქო საზოგადოების არსებით ნაწილს და უპირატესობას ანიჭებენ ბაზარს ანუ კაპიტალისტურ ეკონომიკურ წყობას, რომელიც ემყარება საკუთრებას, კონკურენციასა და მატერიალურ სტიმულებს. ამასთან, თუ კლასიკური ლიბერალიზმის წარმომადგენლები უპირატესობას კაპიტალიზმს ანიჭებენ, თანამედროვე ლიბერალები ბაზრის შემზღუდველი ღონისძიებების საჭიროებასა და ეკონომიკის შეზღუდულ მართვას აღიარებენ.

DRAFT

ერის შესახებ	**ლიბერალები** ემხრობიან ერის „სამოქალაქო“ კონცეფციას, რომელიც ერთნაირად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პოლიტიკურ და კულტურულ ერთიანობას. ერი წარმოადგენს მორალურ გაერთიანებას, რადგან მას გააჩნია უფლებები, განსაკუთრებით კი, თვითგამორკვევის თანასწორი უფლება.
სახელმწიფოს შესახებ	**ლიბერალების** თვალსაზრისით სახელმწიფო წარმოადგენს სოციალური წესრიგის დაცვის უმთავრეს გარანტს და ნეიტრალურ არბიტრს საზოგადოებაში არსებულ დაპირისპირებულ ინტერესებსა და ჯგუფებს შორის. კლასიკური ლიბერალები სახელმწიფოს აღიქვამენ, როგორც გარდაუვალ ბოროტებას და ხოტბას ასხამენ სახელმწიფოს მინიმალურ და მხოლოდ „გუშაგის“ ფუნქციას. თანამედროვე ლიბერალები აღიარებენ სახელმწიფოს პოზიტიურ როლს თავისუფლებისა და თანაბარი შესაძლებლობების ხელშეწყობის საქმეში.
ხელისუფლების შესახებ	**ლიბერალებს** სწამთ, რომ ხელისუფლება „ქვემოდან“, მის მიერ მართული ხალხის თანხმობიდან მომდინარეობს. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება აუცილებელია ქავეყანაში წესრიგისათვის, ის რაციონალური, მიზანმიმართული და შეზღუდული უნდა იყოს. ამ მოსაზრების ამსახველია ის, რომ ისინი უპირატესობას კანონიერ-რაციონალურ ხელისუფლებასა და საზოგადოების წინაშე მის ანგარიშვალდებულებას ანიჭებენ.
გენდერის შესახებ	**ლიბერალები** ტრადიციულად მიიჩნევენ, რომ განსხვავებებს ქალთა და მამაკაცთა შორის მხოლოდ პირადული ან კერძო მნიშვნელობა აქვს. საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ყველა ადამიანი მიიჩნევა პიროვნებად, აქ სქესს ისევე არა აქვს მნიშვნელობა, როგორც ეთნიკურ კუთვნილებას ან სოციალურ კლასს. ამ თვალსაზრისით, ინდივიდუალიზმი „გენდერულად ბრმაა“.
ბუნების შესახებ	**ლიბერალები** ბუნებას ადამიანების საჭიროების დაკმაყოფილების წყაროდ განიხილავენ, აქედან გამომდინარე, იშვიათად აყენებენ ეჭვქვეშ ადამიანის ბუნებაზე ბატონობას. ბუნება, რომელსაც თავისთავად არ გააჩნია ღირებულება, იძენს მას, როცა გარდაიქმნება ადამიანის შრომით ან როცა გამოიყენება ადამიანთა საჭიროებისათვის.
რელიგიის შესახებ	**ლიბერალების** შეხედულებით, რელიგია საგანგებო „პრივატული“ საკითხია, რომელიც ინდივიდუალურ არჩევანსა და პირად განვითარებას უკავშირდება. ამიტომ, მათი აზრით, რელიგიური თავისუფლება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სამოქალაქო თავისუფლებებისთვის და შეიძლება გარანტირებულ იქნას მარტოოდენ რელიგიისა და პოლიტიკის, ეკლესიისა და სახელმწიფოს მკვეთრი ურთიერთგამიჯვნის მეშვეობით.
ისტორიის შესახებ	**ლიბერალები** მიიჩნევენ, რომ ისტორია არის პროგრესი, რომელიც ვითარდება, ყოველი მომდევნო თაობა წინაზე უფრო შორს მიდის ცოდნისა და თვითშემეცნების გზით. ლიბერალები, ჩვეულებრივ, მიიჩნევენ, რომ ეს თანდათანობით ანუ ეტაპობრივი რეფორმების გზით ხდება და არა რევოლუციის საშუალებით.

კონსერვატიზმი	● ტრადიციის პატივისცემა ● ადამიანის არასრულყოფილება ● ორგანული საზოგადოება ● იერარქია და ძალაუფლება ● საკუთრება
იდეოლოგიის შესახებ	**კონსერვატორები** იდეოლოგიას ტრადიციულად რაციონალიზმის თვითდაჯერებულობის გამოსახატავად განიხილავდნენ. კონსერვატიზმი ძირითადად კონცენტრირებულია იმ სოციალური ნორმების, ტრადიციებისა და პრაქტიკების შენარჩუნებაზე, რომლებიც კონკრეტულ ერში ისტორიული განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ჩამოყალიბდა და რომლებმაც, მარტივად რომ ვთქვათ, დროს გაუძლეს. კონსერვატიზმი უარყოფითად უყურებს ადამიანის შესაძლებლობას, თავად შექმნას ისტორია და განკარგოს საკუთარი ცხოვრება. იდეოლოგიის მამამთავარად ბრიტანელი ფილოსოფოსი და სახელმწიფო მოღვაწე ედმუნდ ბერკი ითვლება, რომელმაც პირველმა შემოგვთავაზა საფრანგეთის რევოლუციის მწვავე კრიტიკა თავის ცნობილ ნაშრომში „მოსაზრებანი საფრანგეთის რევოლუციაზე“ (1790).

თავისუფლების შესახებ	**კონსერვატორებს** თავისუფლებაზე ტრადიციულად სუსტი შეხედულება აქვთ. ისინი თვლიან, რომ თავისუფლება ვალდებულებათა და პასუხისმგებლობათა ნებაყოფლობითი აღიარებაა, ხოლო ნეგატიური თავისუფლება საზოგადოებრივ წყობას საფრთხეს უქმნის. რაც შეეხება კონსერვატორ ახალ მემარჯვენეებს, ისინი ეკონომიკურ სფეროში ნეგატიური თავისუფლების, ბაზარზე კი არჩევანის თავისუფლების მომხრენი არიან.
დემოკრატიის შესახებ	**კონსერვატორები** ლიბერალურ-დემოკრატიული მმართველობის ფორმას ემხრობიან, ოღონდ საჭიროდ მიიჩნევენ შეზღუდვებს იმ მოსაზრებით, რომ დაცული იყოს საკუთრება და ტრადიციული ინსტიტუტები. ახალ მემარჯვენეებს რაც შეეხებათ, ისინი არჩევით დემოკრატიას მმართველობის გადამეტებისა და ეკონომიკური სტაგნაციის პრობლემებს უკავშირებენ.
ადამიანის ბუნების შესახებ	**კონსერვატორები** ადამიანებს შეზღუდულ და უსაფრთხოების მაძიებელ არსებად განიხილავენ, რომელთაც ურჩევნიათ ნაცნობი, ახლობელი, ნაცადი და შემოწმებული. ადამიანური რაციონალიზმი არასაიმედოა. ყოველ ადამიანში ბუდობს ზნეობრივი სიმახინჯე. მიუხედავად ამისა, ახალი მემარჯვენეობა ინდივიდუალიზმს შემწყნარებლურად უყურებს.
საზოგადოების შესახებ	**კონსერვატორები** საზოგადოებას აღიქვამენ, როგორც ორგანიზმს, ცოცხალ არსებას. საზოგადოება პიროვნების გარეშე არსებობს და, გარკვეული გაგებით, პიროვნებაზე მაღლა დგას. მის ერთიანობას ტრადიცია, ავტორიტეტი და საერთო მორალი განსაზღვრავს. ახალი მემარჯვენეები, ამისგან განსხვავებით, ლიბერალური მოსაზრებებისკენ იხრებიან.
თანასწორობის შესახებ	**კონსერვატიზმი** საზოგადოებას ტრადიციულად განიხილავს, როგორც ბუნებრივად იერარქიულს და ამიტომაც უკუაგდებენ თანასწორობას, როგორც აბსტრაქტულსა და მიუღწეველ მიზანს. მიუხედავად ამისა, ახალი მემარჯვენეობა თანაბარ შესაძლებლობათა მკაცრად ინდივიდუალისტურ რწმენას ავლენს და ხაზს უსვამს მატერიალური უთანასწორობის ეკონომიკურ სარგებლობას.
ეკონომიკის შესახებ	**კონსერვატორები** უყოყმანოდ უჭერენ მხარს კერძო მეწარმოებას. ამასთან, ისინი უპირატესობას ანიჭებენ პროგრამულ, თუმცა შეზღუდულ ჩარევას, რადგან აცნობიერებენ საყოველთაო სოციალურ არასტაბილურობის თანმხლებ საშიშროებას. რაც შეეხება ახალ მემარჯვენეებს, ის არარეგულირებულ კაპიტალიზმს უჭერს მხარს.
ერის შესახებ	**კონსერვატორები** ერს თვლიან უპირველესად „ორგანულ“ ერთობად, რომლის წევრებსაც აკავშირებს საერთო ისტორია და ეთნიკური კუთვნილება. მათი აზრით ერი, როგორც სოციალური გაერთიანებისა და კოლექტიური იდენტურობის წყარო, ყველაზე მნიშვნელოვან სოციალურ ჯგუფს წარმოადგენს.
სახელმწიფოს შესახებ	**კონსერვატორები** სახელმწიფოს უკავშირებენ ძალაუფლებისა და დისციპლინის უზრუნველყოფას, ქაოსისა და არეულობისგან დაცვას. ამიტომაც არის, რომ კონსერვატორები, ტრადიციულად, უპირატესობას ძლიერ სახელმწიფოს ანიჭებენ.
ხელისუფლების შესახებ	**კონსერვატორები** მიიჩნევენ, რომ ხელისუფლება ბუნებრივ აუცილებლობას წარმოადგენს და რომ იგი „ზემოდან“ უნდა მართავდეს გამოცდილების, საზოგადოებრივი მდგომარეობისა და სიბრძნის არათანაბარი განაწილებიდან გამომდინარე. ხელისუფლება სასარგებლო და აუცილებელია, ვინაიდან ის ავითარებს პატივისცემასა და ერთგულებას, ხელს უწყობს საზოგადოებრივ ერთიანობას.
გენდერის შესახებ	**კონსერვატორები** ტრადიციულად ხაზს უსვამენ გენდერული დაყოფის სოციალურ და პოლიტიკურ მნიშვნელობას, ისინი ამტკიცებენ, რომ ქალთა და მამაკაცთა შორის სამუშაოს დანაწილება ბუნებრივი და გარდაუვალია.

DO NOT COPY

ბუნების შესახებ	**კონსერვატორები** ბუნებას ხშირად ხატავენ საშიშად, სასტიკადაც კი. თვლიან, რომ მას ახასიათებს ამორალური ბრძოლა და სისასტიკე, რომელიც აგრეთვე ადამიანურ ყოფასაც განსაზღვრავს. ადამიანები შეიძლება განიხილებოდნენ, როგორც ბუნების ნაწილი „ქმნილებათა დიდი ჯაჭვის“ ფარგლებში. ამისდა მიუხედავად, მათი უზენაესობა ბუნების მცველების სტატუსითაა უზრუნველყოფილი.
რელიგიის შესახებ	**კონსერვატორები** რელიგიას სტაბილურობისა და სოციალურ ძალთა გაერთიანების არსებით წყაროდ მიიჩნევენ. ის საზოგადოებას საერთო ფასეულობებითა და ზოგადი კულტურის ძირითადი პრინციპებით უზრუნველყობს. ამიტომ რელიგიისა და კულტურის, ეკლესიისა და სახელმწიფოს თანხვდომა გარდაუვალი და სასურველია.
ისტორიის შესახებ	**კონსერვატორები** ისტორიას ტრადიციებისა და უწყვეტობის კუთხით უყურებენ, პროგრესისათვის მცირე ადგილს ტოვებენ. წარსულის გაკვეთილები ამჟამინდელი და მომავალი მოქმედებების გზამკვლევია. რეაქციონერ კონსერვატორებს სჯერათ, რომ ისტორიას დაცემის ტენდენცია ახასიათებს და სურთ უკეთეს წარსულ დროებას დაუბრუნდნენ.

სოციალიზმი	● საზოგადოება ● თანამშრომლობა ● თანასწორობა ● სოციალური კლასი ● საზოგადოებრივი საკუთრება
იდეოლოგიის შესახებ	**სოციალისტები**, მარქსის მიხედვით, იდეოლოგიას აფასებენ, როგორც იდეათა ერთიანობას, რომელიც კლასობრივი საზოგადოების წინააღმდეგობებს ნიღბავს, რითაც დამორჩილებულ კლასებში ყალბ ცნობიერებასა და პოლიტიკურ პასიურობას ავითარებს. მოგვიანებით მარქსისტებმა იდეოლოგიის ნეიტრალური კონცეფცია მიიღეს და მას განიხილავდნენ, როგორც იდეებს, რომლებიც დამახასიათებელია ნებისმიერი სოციალური კლასისათვის, მათ შორის, მუშათა კლასისათვისაც.
თავისუფლების შესახებ	**სოციალისტებს** თავისუფლება ზოგადად გაგებული აქვთ პოზიტიური აზრით, იგი უკავშირდება თავისუფალი შემოქმედებითი შრომის ან საერთო თანამშრომლობაზე დაფუძნებული სოციალური თანამოქმედების გზით მიღწეულ თვითრეალიზებას. სოციალ-დემოკრატები თანამედროვე ლიბერალიზმს უახლოვდებიან, როდესაც თავისუფლებას ადამიანის პოტენციალის განხორციელებად განიხილავენ.
დემოკრატიის შესახებ	**სოციალისტებისთვის**, ტრადიციულად, ამოსავალია ხალხის მონაწილეობაზე დამყარებული რადიკალური დემოკრატიის ერთგვარი ფორმა და სახალხო კონტროლისადმი ეკონომიკის დაქვემდებარების სურვილი. ისინი ლიბერალურ დემოკრატიას უარყოფენ და მას აფასებენ, როგორც უბრალოდ კაპიტალისტურ დემოკრატიას. და მაინც, თანამედროვე სოციალ-დემოკრატები ახლა უკვე მყარად ერთგულობენ ლიბერალურ-დემოკრატიულ სტრუქტურებს.
ადამიანის ბუნების შესახებ	**სოციალისტები** ადამიანებს, არსებითად, სოციალურ არსებად მიიჩნევენ. მათი აზრით, ადამიანის უნარ-ჩვევებსა და ქცევას ბუნებაზე მეტად აღზრდა აყალიბებს, განსაკუთრებით - შემოქმედებითი შრომა. ადამიანთა მიდრეკილება თანამშრომლობის, გულღიაობისა და რაციონალობისადმი ნიშნავს, რომ მათ განვითარებისა და პიროვნული ზრდის მნიშვნელოვანი პერსპექტივები აქვთ.
საზოგადოების შესახებ	**სოციალისტები** საზოგადოებას, ტრადიციულად, უთანასწორო კლასობრივი ძალაუფლების კონტექსტში განიხილავენ, მათთვის ეკონომიკური და საკუთრებრივი დაყოფა უფრო ღრმა და ნამდვილია, ვიდრე რომელიმე უფრო ფართო სოციალური კავშირი. მარქსისტებს სწამთ, რომ საზოგადოებას ახასიათებს კლასობრივი ბრძოლა და ერთადერთ სტაბილურ და შედუღებულ საზოგადოებად უკლასო საზოგადოებას მიიჩნევენ.

DRAFT

თანასწორობის შესახებ	**სოციალისტები** თანასწორობას ფუნდამენტალურ ღირებულებად მიიჩნევენ, კერძოდ, ისინი მხარს უჭერენ სოციალურ თანასწორობას. სოციალური თანასწორობა, მისი შეფარდებითი (სოციალ-დემოკრატიული) თუ აბსოლუტური (კომუნისტური) გაგებით, არსებით ელემენტად მიიჩნევა სოციალური ერთიანობისა და ძმობის უზრუნველყოფაში, რადგან ამკვიდრებს მართლმსაჯულებას ან თანასწორობას, და აფართოებს თავისუფლებას პოზიტიური გაგებით.
ეკონომიკის შესახებ	**სოციალისტებმა**, მარქსისტული ტრადიციის შესაბამისად, უპირატესობა საზოგადოებრივ საკუთრებისა და აბსოლუტურ სოციალურ თანასწორობას მიანიჭეს, რაც კომუნიზმში სახელმწიფო კოლექტივიზაციასა და ცენტრალურ დაგეგმაში გამოიხატა. ამასთან, სოციალ-დემოკრატები ემხრობიან საყოველთაო კეთილდღეობას ანუ რეგულირებულ კაპიტალიზმს, რადგან, მათი თვალსაზრისით, ბაზარი კარგი მსახურია, მაგრამ უხეირო ბატონი.
ერის შესახებ	**სოციალისტების** აზრით, ერი კაცობრიობის ხელოვნურ დანაწევრებულობას წარმოადგენს, რომლის ამოცანაა მიჩქმალოს სოციალური უსამართლობა და დაიცვას დადგენილი წესრიგი. ამიტომ სოციალისტები თვლიან, რომ პოლიტიკურ მოძრაობებს უნდა ჰქონდეს მხოლოდ ინტერნაციონალური და არა ნაციონალური ხასიათი.
სახელმწიფოს შესახებ	**სოციალისტებს** შორის გავრცელებული შეხედულებები სახელმწიფოს შესახებ არაერთგვაროვანია. მარქსისტები ყურადღებას ამახვილებენ კავშირზე სახელმწიფოსა და კლასობრივ სისტემას შორის, თვლიან რა მას ან კლასობრივი მმართველობის ინსტრუმენტად, ან კლასების შემარიგებელ საშუალებად. მაგრამ სოციალიზმის სხვა მიმართულებები სახელმწიფოს საზოგადო საკითხების მარეგულირებლად მიიჩნევენ და, შესაბამისად, მხარს უჭერენ ინტერნაციონალიზმს თავისი სოციალ-დემოკრატიული ან სახელმწიფო-კოლექტივისტური ფორმით.
ხელისუფლების შესახებ	**სოციალისტები** ხელისუფლებას, ჩვეულებრივ, ეჭვის თვალით უყურებენ, რადგან მიიჩნევენ, რომ ის იმთავითვე მჩაგვრელია და ზოგადად ძლიერთა და პრივილიგირებულთა ინტერესებს უკავშირდება. ამისდა მიუხედავად, სოციალისტური საზოგადოებები ხელისუფლებას ამყარებდნენ სხვადასხვა ფორმით გამოხატული კოლექტიური ორგანოს სახით, რომელიც ინდივიდუალიზმისა და სიხარბის კონტროლის საშუალებად მიიჩნეოდა.
გენდერის შესახებ	**სოციალისტები** იშვიათად მიიჩნევენ გენდერს პოლიტიკურად მნიშვნელოვან კატეგორიად. გენდერული განსხვავებები მნიშვნელოვანი ხდება ჩვეულებრივ იმიტომ, რომ ისინი ასახავენ და ხელს უწყობენ უფრო ღრმა ეკონომიკურ და კლასობრივ უთანასწორობას.
ბუნების შესახებ	**სოციალისტები**, ლიბერალების მსგავსად, ბუნებას განიხილავდნენ და ეპყრობოდნენ, მხოლოდ როგორც რესურსს. მაგრამ სოციალიზმში არსებული რომანტიკული ან პოსტრომანტიკული ტრადიცია ასევე ხოტბას ასხამს ბუნების სილამაზეს, ჰარმონიასა და სიმდიდრეს და ადამიანურ სრულყოფას ბუნებასთან სიახლოვეში ეძიებს.
რელიგიის შესახებ	**სოციალისტები** რელიგიას, ჩვეულებრივ, უარყოფითი ტერმინებით ახასიათებენ, ანუ, მათი აზრით, ესაა, საუკეთესო შემთხვევაში, პოლიტიკური ბრძოლისგან თავის არიდება და, უარეს შემთხვევაში, მმართველი კლასის იდეოლოგიის ფორმა, რაც ზოგჯერ სახელმწიფოში ათეიზმის დამკვიდრებას განაპირობებს. ამასთან, სიყვარულისა და თანაგრძნობის აქცენტირებით რელიგიას ძალუძს, სოციალიზმი ეთიკური ბაზისით უზრუნველყოს.
ისტორიის შესახებ	**სოციალისტები** ისტორიაზე პროგრესულ შეხედულებას ემხრობიან, რომელიც დიდ ყურადღებას სოციალური და პირადი განვითარების შესაძლებლობაზე ამახვილებს. მარქსისტებს სჯერათ, რომ კლასობრივი კონფლიქტი ისტორიის მამოძრავებელია და რომ ისტორიის საბოლოო შედეგი არაკლასობრივი, კომუნისტური საზოგადოება იქნება.

Don Copy

ანარქიზმი	• ნებისმიერი ძალაუფლების უგულებელყოფა • პირდაპირი დემოკრატია • სწრაფვა ბუნებრივი ჰარმონიისკენ
თავისუფლების შესახებ	**ანარქისტები** თავისუფლებას აბსოლუტურ ღირებულებად მიიჩნევენ. მათი აზრით, თავისუფლება შეუთავსებელია პოლიტიკური ძალაუფლების ნებისმიერ ფორმასთან. იგი პიროვნული ავტონომიის მიღწევის საშუალებაა, რაც გულისხმობს საკუთარი ნებითა და გონივრული გადაწყვეტილებებით მოქმედებას და არა უბრალოდ „საკუთარი თავის ანაბარად“ დარჩენას.
დემოკრატიის შესახებ	**ანარქისტები** დემოკრატიის პირდაპირი ფორმის მომხრენი არიან და ხალხის სტაბილური თანამონაწილეობისა და რადიკალური დეცენტრალიზაციის იდეებს ქადაგებენ. არჩევითი თუ წარმომადგენლობითი დემოკრატია მათთვის უბრალოდ გარეგნული სახეა ელიტის ბატონობის შესანიღბად და ჩაგრულ მდგომარეობასთან მასების შესაგუებლად.
ადამიანის ბუნების შესახებ	**ანარქისტები** ადამიანის ბუნებას ძალზე ოპტიმისტური პოზიციიდან აფასებენ. ზოგი მათგანი თვლის, რომ ადამიანების მოთხოვნილებაა ერთმანეთთან კომუნიკაცია, ჯგუფურობა, თანამშრომლობა და წესრიგის შენარჩუნება მხოლოდ კოლექტიური მცდელობით შეუძლიათ. ანარქისტთა მეორე ნაწილის თვალსაზრისით კი, ადამიანებს პირადი ინტერესები ამოძრავებთ.
საზოგადოების შესახებ	**ანარქისტების** აზრით, საზოგადოებას ბუნებრივი ჰარმონია ახასიათებს და არ არსებობს მართვის საჭიროება. ამის საფუძველი თანამშრომლობისა და სოციალიზაციისაკენ ადამიანის ბუნებრივი მიდრეკილებაა. სოციალური კონფლიქტი და დისჰარმონია სრულიად არაბუნებრივია, ისინი პოლიტიკური მმართველობისა და ეკონომიკური უთანასწორობის შედეგია.
თანასწორობის შესახებ	**ანარქისტები** განსაკუთრებულად ამახვილებენ ყურადღებას პოლიტიკურ თანასწორობაზე, როგორც პიროვნული ავტონომიის თანასწორ და აბსოლუტურ უფლებაზე. მათ კოლექტიური საკუთრებით მიღწეული აბსოლუტური სოციალური თანასწორობისა სჯერათ და ფიქრობენ, რომ პოლიტიკური უთანასწორობის ყველა ფორმა ჩაგვრამდე მიდის.
ეკონომიკის შესახებ	**ანარქისტები** ეკონომიკის კონტროლს ან მართვის ნებისმიერ ფორმას უგულებელყოფენ. ანარქო-კომუნისტები საზოგადოებრივ საკუთრებასა და მცირემასშტაბიან თვითმმართველობას უჭერენ მხარს მაშინ, როდესაც ანარქო-კაპიტალისტები მთლიანად არარეგულირებულ საბაზრო ეკონომიკას იცავენ.
ერის შესახებ	**ანარქისტები** თვლიან, რომ ერი ასოცირდება სახელმწიფოსთან და, შესაბამისად, ჩაგვრასთან. მათთვის „ერი“ წარმოადგენს მითს, რომლის დანიშნულება მმართველი ელიტის ინტერესების დაცვა და მისდამი მორჩილების პროპაგანდაა.
სახელმწიფოს შესახებ	**ანარქისტები** სრულიად უარყოფენ სახელმწიფოს და მას უსარგებლო ბოროტებად მიიჩნევენ. სახელმწიფოს სუვერენული ძალაუფლება მათ მიერ აღიქმება, როგორც ლეგალიზებული ჩაგვრის ფორმა, რომელიც ძლიერთა, მდიდართა და პრივილეგირებულთა ინტერესებში მოქმედებს.
ხელისუფლების შესახებ	**ანარქისტები** ხელისუფლების ყველა ფორმას არასაჭიროდ მიიჩნევენ და მას ჩაგვრასა და ექსპლუატაციასთან აიგივებენ. რადგან არ არსებობს განსხვავება ხელისუფლებასა და ძალაუფლებას შორის, ხელისუფლების კონტროლისა და ანგარიშვალდებულების ყველა ფორმა მათთვის სრულიად ყალბია.
ბუნების შესახებ	**ანარქისტები**ს აზრით, ბუნება გვთავაზობს სიმარტივესა და წონასწორობის მოდელს, რომლის გამოყენება ადამიანების მიერ სოციალური ორგანიზაციის, სოციალური ეკოლოგიის ფორმით გონივრული იქნებოდა.
რელიგიის შესახებ	**ანარქისტები** რელიგიას განიხილავენ, როგორც ჩაგვრის ინსტიტუციონალიზებულ წყაროს. ეკლესია და სახელმწიფო ურთიერთდაკავშირებულია. რელიგია ამქვეყნიური მეუფეებისადმი მორჩილებასა და დაქვემდებარებას ქადაგებს, ავტორიტარულ ფასეულობებს ამკვიდრებს და ინდივიდს მორალურ ავტონომიას ართმევს.

DRAFT COPY

ფაშიზმი	● ანტირაციონალიზიმი ● სოციალიზმი ● ლიდერობა და ელიტიზმი ● ულტრანაციონალიზმი
იდეოლოგიის შესახებ	**ფაშისტები** იდეოლოგიას ხშირად უარყოფენ როგორც პოლიტიკური აზროვნების ზედმეტად მეთოდურ, მშრალ და ინტელექტუალიზებულ ფორმას, რომელიც მხოლოდ გონებრივ ანალიზს ემყარება და არა ენთუზიაზმს ან ნებას. ნაცისტები ამჯობინებდნენ, საკუთარი იდეები გამოესახათ როგორც „მსოფლმხედველობა“ და არა როგორც სისტემაში მოყვანილი ფილოსოფია.
თავისუფლების შესახებ	**ფაშისტები** ინდივიდუალური თავისუფლების ნებისმიერ ფორმას უარყოფენ, როგორც უაზრობას. სხვებისგან განსხვავებით, მათი აზრით, „ჭეშმარიტი“ თავისუფლება ლიდერის ნებისადმი სრულ მორჩილებასა და ინდივიდის ეროვნულ ერთობაში გათქვეფას ნიშნავს.
დემოკრატიის შესახებ	**ფაშისტები** ტოტალიტარული დემოკრატიის იდეებს განადიდებენ. მათი რწმენით, ნამდვილი დემოკრატია აბსოლუტური დიქტატურაა. იდეოლოგიურ სიბრძნეს ერთი ლიდერი განაგებს და მხოლოდ მას შეუძლია თქვას, რა არის ხალხის ჭეშმარიტი ინტერესები. პარტიაც და არჩევნებიც მახინჯი და გადაგვარებული ფორმებია.
ადამიანის ბუნების შესახებ	**ფაშისტების** რწმენით, ადამიანებს ნება და სხვა არარაციონალური იმპულსები მართავს, განსაკუთრებით, ერსა და რასაზე ფოკუსირებული სოციალური მიკუთვნილების ღრმა გრძნობა. მასებს მხოლოდ მსახურება და მორჩილება ძალუძთ, სამაგიეროდ, ეროვნული ელიტის წარმომადგენლებს ერის ან რასის სახელით „ახალ ადამიანად“ წარმოდგენა შეუძლიათ.
საზოგადოების შესახებ	**ფაშისტებისთვის** საზოგადოება ერთიანი ორგანული მთლიანობაა, რაც იმას ნიშნავს, რომ ინდივიდის არსებობა აზრს მოკლებულია, თუ პირად საკითხზე მეტად საერთო სიკეთეზე არ ზრუნავს. თუმცა, ამავდროულად, საზოგადოების წევრობას მკაცრად ზღუდავს ნაციონალური ან რასობრივი ფაქტორი.
თანასწორობის შესახებ	**ფაშისტებს** სწამთ, რომ კაცობრიობა რადიკალური უთანასწორობითაა დაღდასმული. ეს ეხება როგორც ლიდერებსა და მათ მიმდევრებს, ასევე მსოფლიოს სხვადასხვა ერსა და რასას. მიუხედავად ამისა, ერსა და რასაზე ყურადღების გამახვილება გულისხმობს, რომ მათი ყველა წევრი თანასწორია სოციალური იდენტობის გამო.
ეკონომიკის შესახებ	**ფაშისტები** კორპორატიზმის იდეების მეშვეობით შრომისა და კაპიტალის გაერთიანებას გამოხატავდნენ. ისინი მხარს უჭერდნენ დაგეგმვასა და ნაციონალიზაციას, როგორც ერის ან რასის საჭიროებისათვის მოგების მომტან საშუალებას. (ან ასე: საჭიროების დაკმაყოფილების საშუალებას)
ერის შესახებ	**ფაშისტები** ერს განიხილავენ, როგორც ორგანულ სოციალურ ერთობას, რომელსაც ხშირად რასა ქმნის. ერი განსაზღვრავს ცალკეული ადამიანის ცხოვრების აზრსა და ამოცანას. ისინი თვლიან, რომ ერები იძულებულნი არიან, დაუპირისპირდნენ ერთმანეთს გადარჩენისათვის ბრძოლაში, რომელშიც ზოგი იმარჯვებს და ზოგი მარცხდება.
სახელმწიფოს შესახებ	**ფაშიზმი** სახელმწიფოს უმაღლეს ეთიკურ იდეალად მიიჩნევს, რომელიც ეროვნული საზოგადოების ერთიან ინტერესებს გამოხატავს. თუმცა ნაცისტები სახელმწიფოს აღიქვამენ უფრო როგორც ინსტრუმენტს, რომელიც ემსახურება რასას ან ერს.
ხელისუფლების შესახებ	**ფაშისტები** ხელისუფლებას მიიჩნევენ ლიდერობის ან ქარიზმის გამოხატულებად, თვისებად, რომელსაც ფლობენ გამორჩეულად ნიჭიერი ადამიანები. ასეთი ქარიზმატული ხელისუფლება აბსოლუტური და უნაკლოა, აქედან გამომდინარე, იგი ტოტალიტარული ბუნების უნდა იყოს.
გენდერის შესახებ	**ფაშისტები** გენდერს კაცობრიობის დაყოფის ფუნდამენტალურ საფუძვლად მიიჩნევენ. მამაკაცებს ბუნებრივად ეკუთვნით უპირატესობა ლიდერობასა და გადაწყვეტილების მიღებაში მაშინ, როდესაც ქალების ფუნქციაა დიასახლისობა, დამხმარე და დაქვემდებარებული პოზიციები.

DRAFT COPY

ბუნების შესახებ	**ფაშისტებს** ბუნების მიმართ ხშირად ბნელი და მისტიკური შეხედულება ჰქონდათ, ყურადღებას ამახვილებდნენ ინსტინქტსა და სიცოცხლის პირველად ძალებზე, რომლის მიხედვითაც ბუნებას ძალუძს გაათავისუფლოს ადამიანები ინტელექტუალიზმისაგან.
რელიგიის შესახებ	**ფაშისტები** ზოგჯერ უგულებელყოფენ რელიგიას იმ მოტივით, რომ ის ლოიალურობას ან იდეური რწმენის მოქიშპე საწყისს წარმოადგენს. ფაშიზმი ცდილობს აღიჭურვოს პოლიტიკური რელიგიური იარაღით, როდესაც საქმე ეხება მის შინაგან სტრუქტურას და ტერმინოლოგიას, როგორიცაა ხელდასხმა, მსხვერპლშეწირვა, თავგანწირვა, ცოდვის გამოსყიდვა და ა. შ.
ისტორიის შესახებ	**ფაშისტები** ისტორიას ძირითადად ხედავენ, როგორც დეგრადაციასა და დაღმასვლას „ოქროს საუკუნეებთან“. ამის მიუხედავად, ისინი ემხრობიან შეხედულებას, რომ ისტორიას ახასიათებს ციკლური განვითარება, რომელიც იძლევა ერის განახლებისა და ხელახალი დაბადების საშუალებას მწვავე ბრძოლისა და ომის საშუალებით.

ეკოლოგიზმი	
იდეოლოგიის შესახებ	**ეკოლოგისტები**, ჩვეულებრივ, ყველა ტრადიციულ პოლიტიკურ დოქტრინას ინდუსტრიალიზმის ნაწილად თვლიან. მათი აზრით, იდეოლოგიები შერყვნილია ქედმაღლური ჰუმანიზმით და ზრდაზე ორიენტირებული ეკონომიკით.
თავისუფლების შესახებ	**ეკოლოგისტებისათვის** თავისუფლება თვითშემეცნების მიღწევას ნიშნავს. თვითრეალიზება, პოლიტიკური თავისუფლებისაგან განსხვავებით, „შინაგანი“ თავისუფლებაა.
დემოკრატიის შესახებ	**ეკოლოგისტები** ხშირად გვევლინება რადიკალური ან მონაწილეობითი დემოკრატიის მომხრეებად. „მუქი“ მწვანეები განსაკუთრებით აკრიტიკებენ არჩევით დემოკრატიას და მიაჩნიათ, რომ ამჟამინდელ „დემოკრატებს“ მხოლოდ საკუთარი ინტერესები ამოძრავებთ და არა მომავალი თაობა და ბუნების გადარჩენა.
ადამიანის ბუნების შესახებ	**ეკოლოგისტები** ადამიანს ბუნების ვრცელი ეკოსისტემის ნაწილად თვლიან. მატერიალიზმი, სიხარბე და ეგოიზმი აუცხოვებს ადამიანს ჭეშმარიტი ბუნებისგან, სიცოცხლის ერთიანი არსისგან. ადამიანური სრულქმნილებისათვის აუცილებელია, დავუბრუნდეთ ბუნებას.
თანასწორობის შესახებ	**ეკოლოგისტები** ბიოცენტრული თანასწორობის ცნებას წამოწევენ წინ, რაც იმას გულისხმობს, რომ ნებისმერ ცოცხალ არსებას აქვს არსებობისა და განვითარების ერთნაირი უფლება. თანასწორობის ტრადიციული გაგება კი ანთროპოცენტრისტულია, რაც გულისმობს იმას, რომ სამყაროს ცენტრში ადამიანია, რომელიც ყველა სხვა არსებისგან უპირატესია.
ეკონომიკის შესახებ	**ეკოლოგისტები** გმობენ როგორც საბაზრო კაპიტალიზმს, ისე სახელმწიფო კოლექტივიზმს, უკანმოუხედავი ზრდით გატაცებისა და გარემოს დაცვისადმი უყურადღებობის გამო. მათი აზრით, ეკონომიკა უნდა ექვემდებარებოდეს ეკოლოგიის ინტერესებს, ხოლო ნებისმიერ ფასად მოგების მიღების ტენდენციას უნდა ჩაენაცვლოს კაცობრიობისა და ბუნების ჰარმონიული ურთიერთშემწეობისთვის ზრუნვა.
ბუნების შესახებ	**ეკოლოგისტები** ბუნებას ურთიერთდაკავშირებულ მთლიანობად მიიჩნევენ, რომელიც აერთიანებს როგორც ადამიანებს და ცხოველებს, ასევე უსულო სამყაროს. ბუნება განიხილება როგორც ცოდნის წყარო. ადამიანი სრულიქმნება ბუნებასთან სიახლოვით, მასზე ზრუნვით და არა მისი გამოყენების მცდელობით.

Do not copy

რელიგიური ფუნდამენტალიზმი	• ღვთის სიტყვის გამჟღავნება • სოციალური რეკონსტრუქცია
იდეოლოგიის შესახებ	**რელიგიური ფუნდამენტალიზმი** იდეოლოგიად განიხილავს მთავარ რელიგიურ ტექსტებს, რადგან ისინი ღვთით გამჟღავნებული სიტყვის გამოხატვით გვთავაზობენ სოციალურ პროგრამას. ისინი უარყოფენ საერო რელიგიებს, რადგან თვლიან, რომ საერო რელიგია არ ეფუძნება რელიგიურ პრინციპებს და ზნეობრივ არსს მოკლებულია.
თავისუფლების შესახებ	**რელიგიური ფუნდამენტალისტები** თავისუფლებას არსებითად შინაგან ან სულიერ თვისებად თვლიან. მათი აზრით, თავისუფლება ღვთით გაცხადებულ ნებასთან შესაბამისობას ნიშნავს, სულიერი სრულქმნა კი რელიგიური ავტორიტეტისადმი მორჩილობას უკავშირდება.
ერის შესახებ	**ფუნდამენტალისტები** ერს თვისობრივად რელიგიურ გაერთიანებად, მორწმუნეთა საზოგადოებად მიიჩნევენ. ამისდა მიუხედავად, რელიგია იშვიათად ეთანადება ერებს მათი ტრადიციული გაგებით, რის გამოც წარმოიქმნება ტრანსნაციონალური რელიგიური გაერთიანებები. რელიგიური ფუნდამენტალიზმი თითქმის ყველა რელიგიურ წიაღში ჩნდება.
სახელმწიფოს შესახებ	**ფუნდამენტალისტებისათვის** დამოკიდებულება სახელმწიფოს მიმართ მეტად პოზიტიურია, რადგანაც ისინი თვლიან, რომ სახელმწიფო სოციალური, ზნეობრივი და კულტურული განახლების საშუალებაა. შესაბამისად, ფუნდამენტალისტური სახელმწიფო რელიგიური მმართველობისა და სიბრძნის პოლიტიკურ გამოხატულებად ითვლება.
ხელისუფლების შესახებ	**რელიგიური ფუნდამენტალისტები** ხელისუფლებას რელიგიური სიბრძნის არათანაბარი ფლობის ასახვად მიიჩნევენ. ხელისუფლება, თვისობრივად, გათვითცნობიერებული პიროვნების მორალურ თვისებას წარმოადგენს. ასეთი ხელისუფლებას ქარიზმატული ხასიათი აქვს, ამიტომ რთულია მისი კონსტიტუციონალიზმით შეზღუდვა ან მათი შეთავსება.
გენდერის შესახებ	**რელიგიური ფუნდამენტალისტები** გენდერს ჩვეულებრივ ღვთის მიერ ნაბოძებ დაყოფად მიიჩნევენ და შესაბამისად თვლიან, რომ მას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სოციალური და პოლიტიკური ორგანიზაციისთვის. აქედან გამომდინარეა ტენდენცია, რომ პატრიარქალური სტრუქტურები და მამაკაცთა ლიდერობა მიჩნეულ იქნას ბუნებრივად და სასურველად.
ბუნების შესახებ	**რელიგიური ფუნდამენტალისტები** ბუნებას ღვთიური შემოქმედების გამოვლინებად მიიჩნევენ: ამრიგად, რაც „ბუნებრივია“, ღვთის მიერ არის ბოძებული. ეს შეიძლება გულისხმობდეს როგორც იმას, რომ ადამიანი ვალდებულია პატივი სცეს ბუნებას, ისევე იმასაც, რომ ბუნება კონკრეტულად ადამიანის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად შეიქმნა.
რელიგიის შესახებ	**რელიგიური ფუნდამენტალისტები** აღიარებენ, რომ რელიგია სხვა არაფერია, თუ არა ძირითადი და უცილებელი პრინციპების კორპუსი. ის განსაზღვრავს არა მარტო ინდივიდუალურ ქცევას, არამედ - სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების ორგანიზების თავისებურებებსაც. რელიგიას არ ძალუძს და არ მართებს „კერძო სფეროთი“ შეზღუდვა. ის უმაღლეს და ჭეშმარიტ გამოხატულებას პოულობს ხალხის მობილიზებისა და სოციალური აღორძინების პოლიტიკაში.
ისტორიის შესახებ	**რადიკალური ფუნდამენტალისტებს** წინააღმდეგობრივი დამოკიდებულება აქვთ ისტორიის მიმართ. ისინი მიიჩნევენ, რომ აწმყო მორალურად და სულიერად გახრწნილია იდეალიზირებულ წარსულთან შედარებით. მათ სოციალური განახლება მოდერნისტული გაგებით ესმით.

DRAFT COPY

დანართი 5

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (ამონარიდი)

მუხლი 22

ყოველ ადამიანს, როგორც საზოგადოების წევრს, აქვს სოციალური უზრუნველყოფის უფლება, უფლება თავისი ღირსების შენარჩუნებისა და პიროვნების თავისუფალი განვითარებისა ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა განხორციელებით ეროვნული ძალისხმევისა და საერთაშორისო თანამშრომლობის მეშვეობით და თითოეული სახელმწიფოს სტრუქტურისა და რესურსების შესაბამისად.

მუხლი 23

1. ყველას აქვს შრომის, სამუშაოს თავისუფალი არჩევის, სამართლიანი და ხელსაყრელი სამუშაო პირობებისა და უმუშევრობისაგან დაცვის უფლება.

2. ყველას აქვს უფლება შესაბამისი ანაზღაურებისა ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.

3. ყველა დასაქმებულს აქვს უფლება, იღებდეს სამართლიან და დამაკმაყოფილებელ გასამრჯელოს, რაც უზრუნველყოფს ღირსეულ ადამიანურ არსებობას როგორც მისთვის, ასევე მისი ოჯახისათვის და რომელსაც, აუცილებლობის შემთხვევაში, უნდა დაემატოს სოციალური უზრუნველყოფის სხვა სახსრები.

მუხლი 25

1. ყველას აქვს უფლება ჰქონდეს ცხოვრების ისეთი დონე, საკვების, ტანსაცმლის, საცხოვრებლის, სამედიცინო და საჭირო სოციალური მომსახურების ჩათვლით, რომელიც აუცილებელია თვითონ მისი და მისი ოჯახის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შესანარჩუნებლად, და უფლება უზრუნველყოფილი იყოს უმუშევრობის, ავადმყოფობის, ინვალიდობის, ქვრივობის, მოხუცებულობის ან მისგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო არსებობის საშუალებათა დაკარგვის სხვა შემთხვევაში.

2. დედობა და ჩვილი ყრმის ასაკი იძლევა განსაკუთრებული მზრუნველობითა და დახმარებით სარგებლობის უფლებას. ყველა ბავშვი, დაბადებული ქორწინებაში თუ ქორწინების გარეშე, უნდა სარგებლობდეს ერთნაირი სოციალური დაცვით.

Don't Copy

დანართი 6

როგორ დავიწყოთ ბიზნესი?

საქმის დასაწყებად, რომელიც ერთ დღეს დიდ წარმატებას მოგიტანთ, არც სამეცნიერო ხარისხი გჭირდებათ, არც დიდი ფული ბანკში და თქვენ წარმოიდგინეთ, არც გამოცდილება ბიზნესში. კარგი გეგმა და დიდი სურვილი კი ნამდვილად აუცილებელია. თუ ბიზნესმენობა გადაწყვიტეთ, ჩანს, წარმატებისკენ სწრაფვის დიდი სურვილი უკვე გაქვთ. თუმცა, შესაძლოა ჯერ კიდევ არ იცით, როგორ დაიწყოთ თქვენი იმპერიის შენება. ამაში ჩვენ დაგეხმარებით. თქვენს იდეას წარმატებულ ბიზნესად ჩვენი დეტალური ინსტრუქციები აქცევს. გაეცანით მათ:

შეაფასეთ საკუთარი თავი. საკუთარ თავს დაუსვით კითხვა: რატომ მინდა ბიზნესის დაწყება? ამ კითხვაზე პასუხის გაცემით დაადგენთ, რა სახის ბიზნესის დაწყება გსურთ. თუ მეტი ფული გინდათ, კიდევ ერთი სამსახური მოძებნეთ, თუ მეტი თავისუფლება - უარი თქვით 9-დან 5 საათამდე სამსახურში ყოფნაზე და რაიმე ახლის კეთებას შეუდექით.

ბიზნესის დაწყების მიზეზი უკვე დადგენილი გაქვთ და თუ უკვე მზად ხართ დასაწყებად, საკუთარ თავს კიდევ რამდენიმე შეკითხვა დაუსვით. გაარკვიეთ რა ტიპის ბიზნესი გსურთ, რა ტიპის უნარები გაქვთ, ყველაზე მეტად რისი კეთება მოგწონთ, რომელ სფეროში გაქვთ გამოცდილება, რა რაოდენობის თანხას ჩადებდით საქმეში იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბიზნესების უმეტესობა წარუმატებელია. რა რაოდენობის საწყისი კაპიტალი დაგჭირდებათ, როგორი ცხოვრება მოგწონთ. გულწრფელად უპასუხეთ თითოეულ შეკითხვას და გაითვალისწინეთ, რომ შესაძლებელია ამ ყველაფრის გააზრება თქვენი წინსვლის მთავარი საფუძველი გახდეს. დაფიქრდით ბიზნეს იდეაზე, შემოსავლიანი ბიზნესის იდეა უკვე ხომ არ გაქვთ მოფიქრებული? თუ ასეა, გილოცავთ, შემდეგ ეტაპზე გადასვლა შეგიძლიათ. თუ არა - ინფორმაცია მოიძიეთ, ინტერნეტში უამრავ პოტენციურ იდეას წააწყდებით. შემდეგ საკითხებზე დაფიქრება სწორ გზაზე დაგაყენებთ. საკუთარ თავს ჰკითხეთ, მომავალში რა იქნება, რა ტექნოლოგიები იქმნება თანამედროვე სამყაროში, როგორ შეცვლის ეს ყველაფერი თქვენს ბიზნეს გარემოს. შეძლებთ კი ცვლილებებს ფეხი აუწყოთ? თქვენი კლიენტები მადლიერნი დარჩებიან თუ თქვენი ბიზნესი მათ რომელიღაც პრობლემის მოგვარებას შეძლებს? თქვენი უნარები სრულიად ახალ სფეროში მოსინჯეთ. ბევრი კომპანია ერთსა და იმავეს მხოლოდ იმიტომ აკეთებს, რომ ოდითგანვე ასეა დამკვიდრებული. ამ შემთხვევაში, განსხვავებულ მიდგომას ბევრის შეცვლა შეუძლია.

საქართველოში ბიზნესის დაწყება ძალიან მარტივია, მაგრამ ბიზნესის კეთება არის რთული. ძალიან მარტივად შეძლებთ კომპანიის რეგისტრაციას, გადასახადები მცირე და დაბალია, მაგრამ ძალიან მკაცრი და რთულია საგადასახადო კოდექსის შესაბამისად ბიზნესის ადმინისტრირება. მსოფლიო ბანკის ბოლო მონაცემებით, საქართველოს ეკონომიკა ბიზნესისთვის მიმზიდველი ქვეყნების ჩამონათვალში მე-6 ადგილს იკავებს. ამ შედეგის წინა პირობა იყო რამდენიმე მნიშვნელოვანი რეფორმა. საქართველომ გაამარტივა ბიზნესის რეგისტრაციისთვის საჭირო პროცედურები, როგორიცაა საქმიანობისთვის ლიცენზიის აღება. ამას გარდა, მთავრობამ მიიღო ახალი კანონი, რითაც გაამარტივა გადასახადების გადახდის პროცესი.

ბიზნესის რეგისტრაციის სამართლებრივი რეფორმები:

მეწარმე სუბიექტად დარეგისტრირება აუცილებელი პროცედურაა ბიზნესის, სამეწარმეო საქმიანობის დასაწყებად. საქართველოში მეწარმე სუბიექტად რეგისტრაცია

DRAFT COPY

დაკავშირებულია მარტივ პროცედურებთან და ამისთვის მხოლოდ ერთი დღეა საჭირო. იმისთვის, რომ დაარეგისტრიროთ ბიზნესი, მნიშვნელოვანია განსაზღვროთ მეწარმე სუბიექტის ფორმა, რომელიც სხვადასხვაგვარია და ერთმანეთისგან განსხვავდება თავისი შინაარსით, ვადებულებებითა და პასუხისმგებლობებით.

ინდივიდუალური საწარმო არის ერთი პირის ან ოჯახის მფლობელობაში არსებული საწარმო. ასეთ საწარმოში შესაძლოა სხვა პირებიც იყვნენ დასაქმებულები. ინდივიდუალური საწარმოს მაგალითებია: საცალო ვაჭრობა, მცირე ზომის მაღაზია, მცირე მოცულობის სატრანსპორტო ან სამგზავრო გადამზიდები, საყოფაცხოვრებო მომსახურება და სხვა. მეწარმე ფიზიკური პირის საქმიანობის ადგილად ითვლება მისი ეკონომიკური საქმიანობის ადგილი. ინდივიდუალურ მეწარმედ რეგისტრაციას აქვს როგორც უპირატესობები, ისე ნაკლოვანებებიც. უპირატესობები: საქმის დაწყება მარტივია, არ არის საჭირო წესდება და სხვა იურიდიული დოკუმენტების შედგენა. სრულიად დამოუკიდებელია საქმიანობის განხორციელების პროცესში. მთელი მოგება მფლობელს ეკუთვნის. რაც შეეხება ნაკლოვანებებს: მფლობელს სრული პასუხისმგებლობა ეკისრება ბიზნესის ვალებზე, ბიზნესში ყველა დეტალს თავად მართავს, რაც არ არის მარტივი და შესაძლოა წარმოშვას პრობლემები. მოითხოვს დიდ დროსა და ენერგიას. მეწარმე მუდმივად კონცენტრირებულია ბიზნესზე.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს) იურიდიული პირია. შპს არის ერთი ან რამდენიმე პირის მიერ დაფუძნებული კომერციული ორგანიზაცია, რომელსაც აქვს საწესდებო კაპიტალი (ფინანსები). მცირე სასტარტო კაპიტალითაც შესაძლებელია ბიზნეს საქმიანობის დაწყება. მისი წევრები საზოგადოების (შპს-ს) მიერ აღებულ ვალდებულებებზე პასუხს აგებენ მხოლოდ საზოგადოების კაპიტალში თავიანთი შენატანის (წილის) ფარგლებში, ხოლო თავად საზოგადოება მესამე პირების წინაშე პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით.

შპს-ს უპირატესობები: მესაკუთრეების პასუხისმგებლობა შეზღუდულია მათი შენატანებით. მათი სხვა (პირადი) ქონება ხელშეუხებელია. კლიენტებისთვის და პარტნიორებისთვის უფრო სანდოა, ვიდრე ინდმეწარმე. უფრო ადვილად შეუძლია საბანკო კრედიტის აღება, ვიდრე ინდმეწარმეს. შპს-ს ნაკლოვანება: ფორმირებისა და ფუნქციონირების ხარჯები უფრო მეტია, ვიდრე ინდმეწარმის შემთხვევაში.

Don't Copy!

დანართი 7

სამომხმარებლო ბაზრის კვლევის კითხვარი

გთხოვთ დაგვითმეთ რამოდენიმე წუთი და შეავსეთ მოცემული ფორმა

- **თქვენი სქესი** მდედრობითი მამრობითი
- **თქვენი ასაკის დიაპაზონი**

  0-17 18-24 25-34 35-44 45-54 55-64 65+
- **ოჯახური მდგომარეობა** დასაოჯახებელი დაოჯახებული
- **თქვენი დასაქმების სტატუსი**

  დასაქმებული სრულ განაკვეთზე დასაქმებული ნახევარ განაკვეთზე

  თვითდასაქმებული უმუშევარი დიასახლისი სტუდენტი
- **თქვენი განათლება**

  არასრული საშუალო საშუალო განათლება კოლეჯი

  უნივერსიტეტის დიპლომი მაგისტრის ხარისხი დოქტორის ხარისხი
- **რამდენად ხშირად ვარჯიშობთ?**

  1 არც თუ ისე ხშირად 10 ძალიან ხშირად

  1 2 3 4 5 6 7 8 9 10

- **რამდენად ხშირად იყენებთ სპორტულ ტანსაცმელს?**

  1 არც თუ ისე ხშირად 10 ძალიან ხშირად

  1 2 3 4 5 6 7 8 9 10
- **ბოლოს როდის იყიდეთ სპორტული ტანსაცმელი?**

  1 თვეზე ნაკლები 1-6 თვეს შორის 6-12 თვეს შორის 1 წელზე მეტი

  არ მახსოვს

Don't Copy

- **ჩამოთვლილთაგან რომელი აღწერს თქვენ მიერ სპორტული ტანსაცმლის შეძენის დანიშნულებას?**

  ☐ სპორტდარბაზი/ფიტნესი ☐ სირბილი ☐ ლაშქრობა ☐ სპორტი (კალათბურთი, ცურვა და ა. შ.) ☐ სხვა

- **სად ყიდლობთ ხოლმე სპორტულ ტანსაცმელს?**

  ☐ საცალო მაღაზია ☐ საბითუმო მაღაზია ☐ სავაჭრო ცენტრი ☐ ონლა
  ☐ სხვა

- **სპორტული ტანსაცმლის რომელ დიზაინს ანიჭებთ უპირატესობას?**

  ☐ მინიმალისტური (1 ან 2 ფერით) ☐ მკვეთრი ფერებითა და დიზაინით (ე.წ. ნე
  ფერები) ☐ სლოგანებითა და ნახატებით ☐ სხვა

- **მოცემული ფაქტორებიდან რომელი განაპირობებს კონკრეტული ბრენდის პროდუქციის შეძენას?**

  ☐ ფასი ☐ ხარისხი ☐ ბრენდი ☐ სხვა

- **მონიშნეთ, სპორტული ტანსაცმლის შეძენისას რას აქცევთ მეტ ყურადღებ**

☐ წყალგაუმტარობა ☐ გაგრილება ☐ რბილი ქსოვილი

☐ ელასტიურობა ☐ გამძლეობა

- **გაგვიზიარეთ თქვენი შეხედულება ჩვენი სპორტული ტანსაცმლის შესახებ**

  ჩვენი პროდუქცია რომ იყოს ადამიანი, როგორ აღწერდით მას?

  ☐ შემოქმედებითი ☐ სერიოზული ☐ გონებამახვილი ☐ მრავალფეროვან
  ენერგიული ☐ წარმატებული ☐ მხიარული ☐ გულჩათხრობილი
  ☐ გაბედული ☐ სანდო ☐ დახვეწილი ☐ გონიერი ☐ პატიო
  ☐ მოდური ☐ უხეში ☐ სხვა

- **რამდენად ხართ დაინტერესებული ჩვენი პროდუქციის შეძენით?**

  1 არ ვარ დაინტერესებული, 10 ძალიან დაინტერესებული

  ○ 1 ○ 2 ○ 3 ○ 4 ○ 5 ○ 6 ○ 7 ○ 8 ○ 9 ○ 10

გმადლობთ კვლევაში მონაწილეობისთვის!

დანართი 8

წარმატების პრინციპები

(ინტერვიუ ბილ გეითსსა და სტივ ჯობსთან)

კარა (ჟურნალისტი): მაშ ასე დავიწყოთ. როგორც იცით, პრესაში და ბლოგებზე ბოლო დროს იყო ბევრი კამათი ამ თემაზე. და ჩვენ გვსურს პირველი შეკითხვა იყოს ასეთი: თქვენი აზრით რა წვლილი შეიტანა თითოეულმა თქვენთაგანმა კომპიუტერულ და ტექნოლოგიურ ინდუსტრიაში? დავიწყოთ თქვენით სტივი ბილის შესახებ და შემდეგ პირიქით.

სტივ ჯობსი: ბილმა შექმნა პროგრამული უზრუნველყოფის პირველი კომპანია ინდუსტრიაში. მე ვფიქრობ, მან ეს გააკეთა მაშინ, როდესაც მის გარდა არავინ იცოდა, თუ რას ნიშნავდა ასეთი ტიპის კომპანია. და ეს იყო მართლაც მნიშვნელოვანი. ბიზნესის ის მოდელი, რომელიც მათ შეიმუშავეს, ძალიან სასარგებლო აღმოჩნდა ამ ინდუსტრიაში. ასე რომ, ვფიქრობ ბილის განსაკუთრებულობა გამოიხატება სწორედ იმაში, რომ ის თავიდანვე დარწმუნებული იყო პროგრამული უზრუნველყოფის წარმატებაში. ჯერ კიდევ მანამ, სანამ სხვები მიხვდებოდნენ მის მნიშვნელობას. და კიდევ, ვფიქრობ, ყველაზე რთული კომპანიის შექმნაა. ეს პირველ რიგში მოითხოვს უდიდეს მოტივაციას იმისათვის, რომ მიიზიდო საუკეთესო თანამშრომლები და შეინარჩუნო ისინი შენს კომპანიაში ისე, რომ მუდმივად ჰქონდეს მუშაობის სურვილი. და ეს ისე გააკეთო, რომ შენს კომპანიაში მუშაობა იყოს უდიდესი მოვლენა მათ ცხოვრებაში.

ვოლტი (ჟურნალისტი): ბილ, რას ფიქრობ სტივისა და ეფლის წვლილზე?

ბილ გეითსი: ის რაც სტივმა გააკეთა სრულიად ფენომენალურია. ყველაფერი 1977 წელს დაიწყო, როდესაც შეიქმნა კომპიუტერი Apple-2 და გაჩნდა იდეა, რომ კომპიუტერი შეიძლებოდა გამხდარიყო მოთხოვნადი პროდუქტი მასიურ სამომხმარებლო ბაზარზე. ამ იდეამ ეფლი უნიკალურ კომპანიად აქცია. გამოფენა, რომელიც გააკეთა ეფლმა, იყო უდიდესი. დიახ, იმ დროს იყვნენ სხვა კომპანიებიც, მაგრამ ოცნება, რომელსაც ეფლი მისდევდა, იმ წლებში უბრალოდ ფანტასტიკური ჩანდა და ეფლი დარჩა ამ ოცნების ერთგული. ჩვენი პროექტებიდან ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო იყო მაკინტოში. ეს იყო ძალიან სარისკო წამოწყება, რადგან კითხვის ნიშნის ქვეშ იდგა ეფლის არსებობა, იმიტომ, რომ მისი წინა პროექტი ლიზა(Apple Lisa) ვერ აღმოჩნდა წარმატებული. ბევრი მაშინ ფიქრობდა, რომ საერთო მიდგომა არ იყო სწორად შერჩეული. თუმცა გუნდი, რომელიც შექმნა სტივმა კომპანიის შიგნით განაგრძობდა საქმიანობას ამ ოცნების რეალიზებისათვის. მე მახსოვს მათ მიერ შექმნილი რამოდენიმე მოწყობილობა, რომელმაც ძალიან გაუსწრო დროს. არ ვიცი გახსოვთ თუ არა მყარი დისკი ტვიგი (Twiggy).

ბილი: ერთხელ სტივი სიტყვით გამოვიდა, რომელიც არის ერთ-ერთი ჩემი საყვარელი სიტყვა. მან განაცხადა, რომ- „ჩვენ ვქმნით პროდუქტებს, რომელთა გამოყენებაც ჩვენ თვითონ გვსურს“. მან ნამდვილად მიაღწია ამას თავისი დაუჯერებელი გემოვნებით და ელეგანტურობით, რამაც უზარმაზარი გავლენა იქონია მთელს კომპიუტერულ ინდუსტრიაზე. მისი ნიჭი და ალღო, თუ საით და როდის უნდა გადაიდგას მომდევნო ნაბიჯი, ყოველთვის ფენომენალურია. ეფლი დაშლის პირას იყო მისული, როდესაც სტივი დაბრუნდა იქ და დააბრუნა ინოვაციისა და რისკისათვის მზადყოფნის სული. ამ ფაქტმა უდიდესი გავლენა იქონია მთელს ინდუსტრიაზე. მე ვფიქრობ, ჩვენ ორივეს გაგვიმართლა, რომ აღმოვჩნდით ამ ბიზნესში. მაგრამ წვლილი, რომელიც სტივმა შეიტანა კომპიუტერულ ინდუსტრიაში - შეუდარებელია.

DRAFT COPY

სტივი: ძალიან გაგვიმართლა ასევე იმ მხრივაც, რომ ორივეს გვყავდა ისეთი პარტნიორები, რომლებიც დაგვეხმარნენ ჩვენი კომპანიების დაფუძნებაში. გარდა ამისა, ჩვენს კომპანიებში სამუშაოდ მოვიწვიეთ შესანიშნავი ადამიანები. ყველაფერი, რაც შექმნილია ეფლსა და მაიკროსოფტში, დამზადებულია საოცარი ადამიანების მიერ.

ვოლტი: მოდი გავიხსენოთ წარსული. რამდენადაც ვიცი, Microsoft-ი შეიქმნა 1974-1975 წლებში. ხოლო Apple-ი 1976 წელს.

ბილი: მანამდე Microsoft-ი. 1974 წელს შევქმენით ბეისიკი (BASIC), ხოლო მისი დაყენება დავიწყეთ 1975 წელს.

ვოლტი: შეიძლება ბევრმა არ იცის, რომ Apple 2 იყენებდა Microsoft-ის პროგრამულ უზრუნველყოფას. შეგიძლიათ მოგვიყვეთ საიდან დაიწყო ეს ყველაფერი?

ბილი: მაშინ იყო Altair-ი და კიდევ დაახლოებით 24-მდე სხვა კომპანია, რომლებიც ქმნიდნენ სხვადასხვა კომპიუტერებს. მაგრამ 1977 წლის ჯგუფში შედიოდნენ კომპანიები PET და TRS-80. Commodore PET-ი, TRS-80 და ასევე Apple 2. Apple 2-ის პირველ ბეისიკთან (BASIC) ჩვენ არაფერი არ გვქონდა საერთო. ჩვენ ვამზადებდით ბეისიკს მცურავი წერტილით (BASIC floating point), რომელიც გამოჩნდა მოგვიანებით. აქ უკვე აქტიურად ვთანამშრომლობდით ვოზნიაკთან.

სტივი: თქვენის ნებართვით, მე მოვყვები ამ ისტორიას. სტივ ვოზნიაკი (Steve Wozniak), ჩემი პარტნიორი, რომელთან ერთადაც მუშაობა დავიწყე, გენიალური ადამიანია. მან შექმნა ბეისიკი (BASIC), საუკეთესო კომპიუტერული ენა მთელს პლანეტაზე. ასეთი რამის გაკეთება არცერთ სხვა ენას არ შეეძლო აქამდე - ის თვითონ პოულობდა შეცდომებს სანამ თქვენ ბეჭდავდით და ა.შ. ყოველმხრივ იდეალური იყო გარდა ერთი ნაკლისა - მხოლოდ ფიქსირებულ წერტილებზე მუშაობდა და არ მუშაობდა მცურავ წერტილებზე. ჩვენ ძალისხმევას არ ვიშურებდით, რომ შეგვექმნა ბეისიკი მცურავი წერტილებით, ვეხვეწებოდით ვოზს, ვთხოვდით მას, გადაეწყვიტა ეს პრობლემა, მაგრამ მან რატომღაც ვერ მოახერხა ეს. ვოზი მაშინ ხელით წერდა ფურცელზე, რადგან არ ჰქონდა სპეციალური მოწყობილობა, რომლითაც შეძლებდა კოდის ჩაწერას. მოკლედ, მან ვერაფრით გადაწყვიტა ეს პრობლემა. სამაგიეროდ, Microsoft-ში ჰქონდათ ბეისიკი მცურავი წერტილებით. ასე რომ, ბოლოს და ბოლოს, დახმარებისთვის მათ მივმართეთ, უბრალოდ, მივედით და ვუთხარით - დაგვეხმარეთ.

ვოლტი: და რა ღირდა ეს დახმარება?

ბილი: 31 000$. ეს იყო თანხა, რომელიც Apple-მა გადაგვიხადა ბეისიკში მცურავი წერტილებით. და მაშინ, "კასეტით" ხელში, სადაც ჩაწერილი იყო ბეისიკი, გავემგზავრე Apple-ში. ყველაზე მეტად მაშინ ვმხიარულობდით, როდესაც ერთად ვმუშაობდით. იცით, შესაძლოა სტივმა უკეთ მოყვეს ეს ისტორია. ამ დროს Apple-ში ჩამოყალიბდა შესანიშნავი გუნდი Macintosh-ის შესაქმნელად. ესენი იყვნენ თავდადებული სპეციალისტები. ასეთივე გუნდი იყო წარმოდგენილი ჩვენი მხრიდანაც, რომელიც სრულიად იყო კონცენტრირებული ამ პროცესზე. ამ ფაქტს ეყრდნობოდა Microsoft-ის მომავალიც. იმიტომ რომ Macintosh-ის წარმატებაზე და საერთოდ, გრაფიკული გამოსახულების წარმატებაზე, დიდად იყო დამოკიდებული ჩვენი წარმატება. Macintosh-ს პოპულარიზაცია უნდა გაეწია ამ იდეისათვის. ასე რომ, ჩვენ ერთად ვმუშაობდით, მაგრამ გეგმები გაურკვეველი გვქონდა, ხარისხი აშკარად საეჭვო და ფასიც. როდესაც სტივი მოვიდა პროექტში, კომპიუტერის ღირებულება მნიშვნელოვნად დაბალი იყო, ვიდრე ბოლოს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც შესანიშნავი გამოვიდა.

ვოლტი: თუ არ ვცდები, Microsoft-ი იყო ის ერთ-ერთი კომპანია, რომელიც უფლებამოსილი იყო ჰქონოდა Mac-ის პროტო ტიპი?

Don't Copy

სტივი: დიახ და რაც ყველაზე საინტერესოა, შეიძლება დღეს ბევრს არ ახსოვს, Microsoft-ი მაშინ ჯერ კიდევ არ იყო დაკავებული პროგრამული უზრუნველყოფის ბიზნესით. მათ ფსონი გააკეთეს Mac-ზე, რითაც საშუალება მიეცათ გასულიყვნენ ამ ბაზარზე. მაშინ პროგრამული უზრუნველყოფის ბაზარზე დომინირებდა ლოტუსი (Lotus).

ვოლტი: არ მინდა დეტალებში გკითხოთ თქვენი დაბრუნების შესახებ, მაგრამ ვიდეოში რომელიც ყველამ ვნახეთ, ახსენეთ, რომ Microsoft-თან კონკურენცია დამღუპველი იქნებოდა. დარწმუნებული ვარ ეს განაცხადეთ არა იმიტომ, რომ გამოჩენილიყავით „მაგარ ბიჭად“, არამედ ამის უკან იდგა რაღაც ტაქტიკა და სტრატეგია. ასე არ არის?

სტივი: როგორც იცით, Apple-ს ძალიან დიდი პრობლემები ჰქონდა. ნათელი იყო, თუ ვითამაშებდით თამაშს, სადაც Apple-ი მოიგებდა და Microsoft-ი წააგებდა, მაშინ Apple-ც წაგებული რჩებოდა. იმ დროს უმრავლესობა სწორედ ასე ფიქრობდა.

კარა: თქვენი აზრით რატომ ფიქრობდნენ ასე?

სტივი: ვგულისხმობ, რომ Apple-ში ყველა ასე ფიქრობდა, ასე ფიქრობდნენ მომხმარებლებიც. იცოდნენ რომ Apple-მა რაღაც გამოიგონა, Microsoft-ს ჰქონდა წარმატებები, Apple-ს წარმატება არ ჰქონია, იყო კიდევ რაღაც შური, ასე შემდეგ და ასე შემდეგ. მაგრამ მთავარი არის ის, რომ იმ დროს Apple-ში ბევრი იყვნენ ისეთები, რომელთაც სურდათ ეს თამაში-იმისთვის რომ Apple-მა მოიგოს Microsoft-მა უნდა წააგოს. ჩემთვის იმ თავითვე ნათელი იყო, რომ ასეთი თამაში უნდა შეწყვეტილიყო. იმიტომ, რომ Apple-ი არ უნდა გამხდარიყო Microsoft-ი. არც იყო ამის საჭიროება. Apple-მა უნდა გაიხსენოს თუ ვინ იყო. იმიტომ რომ მას დაავიწყდა ვინ იყო. ასე რომ, ჩემთვის მთავარი იყო დამემსხვრია ეს პარადიგმა. ამასთანავე Microsoft-ი იყო ერთადერთი კომპანია, რომელიც Apple-ან ერთად აწარმოებდა პროგრამულ უზრუნველყოფას მაკინტოშისათვის. ანუ რაც იმ დროს ხდებოდა იყო აბსოლუტური სისულელე. Apple-ი ძალიან დასუსტებული იყო, მე დავურეკე ბილს, შევთანხმდით შეხვედრაზე და ერთად შევეცადეთ სიტუაციის გამოსწორებას.

ბილი: ამ დროიდან Microsoft-ში არის გუნდი, რომელიც Mac-ისთვის მუშაობს. და ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობთ ამ პარტნიორობას. საერთოდ ჩვენი ურთიერთობა Apple-თან ყოველთვის განსაკუთრებული იყო და საკმაოდ წარმატებული. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ ვაწარმოებდით რაღაც ახალს, რისი გამოყენებაც შეიძლებოდა Macintosh-ზე. ეს იყო წარმატებული, ბიზნესის თვალსაზრისით.

სტივი: მართლაც, Mac-სა და Microsoft-ს შორის ყოველთვის განსაკუთრებული ურთიერთობა იყო. მე ვთვლი, რომ კომპანიებს შორის ასეთი ურთიერთობა, ურთიერთობის საუკეთესო მაგალითია.

კარა: დღეს ხომ თქვენ ერთმანეთის კონკურენტები ხართ, დღეს, როდესაც ინდუსტრია ძლიერ განვითარდა, ვგულისხმობ ინტერნეტსა და მასთან დაკავშირებულ ლანდშაფტს, როდესაც სხვა კომპანიები საკმაოდ წინ მიიწევენ, როგორ ხედავთ თქვენ თავს ამ სურათზე?

ვოლტი: რაღაც დონეზე ერთმანეთის კონკურენტები ხართ. ჩვენ ვნახეთ სარეკლამო რგოლები, ხანდახან ერთმანეთზე ბრაზდებოდით კიდეც.

სტივი: ამ რეკლამის მიზანი არის არა ის, რომ ერთმანეთი შეურაცხვყოთ, არამედ ვაიძულოთ ადამიანები შეიყვარონ ერთმანეთი.

ვოლტი: ბილ, ნება მომეცით გკითხოთ, Microsoft-ი უფრო დიდია ვიდრე Apple, თქვენი ბაზარი უფრო დიდია ვიდრე Apple-ის, როდესაც თქვენ მართავდით კომპანიას, ან ახლა სტივ ბალმერის მმართველობის დროს, თუ გიფიქრიათ Google-ზე, Linux-ზე. ვიცი, რომ გიფიქრიათ SONY-სთან თანამშრომლობაზე თამაშების ინდუსტრიაში. ჩემი შეკითხვა მდგომარეობს შემდეგში: რამდენად განიხილავთ Apple-ს თქვენს კონკურენტად მომავალში?

DoNotCopy

ბილი: მე ვფიქრობ, ეს კონკურენცია ატარებს პოტენციურ ხასიათს. სავსებით შესაძლებელია.

კარა: როგორ ხედავთ Microsoft-ს Apple-ს პერსპექტივაში? თქვენ ხართ კონკურენტები კომპიუტერულ ინდუსტრიაში. ალბათ ძალიან კარგად იცით, რითია დაკავებული Microsoft-ი და ყურადღებით ადევნებთ თვალს.

სტივი: იცით რა არის ყველაზე მეტად საინტერესო, თუ თქვენ ნახავთ მიზეზებს რატომ არსებობს Ipod-ი, და რატომ მუშაობს Apple ამ ბაზარზე, დაინახავთ, ყველაფერი იმიტომ მოხდა, რომ ელექტრო ტექნიკის მწარმოებელი ნამდვილად უდიდესი იაპონური კომპანიები, მართალია ამზადებენ შესანიშნავ პორტატულ მუსიკალურ მოწყობილობებს, მაგრამ ვერ აწარმოებენ შესაბამის პროგრამულ უზრუნველყოფას. Ipod-ი ხომ სინამდვილეში სწორედ პროგრამული უზრუნველყოფაა. ის არის, არამხოლოდ ლამაზი ყუთი, არამედ მასში მთავარი პროგრამული უზრუნველყოფაა. თუ ნახავთ რა არის Mac-ი, აქაც იგივე ხდება. ეს ხომ „ოპერატიული სისტემა 10“ ია (OS X), და არა მხოლოდ ლამაზი ყუთი. იმედია მალე ნახავთ რა იქნება Iphone. Iphone-შიც ყველაზე მთავარი პროგრამული უზრუნველყოფაა. Apple-ის ყველაზე დიდი საიდუმლო, თუმცა როგორც ჩანს არც თუ ისე დიდი, არის ის, რომ Apple თავის თავს განიხილავს როგორც პროგრამული უზრუნველყოფის მწარმოებელ კომპანიას, ისევე როგორც Microsoft-ი. ვენ ვხედავთ Microsoft-ი რას აწარმოებს და ვთვლით, რომ ის რასაც ისინი აკეთებენ, უზარმაზარი საქმეა და ვფიქრობ, ცოტათი ნამდვილად არის კონკურენცია ჩვენს შორის. თუმცა არც თუ ისე დიდი, რადგან ჩვენ არ გვაქვს იმის ილუზია, რომ Apple-ს პერსონალური კომპიუტერი დაიკავებს კომპიუტერის ბაზრის 80%-ს. ჩვენთვის უდიდესი ბედნიერებაა, როდესაც ჩვენი კომპიუტერების წილი 1%-ით მაინც იზრდება. Apple თავისი არსით, პროგრამული უზრუნველყოფის კომპანიაა და ასეთი კომპანიები არ დარჩა ბევრი.

ვოლტი: შეიძლება თქვენ პროგრამული უზრუნველყოფის კომპანიად განიხილავთ თავს, მაგრამ მყიდველებისა და ჟურნალისტების უმრავლესობისთვის თქვენ ხართ კომპანია, რომელიც დიდ ყურადღებას უთმობს პროგრამული და აპარატული უზრუნველყოფის შერწყმას. ახლახანს Microsoft-მა დაიწყო წარმოების განვითარება ამ მიმართულებით. შეიძლება ეს არ არის ძირითადი მიმართულება, მაგრამ რას იტყვით „Xbox”-ზე, “Zune”-ზე, „Surface”-ზე რომელიც ახლახანს ვიხილეთ? ამ ბაზარზე Microsoft-ის წილი ვერ მივა Windows-ის ან Office-ს ბაზართან, მაგრამ რაღაც ინიციატივებს ხომ აქვს ადგილი პროგრამული და აპარატული უზრუნველყოფის მიმართულებით?

სტივი: ალან კეიმ კარგად თქვა 1970-იანი წლების დასაწყისში: „ადამიანებს, რომელთაც უყვართ პროგრამული უზრუნველყოფა, სურთ შექმნან საკუთარი აპარატული უზრუნველყოფა“.

ვოლტი: ბილს უყვარს პროგრამული უზრუნველყოფა?

ბილი: საკითხავია არსებობს კი ასეთი ბაზრები, სადაც ერთდროულად ინოვაციით და მრავალფეროვნებით მივიღებთ დადებით შედეგს. ნეგატიური მომენტია ის, რომ პროგრამული და აპარატული უზრუნველყოფის გაერთიანების საწყის ეტაპზე გიხდება ექსპერიმენტების ჩატარება. მაგალითისათვის ავიღოთ სატელეფონო ბაზარი. წარმოდგენილია დაახლოებით 140-მდე აპარატი. ჩვენთვის არ იქნებოდა მომგებიანი თუ ვაწარმოებდით ერთ ან რამოდენიმე ასეთ აპარატს. ამ საქმიდან ვერ მივიღებდით ისეთ შედეგს, როგორსაც ვღებულობთ პარტნიორობით. ასევე, ავიღოთ რობოტების ბაზარი, რომელმაც ეს ესაა დაიწყო განვითარება. წარმოდგენილია 140 რობოტზე მეტი, რომლებიც იყენებენ Microsoft-ის პროგრამულ უზრუნველყოფას. ისინი გამოიყენება ხელოვნებაში, სათამაშოებში, მედიცინაში, უსაფრთხოების სისტემებში. ჩვენ ვაფასებთ ნებისმიერ ინოვაციას და არ ვიცით საით

Don't copy.

წაგვიყვანს ეკოსისტემა, რაც ჩვენს ირკვლივ იქმნება და მოთმინებით ველოდებით. მაგრამ, როგორც კი ეს რობოტული სისტემა მომწოფდება, ჩვენ ვიცით რა შევთავაზოთ ასეთ პლატფორმულ სისტემას. ასე რომ, პერსონალური კომპიუტერები, ტელეფონები, რობოტები არის ის აპარატები, ის პლატფორმები სადაც Microsoft-ი ხედავს განვითარების მრავალფეროვნებას. რაც შეეხება Apple-ს ძალიან მომწონს მათი მიდგომა, რასაც ისინი აკეთებენ მუშაობს იდეალურად. არსებობს რამოდენიმე ბაზარი როგორიცაა: "Xbox 360" "Zune" და წელს უკვე გვაქვს ორი ახალი - "surface" და "Round Table" პროექტები. ეს არის დღიური მოლაპარაკებების ოთახი. რათქმაუნდა ამას ჩვენს ქვეკონტრაქტორებთან ერთად ვაწარმოებთ, თუმცა მოგებისა და დანაკარგების რისკს ჩვენ თავზე ვიღებთ, ამიტომ ვსაუბრობ, რომ ეს მთლიანად Microsoft-ის პროდუქტებია.

სტივი: მინდა კომენტარი გავუკეთო ბილის პასუხს, სამომხმარებლო და სამრეწველო ბაზრებთან დაკავშირებით. ეს ბაზრები ძალიან განსხვავებული ადგილებია. ერთის მხრივ, სამომხმარებლო ბაზარზე რთულია ნახო ცალცალკე შექმნილი პროგრამული და აპარატული უზრუნველყოფის ერთობლივი მუშაობის იმაზე წარმატებული ვარიანტი, როგორიც არის პერსონალური კომპიუტერი და Windows-ი. მაგრამ მეორეს მხირვ, ეს მთლად ასე არ არის.

შესაძლოა შეგხვდეთ პროგრამული და აპარატული უზრუნველყოფის ერთობლივი მუშაობის უამრავი სხვა მაგალითიც. მე ვფიქრობ, სწორედ ეს არის ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რისთვისაც დავდივართ სამსახურში. არავინ იცის რა იქნება ხვალ, მხოლოდ წლების შემდეგ ვიპოვით პასუხს. შეიძლება ორივე მიდგომა მართალია, შეიძლება არა.

ბილი: რა თქმა უნდა, საინტერესოა სცადო ორივე მიდგომა. მაგალითად მუსიკალური პლეერების ბაზარზე ერთფეროვანი დიზაინი მუშაობს კარგად. პერსონალური კომპიუტერების ბაზარზე მნიშვნელოვან როლს თამაშობს დიზაინისა და ფორმის განსხვავებულობა.

ვოლტი: ყოფილა ისეთი მომენტი როდესაც გიფიქრიათ- ეს ასე რომ გამეკეთებინა, ან Apple-ს ასე რომ გაეკეთებინა უკეთესი იქნებოდა.

სტივი: რა თქმა უნდა ბევრჯერ მიფიქრია, როგორც Apple-ში მუშაობისას, ისე იქედან წამოსვლის შემდეგ, რომ რაღაც ნაბიჯები არასწორად გადავდგი. თუმცა, ნებისმიერ შემთხვევაში, ეს არ არის მთავარი, რადგან ამას უკვე ვერაფერს უშველი, ჩვენ ის ვართ, ვინც ვართ. საერთოდ, ჩვენ ვცდილობთ გავიხედოთ მხოლოდ წინ. როდესაც 10 წლის წინად დავბრუნდი კომპანიაში, პირველი რაც გავაკეთეთ, იყო ის რომ სტენფორდის მუზეუმს გადავეცით ძველი დოკუმენტები, ძველი მანქანები და ა.შ. ეს იყო გასუფთავება. მაშინ ვთქვი: „მორჩა წარსულისკენ ყურება, ახლა ჩვენ ვიხედებით მხოლოდ მომავალში". არ შეიძლება გამუდმებით იმაზე ფიქრი, რომ აი მე მინდოდა რომ არ დავეთხოვეთ სამსახურიდან, ასე რომ ყოფილიყო, ისე რომ ყოფილიყო...რადგან ეს არ არის მნიშვნელოვანი. უმჯობესია შევქმნათ ხვალინდელი დღე, ვიდრე ვინანოთ ის რაც გავაკეთეთ წარსულში.

კარა: მომავალზე ჩვენ კიდევ ვისაუბრებთ. მოდი ვისაუბროთ დღევანდელ დღეზე. როგორ აფასებთ ახალ მოთამაშეებს დღევანდელ ბაზარზე. თქვენი კომპანიები უკვე კარგა ხანია არსებობენ და ძველებურად რჩებიან მთავარ კომპანიებად თავისი მნიშვნელობით. დღეისათვის არსებობს ბევრი კომპანია, რომლებიც ასევე საკმაოდ მოძლიერდნენ ამ დარგში. როგორ აფასებთ ამ ყველაფერს, კერძოდ იმას, რაც დღეს ხდება ინტერნეტ სფეროში?

სტივი: მე ვფიქრობ ინტერნეტ სფერო დღეს, ისე როგორც არასდროს, აყვავების სტადიაშია. გამოჩნდა ბევრი ახალგაზრდა ადამიანი, რომელთაც სურთ შექმნან საკუთარი კომპანიები. არა უბრალოდ რამის დაწყება და შემდეგ გაყიდვა უფრო დიდ ადამიანებზე, არამედ, მათ სურთ ააშენონ საკუთარი კომპანიები. და მე ვფიქრობ, უკვე არსებობს ამის

Don't COPY

რამდენიმე, ნამდვილად შესანიშნავი მაგალითი. ზოგიერთ მათგანს ვეჯიბრებით მომავალი თაობის პროდუქციის შექმნაში, ზოგთან ვთანამშრომლობთ. მოკლედ ბევრი საინტერესო რამ ხდება. შენ რას იტყვი?

ბილი: დიახ, მეც იგივეს ვიტყოდი. ახლა ძალიან კარგი პერიოდია. ჩნდებიან ახალი ფორმები და ფაქტორები, ინტერფეისის ახალი სახეები. ლოკალურ გამოცდილებასთან ერთად იზრდება - „ღრუბლების“ (ინტერნეტის) გამოყენების შესაძლებლობები სხვადასხვა ამოცანების შესასრულებლად. გამოგონილია კომპანიის შექმნასთან დაკავშირებული ბევრი ახალი მიდგომა. არსებობს ბევრი კომპანია, რომლებიც აკეთებენ კვლევებს ამ სფეროში. მე ვფიქრობ, მომავალში ამ პერიოდს შევხედავთ როგორც ერთ-ერთი დიდი გამოგონებების ეპოქას.

სტივი: მეც ასე ვფიქრობ. არსებობს ბევრი პროექტი, რომლის გაკეთებაც დღეს სარისკოა. თუ რისკებს მიღმა დაინახავთ რაღაც დიდს და წახვალთ მისკენ, დიახ, ეს შეიძლება გახდეს უდიდესი საქმე, თუმცა არსებობს რისკი - აქამდე არავის გაუკეთებია ეს.

ვოლტი: რა თქმა უნდა, ორივე იყენებთ ინტერნეტს ყოველდღიურად, ორივეს გაქვთ ინტერნეტში მომუშავე პროდუქცია. მაგალითად, თქვენ გაქვთ - „iTunes“, “Point MAC” და სხვა დანარჩენი. ამავე დროს, თქვენ წარმოადგენთ უზარმაზარ კომპიუტერულ კომპანიებს, გაქვთ ოპერატიული სისტემების ყველაზე დიდი წარმოება და ა.შ. არსებობს აზრი, და ალბათ დამეთანხმებით, რომ დღეს ყველაფერი გადადის ღრუბლებში - ინტერნეტში. საკმარისია გვქონდეს პატარა მოწყობილობა ამ ყველაფრით სარგებლობისათვის და შესაძლოა, ის რაც თქვენ შექმენით მთელი კარიერის მანძილზე, აღარ იყოს საჭირო. ხალხი ფიქრობს, რომ თქვენ ხართ კონკურენტები, თქვენი აზრით, 5 წლის შემდეგ კომპიუტერი კვლავ ყველაფერ ამის სათავეში იქნება?

ბილი: ბევრი რამის პროგნოზირება შეიძლება. მაგრამ ეს შეიძლება მოხდეს, შეიძლება არა. 5 წლის წინ, როდესაც განვითარება დაიწყო ქსელურმა კომპიუტერმა, ჩვენ გვეუბნებოდენ, რომ გავქრებოდით. გახსოვთ კომპიუტერი მხოლოდ ერთი ფუნქციით? როდესაც გამოვიდა მრავალფუნქციური კომპიუტერი, ვიღაცამ თქვა, რომ ეს სისულელეა.

მოძრაობის ძირითად მიმართულებას ყოველთვის უტევენ. ბევრ ადამიანს არ ესმის, რომ ნებისმიერ შემთხვევაში საჭიროა ეფექტური ლოკალური ფუნქციონირების გამოყენება. ჩვენ ფსონს ვდებთ ამაზე. ვგულისხმობ იმ გარემოებას, რომ მაშინ, როდესაც თქვენ გაქვთ ეფექტური აუდიო ვიდეო ტექნოლოგიები და ინტერნეტ ფორმ-ფაქტორები, საკითხავია, როგორ მოვახერხოთ მათი ერთობლივი გამოყენება? ინტერნეტთან მიერთებული ტელევიზორით, ან მანქანის ინტერნეტ-მოწყობილობით რა თქმა უნდა შესაძლებელია უშუალოდ ვისარგებლოთ ინტერნეტით. და მათ მხოლოდ ეს მარტივი ფუნქცია აქვთ. მაგრამ თუ თქვენ გსურთ დოკუმენტის რედაქტირება ან რაღაცის შექმნა უფრო მოხერხებულად, თქვენ დაგჭირდებათ ისეთი მოწყობილობა, რომელსაც აქვს დიდი ეკრანი და უნივერსალური ფუნქციები.

სტივი: შემიძლია მოგიყვანოთ რამდენიმე მაგალითი: მე მიყვარს - “Google Map”-ი და ხშირად ვიყენებ მას კომპიუტერით ინტერნეტ-ბრაუზერით. როდესაც Iphone-ზე ვმუშაობდით, ვფიქრობდით რა კარგი იქნებოდა რუკები Iphone-შიც რომ ყოფილიყო. დავუკავშირდით Google-ს. მათ ჰქონდათ ვარიანტები, რომლებიც მუშაობდა მხოლოდ Java-ს მქონე ტელეფონებზე. ასევე “API”, რომელზედაც შემდეგ ჩვენც ვიმუშავეთ. შევქმენით აპლიკაცია, რომელიც მუშაობდა - “API”-სთან ერთად და უზრუნველყოფდა სრულყოფილ სერვისს რუკებთან დაკავშირებით. აპლიკაციამ, რომელიც შევქმენით იმ გათვლით, რომ ჩვენთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანი იყო, დაჩრდილა “Google Map”-ის ყველა აპლიკაცია. სერვერიდან იგივე ინფორმაცია მოგვეწოდებოდა, მაგრამ შთაბეჭდილება, რასაც

DO NOT COPY

მომხმარებელი იღებდა, იყო დაუჯერებელი, ბევრად უკეთესი, ვიდრე კომპიუტერითაა შესაძლებელი, და იმასთან შედარებით, რაც აქამდე შეუქმნიათ ტელეფონებისთვის. ეს აპლიკაცია გახდა მომხმარებლის შთაბეჭდილებაზე გათვლილი ტექნოლოგიების შექმნის საფუძველი. როდესაც მათ ვაჩვენებდით აპლიკაციას, მომხმარებელი უბრალოდ შოკირებული იყო იმით, თუ რა კარგად მუშაობს ეს აპლიკაცია, რაც შეუძლებელია ბრაუზერით. ხალხი მიხვდა თუ როგორ მოიხმაროს აპლიკაცია ლოკალურად. ამ ტექნოლოგიით დაწერილი აპლიკაციის მუშაობა შესაძლებელია მუდმივად, მიუხედავად იმისა, გაქვს თუ არა კავშირი ინტერნეტთან ბრაუზერით. მაგრამ, ეს ყველაფერი ძალიან ნელა ხდება. იმიტომ, რომ ბევრი რამ, რასაც ვაკეთებთ,შესაძლებელია მხოლოდ მდიდარ მომხმარებელთა გარემოში. იმავდროულად, მყარი დისკი ხელს უწყობს პროგრესს, რომ შესთავაზოს მომხმარებელს უფრო და უფრო იაფი მოწყობილობები, უბრო და უფრო მარტივი მოწყობილობები. ასე რომ, მომხმარებელთან ერთად შესაძლებელია ბევრი საინტერესო რამის კეთება.

კარა: როგორი იქნება თქვენი საყვარელი მოწყობილობა 5 წლის შემდეგ, ან არსებობს კი საერთოდ ასეთი? როგორ წარმოგიდგენიათ მოწყობილობა, რომლითაც ისარგებლებთ მომავალში.

ბილი: მე ვფიქრობ, არაერთი მოწყობილობით ვისარგებლებთ, გვექნება სრულეკრანიანი მოწყობილობა, რომელსაც სულ თან ვატარებთ და რომლიდანაც უდიდეს ინფორმაციას მივიღებთ.

ბილი: მე ვფიქრობ, პლანშეტური მოდელები ყველაზე პერსპექტიულია. მისი მართვა შესაძლებელი იქნება ხმით, მასში იქნება ელექტრონული მელანი, შესაძლებელი იქნება კლავიატურის შეერთება. ასევე იარსებებს მოწყობილობები, რომელთა ჯიბით ტარება შეიძლება და რომელთაც ექნებათ უამრავი ფუნქცია. მაგალითად, ნავიგაცია, მულტიმედია, ტელეფონი და ა.შ. ტექნოლოგიის განვითარება მოგვცემს შესაძლებლობას, ამ მოწყობილობის გამოყენებით ვისარგებლოთ უფრო მეტი ფუნქციით. დღეს ჯიბის მოწყობილობების სფეროში ბევრი ექსპერიმენტი ტარდება. მე ვფიქრობ, ეს ფაქტორები ძალიან ბუნებრივია და უახლოეს მომავალში უნდა ველოდოთ პორტატული მოწყობილობების ევოლუციას. და ამ ფორმ-ფაქტორების განვითარება განხორციელდება ისე, რომ ისინი ავსებდნენ ერთმანეთს. მაგალითად, როდესაც ჯიბეში გაქვს ერთ-ერთი ასეთი ტელეფონი, იმავდროულად გიჩნდება სურვილი, რომ შეიძინო უფრო ახალი.

ვოლტი: და თქვენ როგორ გესახებათ მომავალი 5 წლის შემდეგ?

სტივი: საინტერესოა იცით, პერსონალურმა კომპიუტერმა უკვე დაამტკიცა, რომ საკმაოდ სიცოცხლისუნარიანია. როგორც ადრე ბილმა თქვა, კომპიუტერის სიკვდილს თითქმის ყოველ წელს ვარაუდობენ, თუმცა წარმოებაში იყო დრო, თუ გახსოვთ, ცხრილებისა და ტექსტური რედაქტორების შექმნა, რამაც, მთელს კომპიუტერულ ინდუსტრიას დიდი ბიძგი მისცა. შემდეგ განვითარება ცოტა ხნით შეჩერდა. გამოჩნდა ინტერნეტი და ყველას დასჭირდა უფრო ძლიერი კომპიუტერები ბრაუზერებან სამუშაოდ. დადგა ინტერნეტის ნამდვილი ეპოქა. ინტერნეტთან წვდომის ეპოქა. მხოლოდ რამდენიმე წლის წინ დაიწყეს კომპიუტერის აღქმა სავალდებულო მოწყობილობას, ისე, როგორც ამას დღეს აღვიქვამთ. ამი შემდეგ განვითარება ისევ შეჩერდა, ყოველ შემთხვევაში ინოვაციის თვალსაზრისით.შემდეგ კომპიუტერს აღიქვამდნენ ციფრულ ცენტრად. ჩვენ ასე ვუწოდებთ, თუმცა თქვენ შეგიძლიათ უწოდოთ, მაგალითად, სახლის მულტიმედიური ცენტრი. და როდესაც განვითარება დაიწყო ციფრულმა კამერებმა და გაჩნდა ციფრული ფაილების ინტერნეტით გაცვლის შესაძლებლობა, დადგა ასეთი ფაილების ლოკალურად შენახვის საჭიროება თქვენი ციფრული ცხოვრებისათვის. შეიძლება ითქვას, რომ ახლაც რაღაც ახალი იწყება. ჯერ ზუსტად არ ვიცით რა არის ეს, მაგრამ ეს იქნება

ალბათ, ინტერნეტ-სერვისთან ან რაღაც ამის მსგავსთან უფრო მჭიდროდ დაკავშირებული კომპიუტერი. პერსონალური კომპიუტერი უფრო და უფრო კომპაქტური ხდება. ასე რომ, ვფიქრობ, კომპიუტერი კვლავ დარჩება ხმარებაში და ეს უნივერსალური მოწყობილობა განაგრძობს ჩვენთან ერთად არსებობას პლანშეტის, ნოუთბუქის, თუ მაგისის დიდი კომპიუტერის სახით, რომელიც სახლში გვიდგას. ჩემი აზრით, ეს მოწყობილობა საზოადოების უმრავლესობაში დიდხანს დარჩება. სხვა საზოგადოებაში შეიძლება აღარ, მაგრამ ამ საზოგადოებაში აუცილებლად. შემდეგ ალბათ დაიწყება პოსტკომპიუტერული მოწყობილობეის რევოლუცია. მაგალითად Ipod-ი შეიძლება ჩაითვალოს ერთ-ერთ ასეთ მოწყობილობად. აქ ხდება ძალიან ბევრი საინტერესო რამ.

სტივი: ნებისმიერ შემთხვევაში, მე ვფიქრობ, არსებობს განსაზღვრული კატეგორიის მოწყობილობები, რომლებიც არ არიან უნივერსალური. ისინი ფოკუსირებული არიან რომელიმე კონკრეტულ ფუნქციაზე. მნიშვნელობა აქ აქვს, ტელეფონია ეს, Ipod-ი, Zune, თუ კიდევ სხვა რამ. მე ვფიქრობ, ამ კატეგორიის მოწყობილობები იქნება ძალიან ინოვაციური და მომავალში კიდევ უფრო ბევრ ასეთ საინტერესო მოწყობილობას ვნახავთ.

ვოლტი: კარგით, რა ძირითადი ფუნქცია ექნება მოწყობილობას რასაც ადრე ვეძახდით მობილურ ტელეფონს? რა დავარქვათ მას, ჯიბის მოწყობილობა? როგორი ფუნქციები ექნება ჯიბის მოწყობილობას, ვთქვათ, წლის შემდეგ?

ბილი: დააკვირდით როგორ სწრაფად მოხდა ისეთი, რადიკალურად განსხვავებული ფუნქციების გაერთიანება ერთ მოწყობილობაში, როგორც არის ნავიგაცია, ჯიბის საფულე, ტელეფონი, ფოტოაპარატი, ვიდეო კამერა. ამიტომ, რთულია რაიმე პროგნოზის გაკეთება. თუმცა, სავსებით სავარაუდოა, რომ ახალ მოწყობილობას ექნება ყველა ეს ფუნქცია და კიდევ რაღაც. იმავდროულად, პატარა ეკრანის გამო, თქვენ ვერ შეძლებთ სრულფასოვნად შეასრულოთ საშინაო დავალება, ან რედაქტირება გაუკეთოთ რაიმე ვიდეო ფაილს. ამიტომ თქვენ გექნებათ კიდევ რაღაც, რაც მოგცემთ სრულფასოვანი კითხვის, რედაქტირების და სხვა მრავალი ფუნქციის შესრულების საშუალებას.და თუ ამ ჯიბის მოწყობილობას როდესმე ექნება გასაშლელი ეკრანი, მაშინ თქვენ გექნებათ მხოლოდ ერთი მოწყობილობა, რომლითაც სრულფასოვნად იმუშავებთ და რომელსაც ყველგან თან ატარებთ. პროექციულ ტექნოლოგიებში შეინიშნება გარკვეული წინსვლა, რომლებიც მალე შემოვა ხმარებში. თუმცა, ჯერჯერობით მსგავსი რამ არ ჩანს ჰორიზონტზე. Microsoft-ში გვყვავს ხალხი რომლებიც აწარმოებენ კვლევებს, და რომელშიც ძალიან დიდ ინვესტიციას ვდებთ, თუმცა, ამის შედეგებს ვერ დავინახავთ 5 წელზე ადრე.

ვოლტი: თქვენ რას ფიქრობთ, რა ფუნქციები ექნება თქვენს ჯიბის მოწყობილობას 5 წლის შემდეგ?

სტივი: არ ვიცი. და იცით რატომ არვიცი? იმიტომ, რომ ჯერ კიდევ 5 წლის წინ, ვერ წარმომედგინე თუ მობილურ ტელეფონში იქნებოდა რუკები. თუმცა, რაღაც ჩნდება, ხდება ძალიან პოპულარული, ხალხი მოიხმარს, ეჩვევიან მას. ხალხი გამუდმებით რაღაცას იგონებს. მე ვფიქრობ, ხელოვნება იმაში მდგომარეობს, რომ სწორად დააბალანსო რა ფუნქცია იყოს ასეთ მოწყობილობაზე და რა არა. ბევრი მოწყობილობა, რომელსაც ვატარებთ, გამოიყენება კომუნიკაციისთვის. რა თქმა უნდა, გართობაც გვინდა, მაგრამ პირველ რიგში, ეს მოწყობილობები კომუნიკაციის მოწყობილობებია.

ვოლტი: კარგით, როგორც დღეს სტივ ბალმერმა განაცხადა, სხვა კომპანიები განვითარებული არიან ისეთ სეგმენტებში, როგორებიცაა ძებნა ან სხვა ინტერნეტ-სერვისები. ამიტომ, მე გეკითხებით თქვენ, პერსონალური კომპიუტერების უდიდეს მწარმოებლებს, ხომ არ გაქვთ შიშის გრძნობა, რომ რომელიმე თქვენი კონკურენტი აღმოჩნდება თქვენზე უფრო ყოჩაღი თანამედროვე გარემოში? რა თქმა უნდა, Microsoft-იც და Apple-იც უდიდესი მწარმოებლები არიან, მაგრამ არ გაწუხებთ ის აზრი, რომ სხვა კომპანიები, რომელთა წარ-

DO NOT COPY

მომადგენლებიც შესაძლოა ამ დარბაზში სხედან, თქვენზე მოხერხებულები აღმოჩნდნენ, ისეთივე პატარა კომპანიები, როგორებიც იყო თქვენი კომპანიები 1977 წელს.

ბილი: იცით ყოველთვის გამოჩნდება ბევრი ახალი გამოგონება, რომლებიც ექნება სხვა კომპანიებს. და ჩვენ გვინდა აღმოვჩნდეთ ისეთ მდგომარეობაში, რომ ჩვენი პროდუქტები მოვარგოთ ასეთ გამოგონებებს, ისე გავაკეთოთ, რომ ამ გამოგონებამ გამოიწვიოს მოთხოვნის გაზრდა Windows-სა და პერსონალურ კომპიუტერზე. სტივმა ახსენა, რომ მომავალში ჩვენ გვინდა უფრო სერიოზულად ვიმუშაოთ ძებნის სერვისებზე, ვიდრე დღეს. ვნახოთ ამისგან რა გამოვა, რა შეგვიძლია ამ სფეროში. ბევრი აპლიკაცია ატარებს სპეციალიზირებულ ხასიათს. და დღეს ჩვენ ვხედავთ, რომ მაგალითად, განათლების სექტორში უკვე ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა ვიდეოს ჩვენება, იყენებენ ვიდეოს ფუნქციასა და სხვა მიმართულებებს, რომლებიც აპლიკაციების საშუალებით ხორციელდება. პირადად მე, ეს პროცესი ძალიან მომწონს. განათლების სექტორის გაძლიერების იდეას კომპიუტერული ინდუსტრიის დასაწყისშივე ვუჭერდით მხარს. ჩვენ ვოცნებობდით იმაზე, რომ სტუდენტები და მასწავლებლები შეძლებდნენ ეპოვნათ ახალი და გაცილებით ეფექტური სწავლა-სწავლების მეთოდები. ჩვენ ვდგავართ ამ ბაზარზე და რა თქმა უნდა, ჩვენი კომპანიები ეხმარება ამ პროცესს. თუმცა, ეკოსისტემა ისეა მოწყობილი, რომ ყველაფერი ერთმანეთისგან გამომდინარე ხდება, და ბოლოს და ბოლოს ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ტექნოლოგიამ რაღაც გააკეთა განათლებისთვის.

სტივი: მე ამ თემას ცოტა სხვაგვარად ვუყურებ. ჩვენ არ ვცდილობთ ყველაფრის შექმნას, არ მიგვაჩნია მართებულად ერთმა კომპანიამ აკეთოს ყველაფერი. ჩვენ უნდა ვითანამშრომლოთ ისეთ კომპანიებთან, რომლებიც რაღაცაში ჩვენზე წინ წავიდნენ. მაგალითად, Microsoft-ს კარგად აქვს აწყობილი ძებნის სისტემა, ხოლო ჩვენ არა. ჩვენ გვირჩევნია ვითანამშრომლოთ Microsoft-თან, ვიდრე შევქმნათ ძებნის საკუთარი სისტემა. ან, მაგალითად, ჩვენ რუკების არაფერი გაგვეგება, მაგრამ ძალიან კარგად გამოგვდის საუკეთესო აპლიკაციის შექმნა რუკებისთვის. ჩვენ ასევე, არაფერი ვიცით რუკებთან დაკავშირებული სერვისების შესახებ. ამიტომაც, ვთანამშრომლობთ ხალხთან, რომლებიც ამ ყველაფერში კარგად ერკვევიან. საერთო ჯამში, ვკრებთ ყველა ამ შედეგსა თუ ინფორმაციას და ვაძლევთ მას სასიამოვნო სამომხმარებლო ინტერფეისის ფორმას, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია მარტივი მოწყობილობით. ზოგჯერ ჩვენ უფრო მეტს ვშრომობთ, ვიდრე სხვები. მაგალითად, iTune-ს შემთხვევაში, ინტერნეტ-სივრცეში საერთოდ არ არსებობდა მუსიკის მიწოდების სერვისი და ჩვენ დამოუკიდებლად მოგვიხდა მისი შექმნა. სხვა შემთხვევაში, არსებობენ კომპანიები, რომლებიც გარკვეულ ამოცანებს უკეთესად ასრულებენ. ჩვენ ყოველთვის მზად ვართ ვითანამშრომლოთ მათ შორის საუკეთესოსთან. ძალიან რთულია ერთი კომპანიისთვის ყველაფრის დამოუკიდებლად კეთება.

ვოლტი: სტივ დღეს გვაჩვენეთ Apple TV-ის ახალი ფუნქცია, რომელიც საშუალებას გვაძლევს Youtube-ს ვუყუროთ პირდაპირ ტელევიზორში. შეიძლება თუ არა, ველოდოთ თქვენგან სხვა მსგავს რამეს, განიხილავთ თუ არა თქვენს თავს, როგორც ბილმა ახსენა, გასართობი პროგრამების მიმწოდებლად? მხედველობაში არ მაქვს თქვენი საქმიანობა Disney-ში.

სტივი: მე ვფიქრობ, ხალხს უნდა შეეძლოს გართობა მაშინ, როდესაც მოესურვებათ, როგორც მოესურვებათ და იმ მოწყობილობით, რომლითაც სურთ. ამიტომ, ბევრი კომპანია, რომელიც ამ საქმით არის დაკავებული, იყენებს ბიზნესის სხვადასხვა მოდელს. თუ შენ გასართობი პროგრამების კომპანია ხარ, ეს ძალიან კარგია შენთვის, რადგან, სულ უფრო და უფრო მეტ ხალხს, უფრო და უფრო ხშირად სურს გასართობი პროგრამების გამოყენება სხვადასხვა საშუალებებით. ამიტომაც არსებობს ეს ბიზნესი. თუმცა გადასვლა ერთი მოდელიდან მეორეზე, საკმაოდ მტკივნეული პროცესია. მაგალითად, მუსიკალურ ინდუსტრიაში, როდესაც ინტერნეტის სიჩქარე საკმარისი გახდა მუსიკის გადმოსაწერად, ხმის ჩამწერმა

DO NOT COPY

სტუდიებმა ძალიან ბევრი შეცდომა დაუშვეს. ისინი ცდილობდნენ ბიზნესის ახალ მოდელზე გადასვლას, და ამავე დროს, იძულებული იყვნენ დაპირისპირებოდნენ პირატებს. შეიძლება დღეს გამოვყოთ მათ მიერ დაშვებული შეცდომები, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში, ეს ძალიან რთული ამოცანაა. რაც შეეხება ჰოლივუდს, მე ვფიქრობ, ისინი თვალს ადევნებდნენ თუ რა ხდებოდა მუსიკის გარშემო. ისინი მიხვდნენ, თუ რისი კეთებაა საჭირო და რისი არა და ახლა ცდილობენ შეადგინონ ბიზნესის ახალ მოდელზე გადასვლის გეგმა - გადასვლა ახალ პლატფორმაზე, რომელიც უზრუნველყოფს მომხმარებლის მოთხოვნის დაკმაყოფილებას უყურონ ფილმებს როდესაც მოესურვებათ და როგორც მოესურვებათ. ვფიქრობ, ამ სფეროში ტარდება ბევრი ექსპერიმენტი, რაც, საერთო ჯამში, ძალიან კარგ შედეგზე გადის, პირველ რიგში, გასართობი მასალის მფლობელისათვის.

კარა: მინდა თქვენს ურთიერთობაზე გკითხოთ. თქვენი ურთიერთობა უკვე ისტორიის ნაწილია. რა იყო ყველაზე დიდი გაუგებრობა ამ ურთიერთობებში, რას გამოყოფდით? იყო თუ არა ეს დაკავშირებული კონკურენციასთან, ან სხვა რამესთან?

სტივი: უკვე 10 წელზე მეტია ვინახავთ ჩვენი -"ქორწინების საიდუმლოს".

ბილი: არ ვფიქრობ, რომ რომელიმე ჩვენგანს ჰქონდეს რაიმე განსაკუთრებული წყენა. ვიცი, რომ ისეთი პროექტები, როგორიც Macintosh-ია, იყო უაღრესად მხიარული და საინტერესო, ამავე დროს, ძალიან სარისკო.ერთობლივი მუშაობა უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს. ნამდვილად მაკლია რამოდენიმე ადმაიანი იმ დროიდან. იცით, ამ ინდუსტრიაში ადამიანები მოდიან და მიდიან, ეს შესანიშნავია, როდესაც არის ვიღაც, რომელიც იყო დასაწყისში და არის ახლაც, ნარჩუნდება მთელი კონტექსტი, რაზედაც ვმუშაობდით და რაზედაც არა. ინდუსტრია ყოველთვის მიისწრაფის რაღაც ახლისკენ. ყოველთვის არსებობდა ასეთი პარადიგმა, რომ თუ კომპანია წარმატებულია, ის მიდის ინდუსტრიიდან. ძალიან კარგია, როდესაც არსებობენ ადამიანები, რომლებიც უძლებენ ამ ტალღებს და მზად არიან გარისკონ და შექმნან რაღაც ახალი.

სტივი: როდესაც მე და ბილმა პირველად ვიმუშავეთ ერთად, როგორც წესი, სამუშაო ოთახში ჩვენ ვიყავით ყველაზე ახალგაზრდები. მე 6 თვით უფროსი ვარ მასზე, თითქმის თანატოლები ვართ და ახლა, როდესაც ვმუშაობთ ჩვენს პატივცემულ კომპანიებში, არ ვიცი შენს შემთხვევაში როგორაა, მაგრამ მე ყველაზე უფროსი ვარ იქ მომუშავეთაგან. აი რატომ მიყვარს აქ მოსვლა. ვფიქრობ, ცხოვრებაში ბევრი რამ ისეა, როგორც ბობ დილანის ან ბიტლზების სიმღერებში. ბიტლზების ერთ-ერთ სიმღერაში არის ასეთი სიტყვები: -"მოგონებები, რომლებიც ჩვენ გვაკავშირებს, უფრო გრძელია, ვიდრე გზა, რომელიც ამის მერე უნდა გავიაროთ" - სწორედ რომ ჩვენზეა ნათქვამი.

ჯესი: გამარჯობათ, მე ჯესი კორნბლატი ვარ, „HeadButler.com"-იდან. იმდენად, რამდენადაც, თქვენ აღარ ხართ ყველაზე ახალგაზრდა ყმაწვილები ოთახში, თითოეულ თქვენთაგანს მინდა გკითხოთ თქვენს მემკვიდრეობაზე. ბილ, თქვენი ყველაზე მწვავე კრიტიკოსებიც კი თანხმდებიან, რომ თქვენმა ფილანტროპულმა საქმიანობამ, უდაოდ დიდი გავლენა იქონია მთელს პლანეტაზე. შესაძლოა, თუ არა მეორე მოქმედება გაცილებით გასაოცარი იყოს? - ისეთი, რომ დაჩრდილოს ყველაფერი, რაც Microsoft-მა გააკეთა. მემკვიდრეობის არჩევის უფლება რომ გქონდეთ, რას აირჩევდით? და სტივ, როდესაც ბილს უყურებთ, არ ფიქრობთ, რომ ამ ადამიანს ძალიან გაუმართლა? - მისი კომპანია ყველაზე მდიდარი და წარმატებული კომპანიაა, და მას არ სჭირდება ყოველდღე დაბრუნდეს და პირადად გადაარჩინოს ის. არ გაგჩენიათ სურვილი, თქვენც რომ ასე გქონოდათ ყველაფერი აწყობილი?

ბილი: მთავარი სამუშაო, რისი კეთების ბედნიერებაც მქონდა ცხოვრებაში, მიუხედავად იმისა, თუ რას ვაკეთებდი, დაკავშირებულია პერსონალურ კომპიუტერთან. იცით, როდესაც მოზარდი ვიყავი, 20-30 წლის, მე დაქორწინებაც კი გადავდე ამ საქმის გამო.

DO NOT COPY

მთლიანად შეპყრობილი ვიყავი საქმეზე ფიქრით, ეს არის ჩემი საქმე ცხოვრებაში. გამიმართლა, რომ გამომემუშავებინა უნარები და რესურსები, უნარებს მაინც პირველ ადგილზე დავაყენებდი, და ეს უნარები და გამოცდილება გამომეყენებინა იმ ხალხის სასიკეთოდ, რომელთაც არ აქვთ ტექნოლოგიები, რაც მათ დაეხმარებოდათ თავის საქმეში, მაგალითად, სამედიცინო დარგში. ვფიქრობ, გამიმართლა, რომ მაქვს საშუალება ვაკეთო ყველაფერი ეს. მაგრამ ყველაზე მთავარი მდგომარეობს იმაში, რომ სინამდვილეში, თუ ჩაიხედავთ ჩემს ტვინში, ნახავთ, რომ ის სავსეა პროგრამული უზრუნველყოფებით. იცით, ესაა პროგრამული უზრუნველყოფის მაგია, პროგრამული უზრუნველყოფისადმი რწმენა და მე ვფიქრობ, ეს ყველაფერი არასდროს არ შეიცვლება.

სტივი: ესე იგი, თქვენი შეკითხვა იყო - მსურდა თუ არა, ყოველდღე Apple-ში სამუშაოდ სიარული?

ჯესი: არა, ცოტათი ხომ არ გშურთ, რომ ბილი წარმატებით ეწევა საქველმოქმედო საქმიანობას?

სტივი: არა, ვფიქრობ ეს მშვენიერია. ჩემი აზრით, სამყარო გახდა უკეთესი, რადგან ბილი მიხვდა, რომ მისი მიზანია არა ის, რომ გახდეს ყველაზე მდიდარი ადამიანი სასაფლაოზე, არამედ, აკეთოს სიკეთე თავის მიერვე გაომუშავებული თანხით. დარწმუნებული ვარ, მე და ბილი ამ საკითხში ძალიან ვგავართ ერთმანეთს. ვგულისხმობ, რომ, ჩვენ ორივენი გავიზარდეთ საშუალო შემოსავლის მქონე ოჯახებში, და განსაკუთრებით არასდროს ვწუხდით ფულის გამო. Apple-ს წარმატების პირველ ხანებში, მე ძალიან ბედნიერი ვიყავი, იმიტომ, რომ არ ვნერვიულობდი ფულზე, და სრულიად ვიყავი კონცენტრირებული საქმეზე, ხოლო მოგვიანებით - ჩემს ოჯახზე. ვფიქრობ, მე და ბილი ვართ უბედნიერესი ადამიანები პლანეტაზე, რადგან ვიპოვეთ საქმე, რომლის კეთებაც გვიყვარს, საჭირო დროს, საჭირო ადგილზე აღმოვჩნდით, ყოველდღე დავდიოდით სამსახურში, სადაც 30 წლის განმავლობაში გვხვდებოდნენ შესანიშნავი ადამიანები, და ვაკეთებდით იმას, რისი კეთებაც გვიყვარდა. ასე რომ, ამაზე უკეთესი რამის მოფიქრება შეუძლებელია - შესანიშნავი სამსახური, მოსიყვარულე ოჯახი, სხვა რაზე შეიძლება იოცნებოს ადამიანმა? ამიტომაც, მემკვიდრეობაზე განსაკუთრებულად არ ვფიქრობ. უბრალოდ ვფიქრობ იმაზე, რომ შემიძლია ყოველ დღე ვიარო სამსახურში, შევხვდე ამ შესანიშნავ ადამიანებს, რათა შევქმნათ რაღაც ახალი, რასაც სხვა ადამიანები ისევე შეიყვარებენ, როგორც ჩვენ. და თუ ეს გამოგვდის, ეს უბრალოდ დიდებულია.

რობი: გმადლობთ სტივ,ბილ. მე ვარ რობი კილიონი, აქ ჩემს ბიზნეს-პარტნიორთან ერთად ვარ მოსული. ჩვენ გვაქვს მედია ბიზნესი ინტერნეტ სივრცეში, დაახლოებით 100 თანამშრომლით. რას გვირჩევდით დამწყებ ბიზნესმენებს, რომ ჩვენც შევქმნათ ისეთივე დიდი და ძლიერი კომპანიები, როგორიც თქვენ შექმენით თავის დროზე?

ბილი: ეს შეიძლება უცნაური მოგეჩვენოთ, მაგრამ ჩვენ ორივეს, ყველაზე მეტად შთაგვაგონებდა არა ეკონომიკური პერსპექტივები, არამედ, 1975 წელს, როდესაც ვწერდით სლოგანს „კომპიუტერი ყველა მაგიდაზე და ყველა სახლში“ მაშინ ჩვენ ვერ ვაანალიზებდით, რომ ეს კომპანია უნდა გამხდარიყო ძალიან დიდი. ხშირად ვფიქრობდი ხოლმე, რომ - ღმერთო, ჩვენ ისევ გავორმაგდით, როგორ შევძლებთ გავუმკლავდეთ ამდენი ხალხის მართვას? და ყოველ ჯერზე, როდესაც ვორმაგდებოდით, ვფიქრობდი, რომ ეს უკანასკნელად ხდებოდა. სინამდვილეში, ეკონომიკა არ არის ყოველთვის ყველაზე მთავარი. მაგალითად, ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო ისეა, ვყოფილიყავით - „წინა ფრონტზე“, მეპოვნა ახალი ტექნოლოგიები, მომეზიდა სხვადასხვა ხალხი მრავალი უნარებით, რომელთაც უყვარდათ თავისი საქმე, და მივმხვდარიყავი, როგორ უნდა ემუშავა ამ მრავალმხრივი უნარების მქონე ხალხს ერთად, ერთიანი ამოცანებისა და გამოწვევების შესასრულებლად. ჩემთვის ეს დიდ სირთულეს წარმოადგენდა, სწორედ აქ დავუშვი

Don't Copy

ყველაზე მეტი შეცდომა, ვიდრე სხვაგან. რადგან საკმაოდ რთულია აიძულო რამოდენიმე ჯგუფი, ერთად იმუშაონ ძალიან კარგად. ასე და ამგვარად, ვთვლი, რომ მთავარია ხალხი, რომელსაც აქვს ვნება და ჟინი რაღაცის კეთების. და ეს გასაოცარია, თუ რაოდენ ეფექტურად მუშაობს ბიზნესი, რომელიც დაფუძნებულია ამ მიდგომაზე.

სტივი: დიახ ასეა. ხშირად ამბობენ, რომ უნდა გიყვარდეს საქმე, რომელსაც აკეთებ, ეს სრული სიმართლეა. ამის მიზეზი არის ის, რომ ზოგჯერ საქმე იმდენად რთულია, ნებისმიერი რაციონალური ადამიანი მალევე მიატოვებს მას თუკი არ უყვარს. საქმის კეთება მოითხოვს მოთმინებას ხანგრძლივი დროის განმავლობაში. ასე რომ, თუ არ გიყვართ თქვენი საქმე, ვერ მიიღებთ მისგან სიამოვნებას და ბოლოს და ბოლოს, მიატოვებთ მას. უმეტესობას სწორედ ასე ემართება. თუ დააკვირდებით საზოგადოების თვალში წარმატებულ და წარუმატებელ ადამიანებს, ხშირად აღმოაჩენთ, რომ ვისაც უყვარდა თავისი საქმე, სწორედ მან მიაღწია წარმატებას. იმიტომ, რომ საქმის სიყვარული ეხმარებოდა მათ გაეძლოთ მძიმე წუთებში და არ მიეტოვებინათ საყვარელი საქმე, ხოლო ისინი, ვისაც არ უყვარდათ თავისი საქმე, მალევე ტოვებდნენ მას, იმიტომ, რომ რაციონალური ადამიანები არიან. ზოგჯერ საქმე მღელვარებასთან და სტრესთან არის დაკავშირებული, ამიტომ, თუ არ გიყვარს ის, ამ საქმეში მიიღებ წარუმატებლობას. ასე რომ, პირველ რიგში უნდა გიყვარდეთ და განიცდიდეთ საქმეს, რომელსაც აკეთებთ. ხოლო მეორე არის ის, რომ თქვენ უნდა იყოთ ძალიან ეფექტური, ნიჭიერი ხალხის მოძიებაში. მიუხედავად იმისა, თუ რამდენად ჭკვიანი ხართ, თქვენ გჭირდებათ გამორჩეულ ადამიანთა გუნდი, ძალიან სწრაფად უნდა შეგეძლოთ მათი ნიჭის დანახვა, დაიქირაოთ ისინი და მუდმივად გაიუმჯობესოთ ინტუიცია, რათა ყველა ამ შესანიშნავ ადამიანზე დაყრდნობით შექმნათ ორგანიზაცია, რომელიც, ბოლოს და ბოლოს, შეძლებს თავისითავის შენებას. აი , ამიტომ გჭირდებათ თქვენს გარშემო გამორჩეული ადამიანები.

ლიზი: (ლიზ ბაიერი). ჩემი შეკითხვა გამომდინარეობს ისტორიული ცნობისმოყვარეობიდან. თქვენ სხვადასხვა მიდგომებით გახვედით თითქმის ერთი და იგივე შესაძლებლობებზე. რას ისწავლიდით ერთმანეთისგან ბიზნესის მართვასთან დაკავშირებით?

ბილი: რას არ გავიღებდი, რომ სტივის გემოვნება მქონოდა. მას ბუნებრივი გემოვნება აქვს და ეს სულაც არ არის ხუმრობა. მას თანდაყოლილი ინტუიციური გემოვნება აქვს, როგორც ადამიანებში, ისე პროდუქტებში. როდესაც კითხვა დაისმებოდა - მაკინტოშისათვის რომელი პროგრამული უზრუნველყოფა უნდა შეგვერჩია, მე ამ კითხვას განვიხილავდი ინჟინერული თვალსაზრისით, უბრალოდ იმიტომ, რომ ჩემი ტვინი ასეა მოწყობილი. ხოლო სტივი გადაწყვეტილებას ირებს ადამიანების გრძნობებისა და პროდუქტებზე დაყრდნობით. იცით, ეს ფენომენი, ჩემთვისაც კი, რთული ასახსნელია. მიდგომა, რომლითაც სტივი რაღაცას აკეთებს, სრულიად განსხვავებულია. მე ვფიქრობ, ეს მაგიურია.

სტივი: იცით, როდესაც მე და ვოზნიაკმა შევქმენით ჩვენი კომპანია, ის აწარმოებდა ბანანივით სრულყოფილ პროდუქციას, ვცდილობდით ყველაფერი დამოუკიდებლად გაგვეკეთებინა. არ გვსურდა ვინმესთან გვეთანამშრომლა. საინტერესოა, რომ Microsoft-ი არის ერთ-ერთი იმ რამოდენიმე კომპანიათაგანი, რომელთანაც ჩვენ დავამყარეთ ორივე მხარისათვის მომგებიანი ურთიერთობები. მაშნ ჩვენ ეს არც ისე კარგად გამოგვდიოდა. ხოლო ბილმა და Microsoft-მა, არ აწარმოებდნენ რა დასრულებულ პროდუქტს, მალევე ისწავლეს სხვებთან კარგი ურთიერთობის დამყარება. Apple-საც რომ თავიდანვე ჰქონოდა ასეთი თანდაყოლილი უნარი, გაცილებით უკეთესი იქნებოდა. მაგრამ Apple-მა ასეთი მიდგომა რამოდენიმე ათწლეულის შემდეგ ისწავლა.

ვოლტი: დიდებული იყო.

კარა: უღრმესი მადლობა.

DoNotCopy

დანართი 9

საქართველოს ორგანული კანონი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ (ამონარიდი)

მუხლი 1

1. პოლიტიკური პარტია (შემდგომ – პარტია) არის საერთო მსოფლმხედველობრივ და ორგანიზაციულ საფუძველზე შექმნილი მოქალაქეთა ნებაყოფლობითი, დამოუკიდებელი გაერთიანება, რომელიც რეგისტრირებულია ამ კანონით დადგენილი წესით და თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციისა და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტების ფარგლებში.

3. პარტიის ფინანსური საქმიანობის კანონიერებასა და გამჭვირვალობასთან დაკავშირებული, ამ კანონით დადგენილი ნორმები ვრცელდება აგრეთვე იმ პირზე, რომელსაც თავად აქვს განცხადებული საარჩევნო მიზანი და ამ მიზნის მისაღწევად შესაბამის ფინანსურ და სხვა მატერიალურ რესურსებს იყენებს.

მუხლი 2

პარტია, როგორც თავისუფალი დემოკრატიული საზოგადოების აუცილებელი კონსტიტუციურ-სამართლებრივი ნაწილი, არჩევნების მეშვეობით და კანონმდებლობით ნებადართული სხვა საშუალებებით მონაწილეობს მოქალაქეთა პოლიტიკური ნების ფორმირებასა და გამოხატვაში.

მუხლი 3

პარტიის შექმნასა და საქმიანობას საფუძვლად უდევს შემდეგი პრინციპები:

ა) პარტიაში გაწევრიანებისა და პარტიიდან გასვლის ნებაყოფლობითობა;

ბ) დამოუკიდებლობა და თვითმმართველობა;

გ) არჩევითობა და ანგარიშვალდებულება;

დ) პარტიების თანასწორობა კანონის წინაშე;

ე) პარტიის შექმნისა და საქმიანობის საჯაროობა.

მუხლი 5

1. პარტიის შექმნისა და მის საქმიანობაში მონაწილეობის უფლება საქართველოს ყოველი მოქალაქის კონსტიტუციური უფლებაა.

2. დაუშვებელია ისეთი პარტიის შექმნა და საქმიანობა, რომლის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, ან რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს.

მუხლი 6

დაუშვებელია პარტიის შექმნა რეგიონული ან ტერიტორიული ნიშნის მიხედვით.

მუხლი 7

1. სახელმწიფო უზრუნველყოფს პარტიის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.

2. დაუშვებელია სახელმწიფო ორგანოებისა და თანამდებობის პირთა ჩარევა პარტიის საქმიანობაში, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

მუხლი 11

დაუშვებელია პარტიის წევრობის შეზღუდვა რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიის, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

Don't Copy

ლექსიკონი

ა

ადამიანების განვითარების ინდექსი – წარმოადგენს ქვეყნის მიერ მიღწეული პროგრესის, ეკონომიკის ზრდაზე დამყარებულ შეფასების ალტერნატივას. ადამიანების განვითარების ინდექსი არ წარმოადგენს კეთილდღეობის ან ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონის საზომს. იგი ზომავს ადამიანებისთვის ხელმისაწვდომ უფლებებსა და არჩევანს, რომლებიც აუცილებელია მათი შესაძლებლობების განვითარებისთვის. გამოყოფილია სამი ძირითადი არჩევანი/საშუალება, რომელიც უნდა გააჩნდეს ადამიანს შესაძლებლობების განვითარებისთვის: განათლება, ჯანმრთელობა და ღირსეული ცხოვრებისთვის საკმარისი შემოსავალი.

ბ

ბანკნოტი E. bank-note – საბანკო ბილეთი, რომელიც ეწევა ფულის მაგივრობას.

ბრენდინგი – მარკეტინგული პრაქტიკა, რომლის დროსაც კომპანია ქმნის სახელს, სიმბოლოს ან დიზაინს, რომელშიც ადვილად ამოიცნობა კომპანიის კუთვნილება. ეს ხელს უწყობს პროდუქტის იდენტიფიცირებას და სხვა პროდუქტებისა და მომსახურებისგან გარჩევას.

გ

გირავნობა – აღებული ვალდებულების უზრუნველსაყოფად მოძრავი ნივთების გამოყენება. გირავნობის ხელშეკრულებით კრედიტის გამცემს კრედიტის მიმღები აძლევს უფლებას, ვალდებულების ვერ ან არ დაფარვის შემთხვევაში, კანონმდებლობით დადგენილი წესების დაცვით, გაყიდოს დაგირავებული ნივთი და ასე დაფაროს მის მიმართ არსებული სასესხო ვალდებულება.

დ

დაიაქი – პროცენტი, გასამრჯელო.

დასაბეგრი შემოსავალი – სხვაობა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებულ ერთობლივ შემოსავალსა და ამ პერიოდისათვის საქართველოს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებული გამოქვითვების თანხებს შორის. ანუ ინდმეწარმის შემოსავლებს გამოაკლდება შესაბამისი ხარჯები და დარჩენილი მოგება დაიბეგრება 20%-ით. ინდმეწარმე საშემოსავლო გადასახადის შესახებ დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე წარუდგენს და ამ თარიღისთვის აქვს გადასახადის გადახდის ვალდებულებაც;

დე-იურე – იურიდიულად, კანონის საფუძველზე, ფორმალურად.

დერეგულაცია Deregulation – ბიზნესზე, მრეწველობასა და სხვა პროფესიულ საქმიანობაზე შეზღუდვების მოხსნა.

დინამიკური – 1. მოძრავი, მოვლენებით დატვირთული. 2. მოძრაობასთან, ძალის მოქმედებასთან დაკავშირებული. 3. მოძრაობით, მოქმედებით, შინაგანი ენერგიით აღსავსე.

დისტრიბუცია E. Distribution – განაწილება, განლაგება.

დოტაცია L. Dotatio – სახელმწიფო ფულადი დახმარება, რომელიც ეძლევა წარმოებას, ორგანიზაციას ზარალის დასაფარავად ან სხვა მიზნებისათვის.

დურგალი – ხითხუროს შემცვლელი გვიანდელი ტერმინია. დურგალი აშენებდა ხის სახლს და ყველაფერი – კარი, ფანჯარა, იატაკი, კარი, მას უნდა დაემზადებინა და გაემართა.

Don't Copy

ე

ეკონომიკა conomics – 1. მატერიალური და ადამიანური რესურსების ორგანიზებულად მართვა დოვლათის წარმოების პროცესში; 2. დოვლათის წარმოებასთან, განაწილებასთან და მოხმარებასთან დაკავშირებული სოციალური დაწესებულებებისა და ინსტიტუტების სისტემა; 3. მეცნიერება, რომელიც შეისწავლის საზოგადოებაში მწირი რესურსებისთვის კონკურენციის, მათი წარმოების, გაცვლის, განაწილებისა და მოხმარების პროცესებს.

ეკონომიკის რეალური სექტორი – მატერიალური და არამატერიალური წარმოების ყველა დარგის მთლიანობა, გარდა ფინანსური მომსახურებისა.

ეკონომიკური უფლებები – შრომის, საცხოვრებლის, მოხუცებულთა პენსიის მიღების უფლებას. ეკონომიკური უფლებები ასახავს იმ ფაქტს, რომ მატერიალური უსაფრთხოების გარკვეული მინიმალური დონე საჭიროა ადამიანის ღირსებისათვის და ასევე ფაქტს, რომ სათანადო დასაქმების ან საცხოვრებელი პირობების ნაკლებობა შეიძლება ფსიქოლოგიურად დამრთგუნველი იყოს.

ემანსიპაცია – რომელიმე პიროვნების ან სოციალური ჯგუფის გათავისუფლება, ვისიმე ან რისამე დაქვემდებარებიდან, მფლობელობიდან გამოსვლა და შედეგად დამოუკიდებლობისა და თანასწორი უფლებების მიღება.

ემიგრანტი E. Emigrant – პირი, რომელიც ტოვებს თავისი მოქალაქეობის ან მუდმივი საცხოვრებელი ადგილის ქვეყანას და საცხოვრებლად მიემგზავრება სხვა სახელმწიფოში (გაეროს 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (27-ე მუხ.). 1966 წლის საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ (მე-12 მუხ., მე-2 პუნქ.) აღიარებს „ყოველი ადამიანის უფლებას, დატოვოს ნებისმიერი ქვეყანა, მათ შორის საკუთარიც“ (ე. ი. ემიგრაციის უფლებას).

ემისია (ლათ. emissio გამოშვება) – ფასიანი ქაღალდების, ქაღალდის ფულის გამოშვება.

ეროვნული შემოსავალი E. national income – ერთი კალენდარული წლის განმავლობაში ქვეყანაში ახალშექმნილი ღირებულება.

ექსკლუზიური (ზედსართ. სახ.) – ერთი სუბიექტისთვის ან სუბიექტთა შეზღუდული ჯგუფისთვის განკუთვნილი.

ვ

ვეტო – 1. სახელმწიფოს მეთაურის ან პარლამენტის ზედა პალატის უფლება, აკრძალოს ან დროებით შეაჩეროს საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებული კანონის ძალაში შესვლა (საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისი მუხლით ეს უფლება მინიჭებული აქვს საქართველოს პრეზიდენტს). შეერთებული შტატების კონსტიტუციით, წარმომადგენელთა პალატის ან სენატის მიერ მიღებულ კანონპროექტზე პრეზიდენტმა შეიძლება წააწეროს სიტყვა ვ. („ვკრძალავ“), რის შემდეგაც დოკუმენტი აკრძალვის სათანადო მოტივაციით საკანონმდებლო ინსტიტუტს უბრუნდება. ამის შემდეგ კონგრესს მაინც შეუძლია გაიტანოს თავისი კანონპროექტი, თუ მისი წევრები მოაგროვებენ ორივე პალატაში ხმების 2/3–იან უმრავლესობას. თუ პრეზიდენტი კვლავ ვ–ს დაადებს კანონპროექტს, ვ. ავტომატურად ძალაში შედის ათი დღის ვადაში, თუ ამ პერიოდში კონგრესი არ შეწყვეტს სხდომობს.

2. საერთაშორისო ასპარეზზე ვ–ს უფლება აქვთ გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივ წევრებს (აშშ–ს, რუსეთს, დიდ ბრიტანეთს, საფრანგეთსა და ჩინეთს).

Don't COPY

ზ

ზეინკალი – ხელოსანი, რომელიც მუშაობს ლითონის სხვადასხვა ნაკეთობის დამზადებაზე, აწყობასა და შეკეთებაზე.

თ

თრიმლი (Cotinus coggygria, სინ. Rhus cotinus) – სამკურნალო მცენარე, თუთუბოსებრთა ოჯახს ეკუთვნის. თრიმლი ხშირტოტებიანი ბუჩქია, იშვიათად 5 მეტრამდე სიმაღლის ხედაც იზრდება.

ი

იდეოლოგია – 1. იდეების, შეხედულებების ერთობლიობა, რომელიც ადამიანების გარკვეულ ჯგუფში (მაგალითად სახელმწიფოში) მიღებულ ნორმად, სახელმძღვანელო იდეებად არის აღიარებული, ან შეიძლება იყოს აღიარებული. 2. გარკვეული კლასის, პოლიტიკური პარტიის, საზოგადოებრივი ჯგუფის და ა.შ. იდეათა, შეხედულებათა სისტემა, რომელიც ვლინდება საზოგადოებრივი ცნობიერების სხვადასხვა ფორმაში – ფილოსოფიაში, პოლიტიკაში, სამართალში, ხელოვნებაში და ა.შ.

იურისდიქცია – თითოეული სახელმწიფოს სუვერენული უფლება განახორციელოს თავისი განსაკუთრებული სახელისუფლებო უფლებამოსილება სამართალშემოქმედებით და სამართალგამოყენების სფეროებში, სამოქალაქო, სისხლის და ადმინისტრაციულ საქმეებში.

კ

კალატოზი – ხელოსანი, რომელიც ქვით, აგურითა და მისთ. აგებს შენობას.

კაპიტალი – 1. ღირებულება, რომელიც დაქირავებული შრომის გამოყენებით შექმნილი ზედნადები ღირებულების მიღების საშუალებაა; 2. ფული, ფულის დიდი მასა.

კლასი – ლათ. ჯგუფი – ერთნაირი ნიშნების მქონე საგნების, მოვლენების ერთობლიობა. მაგალითად, **საზოგადოებრივი კლასი** – მოსახლეობის ნაწილი გაერთიანებული საერთო ინტერესებით.

კოალიცია – საერთო მიზნის მისაღწევად შექმნილი (სახელმწიფოების, დაჯგუფებების, პარტიებისა და სხვ.) გაერთიანება, კავშირი.

კოლაფსი – ქვეყნის ეკონომიკაში ან სოციალურ ცხოვრებაში მძიმე კრიზისი, რომელსაც ახასიათებს წარმოების დაცემა, ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობების მოშლა, მოსახლეობის უმრავლესობის ცხოვრების დონის დაცემა.

კომანდიტი – კომანდიტური საზოგადოების შეზღუდული პასუხისმგებლობის მქონე წევრი.

კომანდიტური საზოგადოება – ერთიანი საფირმო სახელწოდებით ფიზიკურ და იურიდიულ პირთა ერთიანობა, სადაც ერთი ან რამდენიმე პირის პასუხისმგებლობა კრედიტორთა წინაშე შემოიფარგლება საგარანტიო თანხის გადახდით (კომანდიტი), ხოლო სხვა პარტნიორთა პასუხისმგებლობა შეუზღუდავია.

კონვერგენცია – სხვადასხვა სოციალური და პოლიტიკური სისტემების, მათი სტრუქტურების თანდათანობითი დაახლოება ურთიერთკავშირის, თანამშრომლობისა და ურთიერთგაგების საფუძველზე.

კონიუნქტურა (არსებითი სახელი) – საზოგადოებრივი ცხოვრების რომელიმე სფეროში შექმნილი ვითარება, მდგომარეობა.

კონტრაგენტი – სავაჭრო პარტნიორი, რომელიც გარიგების მეორე მხარეა.

Don't copy

კონფორმულობა – სოციალური ქცევის ტიპი, რომელსაც ახასიათებს შემგუებლობა, მოვლენათა, მოსაზრებების, ღირებულებების, წარმოდგენების პასიური მიღება, საკუთარი პოზიციის უქონლობა.

კრედიტი (ლათ. ვალი, სესხი) – ფულის სესხად გაცემა დაბრუნებადობის, ვადიანობის, მიზნობრიობისა და სარგებლის გადახდის პირობით.

მ

მაკროეკონომიკა E. Macroeconomics – 1. ეკონომიკური ანალიზის მეთოდი, რომელიც აგრეგირებული (ყოვლისმომცველი) მაჩვენებლების შეფასებას ემყარება; 2. ეკონომიკური მეცნიერება, რომელიც ეკონომიკას მთლიანობაში, აგრეთვე, მის უმნიშვნელოვანეს სექტორებს სწავლობს (მაგ. შრომა, კაპიტალი, ბიზნესი, სახელმწიფო სექტორი და სხვ.).

მერიტოკრატია – საზოგადოების ერთი გარკვეული ელიტარული ნაწილისადმი მიკუთვნილობა, არა ჩამომავლობით ან სოციალური მდგომარეობით, არამედ პიროვნული უნარებითა და ინდივიდუალური ძალისხმევის გათვალისწინებით.

მონოპოლია – E. Monopoly (Gk. Monos ერთი, polo ვყიდი) – 1. წარმოების, ვაჭრობის, რეწვის და ა.შ. განსაკუთრებული უფლება, რომელიც ეკუთვნის ერთ პირს, პირთა განსაზღვრულ ჯგუფს ან სახელმწიფოს; მონოპოლიას საბაზრო ეკონომიკაში კონკრეტულმა ეკონომიკურმა სუბიექტმა ან სუბიექტების ჯგუფმა შეიძლება მიაღწიოს კაპიტალისა და წარმოების მაღალი კონცენტრაციის შედეგად, რაც, თავის მხრივ, მიიღწევა კომპანიებს შორის დადებული გარიგებით ან შერწყმით. 2. საბაზრო სიტუაცია, როდესაც ბაზარზე არის ერთი მწარმოებელი და მრავალი მომხმარებელი.

მჩითავი – ხის საბეჭდების (საჩითავი ყალიბების) საშუალებით ქსოვილზე მხატვრული სახეების გადმატანი ხელოსანი.

ნ

ნალბანდი – საქონლის რკინის ნალით დამჭედავი.

ო

ოპტიმალური L. Optimus -„საუკეთესო“, ყველაზე ხელსაყრელი, ყველაზე უფრო შესაფერი, საუკეთესო.

პ

პიჩინგი – იდეების მაქსიმალურად სწრაფად და ეფექტურად გადაცემის ტექნიკა.

პრაგმატიზმი – თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის მიმართულება, რომელიც ჭეშმარიტად აღიარებს იმას, რაც პრაქტიკულად სასარგებლოა (და არა ობიექტურ ჭეშმარიტებას).

პრივატიზაცია – სახელმწიფო საკუთრების (საწარმოების, მიწების, საცხოვრებელი სახლებისა და მისთ.) გადაცემა კერძო პირთა მფლობელობაში.

რ

რაციონალური (ზედსართავი სახელი) – გონივრული, საღ აზრზე დაფუძნებული.

რედისტრიბუცია – სოციალური სამართლიანობის ის ასპექტი, რომელიც მიმართულია ეკონომიკური უთანასწორობებით გამოწვეული უსამართლობის გამოსწორებაზე. რედისტრიბუციის (შემოსავლის ან სიმდიდრის გადანაწილების) პოლიტიკა გულისხმობს ინდივიდებს შორის შემოსავლის ან სიმდიდრის გადაცემას ისეთი სო-

Don't copy

ციალური მექანიზმების მეშვეობით, როგორებიცაა: პროგრესული დაბეგვრა, განათლებისა და ჯანდაცვის სახელმწიფო უზრუნველყოფა, სოციალური დახმარების პროგრამები და სხვ. რედისტრიბუციის პოლიტიკა მიმართულია კლასობრივ, ანუ ეკონომიკურ უსამართლობასთან ბრძოლაზე, რომელსაც ზოგჯერ „სოციალურ უსამართლობასაც“ უწოდებენ, სადაც სოციალური გაიგება ვიწრო – ეკონომიკური ან კლასობრივი – მნიშვნელობით.

რელევანტური – 1. მნიშვნელოვანი, არსებითი; 2. საინფორმაციო მოთხოვნასა და მიღებულ ცნობას შორის აზრობრივი შესაბამისობა.

რეცესია – (E. Recession) ეკონომიკის (მთლიანი შიდა პროდუქტის) მკვეთრი კლება. რეცესიად რომ შეფასდეს ეკონომიკური ვარდნა, მინიმუმ ორი კვარტალი უნდა გრძელდებოდეს ვარდნა და და სხვა ეკონომიკური მაჩვენებლების გაუარესებაც უნდა იკვეთებოდეს – პირველ რიგში, დასაქმების დონის, ასევე მოსახლეობის შემოსავლებისა და ვაჭრობის კლება. რეცესიის დროს ეცემა უძრავი ქონების ფასები.

ს

საბითუმო ვაჭრობა – საქონლის ყიდვა-გაყიდვა მსხვილი პარტიებით, საბითუმო ფასებით, რომლებიც საცალო ფასებთან შედარებით მცირეა.

სალდო – დროის განსაზღვრულ მონაკვეთში ფულადი შემოსულობებისა და გასავლების სხვაობა, ქვეყნის ექსპორტისა და იმპორტის საერთო ღირებულებათა სხვაობა.

სამომხმარებლო ბაზარი – ადგილი, სადაც პირი შეიძენს საქონელს (მომსახურებას) პირადი მოხმარებისათვის.

საწარმოო რესურსი – წარმოებისათვის საჭირო შენობა-ნაგებობები, მიწა, ტექნიკური საშუალებები (მანქანა დანადგარები), ტრანსპორტი და სხვა.

სახელმწიფო მოხელე – პირი, რომელიც ინიშნება ან აირჩევა სახელმწიფო დაწესებულების საშტატო (შტატით გათვალისწინებულ) თანამდებობაზე. სახელმწიფო მოხელედ მიიღება საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელმაც მიაღწია 21 წლის ასაკს, ფლობს საქართველოს სახელმწიფო ენას და აქვს სათანადო ცოდნა და გამოცდილება.

სეკულარიზმი – საერო სოციალური დოქტრინა, რომელიც გულისხმობს, რომ უკეთესი საზოგადოებისკენ სწრაფვა და შესაძლო სოციალურ-პოლიტიკური რეფორმები პოზიტიურ მეცნიერულ ცოდნას ეფუძნება და არა თეოლოგიას. სეკულარიზმის მომხრეები ეკლესიის სახელმწიფოსგან დაცალკევებას და სოციალურ-პოლიტიკური ფუნქციის საერო ხელისუფლებისთვის გადაცემას მოითხოვენ.

სოვდაგარი – დიდი ვაჭარი, აღებმიცემობით მოვაჭრე, სხვადასხვა ქვეყნებში მოსიარულე და აღებმიცემობით მოვაჭრე.

სოციალურად დაუცველი – ფიზიკური პირი, რომელიც სახელმწიფოსგან იღებს დახმარებას ელემენტარული ცხოვრებისეული პირობების შესაქმნელად. სოციალურად დაუცველ პირებს მიეკუთვნებიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პირები.

სტაგნაცია – (ეკონ.) კაპიტალისტურ ქვეყნებში წარმოების, ვაჭრობის და მისთ. შენელება, შეფერხება.

ფ

ფისკალური (ზედსართავი სახელი) – სახელმწიფო ხაზინის ინტერესებთან დაკავშირებული.

Don't Copy

ფისკალური პოლიტიკა – სახელმწიფოს მიერ გადასახადებისა და ხარჯების სფეროში მიღებული გადაწყვეტილებების ერთობლიობა.

ქ

ქსენოფობია – ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს „შიშს უცხოელის მიმართ“. ეს არის შფოთვა, რომელიც ყოველივე უცხოს მიმართ ნეგატიური სტერეოტიპული დამოკიდებულებებითა და წინასწარგანსჯებით ხასიათდება. ეს შიში განსხვავებული ადამიანების მიუღებლობასა და მათ მიმართ მტრულ დამოკიდებულებაში გამოიხატება.

ჩ

ჩრდილოვანი ეკონომიკა – ისეთი ეკონომიკური აქტივობა, რომელიც სხვადასხვა საგადასახადო, საკანონმდებლო თუ ინსტიტუციური მიზეზის გამო სახელმწიფო ორგანოებისგან დაფარულია. საგადასახადო მიზეზი გულისხმობს გადასახადებისგან თავის არიდებას, საკანონმდებლო მიზეზები – სახელმწიფო ბიუროკრატიის ან სამართლებრივი რეგულაციების ტვირთისგან გათავისუფლებას, ხოლო ინსტიტუციური მიზეზები აერთიანებს კორუფციის დონეს, პოლიტიკური ინსტიტუტების ხარისხსა და კანონის სუსტ აღსრულებას.

ჯ

ჯინის ინდექსი წარმოადგენს მონაცემების გაფანტულობის საზომს. ის შემოღებულ იქნა 1912 წელს იტალიელი სტატისტიკოსის, კორადო ჯინის მიერ. ჯინის ინდექსი ზომავს უთანაბრობას მონაცემთა განაწილებაში. ინდექსის მნიშვნელობა 0 უთითებს, რომ უთანაბრობა არ არსებობს, ხოლო 1 უთითებს, რომ უთანაბრობა მაქსიმალურია. ჯინის ინდექსი გამოიყენება მეცნიერების მრავალ დარგში, მათ შორის სოციოლოგიაში, ეკოლოგიაში და სოფლის მეურნეობაში. **ჯინის ინდექსი** ყველაზე მეტად ცნობილია, როგორც მოსახლეობის შემოსავლებისა და კეთილდღეობის უთანაბრობის საზომი. ქვეყნებს შორის ამ ინდექსის მიხედვით ყველაზე ნაკლები უთანაბრობა შვედეთშია (0.23), ხოლო ყველაზე მეტი – ნამიბიაში (0.7). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ქვეყანა არ შეფასებულა.

ჰ

ჰიპოთეზა – მეცნიერული ვარაუდი, რომელიც წამოყენებულია გარკვეული მოვლენების ასახსნელად და მოითხოვს დამოწმებას. ჰიპოთეზის საშუალებით, გარკვეული ფაქტების საფუძველზე, კეთდება დასკვნა გარკვეული მოვლენის მიზეზის შესახებ.

ჰომოგენური ჰომოგენურ-ი [ბერძ. homogenēs] – შემადგენლობით, წარმოშობით, თვისებებით ერთგვარი.

Don't Copy

გამოყენებული ლიტერატურა:

- სოციალური კეთილდღეობის პოლიტიკა – შატბერაშვილი,

  https://digitallibrary.tsu.ge/book/2020/dec/books/shatberashvili–socialuri–ketildgeobis–politika.pdf

- მეწარმეობა, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, ავტორი შორენა ხუბუნაია, 2015 წ.

- როგორ დავიწყოთ ბიზნესი, გზამკვლევი

  http://www.economy.ge/uploads/publications/economy–5956415358e-1d9294e6c48.63738525.pdf

- მოგზაურობა ფულის სამყაროში, საქართველოს ეროვნული ბანკი.

- პოლიტიკური თეორია, სალექციო კურსი, მამუკა ბიჭაშვილი, თბილისი, 2006 წელი

  http://css.ge/wp-content/uploads/2019/07/polit–theory.pdf

- სამთავრობო პროგრამა 2021-2024 „ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის“ https://www.gov.ge/files/68–78117–645287–govprogramme2021-2024.pdf

- დემოკრატიაზე გარდამავალი პერიოდი და აქტიური მოქალაქეობა, სახალხო უნივერსიტეტთა გერმანული ასოციაცია (dvv international) – 2007 წ.

- პოლიტიკური იდეოლოგიები, ენდრიუ ჰეივუდი, 1992 წ. ლოგოს პრესი, ქართული თარგმანი, 2004 წ.

- რადიკალიზაციისა და ძალადობრივი ექსტრემიზმის პრევენცია, საქართველოს სტრატეგიისა და განვითარების ცენტრი (GCSD), სამოქალაქო განათლების მასწავლებელთა ფორუმი, CELA, 2020 წ.

- ბავშვებისა და ახალგაზრდების სამოქალაქო მონაწილეობის გაძლიერება, მეთოდური სახელმძღვანელო https://www.austausch.org/mecadineoba-1-2/?fbclid=IwAR23HKAFmGlkftgVvDO5L1MIdClD–nTr-gO-TZECSzZGR3-ExdLDgjK4TgJI

- ლექსიკონი-ცნობარი სოციალურ მეცნიერებებში http://dictionary.css.ge

- უცხო სიტყვათა ლექსიკონი http://www.nplg.gov.ge

- ქართული ლექსიკონი https://www.ganmarteba.ge/

- საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების 2021 -2025 წლების სტრატეგია.

Don't Copy

- საღი აზრი ეკონომიკაში – ჯეიმს დ. გვართნი, რიჩარდ ლ. სტრუპი, დვაიტ რ. ლი, ტაუნი ჰ. ფერარინი, ჯოსეფ პ. კალჰოუნი, რენდალ კ. ფილერი https://bit.ly/3FaSKsE



- პოლიტიკის დაგეგმვის სისტემის რეფორმის სტრატეგია https://www.gov.ge/files/425–49310–540377–PolicyPlanningSystemReformStrategyandActionPlan.pdf



- ყველაზე დიდი გამოწვევა ანუ როგორ შევინარჩუნოთ ბიზნესი, რეზი ბესელაშვილი, 4 იანვარი, 2019 წ. https://www.entrepreneur.com/ka/inspiratsia/qvelaze-didi/325782?fbclid=IwAR3yNIh1yO-IJ3quza6nSrEWdmGY-1fI8zqvbItVLGlzVH2kd6USUFz1vCDY



- პოლიტიკა როგორც მოწოდება და პროფესია, მაქს ვებერი., სტატიის ავტორი მირიან თოიძე, 2.07.2013წ. https://tabula.ge/ge/news/554254-politika-rogorts-mocodeba-propesia



- სამოქალაქო განათლება ყველასთვის, https://www.civiceducation.ge/



Don't Copy

ამ სახელმძღვანელოს გაყიდვის ფაქტის აღმოჩენის
შემთხვევაში, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ ცხელ ხაზზე:
(+995 32) 2 200 220.

www.epigraphi.ge

9 789941 856150



დაფინანსებულია „მოსწავლეებისა და
მასწავლებლების სახელმძღვანელოებით
უზრუნველყოფის პროგრამის“ ფარგლებში